

1977/2

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

ბავშვთათვის

7

1977



ენათობი

საქართველოს ლიტერატურულ-მწახველური
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე

№ 7

03 ივნისი, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უიწაწაწა

13.466

დიადი დღასასწავლის წინ (სამატომბრო რეპრიკა)	3
მომკვი ჯიბლამ — დიადი წიხნი ქარტია	6
ქონსტანტინე ლორთქიფანიძე — წიხნიანი ლაშო, მოთბობა	11
კოლაუ ნადირაძე — ო, სანატრლო და უნაუსო, ლექსი	16
ოია ტრუნიკიძე — ლექსები	17
თადო ხაქიზილი — ლექსები	20
ჯულიანა მილდინი — ლექსები	24
ლადო მგელაშვილი — მატნელი ქაჯი, მოთბობა	26
ალექსანდრე კუთათალი — წამებით მატკინებულნი, ლექსი	34
ლადო სულაშვილი — ლექსები	39
ნაილი ნაქიზილი — ორი ლექსი	42
ილია ბროსია — ორი ლექსი	43
გაბრიელ ზინაუა — უკანასკნელი უბიტი, რომანი, თარგმ. თამარ ჩიქავაძემ	45
მთარ კუჩავა — სირიაჩონის ტურის სიუჟარი, რომანი, გაგრძელება	75
სოლომონ დემურსანაშვილი — მუის მოკიცვა	105

კრიტიკა და კუბლიცინტიკა

პროკოპი კაბიანი — ნეთუ მს იხვე საღაშო	136
სარგის ტაიშვილი — ახალი პართული ვოეჟიის გუჯვარდინო	155
მუარ კვიციანი — „გაბრიელი“ და „ხუთი კოევა“	165
ქონა ივანაშვილი — „სავე ვარ მოლოდინითა და იმედით“	177

წიხნი იუბილკაები

მომლოლ აბაშიძე — მწიკალი და მამულნივილი	185
მომკვი ტიციანი — მალუმოლონი მწიკალი	187

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

კ. შარქის საბ. სოფ. სსსრ
სახელმწიფო ბეჭდვით

წიგნების მიმოხილვა

189
191

მეცნიერებათა აკადემიის — ფალაური კვლევის პირველი ტომის მთავარი
ხ. ჩინაური — წიგნი გამოცემის შესახებ

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროსვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. აბაშვილი (პ/მე მღვიანე), ხ. ბარაბაძე, თ. გიგინეიშვილი, ვ. ლეჟანიძე,
ლ. მგელაშვილი, ა. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ს. შანთიაშვილი, დ. შანთიაშვილი,
ნ. წულუკიძე, ვ. წულუკიძე, თ. ვილაძე, ვ. ხარაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიშკაძე,

ტექნიკური რ. ნაპაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პარკი № 12.

ბეჭდვითი რედაქტორის — 98-55-11.
პ/მე მღვიანე — 98-55-18, განყოფილება
ბის — 98-55-16, 98-55-17, 98-55-20.

გაზეთი გამოდის 27/7-77 წ., ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 20/VII-77 წ., ანაწილის ზომა
71/4X12, ქაღალდის ფორმატი 70X1081/8,
ფიზიური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირბითი
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო
თაბახი 16,58.

უც 00038. ტირაჟი 13.900. შეფ. 1852.
საქ. კა ცკ-ის გამოცემლობის ბტაბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

02/22/87

ცებით უსმენს მშრომელი კაცობრიობა. ამ ექვსი ათეული წლის მანძილზე უდიდესი ცდილებები მოხდა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში; ამ ღრმა, ყოვლისმომცველ სოციალურ გარდაქმნებს დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

ექვსი ათწლეულის მანძილზე ოქტომბრის სამშობლოს მიღწევები დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სოციალიზმმა უზრუნველყო საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის პროგრესის ისტორიაში უმაგალითო ტემპი.

ოქტომბრის დიდი მონაპოვარი, საბჭოთა მოქალაქეთა უდიდესი უფლებანი და თავისუფლებანი, რომელთა მსგავსი მანამდე არაფერი უნახავს კაცობრიობის ისტორიას და მხოლოდ უოცნებია მასზე — საბჭოთა ხალხის ეს დაიდი მონაპოვარი ოქროს ასრებით არის აღბეჭდილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტში, რომელიც იშვიათი სისრულით გამოხატავს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს.

ახლა ჩვენს სამშობლოში მიმდინარეობს ამ პროექტის სახალხო განხილვა.

ბედნიერი და გულუხვი გამოდგა მიმდინარე წლის ივნისი, არაერთი სიბარული მოუტანა მან ჩვენს ხალხს: ჯერ იყო და ოთხ ივნისს გამოქვეყნდა კონსტიტუციის პროექტი, რომლის შედგენა-შემუშავება ხორციელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით; შემდეგ, ხუთ ივნისს გამოქვეყნდა ამხანაგ ბრეჟნევის მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე; ამ მოხსენებაში ნაჩვენებია მთელი სიდიადე ახალი კონსტიტუციისა, მისი შინაარსის მთავარი ნიშანთვისებები; ამის შემდეგ, თორმეტ ივნისს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ახალი ქიმი, რომელშიც იშვიათი პოეტური ძალით არის გამოხატული მილიონების გულისთქმა, მთელი სიყვარული და ერთგულება ლენინის პარტიისადმი; ამას მოჰყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელიც გაიხსნა თექვსმეტ ივნისს და რომელმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

როგორც უმაღლესი საბჭოს სესიაზე აღინიშნა, მთელი ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის იცნობენ როგორც ლენინის პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს; იგი, როგორც შესანიშნავი ორგანიზატორი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, ლენინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწე მთელ თავის ნიჭსა და ენერჯიას, მთელ ცხოვრებას ახმარს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მუდმივ ზრუნვას, კომუნისმის მშენებლობის დიად საქმეს.

საერთაშორისო დამაბულობის შენელებისათვის, მტკიცე მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელი ბრძოლით ლეონიდ ილიას ძემ მთელი მსოფლიოს ხალხებს უდრმეხი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. საერთაშორისო დამაბულობის შენელება თავისთავად არ მომხდარა; ეს არ იყო და არ არის იოლი საქმე — ეს არის ფრიად რთული, ფრიად ძნელი სამუშაო, ვინაიდან მსოფლიოში რეაქციის ძალებს ჯერ არ დაუყრიათ იარაღი, ისინი ავრცელებენ ცილისმწამებლურ ხმებსა და კორუმპციას, რათა გათიშონ ქვეყნები და ხალხები ერთი-მეორისაგან, მაგრამ ცივი ომის მომხრეები მიზანს ვეღარ აღწევენ — მსოფლიოს მშვიდობა უნდა და აღარ სურს მათი ხმის გაგონება, ვისაც ომი სწყურია და ენატრება.

რაოდენ საამაყო და სასიხარულოა ჩვენთვის, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებისათვის ის ამბავი, რომ ამ სამშვიდობო მოძრაობას სათავეში უდგას ჩვენი დიდი სამშობლო. შემობრუნება ცივი ომთან საერთაშორისო დამაბულობის შენელებისაკენ შეამზა-

და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ნერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელმა მუშაობამ, სასახელო თაოსნობამ, იმ უფართოესი მასშტაბების შემოქმედებითა საქმიანობამ, რომელსაც უცხოეთში „საბჭოეთის მშვიდობიანი შეტევა“ უწოდეს. ამ გარდატეხისა და შემობრუნების დიდი მოთავე, შთამაგონებელი და ორგანიზატორი იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. თავის სიტყვაში უმაღლესი საბჭოს მიექვესე სესიაზე და აყვავდეს ჩვენი საყვარელი „ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს და აყვავდეს ჩვენი საყვარელი ქვეყანა, რათა სულ უფრო გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, რათა ქვეყნად განმტკიცდეს მშვიდობა და განვითარდეს ხალხთა შორის კეთილი თანამშრომლობა“.

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ამ შთამაგონებელ სიტყვებს საბჭოთა ადამიანები უპასუხებენ თავდადებული შრომით სამშობლოს საკეთილდღეოდ, მძლავრი ინტერნაციონალური თანამეგობრობა შთაგონებს და წინსვლის სტიმულს აძლევს საბჭოთა კავშირის ყველა ერსა და ეროვნებას უფრო მეტი ენერგიით, უფრო მეტი გატაცებით იღვწოდნენ მთელი კაცობრიობის ნათელი ოცნების — კომუნიზმის განსახორციელებლად.

ივნისშივე საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა კიდევ ერთი დიდი სიხარული განიცადეს — მათ აღნიშნეს ერთი წლის თავი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების გამოქვეყნების დღიდან. ამ დადგენილებას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული და წარუვალი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმიტომ, რომ მან ხაზგასმით აღნიშნა, მოიწონა და ამით დაამკვიდრა პოზიტიური პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში; ეს დადგენილება გვეხმარება მეტი წარმატებით გადავწყვიტოთ უფრო რთული და პასუხსაცვები ამოცანები.

ჩვენს გულს სიამაყით აღავსებს ის ფაქტი, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ივნისის დადგენილებით ესოდენ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მთელ საქმიანობას ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე და ყველა სფეროში; იმავე დადგენილებაში აღნიშნული იყო მწერალთა და ხელოვანთა წვლილი მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და მორალური აღზრდის საქმეში. მაგრამ პარტიამ იქვე მიგვითითა, რომ ეს წარმატებები მხოლოდ დასაწყისია, თვითდამშვიდების საბაბი არა გვაქვს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ქართველ მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს შეუქმნა ყველა პირობა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, იმისათვის, რომ მათ ღირსეულად ასახონ ჩვენი ხალხის გმირული შრომა მეთაუე ხუთწლედის ხარაჩოებზე. და ჩვენი მწერლობა არ დაიშურებს არც ძალღონეს და არც ენერჯიას, რათა ვალში არ დარჩეს ჩვენი ხალხის წინაშე.

ახლა, ოქტომბრის საიუბილეო წლის ყოველი დღე აღსავსეა ახალი შინაარსით, ახალი სიხარულით, ახალი გატაცებით. ენთუზიაზმის ეს ტალღა უნდა გამოიწიდეს ჩვენს ლექსებში, პოემებში, მოთხრობებსა და ნარკვევებში. ეს ქართული მწერლობის ისტორიული მოვალეობაა.

უსურვოთ ახალი წარმატებანი ჩვენს ხალხს, ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენს მწერლობას ამ სასახელო შრომისა და შემოქმედების ნათელ გზაზე.



ბიორბი ჯიგლაძე

დიადი ჩვენი ქარტია

ცივილიზაციის ისტორია იცნობს არაერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, მოყოლებული უძველესი, თუნდაც ხაშურაბის ეპოქიდან დღემდე, მაგრამ ისეთი, როგორც ახლახან გამოქვეყნებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტია, კაცობრიობას ჭერ კიდევ არ უნახავს. ეს სულ სხვა არის, თავისი არსებით, სულითაც და გულითაც; სხვა არის თავისი სიდიდით, აზრებით, მიღწეულის კოლოსალურობით.

პირველი განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების პირველი ქარტია!

ამ სახელითაც შევა კაცობრიობის ისტორიაში საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომლის პროექტის „მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი და ნამდვილი საქმიანი საყოველთაო სახალხო განხილვა“ უკვე დაიწყო.

ვიმეორებთ: ისტორია იცნობს არაერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, არაერთ კონსტიტუციას, მსგავსი კი არ უბილავს, ვინაიდან იგი პირველია, თუმცა რიგით ჩვენი ქვეყნისათვის მეოთხეს წარმოადგენს, მაგრამ ახალს, განვითარებულს, რომელიც „იცავს 1918 წლის რუსეთის სსსრ კონსტი-

ტუციის, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას“.

ეს მემკვიდრეობითობა მთელი ჩვენი ქვეყნის ცოცხალი ისტორიაა, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში დაიწყო, მას შემდეგ 60 წელი გავიდა, როგორც კაცობრიობის ახალი ერის გაზაფხული, უქნობი და მარადიული გაზაფხული!

რა არ მოხდა ამ 60 წლის მანძილზე; რა არ გადაიტანა სოციალიზმის მიმართ ველმა ქვეყანამ; რას არ გაუძლო, რა არ გააყვია, რა არ ააშენა და დააშენა!

ახლა ეს ისტორიაცაა და ცოცხალი სინამდვილაც, მაგრამ სინამდვილე სულ ახალი რანგისა.

მე კარგად მახსოვს 1936 წლის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, მასების სიხარული, იმით გამოწვეული, რომ სოციალიზმის საფუძვლების შექმნა მაშინ დამთავრდა და ყველაფერი ეს აისახა ძირითად კანონში.

ახლა სხვა ვითარებაა: ორმოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში კოლოსალური გარდაქმნები მოხდა, უკვე ლაპარაკია არა სოციალიზმის საფუძვლებზე, არამედ თვით სოციალისტურ სა-

ზოგადობაზე, რომელიც აშენებულია და წარმოადგენს განვითარებულს, მომწიფებულს. ამიტომ ახლა სიხარულიც მეტია, საამაყოც მეტი, რაკი შეუდარებლად მეტია გაკეთებული კომუნისმის გამარჯვების გზაზე.

ეს დიადი ისტორიული გარდაქმნები და ცვლილებები ნათლად დაახასიათა ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა ლენინდ ილიას ჰე ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 24 მაისის პლენუმზე თავის მოხსენებაში — „საბჭოთა სოციალისტურა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“. ორმოცი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში მოხდა დიდი ეკონომიური გარდაქმნები, შეიცვალა მოსახლეობის სოციალური სახე, ერების თანასწორობა არამარტო იურიდიული, ფაქტური გახდა, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, შეიცვალა საერთაშორისო მდგომარეობაც — მოიხსნა კაპიტალისტური ვარე-მოცვა, შეიქმნა ახალი სოციალისტური სახელმწიფოები, რამაც სოციალიზმი გადააქცია მსოფლიო სისტემად, კოლონიების ადგილზე ჩამოყალიბდა სახელმწიფოები, რომლებიც ებრძვიან იმპერიალიზმს, არის მსოფლიო ომის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა, ლენინური კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობის შედეგად წარმატებით წყდება კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ისტორიული ამოცანა.

ყველაფერ ამას და ბევრ სხვა ცვლილებას ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, ბუნებრივია, ასახავს კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ ცოტა რადია დაწერილი თუ დაუწერელი კონსტიტუციები, რომლებიც მშრომელი ხალხის ინტერესებს კი არ გამოხატავენ, პირიქით, განმტკიცებენ პლუტოკრატის ბატონობას დემოკრატიაზე.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტის შთამავგონებელი ხალხია და ბუნებრივია იგი თავიდან ბოლომდე ხალხის ინტერესების გამოხატველია. მისი სიტყვებით საქვეყნოდ დასტურდება ისტორიული მონაბოვარი, რომელიც მოკლედ, მაგრამ დიდი მორალურ-პოლიტიკური ძალით ეღერს: „სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის“.

შეადარეთ ამ სიტყვებს ინგლისის ბურჟუაზიული სახელმწიფოს ერთ-ერთი კონსტიტუციის შემდეგი მუხლი: „ინგლისის მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს“. მართავს პრემიერი, რომელსაც მეფე ამტკიცებს, ეს უკანასკნელი კი ოფიციალურ სიტყვებს მხოლოდ მისი ტექსტითა და ბუქდის დასმით წარმოსთქვამს. ხალხზე ზრუნვა... ამაზე სდუმან ან ძალიან ცოტას ამბობენ ბურჟუაზიული კონსტიტუციები.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტი, პირიქით, საქვეყნოდ აცხადებს ხალხზე ზრუნვას.

„განაგრძობდა რა აღმშენებლობის საქმიანობას, — ვკითხულობთ პროექტში, — საბჭოთა ხალხმა უზრუნველყო ქვეყნის სწრაფი და ყოველშრივი განვითარება, სოციალისტური წყობილების სრულყოფა. განმტკიცდა ზღვათა კლასის, კოლმეურნე-გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირი, სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების მეგობრობა. შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომლის წამყვანი ძალაა მუშათა კლასი. საბჭოთა სახელმწიფომ შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები და საერთო სახალხო სახელმწიფო გახდა. გაიზარდა მთელი ხალხის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი“.

გაიზარდა და როგორ!

პროექტში ასეა ჩაწერილი: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მართვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური“.

ტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გვეგაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნისმის გამარჯვებისათვის“.

ასეა ასახული ჩვენი პარტიის არსება და ფუნქცია ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც ყველგან, ყველა მუხლში გამოირჩევა სიზუსტით, დებულებების მკაფიოობათ, სინათლითა და მეცნიერული სიღრმით.

კონსტიტუციის პროექტში აგრეთვე ასახულია მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტაი“ ისტორიული სიტყვები ერთისა და ყველას ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ჩაწერილია, რომ ამჟამად ჩვენი საზოგადოება არის ისეთი, რომლის „ცხოვრების კანონია ყველას ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის“.

ეს არის კომუნისტური მორალი, წინააღმდეგ ბურჟუაზიული მორალის მგლური ხასიათისა, რომლის დახასიათება მოცემულია ერთი ფილოსოფოსის სიტყვებში — „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“.

და რა დიდებულად, სასიამოვნოდ გაისმის ჩვენი მომავალი ქარტიის შთამბგონებელი სიტყვები: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური სავრთო-საბალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს“. ეს არის ერთ-ერთი პრინციპულად განმარტებული მუხლი ჩვენი ძირითადი კა-

ნონისა ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებისაგან, რომლებიც რასობრივ-ნაციონალისტური ხასიათით გამოირჩევიან, ერთა და ეროვნებათა ინტერესებს კი როდი დაგიდევენ.

ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ქარტიის პროექტის ზემოთ მოყვანილი სიტყვების ჩაწერა თავის კონსტიტუციაში მხოლოდ სოციალიზმის ქვეყნას — თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დიდ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს შეეძლო!

კონსტიტუციის პროექტში ასევე აღმართოვანებელია იმის დაკანონება, რომ „საბჭოთა სახელმწიფო მისნად ისახავს გაფართოვს რეალური მოსამლეობისათვის მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალებს, უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის“.

დაკანონებულია აგრეთვე განათლების სახელმწიფოებრივი არსი და ფუნქცია, კვლავ დადასტურებულია, რომ „განათლება სსრ კავშირში უფასოა“.

რა სადად, მოკლედ, უბრალოდ არის ნათქვამი და რა გიგანტური, მართლაც გოლიათური სახელმწიფო შემართება. ათეულ მილიონობით ადამიანს მისცე როგორც საშუალო, ისე უმაღლესი და პროფესიულ-ტექნიკური განათლება სრულიად უსასყიდლოდ, უფასოდ — ეს მხოლოდ სოციალიზმს, მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას შეეძლო!

ეს წარმოუდგენელი იყო ფეოდალიზმის, ზოლო შეუძლებელი — კაპიტალიზმის დროს.

ეს სიზმრადაც არ მოელოდებოდათ ბურჟუაზიული წყობილების აპოლოგეტებს.

უფასო განათლების პარალელურად, კონსტიტუციის პროექტი აკანონებს „სახელმწიფო სტიპენდიებისა და სხვა შედარებითი მიცემას მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის“, აგრეთვე „სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემას“.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

საბჭოთა საქართველო

მგონი ერთადერთი რამ: აქ კომენტარები სრულიად ზედმეტია, ვინაიდან ფაქტები თავისთავზე უკეთესად ლაპარაკობენ.

და იმ დროს, როცა ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები შორს როდი არიან კაცთმოძულე შოუინიზმისა და ნაციონალიზმის მიძალბებებისაგან, დღაღი ჩვენი ქარტიის პროექტი სახელმწიფოებრივად აკანონებს სკოლაში „დედაენაზე სწავლების შესაძლებლობას“, და ამას ქადაგებს სახელმწიფო, რომლის ერებისა და ეროვნებების რაოდენობა 100-ზე ნაკლები არ არის!

მაგრამ ეს როდია ყველაფერი. ჩაწერილია იმის შესახებაც, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში“.

ახალი კონსტიტუციის პროექტი კანონით განამტკიცებს საბჭოთა მეცნიერების კოლოსალურ მიღწევათა პრაქტიკულ გამოყენებას, როგორც სახალხო მეურნეობის, ისე ადამიანის ცხოვრების ყველა დარგში.

თანამედროვე რთული მეცნიერებანი, ტექნიკური აღმოჩენები წარმოდგენილად დიდ სიკეთეთა წყაროებია ადამიანის, საზოგადოების, ხალხის ცხოვრების გასაუქმობესებლად. ამიტომ მთავრობა ხარჯავს დიდძალ თანხებს მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. მართო საქართველო ამ მიზნით ყოველწლიურად გამოყოფს ათეულ მილიონობით მანეთს. 1975 წელს ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერებასა და ტექნიკას მოხმარდა 51 მილიონი მანეთი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასიგნებანი ყოველწლიურად იზრდება, რომ სსრ კავშირი უზარმაზარი სახელმწიფოა მსოფლიოში, ნათელია, რა მასშტაბით ვითარდება საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, რომელიც აქედან ყველაზე

მძლავრი, ყველაზე მოწინავეა ტექნიკური პლანეტაზე.

მაგრამ ადამიანს არამართო პური არსობისა, არამართო მეცნიერული და ტექნიკური სასწავლებლები აცხოვრებს; მას გონებასთან ერთად გული აქვს, აზრთან ერთად გრძნობა, ამიტომ ყოველდღიურად ესაჭიროება სულიერი ფერმენტი, სულიერი ღირებულებებით დატკობა.

და რა კარგად არის ჩაწერილი ყოველივე ამის შესახებ ჩვენი დიდი ქარტიის პროექტში!

მთელი ქართული მწერლობა მხურვალედ მიესალმება კონსტიტუციის პროექტის სიტყვებს, რომლებიც კანონმდებლობით აფორმებენ სახელმწიფოს ზრუნვას „საზოგადოების სულიერ ღირებულებათა დაცვისა და გამრავლებით-სათვის, საბჭოთა ადამიანების კულტურული დონის ასაშლელად მათი ფართო გამოყენებისათვის“.

ამ ასპექტშია დადასტურებული ის უცილობელი ფაქტიც, რომ „სსრ კავშირში ყოველწლიურად ეწყობა ხელი პარფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“.

მთელი ქართული მწერლობა მხურვალედ მიესალმება იმ ფაქტის აღიარებას, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქენი სარგებლობენ თანასწორუფლებიანობით, რომ დიდი, ვრცელი მათი ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ დარგში, შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის, განათლების და ა. შ. უფლებების პარალელურად, კანონით გარანტირებული ხდება მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლებანი“.

ლიტერატურა, მწერლობა ხელოვნების ერთ-ერთი უადრესად პლასტიკური დარგია. მისი შემდგომი თავისუფალი განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი ზრუნვა ნამდვილად გამოიწვევს სა-

ქართული

ბჭოთა აღმიანის, საბჭოთა საზოგადოების სულიერ ღირებულებათა აღმავლობასა და უჩვეულოდ გამრავლებას.

მაგრამ რას ნიშნავს შემოქმედებითი თავისუფლება?

რაც მოგვეპოვებოდა ის აყეთო, ანარქიულად იმოქმედო, ახირებული აზრები შეიბუშო, საზოგადოების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი მორალის საზიანოდ იმოქმედო?

არა, მაშინ ეს იქნებოდა არა თავისუფლება, არამედ, თავისუფლების გაყალბება, განდიდების მანიის საფუძველზე ყოველად ანტისაზოგადოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიმორალური ქმედება.

თავისუფლება ნიშნავს უფლება მისცე შენს თავს ის გააყეთო, რაც პიროვნებისა და საზოგადოების კეთილდღეობას, ხალხის ბედნიერებას, სამშობლოს დიდებას ემსახურება, წინ სწევს, ხელს უწყობს და განამტკიცებს. ამ თავისუფლებას სახელმწიფო იცავს. შესანიშნავად არის ნათქვამი თვით კონსტიტუციის პროექტში: „მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს და სხვა მოქალაქეთა უფლებებს“.

დიდი ახალი კონსტიტუციის პროექტის მიმოხილვებელი, საერთაშორისო მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც დღემდე უმაგალითო, განუზომელი ღირებულების პირველი ქარტიისა.

ამ დროს, როცა ბურჟუაზიული კონსტიტუციები აკანონებენ და იცავენ კერძო საკუთრებას წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ანტაგონიზმს საზოგადოებაში, აძლიერებს აღმიანის მიერ აღმიანის ექსპლოატაციას, ჩვენი კონსტიტუციის პროექტი იღიარებს, კანონით განამტკიცებს „წარმოების საშუალებათა

სოციალისტურ საკუთრებას“¹ მოქალაქეებს კი რჩებათ პირად საკუთრებად „წარმოითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების და კეთილმოწყობის საგნები“.

მაგრამ, როგორც პროექტშია აღნიშნული, მოქალაქეთა პირადი ქონება „არ შეიძლება იყოს არაწარმოითი შემოსავლის მიღების წყარო ან გამოყენებული იქნეს საზოგადოების საზიანოდ“. ეს იმიტომაც არ შეიძლება, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მოსპობილია როგორც კლასობრივი ანტაგონიზმი, ისე ერთი აღმიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია.

აღმიანი უნდა შრომობდეს, უშრომლად ცხოვრება გადაგვარება და სიკვდილია, უშრომლად ცხოვრება — ეს იბოლომოვების, თათქარიძეების „ფილოსოფია“ იყო და აკი ისინი გადაგარდნენ კიდევ თავისუფალი, გარანტირებული, შეგნებული, ძალების განმავითარებელი სოციალისტური შრომა აღმიანის დიდი ბედნიერებაა და ვინც ამ ბედნიერებას ვერ შეიგნებს ან ვერ გამოიყენებს, პირველ ყოვლისა თავის თავს მიაყენებს გამოუსწორებელ ზიანს.

დიდი, ნამდვილად დიდი ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო მნიშვნელობა!

არის რაღაც სიმპტომატური, ისტორიულად ბუნებრივი იმ ფაქტში, რომ დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელი ერთდროულად 1917 წლის სოციალისტური რევოლუციის დღემდე მიღწეული ნამდვილად კოლოსალური, მსოფლიო გამაჩვევების კანონმდებლობითი გაფორმების წელიცაა, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა თავისი ახალი ერის დასაწყისს ჩვენი პლანეტის საყოველთაო დღესასწაულად აცხადებს!

წვიმიანი ღამე

გომთხრობა

დაღამდა. გადაუღებლად წვიმს-
ბონის ქუჩებში კაციც არსად ქაჭანებს.
ამ წარღვნის თავსხმაში ფარნებიც
ჩამქრალან და უსაშველოდ ბნელა,
როგორც თავმოკრულ ქოთანში. მხო-
ლოდ ერთი გადახურული ეტლი მირაბ-
რახებს სადღაც ვიწრო შუკაში. მეე-
ტლემ, ეტყობა, გზა კარგად იცის, არ
ეშლება; სად არის მოსახვევი, სად —
თბრილი და ბოგირი. ვერცხლის მანე-
თიანს შეპირდა მეეტლეს ეს გადარჯუ-
ლი დახუნდარა, თორემ ამისთანა წყე-
რამში გაგონილა ეტლის ტარება?

შექიმ ერთი გამოძინება უკვე მო-
ასწრო, მაგრამ მთლად მაინც ვერ
გამოფხიზლდა; ამოდენა ღვინომ აღ-
ვილად ხელი არ გაუშვა. მთელი ეს
ორი დღე დუქან-დუქან დაათრევს მე-
საფლავე გზიდან გადაეარდნილ ბიჭს,
იქნებ ცოტა გაერთოს და გულის და-
რდი გაუნელდესო.

და მეტიც სვამს, ცეკვავს, არღნის
კობბას ატრიალებს... ვილაცას ჰყოც-
ნის და ძმობას ეფიცება, ვილაცები
სუფრაზე ეძახიან და საესე ჭიქას ხელ-
ში აჩეჩებენ. არავის არაფერზე უარს
არ ეუბნება, მაგრამ ყველაფერს ისე
აკეთებს, თითქოს ბურანმა წაიღო, თი-
თქოს შორიდან უყურებს სხვა კაცის
ცხოვრებას.

აგერ უკვებ ფეხზე წამოდგება და
უკვე აღარ ახსოვს, რატომ წამოდგა,

აგერ თანამესუფრეს მხარზე ხელს გა-
დახვევს, რაღაც ამბავი უნდა უთხრას,
მაგრამ დალაგებული სათქმელი იმწამ-
სვე გულიდან გადაუფარდება. უზომოდ
გაუკვირდა, დუქანში ანთებული ღამბა-
რომ შემოიტანეს, ასე მალე, როგორ
დაღამდაო.

გზაში ღვინო ცოტა კი გამოუნელდა,
მაგრამ მერე უფრო მოიწყინა და ხმა
ჩაიგდო. ისიც კი არ ჰკითხა მეგობარს,
ამ წარღვნაში სად მივდივართო. განა
სულერთი არ არის, სადღაც გაუთენ-
დება; ოღონდაც ერთ-ორი დღე სო-
ფელში არ დაბრუნდეს, არ გამოფხიზ-
ლდეს... ჩახეთქოს ეს ტუბილი საწამ-
ლავი და თავი სამოთხეში ეგონოს...
ღვინომ დარღის გაქარვება იცისო, უთ-
ხრა დახუნდარამ და ისიც მორჩილად
მივნდო ამ გზას.

წვიმა და ცხენების თქარათქურჩი
ძილს ჰკიდებს დახუნდარას, მაგრამ
ახლა თვალის მოტყუებაც კი არ შეი-
ძლება. წელან მესაფლავემ ისეთი რამ
ჩაიფიქრა: პირდაპირ გვირგვინი დაე-
დგმება დღევანდელ დროსტარებას.
მექის ჭერ არაფერს ეუბნება, შეიძლება
იმ ქალებს სხვა სტუმრები ჰყვანან და
ტყუილ-უბრალოდ რატომ აუშალოს
საღერღელი ისედაც დაზავრულ ბიჭს...

— იცი, ვეკო, რაფერ მიყვარს, ფაი-
ტონში რომ ზინბარ და ზევიდან სახუ-

რავნე წვიმა უბრაგუნებს?! პრიამო პრელესტ! — მოულოდნელად ჩაურუსულა დახუნდარამ.

— რა კაია, ყველაფერი რომ გიყვარს, დახუ! — უთხრა მექიმ.

— ყველაფერი რავე მიყვარს, ბიჭო! სულელი კი არა ვარ — იწყინა დახუნდარამ: — მაგალითად ბარბი და წალკატი არ მიყვარს, ტარასია ხაზარაძე არ მიყვარს! იმე!

— ძალიან კი ჩააცვიდი ხაზარაძეს! — უთხრა მექიმ.

დახუნდარამ მუხლების საფარი გაისწორა და დინჯად აღაპარაკდა:

— კაცმა არ უნდა დაივიწყო, მექიმე მო, რომ სიკვდილის შვილი ხარ! მოხვალ ერთხელ და წახვალ სამუდამოდ ყველაფერი იქ თავდება ცაცხვების სასაფლაოზე... თუ ეს დაგავიწყდა, მერე კაცი აღარა ხარ. მერე ჩაგივდება გულში სიხარბე, შური და ღვარძლი და სიცოცხლე მოგეწამლება. ზიხარ ბუხართან და თითებზე ანგარიშობ, მე შენზე ნაკლები ფული რატომ მაქვსო, შენზე ნაკლები სახლი რატომ მიდგასო, მეც იმ ტახტზე რატომ არ დამსვენსო... ტარასია ხაზარაძესაც ტახტზე აბრძანებდა უნდა და ამიტომ ატყუებს ხალხს, დამადგით თავზე გვირგვინი და ქვეყანას ვაგასწორებო! ქვეყანა მაგან კი არა, ნიკოლოზის კახაყებმა ვერ ვაგასწორეს, გეყურება შენ! ტახტის მამიებლებმა არივ-დარიეს ეს ქვეყანა, თორემ...

ცხენები უეცრად დადგნენ, დახუნდარამ სიტყვა აღარ დაასრულა, ეტლიდან თავი გამოჰყო და შეუკას ვაპხედა. იმ სახლიდან ცრიატი სინათლე გამოდიოდა. დახუნდარამ გაწუწული ხეები და რკინის კიშკარი დალანდა მუხლების საფარი წინა სკამზე მიაგდო და ეტლიდან ჩამოხტა.

— გადმოდი, ბიჭო. — უთხრა მექის და მეეტლეს ფული გადაუხადა.

ისევ წვიმდა. მეგობრები გადახურულ კიშკარს შეეფარნენ.

— აქ რა გინდა, დახუ? — ჰკითხა გოცებულმა მექიმ. ახლო-მახლო არც ღუქანი სმანდა და არც არღანი ისმოდა.

— იცი ვეკო, რა გითხრა? — ზნუნდა ჩულდა მესაფლავე, თითქოს მის წევამაში კაცის ხმას ვინმე გაიგონებდა:

— ხომ არაფერი დევიკელით დღეს და გუშინ?! ჭურბის თავზე ქეიფი, ჭინძმარში ჩაღებული ლოქო, ნეჩადის არღანი, ფოჩებიანი ფაიტონი, რა გინდა სულო და გულო! დევიკელით რამე?

— რავე გეკადრება, ბატონო!

— ზოდა, მთლი ახლა ქალებსაც დოუტრიალდეთ ჩვენი მტრების ჯინაზე!... რახან ევიწყებტეთ, ბარემ მთლად ევიწყებტეთ, მაგის რჯულიც არ იყოს. ხედავ იმ სახლს?

— ვხედავ.

— იმ სახლში იმისთანა მამზელები ცხოვრობენ, გარეთაც და შიგნითაც სულ ფარჩა-აბრეშუმში აცვიან!

მექიმ ხმა არ გასცა, მხოლოდ უეცრად რაღაც ფორიაქი შეუდგა და ფანჯარაში აჭრილ სინათლეს მიაჩერდა.

— გეიგე, ბიჭო?

გაიგო, როგორ არ გაიგო! მექი ჯერ ქალთან ნამყოფი არ იყო, მაგრამ საშუელ-დალაქს მექი კი არაფერი ჰქონდა სალაპარაკო, ორშაბათ დილას ქუთაისიდან რომ დაბრუნდებოდა, მოიხვედა პირს და სოფლის ტინგიცა ბიჭებს სულ იმ კახა-ქალების ამბებს უყვებოდა: „ასე რომ მაკოცა და ისე რომ ვაკოცე... მერე ასე ვქენი და მერე ისე ვქენი!“ თან ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს ზედ ბუზი დააფრინდაო.

ღმერთო ჩემო, ეს რა მოიგონა დახუნდარამ! ღვინით შესურებულ გონებას უკვე ელანდებდა — აგერ ჩაბნელებულ ოთახში შიშველ-ტიტველი, მიტკალივით თეთრი ქალები შემოცვივდნენ და კაცებს დაერინენ... ბნელის მომგვრელი სურათები ელვის უსწრაფესად რიალებენ თვალწინ. ერთი ლამაზი ქალი ისე ურცხვად ეფერება მექის, — ტანზე ესრისება და ყურში უწმამურ სიტყვებს ჩასჩურჩულებს, — თითქოს ოთახში მარტონი იყვნენ...

უსიტრებელი ზმანება ზმანებას ენა.

ცვლება, — ერთიმეორეზე უფრო მტან-
ჯველი, არეულ-დარეული, და მინც
მიშვიდველი. სულისწამლები..

სისხლისა და ხორცის ყველაზე დი-
დი და ბნელი საიდუმლოება კვუას
უკარგავს მექის. დღემდე რაც იცხოვ-
რა, ის ყველაფერი მხოლოდ ცუდი
სიზმარი იყო. ნამდვილი ცხოვრება
ახლა იწყება, უღარდელი, უშიშარი
ცხოვრება... არც ბატონი, არც ქალ-
ბატონი. წადი, სადაც გინდა: მოდი
როცა გინდა: შენა ხარ შენი თავის პა-
ტრონი და გამგებელი. ღმერთო ჩემო,
აქამდე ქურში იჯდა, თუ სად იყო ეს
ბიჭი! ბატომ დღემდე არ იცოდა, თუ
ამ ჯაქვის ვაგლუჯა ასე ადვილად შეიძ-
ლებოდა. ჯანდაბას ხარებოც და მისი
მომგონიცი! ისედაც ლამაზი ყოფილა
თურმე ეს ქვეყანა...

— აქ მომიცადე, ახლავე დაებრუ-
ნდები, — ისევ წასიურჩულა დახუნ-
დარამ და ჭიშკარი შეალო. მექიმ ხმა არ
გასცა: თვალი გააყოლა მხოლოდ, და
უეცრად გულმა ისეთი ბაგაბუვი და-
უწყო, სული ვეღარ მოითქვა. შარშან
სატურისას ქალაში სწორედ ასეთი რამ
დაემართა მექის: ორხევიში დიდი წყალი
მოვარდა და ასლან მარგველასძის ძრო-
ხა მოიტაცა: კაი-კაი ბიჭები შეესწრნენ
ამ ამბავს, მაგრამ ადიდებულ მდინარეს
ვერცერთი ვერ გამოედევნა. მარტო მე-
ქი არ შეეებუა ლვარცოფს. ძალიან კი
დაბეგვა გადარეულმა წყალმა, მაგრამ
პირუტყვის მინც უშველა და მშრალზე
გამოიყვანა. მხოლოდ ეს იყო, — სანამ
ბლუზა-შარვალს გაიხდიდა და მღვრიე
ტალღებში გადაუშვებოდა, შიშისაგან
გული გადაუქანდა, და მაშინაც ეს ვეება
უროები დასცხო გულმა.

— წამოდი, გვიცდიან ჩვენი მამზე-
ლები! — სიბნელიდან დახუნდარა გა-
მომერა, ჩუმად ჩაიხვიხვინა და მექის
მაჯაში ხელი წაავლო: — რაფერ კან-
კალებ, ბიჭო! გცივა?

— აჰა, სადაა სიცივე! — ვითომ ყო-
ჩაღად მიუვო მექიმ, მაგრამ დახუნდა-
რას ვინ რას გამოაპარებდა:

— აბა ვეშინია? მამზელებმა არ შე-

გატყონ, ბიჭო, რომ არიფი ხარ, რომ
რემ მთლად გაგამასხრებენ, მაგრამ
იყავი, მაგრამ, სტამბოლის კაცივით!

კიბზე რამ ავიდნენ, სახლის კარი
მაშინვე გაიღო და სტუმრებს შავი
ლანდი გამოეგება. „მოზრძანდითო“,
ჩაილაპარაკა ქალის ხმამ. დახუნდარა,
ეტყობა, შინაური კაცი იყო ამ მისახელ-
მოსახელზე, — ბინდიან დერეფანში თა-
მამად შეაღაჯა და მექის წინ გაუძღვა.

კარლია ოთახში შევიდნენ.

— შენ აქ დაჯექი და მოიცადე, მე
აგერ მეორე ოთახში ვიქნები. ნურაფ-
რისა გეშინია, ამგენმა თავისი საქმე
კარგად იციან. — დახუნდარამ ისევ ჩა-
იხვიხვინა და კარი სწრაფად გაიხურა.

„შიში არაფერია, ოღონდ ეს უროები
გაჩერდებოდნენ!“

ყურის ბარახანი განეთქვაზე ჰქო-
ნდა.

მექიმ მიიხედ-მოიხედა. ძველი ჩაშა-
ვებული კარადა, ერთი რკინის საწო-
ლი და რამდენიმე სელის სკამი, —
მექის გაუცვირდა, რომ ფარჩა-აბრე-
შუშში ჩამძვრალი მამზელები ამისთა-
ნა ღარიბულ ოთახში ცხოვრობდნენ.
საწოლზე ვეება ბალიშები იყო დახვა-
ვებული. თუჯის ჩამოსაკიდ ლამპას ბუ-
ხები დახვევოდნენ. მუცელგამობერილ
შუშას ოდნავ მჭკარტლი მოჰკიდებოდა,
მაგრამ ამ პატარა ოთახს მინც კარგად
ანათებდა.

საითაც არ გაიხედავდი, კედლებზე
ყველგან ჭრელი ნიჟარის ჩარჩოში ჩას-
მული სურათები ეკიდა. ერთი-ორი ჩა-
რჩო გვერდზე იყო გადაქანებული და ეს
პატარა უწყესიერობა რაღაც შემაწუხე-
ბელ გრძნობას ჰბადებდა: გინდოდა მი-
სულიყავ და ის მოღრეცილი სურათი
გაგესწორებინა.

ოთახში უცნაური სუნი იდგა, რაღაც
წამლებისა თუ საპნისა: მექის ვერ გა-
ერნია.

• • •

„შიში არაფერია, ოღონდ ეს ურო-
ები გაჩერდებოდნენ!“

ერთი გაფიქრება კიდევ დააბრა, ავ-
დგები და გავიპარებო, მაგრამ წელი
ვერ წაიღო. მღელვარება პირდაპირ ახ-
რჩობდა, როდესაც წარმოიდგენდა, სა-
ცაა ამ ოთახში ერთი ლამაზი დანდალა
ქალი შემოვარდებო, ხელს დამაელებს
და თავის ლოგინში ჩამიწვესო.

ორივენი ჩაეფლობიან ავერ იმ გო-
რა-გორად დაყრილ ბალიშებში და
ქუიდან შემწული ნეტარების უფსკ-
რულში ჩაქანებინან სული კრებებში
გაქარა, ეს რომ გაიფიქრა, მაგრამ
სწორედ შიშმა დააბო იგი ოთახში და
უფრო გაუმძაფრა იმ უცნობი ქალის
ნდობა-წაიღო, „ვისაც თალიჯო უყვარს,
იმას აქ რა უნდა, ეს ხომ ღალატი და
ორგულობა არისო!“ — ერთი-ორჯერ
დარეკა გულმა, მაგრამ ეს ხმაც მაშინვე
ჩააჩუმა უსირცხვილო ზმანებამ, ცხელი
სისხლის ტალღას დაუსრულებლად რომ
მოპყვებოდა.

მისი სული და ხორცი ერთმეორის
შემუხსრელ გრძნობებს დაეპყრო ახლა.
კარგის უნახავ ჰაბუკს აშინებდა, აფრთ-
ხობდა ის ამბავი, რაც ახლა მათ შორის
უნდა მომხდარიყო, თან კიდევ დამალი
ჩამოსდიოდა, ისე უნდოდა ქალის მო-
ფერება.

მეზობელ ოთახიდან კი მამზელების
კისკისი და დახუნდარას სიმღერა ის-
მოდა: „დრახტი-ტარო, დრახტი-ტარო,
მიწის ზემოთ მაინც ვარო!“

ოთახში ქალი შემოვიდა. ერთი კი
შეავლო თვალი სკამზე გაშეშებულ
მექის და ისე გულგრილად ჩაუარა გვე-
რდი, თითქოს იგი ცოცხალი კაცი კი არა,
მესამე თუ მეოთხე სელის სკამი იყო
ამ ოთახში.

ქალი უზომოდ დაღლილი სჩანდა,
მაგრამ ეს არ იყო ნამგზავრი ან ყანა-
ში ნამუშევარი ადამიანის დაღლილო-
ბა თანაც ეს ქალი ისეთი გამოცარიელე-
ბული თვალებით იყურებოდა, რომ

უცბად ვერც კი მიხვდებოდა, რა ედგა
თუ ვერ გხედავდა. რეცხვისგან გამოხუ-
ნებული პრელი აბრეშუმის ხალათი ეც-
ვა. თავზე ნაქარევედ შემოხვეული წაბ-
ლისფერი ნაწნავეები მარჯვენა საფეთქე-
ლზე ჩამოსვლიდა. ლოყებზე ძველი
ფერუმაბრლის ნარჩენი უბზინავდა, ჯერ
კიდევ ახალგაზრდა ქალს სხეული უკვე
ძველი ლეიბის ბამბასავით დატკეპნი-
ლი და გამოფიტული ჰქონდა.

საწოლთან რომ მივიდა, ბალიშზე აი-
ღო, გვერდებზე ხელი შემოაქრა და
იქვე მიაგდო. მერე ფოსტლები წაი-
ძრო და ისე უღონოდ მოსწყდა ლოგინ-
ზე, რომ კაცი ვერ იფიქრებდა თუ ეს
ქალი აქედან ოდესმე კიდევ აღგებოდა-
დაღლილი ადამიანების მეტი რა უნა-
ხავს მექის ცხოვრებაში, მაგრამ ასეთი
ილაჯგაწყვეტილი ქალი ჯერ არსად შე-
ხვედრია. მისი ყოველი მოძრაობა პირ-
დაპირ ყვიროდა, ამ წუთისოფელში ყვე-
ლაფერი მომყირჰდა და მომბეზრდაო...

მექი კი რაღაც დიდ სასწაულს ელო-
და ამ ქალისაგან, — ჯერ არ გავიხილ
სიტყვებს, ჯერ არ გავიხილ სიხარულს,
ჯერ არ გავიხილ ნეტარებას. თითქოს
დედაკაცი და მამაკაცი ღღემდე არ შეპ-
ყროდნენ ერთმანეთს ქვეყანაზე და ყვე-
ლაფერი ისევ თავიდან უნდა დაწყებულ-
იყო. ავერ იყო ის პირველი ევა, ავერ
იყო ის პირველი ადამი, და ის პირველი
ცოდვაც ამ ოთახში უნდა მომხდარიყო.

ამ დაღლილ-დაქანცულმა ქალმა კი
ზედაც არ შეხედა მექის. არაფრით,
სულ არაფრით არ გამოამკლავნა, რომ
ახლა ამ ოთახში მეორე ადამიანიც იმყო-
ფებოდა. საწოლზე უძრავად დაგდებუ-
ლიყო და თვალებზე მკლავი დაეფარე-
ბინა.

რა უცბად გაჩუმდნენ ის გეება ურო-
ები, რა უცბად დაულაგდა აცახცახებუ-

ლი ძვალ-ხორცი... მეტი დააფეთა ამ უეცარმა ფერისცვლებამ.

— მოდი, ბიჭო, ჩქარა გამხადე ეს კინკები, თორემ თუ ტარიელამ მოგისწრო, მერე დაჭეკი და უყარე კაკალი! — სთქვა ქალმა.

მეჭის ტანში შეაზრიალა, ისეთი ბოხი და ჩახრინწული, არაქალური ხმა ჰქონდა ამ დიაცს.

ამ ხმამ საბოლოოდ მოსპო მეჭი, და თუ ჯერ კიდევ სული მიიწე უკაწყაწებდა, ახლა ესეც გაუქრა და გადარეული სისხლი დაუწყწარდა.

ქალს მეტი არაფერი უთქვამს. იგი ისე გაყუჩებული იწვა ლოგინზე, ხალათის გულსპირიც კი აღარ ერბეოდა. აღარც სუნთქავდა თითქოს.

მეჭი გაოგნებული მისჩერებოდა...

ქალი შეინძრა და გვერდზე გადაბრუნდა. გადაბრუნების დროს ერთი კოწამოიკვნესა, და ისევ გაყუჩდა. მერე უცბად წელი ფშვინვა-ქსუტუნი მოისმა. ქალს ეძინა...

მეჭი მიხვდა, უფლება რომ ჰქონოდა, ეს ქალი მეორედ მოსვლამდე არ გაიღვიძებდა და ბედნიერიც იქნებოდა.

ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან, მოშიშვლებულ გულმკერდზე საბანი წააფარა, სასთუმალთან სამი ვერცხლის მანეთიანი დაუდო და ასევე ჩუმად ოთახიდან გავიდა.

ღერეფანში უფრო მკაფიოდ ისმოდა დახუნდარას სიმღერა: „ღრიხტი-ტარო, ღრაბტი-ტარო, მიწას ზემოთ მიიწე ვარო!“

1977 წ.



ბიჭო, ჩქარა გამხადე ეს კინკები, თორემ თუ ტარიელამ მოგისწრო, მერე დაჭეკი და უყარე კაკალი! — სთქვა ქალმა.



კოლაუ ნადირაძე

ო. სანატრულო და უნაზესო...

გაზაფხულია. დასკდნენ კვირტები,
ირგვლივ ზღვასავით მღელვარებს არე-
თბილი ნიავის ქრიან ზვირთები,
ბუნება ელის წვიმებს და დარებს.


ო, სანატრულო და უნაზესო,
მეც ღიმილს ვუცდრ, გამიღე გული:
მინდა გაიშო, როგორ ამუქსო
სული, ვარდივით ჩემში ჩარგული!

ვარ და არცა ვარ! სიზმრად გადვიქცე
სიზმრად გადვიქცა ჩემი არსება!
ვარ და არცა ვარ! დაე, წავეიქცე,
რომ მოჩვენების ვიქცე მსგავსებად!

მოდე და გულში დამეცი დანა!
(ეგ საჩუქარი მაისის იყოს!)
რომ სიკვდილის წამს მომეხმას ნანად,
ნანა, რომელსაც მიმღერდი, თითქოს.

არც სიყვარული, არც გაზაფხული
არ იყო ჩემთვის მხოლოდ გართობა!
(იყო ეს ჩემში ღრმად ჩამარხული)
მე სხვა მაისებს უკვე არ ველი.
მე მყავდა ჩემი ღმერთი მფარველი!!
ო, დარჩეს ჩემგან როგორც მადლობა,
ეს აღსარებაც უკანასკნული!..

საქართველოს
საზღვრო დაცვის
სამსახური



იზა ორჯონიძის

როგორც ფინალი
ტრაგიკულ თემის,
ახლა ისე ჟღერს
მაისი ჩემი,
სხედან შენს მხრებზე
წვიმის წვეთები
ჩემთვის,
ჩემთვისაც არ მემეტები!
დგას სიხუფთავის
სურნელი მძაფრი,
მწვანე ტალღების,
ალისფერ აფრის,

იტყვიან:
„ვამი, საწყალი ქალი“,
მე კი შენს მხრებზე
ნაკურთხი წყალი —
საქართველოს ციოთ
ღრუბელს ნაფთონი,
სიკვდილს ათას წელს
კიდევ მაშორებს!
და ჟღერს
აკორდი ტრაგიკულ თემის —
სწორუპოვარი
სიცოცხლე ჩემი...

რას მოასწავებს
კიდევ ნეტავი
სარკმელზე წვიმის
მრავალწერტილი?
იყოს სარკმელი
დაუკეტავი,
მარტო ვართ
მე და
ცა მოწმენდილი;
დაღამებამდის
კარგა ხანია,
მერცხლები
მალლა-მალლა მიჰქრიან,
ეს მოლოდინის

აივანია,
ეს ფიქრიც,
ისევ შენზე ფიქრია...
სველ მოაჯირზე
შემოხვეული
და მოწყენილი
გრილი მკლავებით —
მიჭირავს ჩემი
სული, სხეული...
ვართ საუკუნის
უნახავები!
მე ვიცი,
ეს დღევ მიინავლება
ალსავზე-შენით...

კ. შარქის სახ. საქ. სს
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

13.466

და უშენობით,
 ამოვა სადღაც
 მთვარე ნამლევა,
 ამოიფშვინებს
 შვებით ველობი...
 და შენს უსაზღვრო
 ქვეყნიერებას
 დაღლის ხმაურით
 გზებით,
 ლაღატით,
 კვლავ ჩემი

ფიქრი მიეფერება,
 ვით მგზავრს
 ლამეულს შუქი სანათის...
 დიდება შენდა
 მაღალო ღმერთო,
 რამეთუ ღირს მყავ
 დასასრულ სვავის...
 იყოს სარკმელი ღია
 და ენთოს,
 შემოსხვეული
 მოაჯირს მკლავი...

მოდით, ვით სოფელელ,
 ჭორფლიან გოგოს,
 თავს გადამისვი
 დეკაკის ხელი...
 ეს გზა მწყერივით
 ნელა მიგოგავს
 და მიაღვება
 საცაა ღელეს...
 ნუ გაიკვირებ,
 ნურც შეშინდები...
 ყვავილთა დევნას
 შევრჩი აჭამდე...
 ახლა უფრო და უფრო
 ბინდდება,
 არც შეგონა თუ
 დამინახავდი...

მაგრამ მე მახსოვს
 თუთრწვერა კაცი
 წიგნს მიკითხავდა
 ნამდვილს თუ ზღაპარს,
 ამბობდა: „ღმერთი
 ხედავს და გაცდის!
 აი ამ ველთა
 გახუნდა კაბაც...
 და ამ დიდ გზაზე
 დავდივარ ხშირად
 მომდევს ისხარი,
 მომხვიე ერთხელ
 ორივე ხელი...
 და რაც გინდოდეს,
 იგი მითხარი...“

ჩამოკარ შეიღჯერ
 მედიდური ჯამთაღმრიცხველი,
 ბედნიერი ვარ!
 ჩუმად ვსივარ,
 ჩუმად გიცქერი.
 მუხლებზე შვებით
 დაგიყრია
 ხელები დიდი,
 რაღაცას ფიქრობ
 საოცარი,
 ღირსებით მშვიდი...

არა, არ მინდა
 გაგიწყვიტო
 გაბმული ძაფი,
 დაღარულ შუბლზე
 საღამოს ცა
 ღვთიურ შუქს გაფენს
 გაფარუნების მემინია,
 შრიალის ხეთა...
 ბედნიერების ცრემლნიც,
 ჩუმად,
 წამწამზე სხედან...



მშვიდობით იყავ!
 სუსხიანი დაღვა მისი,
 ცრემლთ კალაპოტში
 ბრწყინავს მხოლოდ
 მარილი, ლამი...
 დაჰკრავს საათი
 და ამ დღესაც
 უფსკრულს გაისვრის
 კედელს სისინით
 ჩამოჰყვება

მგუდავი დამე...
 მარტოობისთვის
 ყველაფერი მზად არის უკვე
 სახლი,
 სარკმელი
 მოჯირის წყნარი რიკული,
 ძველი მაგიდა,
 თეთრი ფურცლის
 ელვარე შუქი
 და შენი ლანდი
 თვალსაწიერს ჩემსას მიკრული...



უცნაურია ყველაფერი,
 რაც ჩემს თავს ხდება.
 აუცდენელი ოცნებების
 მომადგა წყება
 და კვლავ სიგიჟეს
 თავგადაკულს
 ძველებზე მაძალებს.
 აგერ,
 გამოჩნდა გაზაფხულიც —
 უკვე ნაკრძალი!
 აღარა მძინავს!
 ყელში აღარ
 გადამდის ლუკმა!

და მომანატრეს,
 მომანატრეს
 უძღვებთ და უკმართ
 ტრფობა დიადი,
 საუკუნეს გამორჩეული,
 ვიდრე გასრულდა
 ყველა გზა და
 ყველა რვეული...
 იქნებ, რაც ხდება,
 ყველაფერი
 კვლავ სიზმარია
 და ეს ყინულიც
 მზემ დაადნო
 და გადარია...



თადო ბაქიშვილი

გვიამბო ციხის ნაშალ...
ხალხური

იმდენხანს იდგნენ ციხეებად,
ზედ იმდენი სისხლი დაღვრილა ჩემი ჯილაგის,
რომ ეს ლოდები უკვე ცხელია,
როგორც ფერდები
ჭენებისგან გაბვითქულ ცხენის.

ვერსად წავსულვარ,
რომ სმენამ მყისვე არ შეაგროვოს
ძველი ყივიანა
სივრცეებში დაგუბებული...

სკაზე მიდევს თითქოსდა თავი,
მძლავრი გუგუნით ამოვსებული
წარსულის სკაზე:
ჩვენმა მინდერებმა, ლალიანმა,
დაიყვავილეს
და ვგრძობ, სკის შიგნით
როგორ გუბდება
მწარე ზუზუნი სასოწარკვეთის...

დავივსებ ყურებს —
ამ ხმებისგან გაბეზრებული.
დახსნილ ძარღვების ფერი მოჩქეფს
მიწის სიღრმიდან...

მთებო,
ჩემო ჭალარა მთებო!
თქვენ გელმერთებით —
გადამაცურეთ სიციხადიდან
ზმანების ტყერში,

რომ შიშველ ტერფებს აღარ მიწვავდეს
ეს მხურვალე, ზავსიანი ძველი ლოდები!

მთებო,
მთებო ჩამოღარუნო,
ცად აღმართულნი ჭაღარა მთებო, —
არა მარტო გადმოსახედნო,
არამედ მხარის მისაყრდნობენო!..

გადაუვლია შემოდგომა

ფანჯრის პირდაპირ მიყუდია
ნოემბრის ჯანლით დაჩაგრული მთათა კალთები,
დროდადრო თრიშლის ფერი იელვებს,
ვით ჩამოფლეთილ სამოსიდან ბავშვის სხეული...

გადაიფრინეს ალბათ ფრთოსნებმა,
მაგრამ თვალი ვერ შევასწარი —
ღრუბლებს გაჰყვნენ და გაიპარნენ.
გაკრეფილია მგალობელ ჩიტთა მთელი ამაღა.
შემოგარეებს

კაკლის წვეროზე მოქანავე ყვავის გმობა ანაღვლიანებს —
ყვავებიც სუსხმა ჩამოყარა მაღალ მთებიდან.

გადაუვლია შემოდგომა.

ვერცკი გავიგე,
როგორ წავიდა ისე უკვალოდ,
რომ გემოც კი არ დამიტოვა
თავისთავის გასახსენებლად...

აწ უშწვოა ამ თოვლეთთან
შემოდგომის ტყუთა კოცონი.
მოფარფატებენ დაბლა თოვლის ცივი ფიჭვები
და მთების ყვითელ მოზაიკას გულდაგულ შლიან...

გადაუვლია შემოდგომა.

ახლა უხმოდ ვდგავართ პირისპირ,
სიბრალულით ვუმზერთ ერთმანეთს
მე ჩემი —
მთები თავის ჯანლით გაწვრთნილნი...

მშვენივრად ვიცით —
როგორ შევიდეთ ჩვენ ჩვენს კუთვნილ
ზამთრის ბუნაგში
და დაველოდოთ
კვლავ ერთურთთან შეხვედრის საათს!

ყველა სიტყვა,
ჩემს ბაგეებს რაც კი დასცდება,
გაქვდეთილია შენზე წუხილით,
როგორც ნისლით —
ნოემბრის ნალელიანი დღეები.

შეცდომა იყო
ჩემს ლამეებში ჩამოღვრილი
შენი ნათელი...
შეცდომა იყო...
ვერ ჩემყუდროვდით —
არა მხოლოდ ვიღაც მესამე,
ჩვენს შორის იდგა

მთელი ქვეყნის ამოკება ...
და ძახილი ვერ გაგაგონე...

ჩურჩული ჩემი —
შენზე ნატვრით გაჯერებული —
ფიფქვივით გადნა ბაგეებზე
და სპეტაკი პირველთოვლობის სიხარულმა
სამუდამოდ დამიკრა თავი.

მშვიდობით იყავ!
დროა, უკვე ავიკრა ბარგი
და გადაესახლდე
სინანულის ყვითელ ქაღალეში,
სადაც ქარს შიაქვს
ჩამოშლილი ბუდეების თბილი ბუმბული...

ქველი სასაფლაო

ეს ქვები —
თუნდაც მტრის გულზე ეწყონ,
უკვე ვერასდროს ამღერდებიან...
დასჯილი ქვები!..
უსიზმრებო,
დიდი ღამის ტალანებზე აფარებულნი,
მდუმარედ წევანან
და დრო —
ქვეყნად ყოვლის წამლკვი —
ახლა უკვე მათ ასაფლავებს...
კიპარისებში მოქლავევლად
ჩიტების გუნდი
შიაცილებს ამ პიროცესიას.

ტყინში ჩუმად ზეიმობს აზრი:
რომ იქ, ქვემოთ
მე არა ვწევარ,
რომ ჯერჯერობით
მკვდრებსაც, ცოცხლებსაც
კვლავ მე უნდა გამოვესარლო...

მაგრამ იქეთაც აღარვინა...
გაპარულია სასაფლაო.
წასულა ყველა
და ეს ლოდებიც
იმგვარად მოჩანს,
როგორც მწყემსების ნაბინავარზე
გაფენილი სველი ნაბდეები...

დღეს ჩემი გული
პატარაა სიხარულისთვის.
ჯავრის ენაზე იდო,
როგორც შაქარყინული
და გაილია...

დღეს შენი შუქი
ამ დიღეგში ვერ დაეტივა,

აქ მხარს ვერ გაშლი,
ვეღარაფრით მოიხალვათებ...
წა, გზასა შენსა —
აყვავებულ მინდვრებისაკენ,
და სანთელივით
ჩემი ლოცვა წინ წავიმძვება...

გვერდით ოთახში
ჩემმა გოგონებმა სახლი აიკლეს.
მოზღვავებული სიხარული, როგორც
ჩანჩქერი,
ესე იღვრება მათი პატარა გულებიდან...

მე ჩემი ფიქრით დამძიმებული,
გზივარ როგორც ბებერი ყვავი
და ჩხავილი რომ არ დავიწყო —
ლექსებს ვწერ ზოგჯერ...



ყრმობის დღეები და იდილია
მოგონებებში ჩაჭედვლია
როგორც ძვირფასი თვალი ორმოში.

მომტირის გზებზე ყრუ საყვედურით
ჩემზე საბრალო და უბედური
სურვილი, გულში უღვთოდ ჩაკლული...

ახლა ციდან რომ მოდის — ჩრდილია,
ის ბილიკები ალობილია, —
მიახლოვდება წელი — ორმოცი.

ვარიდებ თვალებს, შორს ვიშორებ,
თითქოს იქ ვნახე რაღაც იმედი
დამამშვიდები...

მზემ ჩაიარა. ნისლში ვიდოდა.
მზე ღრუბლის მიღმა მე რად მინდოდა
მზე სხივნაკლული?

შორს, ქორიზონტის დამავალ რკალთან...
იქ — ხილულ ქვეყნის ეშვება კალთა...
იქ — ირხვეიან შავი ჩიტები...



ჩემო ტკივილო და საწუხარო,
კვლავ შემომიღე სახლის კარები.
არავინ გიძმო, ვერავის უთხარ
სათქმელი, ჩემგან დანაბარები.


მოდი, მე მაინც ნუ მეხათრები,
ერთად ჩამოვსნდეთ ორნივე საწყალი.

ვერ მიიტანე ხალხის გულამდე,
ნაფიქრო შიშით და სასოებით.
შენს ჩურჩულს არვინ მიაყურადა,
ვერ მოიწოდე მწვანე რტოები.

შემოვიჩრდილოთ, როგორც ნუგეში,
მშობლიურ მთათა მწვანე სურები.
მო, ჩამისახლდი თვალთა გუგებში,
მოდი, შვილივით მოგეფერები.

მომისვლე, როგორც ლეკვი ნათრევი,
გაწამებული სოფლად წანწალით.

ჩემო ტკივილო და საწუხარო,
დაღლილო, როგორც ტალღა მდინარის —
ისევ აბოლდა ჩენი ბუხარი
და თვლემს იმედი ნალოდინარი...



ჯუღიუბა მილდინი

სიო

სიოვ, იცვლქე ბევრი და
ბევრი შარაგზა ჰლიე,
ყვავილებს კოცნას პარავდი,
ახლა, ჩემს სახეს ჰკიებ.

დაეხსენ ამ ჩემს მკრთალ სახეს,
შენ იცი, როგორ რბიეს...
ენას ბარაქა მისცეს და
ძალ-ერთგულივით მდიეს.

ბევრი დარდები გამიცვდა,
ბევრი ძნელი გზა ვლიე,
ბევრიც მაწამეს, და მაინც,
მზე ველარ დამილიეს.

სიოვ, მომყვები ლანდივით,
სულს სიხარულად ჰკიებ...
სიოვ, სიკეთევ ჰვეენისავ,
დასასრულამდე მდიე.

შახხუდრა

სიმწვანით აღვსილს, გზაზე შემხვდა დიდი სინათლე.
თხოვნა-ვედრება დატყეების ვერ მეყო ფარად...

ფიქრები ლოცვად,

ხელები ჯვარად,

მუხლნი მოდრეკად,

ცრემლები ღვარად, —

კვლავ სასოებით ვიხმარე ფარად.

არად ჩააგდო, შემოვიდა სულში შუქივით,
მოითარემა სიმწვანე და წავიდა თავად —

რად მიმატოვე?! კვლავ მომეახლე და დამარბიე.

სულის კარები ღია გღია. გზა ველარ ვლიე.

ო, კვლავ ამავეს გაუძღისი სინათლით შენით,

დამკვიდრდი ჩემში, ლამაზ ხილვათ სხვაგვარად მწენი.

მონარქია

დაღლილმა ღამემ მხრებზე დამაწყობ
 თავისი მკრთალი, გრილი ხელები.
 შენ შორს ხარ, ვიცი, ჩემზე ააწყობ
 სევდას, რომელსაც ვერ ვშეველები.

ასეთ სიმშვიდეს ომ სევდა ჰქვია,
 მისთვის მდარაჯობს ფხიზლად ურდული?!

სოფლის ღამისთვის ახლაა გვიან.
 ნისლიან ფიქრით ვარ დატვირთული.

სულში მძივებად, სულში მძივებად,
 ცრემლთა სიმლაშემ ბინა დაიდო...
 შენ მენატრები, თურმე ძლიერად,
 შენ მენატრები, ღმერთმა გაიგოს.

ზამთარი... აპრის ზოგი

გადვიხვეწები, მგონია, სადმე, სხვა, უცხო მხარეს,
 ვერ გადგურჩები ამ ზამთარს, ვეღარ ვიფარებ კარებს.
 ასე მგონია, ცარიელს უფრო მერევა სევდა,
 და ის წყურვილი ნაცნობი, მდევს ისევ, როგორც მდევდა.

და ზამთრის ასე ყინვიან, აკანკალებულ დღეში,
 შემომხვდი როგორც სიზმარი, ტოტი გეჭირა ხელში.
 აყვავებულმა ატმის რტომ, გადმოხვეწილმა კენტად,
 შემომღიმილა მაცდურად, რას მპირდებოდა, ნეტავ?!

გამომიწოდე ყვავილთა აფეთქებული ტოტი...
 ღიმილი შენი სახეზე მომელამუნა თრთოლვით
 თვალებმა მომიალერსეს, ვაი, ამეწვა დაწვი,
 ატმის ტოტივით ამანთე, და სანთელივით დამწვი.

ოღონდ, ნუ მეტყვი, ყინვისგან ცახცახებდაო ტოტი...
 მაინც, ამ ღამაზე გრძნობისთვის ვერ მიწოდებენ ცოდვილს.
 ზამთარი მოხველ ძვირფასო, შენ, გაზაფხული ჩემი, —
 ღვთის ნებით, დაღლილ ოცნების სევდისგან გადამრჩენი.

დახვეწული ფარდები

გაიხსენით გულისპირი დაშვებულ ფარდებო.
 გაიხსენეთ ყოველივე, გაიხსენეთ კარგებო...
 თქვენც, სცენაზე გადმოყრილნი მიხაკებო, ვარდებო,
 სცენის კედლებს აბღარტულნი ცრემლებო და ჰანგებო!
 ფლიდთა, ქურდთა, ავაზაკთა დაგებულ ფანდებო.
 ხელმწიფეთა, დედოფალთა ნებიერო ლანდებო.
 კულისებში დამალულო მსახიობთა დარდებო,
 სხვაგვარ სვედით ავსებულნი ნიღბებო და თარგებო...
 მამულისთვის დახარჯულნი, დაკარგულნი ჩანგებო,
 ლალატისთვის გალესილნი უმოწყალო ხანჯლებო...
 გაიხსენეთ ყოველივე, გაიხსენეთ კარგებო,
 გაიხსენით გულისპირი მწყამულ ფარდებო!

ლადო მგელაშვილი

მატნელი კაცი

მოთხრობა

— აი, ჩავსქდეთ ეგ მუცლები, აბა, კაი ხალხი თქვენ არ იყოთ! ადგი აეხიბე, კაცო, რა გავიხდათ ეგ ღვინო-არაყი. აგე, მზე სად წამოვიდა და თქვენ კიდევ აქა ხართ!

— დაიცა, ღედაკაცო! დაგვაცადე, ღეღამიშვილებისა არ დაგვიღვენია. ჩვენც შენსავეთ კი არა ვართ თითივით გალოკილი, ფუნინასავეთ გვახვევია. აბა, გოგი, ეგეც გადაუშე! მიდი, რას ეხატობი? — დაღუპვა მავას არ უნდა და ფხა არა აქ რომ ყელში გავეჩხიროს.

— როდისღა უნდა ახვიდეთ, კაცო? მანამ მაგ ღორს ახმეტაში აიყვანთ, მანამდის ბაზარიც დაიშლება.

— დაგვაცა, ღედაკაცო! ბაზარს რა დაშლის, დღეს კვირაა. ხო გავიგია, დილის არაყი ცოლის მზითევს ჯობიაო. თუმცა, შენ რა, შენი მზითვეი ერთი პრელი კატა და ორი წინდის ჩხირი იყო. აბა, გოგი, ერთიც დაასხი!... მამა-გდეს ე გახრეკილი ღედაშენი და... ბურთი გაუკეთე, შეე მამაძაღლო, შენა შენსას რო აესებ, ჩემმა მარცხენა ბარძაყზე გიკბინა?... ეგრე! დაასხი, რას გენანება, შენი მოყვანილი არ არი და შენი გამოხდილი... მამაგდეს ე ღედაშენი და იგეთი იყო, რომ დაგეგდო, ძაღლი პირს არ წააყლებდა.

— აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ურქო თავზე. შენ რაღა სრა-სახლები გედგამ? ერთი სკინტლიანი საქათმე და ერთიც

წირბლიანი გომური გქონდა. ეხლა რომ ხარ გაპაპაჯვრებული ამ ორსართულიანში, ვისი მონაგარია?

— ტა-ტა-ტა-ტა-ტა! დაიწყე, აი, დაიწყე! აბა, ერთიც მოასწარ, თორემ თუ დაგვიშინა ზიარების სეტყვასავეთ, ახალწლამდის აღარც გადაიღებ... უპ, რა დალოცვილია. შატყუება კი იცის ამ ოხერმა. არაყს რაც უფრო მეტსა ჰსვამ თანდათან უფრო ტკბება... ურქოო, გაიგე, გოგი. ამისი ბრაღია, რომ მთელმა სოფელმა ვანუა დაივიწყა და ურქოს მეძახის. კიდევ კარგი ხორცი არ ეკრა ზედა, თორემ ეხლა რქიანად ვიქნებოდი მონათლული.

— აი, შე მუცელმერთავე, შენა, ახი არ არი აგაცალოთ ეგ ხელადა და თავზე დაგასხათ? დააყე ეგ საძაღლე ყბა და აეხიბე, ცოლოა ი ღორიც — დილას აქვთ დამწყვედეულს არაფერი არ უქაზნია. აგე, გახვრიტა ყურები, ნახე, რამოდენასა ჰყვივის.

— შენ იგრე გატყობ, ღედაკაცო, რომ საყველამწინდოსაც აღარ დაგვაცალო.

— აი, ყველა წმინდა გავიწყრეთ თქვენა და კახეთის ყველა სალოცავები, მამ ღმერთი აღარა გაქვთ, კაცო? ისიც ხო ცოცხალი სულიერია.

— ეს რომ აღრინდება... აბა, ეგ ჰიქაც ჩაიცივი. ჰა, აუკარ ძირი, რას ეარმყევი? ჩემმა ხო არ არი, ფეხზე მოვიჭი-

როს... კიდევ მატყუებს ეს მამიძალი, აბა, გამიხსენს მეცა!

— უი, უი, უი, უი! დამიდგეს თვალე-ბი! რატომ თავი არ მამიკვდება. რატო ერთ დღეს არ ჩაგფლავთ ორივეს მიწაში! ადვილია, თქვე პირქვე დასამარხავენო, ავე ღორს ჭობულა გამოუღვრევი და ქათმებს დარევი. ჰაქსა, ღორო. ჰაქსა შე მგლის საკმელო. მთლად არ გამიწყუო და არ დამინელა სიმწრით დაზრდალი ვარიები! ლამის ცარიელზე დამსოს, ამ სანაკილემ!

— აბა, გოგი, ეს ჩვენ დღევანდელ ვაჭრობას გაუმარჯოს... ეხლა, აი, რას გეტყვი: ბაზარში არავინ უნდა შეგვატყოს მამა-შვილობა. შენ ხო იცი, მე ჭკვიანი კაცი ვარ. მივალთ თუ არა, შენ ღორი დაიჭი ჭაჭვით, მე კიდენა შორიასლო ვივლი. როგორც კი მუშტარი მოვა და შეგვევაჭრება, ას მანეთს ფეხი არ მოუტყვალო. მე მოვალ და ასოც მანეთს შემოგაძლევ. მუშტარს შეეშინდება, ურჭომ ღორი არ წამართოსო და ას მანეთს იმ წუთშივე ჩავითვლის.

— შენ მუშტარი გიყი ხო არა გვონია. არ იფიქრებს ასათ რატო ამას არ აძლევსო?

— განა არ იფიქრებს, კაცო, მაგრამ შენ ვაჭიუტდი: პირველად ეს კაცი მევაჭრებოდა და ამას უნდა მიეყიდოთქო.

— ოთხმოცდაათაც რომ ვაჭიუტდი, მაინც ხეირია. დაჰაბა მთელი ქათმები, კაცო. ე რა ჯოჯოხეთი ვიხიარდა, რაც თავი მახსოვს, ეგეთი ღორი ჯერ არ გვეყოლია. ე ცხვირ-დინგიც რო ქათმების დასაქერათა აქეთ მოწყობილი!

— მე რომ მკითხო, გუნებაშა ოთხმოციცა მაქ. ოღონდ თავიდან მოვიშორო და ე დედაკაცი დავსვენო. დავკლამდი, მაგრამ რას უნდა ვამორჩე? — ზაფხულში ღორის ხორცი ვის რათ უნდა? კი მორდილა კი ვაიხარდა, ე სამგლე, აბა, ყველა წმინდა შეგვეწიოს და გზას ბარაჟა დავაყაროთ.

— არიქათ, კაცო, მიშველეთ, მამკლა ამ სატიალემ! ჩქარა, კაცო, ხალხნი არა ხართ?! ვაი, რატო პატრონი არ მო-

გიკვდება და რატომ მშიერი მგელია ვაგზეთქვის შენცა და შენ გამამცემელსაც! ეს რა მიყო, ეს რა მიყო, ქაა! რატო ხელები არ ვაგინებდათ ამ აუზის ვაკეთებისთვის და რატო ერთ დღეს არ ჩავდებთ მიწაში ორთავებს!

— აბა, გოგი, ვადი, რა მოუვიდა იმ დედაკაცსა. ვადი, ჰო, ნუ გეშინიან, უშენოთ, ხო იცი, პირში არაფერს ჩაუშვებ... ეგრე! ძლივს არ გაეცია კარებში? რაო? ... რა არის, ბიჭო რა დაგემაართა?... ნამდვილად დათვრა, ეს შობელძალი, რა არიხროხებს ამდენს. ერთი ვაგზედო, თორემ... უჰ, ეს რა მოგსვლია, დედაკაცო?

— რა მამსვლია და, შავი ჭირი და დარდუბალა შენცა და მავასაც. რო ამომითხარეთ აქ ეს აუზი და შიგ წყალი მიუშვით, ამ შუა ეზოში, რომელი მავაშვილ-ჩოლოყაშვილები თქვენა მყვანდით? ავე, ქათმებსა კამდა, მინდოდა დამეჭირნა. ეტაცე ჭაჭვს ხელი და დამითრია, წამაქცია და ამ აუზში ამაყარავა, აი, რატო ჭირი არ გეცმათ, თქვენცა და მავასაც.

— ჩვენ ჯანდაბას, მაგრამ მაგ ღორს რალას ერჩი? ჭკვიანი ყოფილა, — არ დაისიცხოსო და აუზში ვაგაგრილა. კიდე კარგი, რო... მოცემენტებულა და წყალი წმინდაა. ამოდი, რალას უცდი, ხო არ ვაგიტება, რო გაუყუტდი?

— აი, სიყვდილს გაუყუტდი თქვენცა და ეგეტ, რო ერთხელ მაინც დავისვენო! რამ ვაგაკეთებინათ ამოდენა აუზი ეზოში, ღვინის წურბელებო, რამა!

— რამა და მოსარწყავათ წყალი რო წყდება ხოლმე, ანდე, რამდენს ვაგროვებთ მანდა.

— ჩადი, ბიჭო, ამიყავა, თორემ განათვითონ მიხედება, თუ მალდა არ ამოვიდა, რო ვერ ვამრება? ნახე, მგონი ხელიც ვადაუქლენსია. დაიჭი ის სამგლეცა და ბარემ წავიდეთ...

გოგიამ ღორი დაიჭირა და ეზოდან გაიყვანა.

— დაიცათ, აბა, დაიცათ. აი, აბა, ნუ დამსველდებიან!

— ესლა რაღა გინდა, დედაკაცო, ხო მივიღივართ.

— იგემთშიც წასულხართ, საცა არცა ხნავენ და არცა თესავენ.

— ეგეთი ჩვენი მარანია, შავბრუნდეთ?

— აი, ჰირმა შავბრუნოთ და სიკვდილშა თქვენცა და ეგვეც. დაიჭი, გამამართვი, და რასაც მაგ ღორში აიღებთ, იმას დაუმატეთ.

— ფულა? შაიტა, შაიტა აქა. მაგას მე ვიცი, როგორც მოუვლი.

— შენ შავ ქვასა და ნაცარ-ცეცხლს მოუვლი, თუ მაგას ერთ მანეთს გამააკლებთ. წვითა და დაგვით შავაქუჩე.

— ორმოცდაათია. ამაღ რა ღორი უნდა იყიდოს?

— მაგ ოხერში ოთხმოცს მინც მოგცემენ. მაგას დაუმატეთ და ასოცდაათ მანეთად ერთი ჰქვიანი, დარბაისელი ღორი მამიყვათ შინა.

— წერა-კითხვა უნდა იცოდეს?

— ესლა შამწყდით თავიდან ღვინის შესუსებო, თორემ იმ ჰვიგოს სუ ზედ დაგალეწათ.

მზე კარგა მალლა იყო წამოსული, ბაზარში რომ შევიდნენ. შინ ნასვამმა არაყმა და გზადაგზა „ზაქროს ღუქანში“ დამატებულმა ცერთნაირად გამოიქნია კლდი და ვანუას ვეება წუმვეში ჩაარევიანა ფეხებო.

— აი, შენი დამყენებელის მკედარი და ცოცხალი... მამ ამოდენა ბაზარს პატრონი არ უნდა ჰყავდეს?

— შენ რაღა პირდაპირ მაგას დაუმიზნე? აბა, მამეცი ხელი... აჟუ! რა მიქენი, კაცო, ამოსვლის მაგივრათ მეც ჩამამაგდე? რა უნდა ამოდენა ორმოს აქა, ესლა სად უნდა დავიბანოთ?

— აბა, დაიჭი ეს სამგლე, ჯერ მე ამოვალ და შემრე შენ ამოგიყვან.

— არა, შენ დაიჭი, მე ამოვალ და შენ ამოგიყვან.

— გააგდე, გააგდე, ახლო არ მოუშვა, თორემ თუ ამ ლაფში ამოიტარტლა, შემრე ვილა იყიდის?

— ჰქვას, შენი პატრონის მამის სუ-

ლიც... ჰქვას! დახე, როგორი ღორი იქნა მიწვესი დაკა მაგ კედარძალს, ახლო არ მოუშო. ჰქვას, ღორი არიქა, ჩამოდის, არიქა, ბიჭო! ეგრე ეგრე უნდა მაგასა, ერთი კიდევ უქირე. ეგრე, ეგრე უქენ მაგას. აბა, მე მოგაწვები და შენ ადი. აბა, ჰა მილი, რას უყურებ... უჰ, შაიტა, ესლა ხელი მამეცი.

— აბა, ამოდგი ფეხი. ჯერ ერთი, ესლა მეორე. მეორე-მეტეი, რას შერე-ბი, კაცო! რა მიქენ, ისევ შიგ ჩამაგდე? შენც იტყვი რაღა, სმა ვიციო, ღვინო ეგრე როგორ უნდა მოგერიოს? ფუუ! ამ შარვალს ესლა რაღა უნდა უჭო? ესლა ილტო და ალაზანი ერთად ვედარ გაგვერცხავს.

— შაიტა, აბა, დაიცა. პირველად მე ჩამოგვარი, თუ შენა.

— შენ ჩავარი პირველად.

— მე კი არა, შენ ჩავარი.

— არა, შენ ჩავარი.

— შენ ვის ატყუებ, შე მამაძალლო?

— არაფერსაც არ გატყუებ, მიხველი და შიგ პირდაპირ „ბრასით“ გადაეშვი.

— დაიცა ზაქროს ღუქანში ხო ერთად შეველით?

— ერთად შეველით.

— იქიდანაც ხო ერთად გამოველით?

— ერთათ გამოველით.

— ბაზარშიც ხო ერთათ მოველით.

— მამ პირველად ვინ ჩავარდა შიგა?

— შენ ჩავარი.

— არა, ჯერ დაიცა, აბა, კარგა დაფიქრდი. ზაქროს ღუქანში ხო ერთად შეველით?

— ერთათ შეველით.

— იქიდანაც ხო ერთათ გამოველით?

— ერთათ გამოველით.

— ბაზარშიც ხო ერთათ მოველით?

— ერთათ მოველით.

— მამ პირველად ვინ ჩავარდა შიგა?

— შენ ჩავარი.

— შენ მე, შე მამაძალლო, თვალგბს მიხვევ, შე ვირის ლაქებში გამოვლილო! შენ მე მაგას... დაიცათ! დამაცათ! ჯერ ამას აღნთო ერთი გვერდები! არა, და-

მაცათ! დამაცათ მეთქი! მე მაგას ვაჩვენებ, მაგ ლაწირაკ მამაძაღლს...

ხალხმა ერთი სიცილ-ხარხარით ამოათრია მამა-შვილი ორმოდან და ჩხუბის მიზეზი გამოჰკითხა.

წარბშეყრილ გოგიას ჯაჭვი ხელიდან არ გაუშვია, ისე ამოვიდა წუმპედან და ჯერ თავის შარვალზე დაიხედა, მერე მამას აჩვენა დაკოხილი შუბლი.

— ე, რა მიქენი, კაცო? — უთხრა, როცა ხალხი მიიშალ-მოიშალა.

— განგებ გავაყეთ, — გაიღრიჭა ვანუა. — შენ ხო იცი, მე ჭკვიანი კაცი ვარ ვახსოვს, შინ რა გითხარ? აქ თავი იგრე უნდა დავიჭიროთ, მითომ ძალიან უცხონი ვართ და ერთმანეთსაც არ ვიცნობთ. ეხლა მთელ ბაზარსა ჰგონია, რო მე და შენ ჯოჯოღოელი ჭისტებევით მოსისხლე მტრები ვართ.

— თავიდანვე იტყოდი, შე კაი კაცო და, თუ ჩხუბი გინდოდა, მაღლა ვერ ვიჩხუბებდით?

— ახლა, ყველაფერი ერთბაშათ კი არ მაგონდება კაცსა. კარგი, რაც იყო, იყო. ეხლა გარეცხვის დრო აღარ არი. წაიყუა ეგ ღორი და პირდაპირ იქ დააყენე, სადაც ღორებსა ჰყვინან. მშვენიერი თეთრი ღორია, ამას მუშტარი არ დაეღვეა. მიდი და მეგრე მეც მოვალ. დაიცა, გაგივდი? საით მიგყავს. აქედან მოუარე. მაქვთ ქათმები ჰყავთ. თუ დაინახა, გადაირევა და ვეღარც დაამაგრებ. იქნება ჯაჭვიც გაწყვიტოს და მთელი ბაზრის ქათმებს დეერიოს. ეგრე, ანდე, მაქვთ მოუარე. აბა, მიდი და მეც მოვალ.

როცა ვანუა მივიდა, გოგია გახურებულ ვაჭრობაში იყო. მივიდა თუ არა, იკითხა:

- ვისია ღორი?
- ჩემია.
- დმერთმანი, მთელი ბაზარი დავიარე და ეგრე სუფთა და ლამაზი ღორი არ შამხვედრია.
- ლამაზი რატო არ იქნება, რა, რაც ამას მოვლა-პატრონობა აქვ... ყოველდღე საპნითა ვბანთ.

— დიდილობით კბილებს გუნენით უხეხავთ ხოლმე, თუ პასტიით?

— დაიცა, კაცო, ხო ხედავ, ვევაჭრები, რა დროს ხუმრობაა. კაი მორღოლა კია. ჯიშოც კარგი უჩანს. მსუქანიც არი. რა უნდა მოგცე, ნამდვილი ფასი მითხარი.

— აბა, რა ვითხრა. რო არ მიჭირდეს, ამას რა გამაყიდინებდა.

— რას აფასებ?

— ასს კაპიკი არ მააკლდება. — მე მიღებ-მოდება არ მიყვარს. ვაჭრობისა და მახანდის მეტი რა ვიცი, მაგრამ ღორი მომეწონა. მოდი, ასოცს მოგცემ და ხელი აიღე.

— შენ ხო არ გაგივდი, კაცო? ევაჭრე და დავიკლებს, კაცო. ბაზრის წესი არ იცი? მაგისი სიტყვა ბეჭედი ხო არ არი, კაცო.

— დაიცა, ოსოლა დამაცადე. ჩემი საქმისა მე ვიცი. მაგისი სიტყვა თუ არა, ჩემია ბეჭედი. ასოცს გაძლე. იღებ თუ არა ხელსა საქონელზე.

— ეს გიგი ყოფილა, შენი ჭირიმი, აი, ჩემი მზემ სამოცდახუთმეტად ვურიგდებოდი, ეს კიდევ, ასოცს აძლეგს.

— ოსო, შენ ჩემი ჯიბე რაში გუნავლებდა, ფულს შე ვიხიდი, შენ კი არა.

— განა ჩემი ფულს ნომერი არა აქ, კაცო, შენ რათ მიშლი ხელსა? მე სამოცდახუთმეტად ვურიგდები.

— ოსო, დააყე ეგ საღვინე ყბა. ეს ლილახანა კი არ არი, ბაზარია. ფულს ვინც მეტს გადაუხდის, პატრონიც იმას მიჰკემს ღორსა.

— ნუ მიშლი ხელსა, კაცო, თორემაა.

— ოსო, შენ მე თხის თავი არ შამაგინებინო.

— ეს გიგი ყოფილა, კაცო, ნამდვილათა. ჩვენ ხეობაში არ შამხვდე სადმე, თორემ ჩემმა მზემ, მოგკლავ...

— დაიცა, ოსო, ჯერ ნუ შამკლავ. ეხლა ზაფხულია და ბუზი დემხევევა. პა, აი, აბა, ჩავითვალო ასოცი?..

— ხუთიოდ წუთში გოგია უკვე გააფთრებული იყო. — შენც მიაგიჟრე, რაღა ჭკვიანური.

რა ჩემ ფეხებით მინდოდა შენი ფული?
ის კაცი სამოცდახუთმეტს მაძლევდა.
რაზე შამამიფთხე მუშტარი?

— აბა, რა ვიცი, კაცო. თითონ-წა-
ვიდნენ, მე ხო არ გამირეკნია. ფუი,
იგეთ მუშტარს რა ვუთხარს.. ეხლა რა
უნდა უყოთ ამ ღორსა?

— რა უნდა უყოთ? მუქთად ხო
არ მიეცემთ ვინმეს, ავდგები და ისევ
შინ წაიყვან.

— შინაო? ხუთი თავი გაქ? ხო და-
გვხოცავს დედაშენი ორთავეს ეს ღორი
რო უკანვე მივაბრუნოთ!

— მამ რა ვქნათ, ვაჩუქოთ ვინმეს?

— რა ვი, მე კი ამ ღორით ველარ
დავენახვები დედაკაცსა და.

— კაცო სასმელმა ვგრე როგორ უნ-
და დაგრისო ხელი? ეგეთ მუშტარს კაცი
დააფრთხობს? არა, ივან ზურგიევიჩ,
უნდა მოკაკო თითი. ველარა მსომ ძვე-
ლებურათ.

— რას ველარა ვსომ, აბა, სარკეში
ჩაიხედე, შენ ჩემზე მეტათა ჰბლეტამ
თვალებს?

— შართლა, ძილი კი მამერია აი.

— აბა, აბა, ძილი არ იყოს. ჭერ ეს
ღორი უნდა გაყვიდოთ, თორემ დედაშე-
ნი გადაგვასახლებს საჩალედან.

— კიდევ იტყვი ჰქვიანი ვარო?

— კარგი, პოო, კაცს ზედ კი არ უნდა
შაჰდგე. აი, მეც შენთან დაუდგები და
ერთად გაყვიდოთ.

— მოდი, შამწყდი თავიდან ღილი-
ვით. შარტოკა უფრო გაყვიდი. ტყუ-
ილად დამიფრთხე ის ოსი.

— დაიცა, გოგო, დაიცა, კაცო. ოსმა
ღორისა რა იცის. ჩვენა, ორივე აქ დაე-
დგეთ. ერთათ უფრო კარგათ შავევაჭ-
რებით. იქნება ვინმე მატნელსაც ვადა-
ვეყაროთ. ხო იცი, მატნელები ალა-
მართალი ხალხია და შავაცდენთ.

კარგა ხნის მერე მუშტარმა ისევ
ჩამოიარა. ფასი იკითხა და წავიდა.

— დაუქლოთ მამი, თორემ, ხო ხე-
დავ, ღორი ყველას ეძვირება.

— კარგი, ჭანდაბას. ოთხმოცდაათი
უთხარი და სამოცდახუთმეტად მიეცო.

მემრე იმ ფულს ეს ორმოცდაათი დაუ-
მატოთ და ერთი ამოდენა ღორიც რომ
ჩაიყვანოთ შინა, მაინც ხეირია, —
ი დედაკაციც დაისვენებს და ქათმებსაც
ვიყოლიებთ.

— რათა ამოდენა? ასოცდახუთათ
ამაზე დიდს ვიყიდით.

— აბა, ნეტა იგრე მოგვექცეს საქმე,
რო ჩვენმა თხამ მგელი დაიჭიროს.

მუშტარმა ჩამოიარა.

— რას აფასებთ!

— ოთხმოცდაათს კაპიცი არ დააკლ-
დება.

ვერ მორიგდნენ.

მოსწყინდა მამა-შვილს, შხემა და
სიცხემ დაპრიათ ხელი. ფეხზე ძლივს
იღვნენ.

მუშტარმა კიდევ ჩამოიარა.

— რას აფასებთ?

— ოთხმოცდაათს კაპიცი არ დააკლ-
დება.

— ძვირია. ამისთანებს აგე, ის კაცი
სამოცდაათათა ჰყიდის.

— მამ წადი და იმისი იყიდე.

— დაიცა, გოგო, დაიცა, შვილო. ეს
კაცი ნამდვილი მყიდველია. ყველა მა-
ზანდისთვის კი არ კითხულობს ფასსა.
სადაური ხარ, კაცო!

— მატნელი ვარ.

— აი, აბა, ნამდვილი კაცი და მუშ-
ტარი. დაიცა, შენც იმათში ხო არ ერიე,
მატნელებმა ილტოს ხიდი რომ დაწვეს.

— შენ ვიფი ხო არა ხარ, კაცო.
მატნელები ილტოს ხიდს რათ დაწვე-
დნენ?

— რა ვიცი, დაწვეს. — ახმეტის
მხრიდან ყვაეები ვადმოდიან და ნათე-
სებს გვიფუჭებენო.

— კაცო შენ თუ ღორსა ჰყიდი, —
გაყიდე, თუ არა და ზღვევა ხო არ მო-
გინდა? ნამდვილი ფასი მითხარი, ბიჭო!

— ნამდვილი ფათხარი.

— ძვირია. მე ვაჭრობის კაცი არა
ვარ, ოთხმოცს მოგცემ.

— ოთხმოცდაათს კაპიცი არ და-
აკლდება.

— მეტი არა ღირს.

— ღირს, აბა, ნახე, ბროლივით ღორია.

— პატარძლათ კი არ მიმყავ, უნდა დაგვლა. ოთხმოცი აიღე და გაუშვი ჩაქვეს ხელი.

— ოთხმოცდაათს კაპიკი არ დააკლდება.

— გითხარი, ეპტრობის კაცი არა ვარ მეტქი. ოთხმოცი აიღე და მამეცი აქ ჩაქვი.

— ჩაქვეს არა ვყიდი.

— მა რა ჩემ ფეხებით უნდა წავიყვანო შინა, მამეცი აქა.

— მე შენთვის ჩაქვი არ მამიყიდნია.

— მიეცი კაცო, მიეცი, ვოგი. ჩაქვის მეტი რა მიყრია შინა, რა ოხრათ გინდა?

ვოგია გაღმობხარა და ლოკატორივით მომართულ ყურში ცხვირი ჩაუღო.

— კაცო, სხვა ღორი ხო უნდა ვიყილოთ, იმას რითილა წავეყვანო შინა?

— შენ მიეცი, კაცო. სხვა ღორს სხვა ჩაქვი ეწნება. აი, აბა, წაიყვა და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

როცა მატნელი კაცი წავიდა, მამა-შვილმა ერთმანეთს გაბადრული სახით შეჭხედა, თვალი ჩაუყრა და გადაიხარხარა.

— ძან კი გავაცურეთ, აი. ხო ვითხარი ჰქვიანი კაცი ვარ-მეთქი?

— ღორი მე გავყიდე და ჰქვიანი შენ საიდანა ხარ?

— მაშ მე ჰქვიანი არა ვარ, შე მაშაძლო?

— არა, ჰქვიანი კი ხარ, მაგრამ ღორი მე გავყიდე.

— შენ კი არა, მე გავყიდე.

— კაცო, ღორი ვის ეჭირა?

— ღორი კი არა, ჩაქვი გეჭირა.

— ის ჩაქვი იმ ღორს არ ება?

— ჰოო, ეგ კი ველარ მოვიფიქრე... მოდი, ე, ვერან, ერთ რამეს გეტყვი და დამიჯერე.

— ესლა არ მითხრა, აქედან იგრე წავიდე, რო მადარიჩი არ დავლიოთო.

— ვაპ, ჩემ ჰქვაში ხო არ იჭექი, შე ღმერთაძლო ოთხმოცი მანეთი ფუ-

ლია. ესლა ჩვენ აქვე სახინკლეში წავედეთ. ოც მანეთათ ერთი მამა-პაპურათ მოვეუღბინოთ, ასათი ღორში მივეცეთ და პაიდას ხოლო იცოდე, არ დაგავიწყდეს, შინ რო წამოგვდეს ოცი მანეთი დავლიეთო, ვაი ხესა და ქეას ველარც გადაურჩებით დედაშენს.

— რა ბიჭი ვარ, წამამცდეს ასათათ კაი დიდი ღორი მოგვივა. ოცი მანეთიც დავამღეროთ.

— უნდა დავამღეროთ, მაშა ასათათ იგეთ ღორს ვიყიდი, აბა, შენ მიყურე ერთი გავახაროთ დედაშენის შინ კი ვთქოთ, ასოცდაათი მივეცით თქო.

— უნდა ვთქოთ, მაშა... უპ, გეგონება ტონანახევარი ბალღამი მაწვა ზედა და ერთბაშად მამხსნესო.

— მეც ეგრე მგონია. რაკი ის ვერანა მოვიშორეთ თავიდან, ესლა გინდა საყუვარში შამაბი

— აბა, წაველით?

— წაველით, მაშა!

და ხელგადახეული მამა-შვილი სახინკლეში შედარდებდა.

სამხრობა კარგად გადასული იყო, იქიდან რომ გამობარგანადენენ.

— მაიცა კაცო, საით მიხვალ, მაგ ორმოს ველარა ცნობ?

— რა ორმოს?

— ანდე, მაგმასა.

— ეს ის ორმოა?

— ის არი, მაშა!

— კაცო, ეს თუ ის არი, რათ ეტყოდა; შიგ თითქოს ჩვენს მაგივრათ ღორებს უგორავნიათო.

— მართლა, ხო იცი, როგორა ჰგავს. შიგ თითქოს ღორებს უგორავნიათო.

— აქედან მოუარე.

— გადავხტები.

— მოუარე. მაგას შენ რას გადაახტები.

— გადავხტები. დავნაძლევდეთ.

— კაცო რომელი შევლაყაძე შენა მყევხარ, მაგას გადაახტე.

— აბა, მიყურე, თუ ვერ გადავხტე.

— დაიცა, კაცო, რას გადაახტები, მიწახედაც ფეხი გეშლება.

— მე შეშლება ფეხი? აი, შე ძაღლის გეჯაში მონათლული მე შეშლება ფეხი?

— მოდი, მოდი, მე მამე, მამი. ნუ ტავიწყდება, რო ღორი საყიდელი გვევა-
აგე, მზე სად არი ვადახრილი.

— მართალი კი ხარ, აი, შე მამაძაღ-
ლო. აბა, ხელი მამე. ეგრე ეხლა წაეი-
დეთ.

— კაცო, დაიცა. ე რა არი? ე რა-
მოდენა ბუმბული გაშლილა, გეგონება
ბალიშები დაუბღღენიათო.

— მართლა, განა. ე რა არი, ბებო,
ცოცხალ-ცოცხალ ქათმებსა ბღღენი და
მუშტარს იგრე ატან?

— რა იყო შვილო და, შუადღისას
ერთმა რჯულზე ხელაღებულმა ერთი
ღორი ჩამატარა აქეთა. რა ვიცი, რა
მიწის მგელი გამოუვარდა, რა ეცა იგე-
თი, კარგა თვალის შევლება ვერც კი მო-
ვასწარი, რო ებღღენა ჩემ ქათმებსა და
ერთი წიოკობა აუყენა. ანდე, ორი ვა-
რიალა გადარჩა დაუგლეჯავი, აგრემც
შავი მიწა დეყურება იმის აქ მამყვანსა
და გამამცემელსაც. გაგონილა და თქმუ-
ლაა ქაა, ქათმის მკამელ ღორს ბაზარში
რა უნდა?

— ჩვენი იქნებოდა მამი. ღორი გაფ-
რენილ ქათამს იქერდა. ფეხებგაკრულს
რა ხეირს დააყრიდა? აბა, აქედან მო-
უსვათ თორემ...

— დაიცა, უღოროთ ხო არ წავალთ
შინა?

— ამ დედაკაცს მაინც მოვერიდოთ.
რამდენჯერ აბრაცუნდ-ჩამობრაცუნ-
და ბაზრის თავიდან ბოლომდის მამა-
შვილი და ბოლოს ერთ ღორზე შეაგდეს
არჩევანი.

— კაი მსუქანი ჩანს, აი.

— ჩვენ ღორზე დიდიც არი.

— ჩვენ ღორზე დიდია, მაგრამ შავი
რთა?

— მეც შავი ვარ, მაგრამ როგორი
ბიჭი ვარ?

— ნამეტანი კვებნა ნუ იცი ხოლმე.
რაც თავი მახსოვს, შავი ღორი არა
გვეყოლია.

— რა უკირს, შვილო, შავი იყოს,
რო გაიფუფქება, გათეთრდება.

— შევევაქრო?

— შევევაქრე.

— რა ღირს შენი ღორი, ძია კაცო?

— ასოცდაათი.

— უჰ, რა ამბავია, შე კაი კაცო?

— მშვიდობაა. თუ არ მოგწონს, სხე
იყიდე.

— არა, სათვლიოთ კაი ღორი ჩანს,
მაგრამ ძვირათ აფასებ.

— ნამდვილი მყიდველი ხარ?

— ნამდვილი ვარ, მაშ სალღაბუ-
ცოთა მცალიან?

— თუ ნამდვილი მყიდველი ხარ,
ას ოცათ მოგცემ.

— ასოციც ძვირია. კაი მსუქანი
კაი. უჰ, ე რა არი, ლაფში იგორავა?

— ღორი აბა, მა რის ღორია, თუ
ლაფში არ იგორავებს.

— ჰა, რას იტყვი გოგი?

— ასოცი ძვირია.

— იაფი კიდევ მაწონია, წადი და
იყიდე.

— ნამდვილი მყიდველები ვართ, და-
უკელი.

— ვერ დაუკლებ.

— დაუკელი კაცო, იცოდე, ნამდვი-
ლი მყიდველები ვართ.

— მეც ნამდვილი გამყიდველი ვარ.

— უთხრა, გოგი?

— უთხარი... არა, რა უნდა უთხრა?

— აი, ჩემო ძმაო. მთელი ჩვენი ფუ-
ლი აი, ეს არი. ასათი მანეთია. კაბიქსაც
აღარ ვირჩენ მანქანისთვის. აქედან სა-
ჩალემდე ფეხით უნდა ვიაროთ და ვა-
ტაროთ ეს ღორი. ღმერთი აღარ არი?

აი, აბა, ამოვიბრუნებ ყველა ჩიბებს. აბა,
სახე თუ გროშს ვირჩენდე.

— კარგი, აბა, რა გეწყობა. მეც
კაცი ვარ. რაკი მაგის მეტი ფული არა
გაქვთ, უნდა ანგარიში გავიწიოთ.

— აი, დათვალე. ფულს დათვალე უყ-
ვარს... სწორია?

— სწორია.

— მაიტა ეხლა ეგ ჩაჭვი.

— ჩაჭვს არა ვყიდდი.

— მა გზაში ხო გამექცა, კაცო, თუ
ჩაქვი არ აბია.

— ჩანდაბას, რაკი ეგრეა, წაიღეთ
ჩაქვიც. აბა, კარგათ იყავით. ღმერთმა
ხელი მოგიპართოთ და ეგ თქვენი ღო-
რი მშვიდობაში მოგახმართო.

შინ საღამო ხანს მივიდნენ.

ისეთი ღრო იყო, სოფელში ქათამე-
ბის შესხდომის დროს რომ ეძახიან.

— გამო, დედაკაცო, ახალი ღორა
მოგიყვანეთ! — ვანუამ ცოლს გზიდანვე
გასძახა.

მოთენთილი ღორი ჭიშკართან ერთ-
ბაშად გამოცოცხლდა. გაიწია, გასაფა-
თებულ გოგისა ჩაქვი ხელიდან წაპვლი-
ჯა, ჭიშკარში დოსტორივე შეეარდა და
ეზო ჭენებით გადაიარა. საჩეხს გვერდი
აუქცია, სათონეს შემოუბრინა და პირ-
დაპირ საქათმეს ეცა.

ქათმების წიოკობამ ქვეყანა მოიც-
ვა. ატყდა ერთი ვაი-უშველგებელი. ზა-
რდაცემული მამალი და მისი ჯალაბი
ეზოში თავქუდმოგლეჯილი გამოიშალა.

— რა იყო, მეორეთ მოსელაა? რა
ამბავია, კაცო?! — მარნიდან გამოვარ-
და დედაკაცი.

— ვაიმე, ბიჭო! არიქა, გოგი, ე რა
ამბავია, კაცო!

ადგილზე მიყინული მამა-შვილი მა-
შინდა მოირღვა, როცა ღორმა საქათმი-
დან გამოაღწია და თან პირში გაჩრი-
ლი აჩხალებული ყვინჩილა გამოიყ-
ვანა.

— არიქა, შენ მაქედან მოუარე!

— არ გაუშო, შენკენ წამოიდა!

— ჭიშკარი დაკეტე, ჭიშკარი.

— ჭიგო მიიტა, დედი დაქა, დაპ-
კა, ეგრე კიდევ დაქა. ნახე რო მიინც
პირიდან არ უშვებს!

— აუზისკენ მიდის, აუზისკენს არი-
ქა შიგ არ ჩახტეს, თორემ სუ წაპხილ-
წავს წყალს. საით მიხვალ? გზა მოუ-
ჭერი, გზა ეგრე! წამოუარე!... მიიტა
აქ ჭიგო, დედაკაცო! აი, შენი პატრო-
ნის მკედარი და ცოცხალი! მიიღე? აბა,
ერთიცა! მოხვდა? არიქა, გოგი არ გაუ-

შო, შენკენ მობრუნდა! წამოუარე! წამოუარე!
მოუარე! შენც მაქედან მოპყე, დედა-
კაცო! აბა, მიდი მიდი მოიდა, გაგქ-
ცა! არ გაუშო! არ გაუშო უპ, შენი,
მინც ჩახტა ხედავ, როგორ დაცურავს
წყალში? ვარიასაც რო პირიდან არ
უშვებს?! კაცი დაებერდი და ეგეთი
ღორი ჯერ არ მინახავს! არიქა, შენკენ
მოცურავს, გადაეწოდე და წაარჩვი.
აბა, დედაკაცო, შენკენ მოდის, მარჯვეთ
დაუხვდი! გადაპწედი, გადაპწედი! შიგ
კი არ გადაგიყოლოს!.. გაიგო! გამობ-
რუნდა! მოდი, მოდი, ერთიც გისართო
მაგ კოსროში!.. მოკლა ამ მკედარძა-
ლმა, ხედავ? აგე, ვარიამ თავი როგორ
ჩამოტყიდა. მოკლა... ოჰ, მე შენი!

— არ ჩახტე, მამი, არ ჩახტე! ვალო-
რებულია, არაფერი მოგწიოს.

— რა უნდა მამწიოს, მე ამის პატ-
რონის სული და ჯილაგია!..

აუზში ერთმანეთში აირია კაცი და
ღორი. ხან ერთი ქვეშ და ხან მეორე!

ბოლოს ღორმა იცაყკაცა, ამოეტოტა
აუზის პირას, აიწია და ამოხტა.

როგორც კი შშრალზე ამოვიდა, წყა-
ლი გაიბღერტა და ტუბტუბით შემობ-
რუნდა.

დედაკაცმა შეხედა და პირკატა ეცა.

— აკი ახალი მოვიყვანეო, ეს ხო
ჩვენი ღორია, კაცო?

— ჩვენი? — ვანუამ ამოიწია და
აუზზე ამობობლდა.

— მართლა ჩვენია, კაცო!

— აი, დიდება შენდა, ღმერთო! ე
რა ამბავია?.. ბიჭო, გოგი, სიზმარში
ვარ თუ მეჩვენება? — შავი ღორი არ
მოვიყვანეთ, კაცო?

— შავი მოვიყვანეთ, მამა!

— ჩვენი ღორი მატნელმა კაცმა არ
იყიდა?

— მატნელმა იყიდა, მამა!

— მაშ ეს ჩვენი ღორი აქ საიდან
გამოტყვრა?

— ე, მამი, მამი!.. ვანა ვერ ატყობ
ღვინის ბოთლიდან არი გამამტყვრალი?

— კაცო... ვინ იფიქრებდა, კაცოო...
მოდი და შენ მატნელი კაცი დაუძახე!

ალექსანდრე კუთათელი

ნაშაბით დაბრკანებულნი

პაატა ცისკარიშვილს

გახსოვს, ძვირფასო ძმავო პაატა,
საავადმყოფო, ტანჯვის პალატა,
სამუდამოდ რომ დაგვამეგობრა
შენ — მეცნიერი, მე კი — მწერალი?
ძმობის დულაბი, როგორც მეგონა,
არის საერთო ჭირი ვერანი,

რა საშინელი, ძნელი ყოფილა
ქირურგის ბასრი დანის ქვეშ წოლა,
უმწუოდ, მარტო, დედიშობილადა,
ტკივილი უღვთო, გოდება, ძრწოლა,
როს დევნისთვალა ნათურების დაგნათის შუქი,
რომ დაგანახვოს ჯოჯოხეთი — დანტეს შავეთი,
ურიწმამის უცხო კიბით სადაც ჩაყვდი
და არ მესმოდა ბობოქარი ცხოვრების ბუკი.
ვერა ვხედავდი ვერაფერს ირგვლივ,
მე ყურადღება რომ მიმეჭკია:
ქირურგთა თეთრ ქუდს, მათ სიბრძნის გვირგვინს,
პერფორაციას,
პერიტონიტს
და რეზექციას.

მორჩა. ცოცხლებში არ მედო წილი.
ღამის დუმილით, კუპრით ნაფერი,
სამარადღებო მეწვია ძილი,

სიკვდილი ჩია ჩიტის, ჩიორის,
 გამდნარი თოვლის ფიფქის, ფიორის.
 სხვა არაფერი.
 სხვა არაფერი?!

გაქრა ქვესკნელი და გარესკნელი,
 ალაზნისა და რიონის ველი,
 მთები,

ზღვისპირი,
 ედემი — რიწა?!

განმშორდა სული
 მიწადქცეულს
 მეძახის მიწა,

სად ხდება ნივთთა შეერთება უკანასკნელი?!

არა, მკვდარსავით თურმე მუძინა...
 და გამადვიდა ბოლოს ბიძინამ —
 ცნობილ ეჭიმმა, ღირსეულ კაცმა
 და მყის დასრულდა ტანჯვა და ჯვარცმა,

ნაშუადამევეს ძალლი ჰყუფდა

ყრუდ, უილაჯოდ,

ვით შავ მღვიმეში

დამწყვედული ათას წლის წინათ

და კვლავ იყეფებს,

მას ყარყუმში, ჭოტი რითა ჯობს!

მზეც კვლავ იბრწყინებს, ისე ვით ბრწყინავს.

კვლავ იმოძრავებს,

ბუნებისგან დათქმული გზებით,

აურაცხელი ცის მნათობი იდუმალ გზნებით.

ზღვაც კვლავ განაგრძობს

კაცისადმი ცივი, გულგრილი,

ფსკერზე მთა-ნაპრალთ რღვევას,

დაშლას, დეფორმირებას.

ზღვას — ბუნების ხატს

არად უჩანს კაცის სურვილი,

კაცი მხდალია, თუ მამაცად იცნეს გმირებმა.

მისთვის პრომეთე და ღვთის გლაზა ორნივე ერთია.

რადგან შავეთში აჩრდილები ერთურთს ერთვიან.

სამოცდაათი წილი არის ჩვენს პლანეტაზე

ზღვა, ოკეანე, ხმელეთი კი — სულ ოცდაათი.

ღელავს გუბუნებს ოკეანე,

ზამთარს — მეტადრე

ხოლო ზაფხულზე ტროპიკული ტრიალებს ხვატი.
 ზღვა, ოკეანის ფსკერზე ჩანან მთა, ნაპრალები
 და კვლავ მოგვესმის ვულკანების
 ხმა, ყრუ გუგუნე.
 კაცმა ჩამოხსნა ზღვით დახმული
 ხმელეთს კარები
 და გააშუქა ნათურებით ღამე უკუნი,
 შექმნა ცხოვრება უმდიდრესი და მოწინავე,
 სად ატომური სადგურები მზეებზე ბრწყინავენ...
 მაგრამ სიკვდილზე მეცნიერი ისევე ფიქრობს,
 ამიტომ ეძებს იგი კიბოს გამოშფუვე მიკრობს.
 გონებით ბრძენმაც ვერ დათრგუნა სიკვდილის შიში,
 რასაც ამქვეყნებს საარკოფაგთა წარწერა, ნიში.
 ბედნიერია ზღვა, პირუტყვი,
 ხე და ბალახი,
 რადგან არა აქვთ კაცთგონება,
 სიკვდილის განცდა.
 კაცი კი ბრძენი, მეცნიერი
 ტანჯვას ვერ აცდა, —
 არ სურს უსულო მიწად იქცეს,
 გახდეს ბალახი...
 კაცს ქრისტე, ღმერთი, იულოვა
 ვერას უშველის, —
 მას და მიწასაც თუ გააჭრობს
 დრო დამფუშველი..

* * *

ბართაშვილის აქ მჭირდება ახლაც იგავი,
 იხე ვით წინათ, როს ჭაბუკი კაცი ვიყავი:
 „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
 იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“...
 ეს გამინდელი შეგონება როგორ არ ვაჭო,
 თუ კვლავ მიზიდავს იაზონი და მისი არგო,
 ოჭროსთმიანი მზე — მედეა,
 კოლხელი ქალი,
 სადემეტრაო — მთის სოფელი
 და კორინწყალი,
 როცა დემეტრე გაზაფხულზე პოულობს კორეს,
 ქაჯუთის ციხის ინგრევა ყორე
 და ნათლად ვხედავ:
 სამთარში ტყვემნილ თავის ასულს პოულობს დედა!

გახსოვს, ძვირფასო ძმავო პაატა,
სააგადმყოფო, ტანჯვის პალატა,
სამუდამოდ რომ დაგვაძმობილა
შენ — მეცნიერი, — მე კი — მწერალი!
ძმობის დუღაბი თურმე ყოფილა
კაცთ ერთნაირი ხვედრი ვერანი.

უკვე გამოფრჩით.

აივანზე ვზივართ გვალვისას
სიკვდილის ხილვით სახეცვლილი,
დაბრძენებული.

გვერდით გვისხედან მნახველები
ჭკუით ქებულნი
და მათმა დინჯმა საუბარმა წაგვახალისა...

ბაღში მაღალი დგას ნაძვის ხე,

ვით ყალყზე დათვი,

აივანს წვედება ბანჯგვლიანი,

ვეება თათით.

თეთრი, შიშველი ქალებივით დგანან ვერხვები
და ერხევიან კულულები მზით გაისრული,
ალტაცებული ხის მარმარ ტანს ვკოცნი, ვეხვევი
ნათელხილვამდე, ტანჯვის მერმე, კაცი მისული.
თრთის და კანკალებს

ვერცხლისფერი ვერხვის ფოთოლი

ჩამავალი მზის უმოწყალო ცეცხლის მოდებით.

ხის უკან მოსჩანს მთა, მაღლივი

სახლის გოდოლი

და მენატრება სოფლის ჩია, კოხტა ოდები,

ლალი ბავშვობა, ხანისწყალში

ცურვა, მხარული,

კუდინების დასაფრთხობი ცეცხლი, არული...

რა ვქნათ, პაატა?

კვლავ ვიართო ნელა, ტაატით

და დაუბრუნდეთ ძველი ყოფის

ძველ ტრაგედიას,

თუ კომედიის,

მყუდრო სოფელს,

ჩვენს კოდმეტას?!
 ისევე ავაგოთ მწყერიფება ბალახზე მარწყვი,
 ეშმაკუნები რომ ეძახდნენ: „ტყის წიამპოლას!“
 მივართვათ იგი სოფლის პაპას —
 ჩვენს „თეთრა-კოლას“,
 ქვევრს რომ ხეხავდა თავისი სარა,
 ბალდოჯის სარცხით?!

ხედავ, პაატა, როგორ ვბერდებით,
 ვით ქამისაგან გარუჯული მთების მკერდები?!
 მაშ მოდი, ძმაო, სანამ სოფლად დავიარებით,
 მთლად მოვიშუშოთ გულის დარდი და იარები.
 მოვძებნოთ მთაში — სარკოიაზე
 გლეხის თეოდე ფაიჭიძის და ნესტორიას
 შთამომავალი,

მონაგარი —

ზაზა, იამზე

და მათ გვიამბონ ახალ სოფლის ზნე, ისტორია,
 გვითხრან: დადგათ მსოფლიოში ახალი ხანა,
 ყველას იზიდავს ბრძენი კაცის აწ ანაბანა.
 მილიონები ესწრაფვიან დიდი ლენინის
 სიტყვას და ხაქმეს, გაუთიშავს და გაუბზარავს.
 ის არის ქვეყნის დასახსნელად
 აწ მოვლენილი
 და მისი სიტყვა მშრომელ ხალხის
 დუშმანებს შარავს.
 გვითხრან:

ბრალია ქვეყნის ნგრევა,

მეორედმოსვლა,

ატომურ ომის მოლოდინი,

ცეცხლი და ალზი.

ვერა, ვერ სძლევენ კაცთ მშვიდობას

კაცუნები,

მახინჯი,

ჭოსა,

თავისუფლების მოყვარული შეერთდა ხალხი,

ლადო სულაბერიძე

სიზმრაჲი წვიმაჲი

შუამისას ჩემი სახლის წინ
 მდგარ თეთრი სახლის ფანჯრის რაფებზე,
 (როცა გარეთ წვიმს, ჟინიანად წვიმს
 და აღარ ვფიქრობ აღარაფერზე,
 მხოლოდ გავეყურებ
 ოთახებიდან
 ფერად ფარდებზე მოწოლილ ნათელს
 და მე მგონია:
 რომ გამოაღონ
 ახლა ფანჯრები,
 ჩანჩქერებივით
 ჩამოქანდება ხართულებიდან
 ნათლის ჩქერები ღამის უფსკრულში), —
 უცრად ვხედავ:
 ჩამოსხდებიან
 რაფებზე ნაირფერი სიზმრები,
 იწუწებიან წვიმით,
 ელიან,

როდის ჩაქრება სინათლე, რათა
 შეძვრენ ფანჯრების ღრიჭობებიდან
 და წაესიონ ძლივს ჩაძინებულ
 მთელი დღის მამურალ ადამიანებს.
 ზოგი ცისფერი ანგელოზია,
 ფრთებზე სამოთხის ჩიტები უზის.
 ზოგი ურჩხულს ჰგავს,
 რქიან სატანას,
 დაბერილ თვალებს დააბრილებს
 და იღლივში ამოუჩრია
 ბრმა კომმარებით საცხე ტომრები...
 და მომინდება, რომ ავეუწმიო
 და დავაფეთო მყის სატანები,
 მაგრამ ვაი თუ ანგელოზებიც
 დაფრთხნენ, რომელთაც ჩემ მესობლებთან
 მიჰყავთ ჩიტები ნეტარებისა.

 შიში არ მიშვებს დიდხანს ფანჯრიდან:
 ვინ დაფრინდება ამ ჩემს რაფაზე,
 ანგელოზი თუ შავი ურჩხული?!

მზითაჲი

მოგყვა ფარდაგი,
 კაკლის კამოდი,
 დედის ნაკერი დიბა და ფარჩა,
 მაგრამ შენს მთებზე მზე რო ამოდის,
 მისი სხივები იმ მთებზე დარჩა.

 მოგყვა ყვავილი შენი სამოთხის,
 რაც დააგროფე იქ დარიჩინი,

მაგრამ ის მთვარე იქ რო ამოდის,
 იმ დედულეთის გორებზე დარჩა.

 მოგყვა ფარდაგი,
 კაკლის კამოდი,
 დედის ნაკერი დიბა და ფარჩა,
 აქ მზეც ამოდის,
 მთვარეც ამოდის,
 მაგრამ სულ სხვაა, რაიც იქ დარჩა.

ქსნის ხეობაში სიყვარულის
სამლოცველო მაქვს აგებული.
და ღამეებს ვწვავ მოჩახჩახე
ნაკვეთჩხლებზე ვარსკვლავთ კრების

ეს ღამეც ასე გაფრინდება,
ბევრი ღამე როგორც გაფრინდა.

მე ჩემ საყდართან მარტოკა ვარ.
მშვენიერო, ჩემი აფრითა!

იღმის ბილიკზე გითვალთვალე
ამა მყუდრო თავშესაფრიდან...
ეს ღამეც ასე გაფრინდება,
ბევრი ღამე როგორც გაფრინდა.

ნარნარა ოთარ ჩხეიძის ნიგნა „იტალიური ღლიურაგი ბაირონისა“

მონობის კანონს ვეღარ ეთვისე,
ბორკილში დაირა ვეღარ დაირობს...
თავისუფლებისათვის
საბერძნეთისკენ,
საბერძნეთისკენ, ჩვენო ბაირონი!

მამულში ჭკნებოდა მგონის ბედის ხე,
ლექსი ქარიშხალში ნაირ-ნაირობს...
თავისუფლებისთვის
საბერძნეთისკენ,
საბერძნეთისკენ, ჩვენო ბაირონი!

მიუნხლოველი

რადაც მეძახინ,
ვილაც მეძახინ,
ენა არ შესმის იმ ძახილისა.
ნეტა რა შელის ხარივით ქედწახრილს
იმ მიუწვდომელ ფერის ხილვისას?!.

შორს კი არ არინ.
თითქოს ახლოა,
სულ სხვა მუსიკა,
სულ სხვა ბგერები.
ვიცი, ის სულ სხვა სამოსახლოა,
სულ სხვანაირი ასიმღერების.

თითქოს აჭვია,
მაგრამ შორია.
ჩემი უძირო არის სამყარო,
ეს ჩემი ხილვის მეტეორია
და მისმა ძებნამ უნდა დამღალოს.

იქნებ-ინეთი ფერის-ლექსია,
თვით ღვთაებათაც რაიც-ნდომიათ,
ჩემში არის და
უმაღლესია,
ჩემში არის და
მიუწვდომია.

ქაქაბი

სტრიქონებს შუა ჩაიკეცა შავი ძაძები
„ქართლის ცხოვრების“ - ფურცლებიდან ამოფენილი,
ძაძები

ერის დროშებივით
მარად გამძლები,

გალობენ მკვდართა მარადიულ მწყალობელივით,
გახლართულია შავ დაძებში

ქერივთა

დედათა

ქარი სიკვდილის,

ქარი გლოვის,

ქარი ხსოვნისა.

ქართველი ქალი ბუგთარივით დაძებს ჭედავდა,

მკვდარს წაეფარა

და საფლავი არ იშორისა,

დაძაში მარხა

რაც რამ დარჩა დასამარხავი,

მშვენიერება

სხეულისა,

თვალთა,

წამწამთა.

სულში კი ენთო,

სიყვარულის ენთო ხანძარი,

სიკვდილის ჯვარზე გაკრულს

აგერ რაიც წამწარდა.

სდუმან სკივრებში ჩაკეცილი

ჭრელი კაბები

შოსან ქალთა,

ხოხბებივით ასაფრენები.

თვითონვე ჰკლავენ

შენს წილ ვნებებს,

შენს წილ ხარებას,

დაძებში ხვევენ...

მძიმე არის მიტომ დაძეო.

თავს შვალვეენ-მკვდარზე გლოვას და მწუხარებას,

დაძის კალთაზე ეფერფლებათ ქვეყნის ხანძრები.

ნაღვლიან ჩრდილებს ღრუბელივით შავი დაძების, —

მომამლის ქარი.


ქართლის გუბზე წამობერილი

დაძები,

ერის დროშებივით,

მარად გამძლები,

გალობენ მკვდართა მარადიულ მწყალობელივით.



ნაილი ნაკერიშვილი

• • •

პატარა ბიჭს აქვს საკუთარი სამეფო მზისა,
მთვარის და ღრუბლის,
ჭრელი სიცრუით ავისილი გუდა და ხარობს მისი
გამზიურებით,
ხოლო ბიჭის და, ვისაც უკვე შეასწავლეს რეალობა
საგნის და ფერის,
დასცინის ფერად, ბრჭყვიალა ლაქებს,
საგნებს რომ აძლევს გადიდებულ მოხაზულობას
და ბიჭის ღმერთებს ბოროტს და კეთილს —
ბუმბაბასა და აბუმბაბას,
უცნაურ კომპლექსს ბგერებისას — განსწავლულობას
უპირისპირებს
და ბავშვური თავგამოდებით და ჭრუტი ხარწმუნოებით
გამოჰყავს ბიჭი თავის ქვეყნიდან.

• • •

მე გაგიფინე სიჩუმე ჩემი, როგორც
ქალაქი —
უცხოდ ჭრელი და მოხატული
და წყვილი თვალი დაუსვი მეგზურად,
ნატვრით, იდუმალ გაოგნებით და
უსახო მადლიერებით
მე გამოვხატე სიყმე ჩემი უდაბნოს
ქვაზე
და წავაწერე — მე ვარ შენი, შენი და შენი.



ილია აროსია

ოცნების კვალად

ადამიანი წყაროა ყოველის,
მას სულ მცირედი ნათელი ყოფნის,
რათა ყველასთან გრძნობდეს ერთობას;
არვის ემონვის,
არვის იმონებს,
დასაფიცარზე თავი ეთმობა,
და გარდასულსაც კრძალვით იგონებს,
მხარში უდგება ხვედრით უიღბლოს,
მისაშველებელს მიეშველება
უყვარს სიწირფელე — მარად უნიღბო,
ალალმართლობით წვა და შენება —
და თუ საშველი მაინც არ იქნა,
არაფერია, იყოს ღარიბად...
მარადყამს ერთი მას იტაცებდა —
არ მიჰყოლოდა გადიდკაცებს!
ეგრძნო ყოველი და განეცადა,
არდასაცდელი არ დაეცადა
და, სულგრძელობაც მუდამ ყოფნიდა,
მას სხვისი ჭირიც ეცნო თავისად,
მტკიცედ ეწია ძმობის ჭაპანიც,
გზები დაეხშო სულთმსუთავისა,
უძმო სიმართლით ძმას მისამგვანი!
მას წყურვილი აქვს პირდაპირობის,
გულთაგულობის, კაცადკაცობის,
ვინმე სიაფეს რომ აპირებდეს
მოიშთობს, თუნდაც იყოს ნაცნობი,
მარტო ნაცნობი? — თვით ნათესავიც
ირგვლივ სიაფის თუა მთესავი!
მკვდარს არ ემსგავსოს
და ცოცხალიც ზომ
თითქოს ვარდია მწვანე მდღლოსი,
იცის, რომ ბავშვი, ვისიც არ იყოს,

მოვლენილია ვით ანგელოსი;
ადამიანი წყაროა ყოვლის
და ეს ჭვეყანა როდი ეთმობა,
მას სულ მცირედი ნათელი ყოფნის
რომ სუვეელასთან იგრძნოს ერთობა.

ასე მგონია

მეგობარ პოეტს

რა იყო შური, მე არ ვიცი
და არ მხლებია წუთით ღვარძლი მე,
ასე მგონია, შემოქმედებით
სიცოცხლის წლები გავიხანგრძლივე.
„გარდავიარე კლდენი და ღრენი“,
ხან მსუბუქად და ხან შფოთვით,
მძიმედ,

ასე მგონია ცამდის ავმალღდი
და მით სიცოცხლე გავიხანგრძლივე,
და ისიც ვნახე — ჩაელილმა ჭამმა
როგორ მიხვლთა და დამითრია, —
როცა სიცოცხლე ფუჭი განცდისთვის
ერთი წუთითაც არ დამითმია,
და შემადრწუნა დაუნდობელად,
ვით ყველგან ყველა და სხვა და სხვები,
ისეთნიც, ერთხელ რომ არ უგრძენიათ
აღფრთოვანება ამგვარი ხმებით;
მშვენიერებით გულს ვიოხებდი
და არ მიგრძენია წუთით ღვარძლი მე,
ასე მგონია შემოქმედებით
სიცოცხლის წლები გავიხანგრძლივე.



უკანასკნელი უბიხი

ბოძინა

ჩვეულებრივი კავკასიელი ვაჟაკები სულთანის საბრძანებელში რომ მოხვდნენ, ის არც ისე სულელი აღმოჩნდა, ასკერებადა და პირად მცველებად რომ არ გაეწესებინა. მათრახით ნაწვნივი მწარე გამოცდილება ბევრის ხვედრია, ტყბილი ფახლავათი კი — ცოტასი. ერთნი შეაშინა, მეორენი კი მოატყუა. ნოყიერი მიწებითა და მფარველობით მოისყიდა. აფხაზეთში თავადებსა და გლეხებს შორის ოდიოვან არსებული ნათესაობა თურქეთის მთავრობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა ისეთები, როგორიც შარდინია, ალოუს ძე, პატივით მიიღეს; მიწაც უწყალობეს და არც წოდების მინიჭებაზე გამოუჩინათ სიძუნწე. თავადებს ბარაქიანად მიუზომეს ადგილ-მამულები, მათ ქვეშევრდომებს კი ნაფოტივით მოუგდეს თავშლისხელა ბოსტნები. პოდა, ხეირიც ნახეს: გლეხის ბიჭები არმიანი. გაიწვიეს და ალაპის სახელით პარდაპირ ომში უყრეს თავა. მერე რა ბიჭები, სულ ერთმანეთზე უყეთესები. ისე კი ვისაც ნადგელი და დარდი უნდა გაიჭარვოს, ბრძოლაზე უყეთესი საშუალება არ არსებობს. რამდენა დაბრუნდა

იმ ომიდან დასახიჩრებული და ხეიბარი, ეს მე და ღმერთმა ვიციო. არ ვიცი, შეილო, გაგვიგია კაც მანის ამბავი? თქვენი ფესვისა იყო — აფხაზი. თავის ღროზე ცოტა სამსახური როდი გაუწია ამ კავკასიელმა მეფეს, რისთვისაც გენერლის ჩინიც მიიღო. მაგრამ მას შემდეგ, რაც უბიხები თურქეთში გადმოსახლდით, როგორც იტყვიან, მისი მზეც ჩაესვენა: მოკვდა ნაცადი მეომარი. მისი ერთი შვილი შშმის გზით წავიდა და რუსეთის არმიის ოფიცერი გახდა. გენერლის მეორე ნაშვილი ქამლათი, აფხაზეთში თავადობა რომ გააუქმეს და ბატონ-ყმობაც ზედ მიაყოლეს, რუსეთის მმართველობას არ დაემორჩილა და მთელი ოჯახით თურქეთს გადასახლდა. ოსმანები თავიანთი მტრის მოძულეს პატივისცემით შეხვდნენ: სტამბოლის ცენტრში სასახლე მოუჩინეს, პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და ჯარში გაწვეული აფხაზი მამაჯირების მეთაურად დანიშნეს. კარგად მოგეხსენება ჯარისკაცებს მუქთად არაფერს აკმევენ. პოდა, ქამლათიც თავისი ჯარით მეზობელ არაბეთის ქვეყანაში გააგზავნეს, ვისი იმამიც თავნებობდა და პატივმოყვარე თურქებს ეურჩებოდა.

ბევრმა აფხაზმა წააგო ამ ბრძოლაში

თავი, მაგრამ იმამის არმია ქაშლათმა გაანადგურა. თვითონ იმამი კი ტყვედ ჩაიგდო. არაბეთიდან დაბრუნებული გმირი პირდაპირ ქორწილში მოხვდა. მის მშეთუნაბავ ასულს ნაფიზას ცოლად ირთავდა თურქეთის ტაბტის მემკვიდრე აბდულ-ჰამიდი. ქორწილი გადაიხადეს თუ არა, ახალი სიხარული ეწვიათ, ქაშლათ მაანის სიძე სულთანი გახდა: მკაცრი იყო ახალი სულთანი, შეუბრალებელი და დამსახურებულადც შეერქვა „სისხლიანი“. თვალები შე-რანინი ჰქონდა და ხელები — ხარბი. სამი რამ არის, დად, ქვეყანაზე სამიში: დანა ბავშვის ხელში, მლიქვნელის ქება და ძალუფლება განდიდების მანიით შებყრობილი კაცის ხელში. აბდულ ჰამიდს თავისი ტარსიკონის ჩექმის ქვეშ ესიზმრებოდა კავკასია და გადაწყვიტა ეს მაცოტუნებელი სიზმარი იეცხადებინა. ქაშლათ მაანს პოლკოვნიკის წოდება უბოძა და მაჰაჯირებისა და თავზეხელაღებული თურქებისაგან შემდგარ ჯარს დაუყენა მეთაურად. გეზი აფხაზეთისაკენ ჰქონდათ აღებული. სანამ გემებში ჩასხდებოდნენ, ქაშლათ მაანმა გზა დაულოცა მეომრებს:

— ჩემო ძმანო, ჩვენმა საათმა დაქანა! ალაპის ნაცვალმა დედამიწაზე. ოტომანის იმპერიის დიდმა სულთანმა დახმარების ხელი გამოგვიწოდა, რათა მშობლიური მიწა გიაურებისაგან გავანთავისუფლოთ. როგორც კი მშობლიური აფხაზეთის მიწაზე დავდგამთ ფეხს, ყველა აფხაზი, ვინც თეთრი მეფის მპყრობელობის ქვეშ ეწაშება, აჯანყდება და ჩვენ შემოგვიერთდება გავანთავისუფლებთ აფსანი! წინ, პანავათის დროში! ფადიშახნი ბინ იაშ!

შეიარაღებულებმა შავი ზღვა გადალახეს და სოხუმის ციხე-სიმაგრესთან გადასხდნენ. ქაშლათ მაანი ჩქარობდა. მთელ აფხაზეთს მოედგნენ მისი მაყენები და გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ ხალხს.

— ვისაც თავისუფლება სწაღია, ქამ-

ლათ მაანის ჯარს შეუერთდნენ აფხაზეთის გადაპრჩენელის შემოქმედის წაგვიძღვებთ ენგურისაკენ გიაურების გასანადგურებლად.

მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც ქაშლათს ეგონა. რამდენიმე კაცი თუ აიკლინა გზას, თორემ მწყემსები და მზენელ-მთესველი გლეხები არ გამოეხმაურნენ ფაშას მეამბოხე მოწოდებას. რუსეთის ქვეშევრდომობამიღებულ ხალხს გადაწყვეტილების შეცვლა აღარ უნდოდათ. ის კი არა და, ქაშლათის მომხრეებიც კი მიმოიფანტნენ. აქეთ-იქით მშობლიურ მიწაზე დაადგეს თუ არა ფეხი. მუხლი მოიყარეს, მიწას კოცინდნენ და ჩურჩულებდნენ: „გვაპატიე, აფსნი!“ მათმა ნაამბობმა თურქეთში გადატანილ საშინელ გაჭირვებაზე სხვებიც გამოაფხიზლა.

თავისი ერთგული ხალხითა და თურქთა რახმებით ქაშლათ მაანი ენგურისკენ დაიძრა, მაგრამ რუსებმა გაანადგურეს იგი. სულთანის დაქირავებულმა კარგად იცოდა, რომ ისეთი მარცხის შემდეგ თავი არ შერჩებოდა მხრებზე. შერცხევილი რომ ბრუნდებოდა, ეს კიდევ არაფერი; ბევრი მეომარი დაკარგა. ზოგი გაიქცა, ზოგი დახოცეს, დანარჩენები კი რუსებმა ჩაიგდეს ტყვედ. აი სწორედ მაშინ მოიგონა მან თავის გადასარჩენად ვერაგული გეგმა. უკან რომ იხევდა, მთიან სოფლებს წვავდა და ცრუ ჭორებს ავრცელებდა რუსების სასტიკ შურისგებაზე. იარაღითა და დამინებით აიყვანა მან თურქეთის გემებზე ათასობით აფხაზი, თითქმის ორჯერ მეტი ვიდრე მისი ჯარი იყო, რომელსაც აფხაზეთის დასაპყრობად მიუძღვოდა წინ. ბევრს ეცადა ქაშლათ ფაშა, მაგრამ მთელი აფხაზეთის გარეკა ვერ მოახერხა. მწყემსები თავის ფარებიანად მთებში დაიმალნენ. მთელი ოჯახები ტყვეებში გაიხიზნენ ან რუსების მხარეს გადავიდნენ. და აი, ფერფლიდან კვლავ აღსდგა აფსნი! განა შენი აქ მოსვლა ამის საუკეთესო დასტური არ არის? მოდი, გულში ჩა-

გერა ჩემი ცხოვრების დაგვიანებულ სიხარულს!

• • •

გული მელეოდა ახლობლების უნახობით. და აი, ერთ დღესაც ავღეჭი და გზას გავუღდექი: ხელში კვერთხი მიჭირავს და ფეხით მივუყვები გზას ოსმან-ქოიცი. შორი გზა მიღვეს წინ. შემოდგომის ქარი ქრის და ხანდახან მეჩვენება, რომ კერის კვამლი მოაქვს ჩემამდე. იმ კერისა, ზედ დედაჩემი რომ ვადახრიალა.

გზის კიდებთან მოუვლელი საფლავები მხედდებოდა. ვკითხავდით ვინმე შემხვედრს ვისი საფლავია-მეთქი და „ჩერქეზისი“ — მაშინვე მასუბობდა.

მე არ მიიტყვამს შენთვის, შარახ, რომ ყველა მაპაჯირს თურქეთში ჩერქეზს ეძახდნენ. ეს ზედმეტი სახელი დღემდე შემორჩენილი. ჩემი ახალგაზრდობაში „ჩერქეზი“ იგივე იყო, რაც ყაჩაღია. ორი თურქი რომ წაეჩხუბებოდა ერთმანეთს, „აი შე ჩერქეზო“ ეძახდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ სტამბოლში გავიგე სულთან აბდულ აზიზის ტახტიდან ჩამოგდების სისხლიანი ისტორია. ისიც ვაეიგე რა როლი შეასრულა ამ ამბავში შარდინმა, ალთუს ძემ, მაგრამ ამაზე შემდეგ ვაიბობ.

აი დაბალ ბორცვებში შეყუყუელი ოსმან-ქოიცი. შუალამე გადასული იყო. ქროდა შემოდგომის ნესტიანი ქარი და წვრილად თოვდა. ისმოდა ძაღლების ყეფა. მე წმიდა ბითხას წინ ამართულ ბორცვზე გავჩერდი. გარშემო ყველაფერი ეკალ-ბარდს დაეფარა. ერთადერთი რცხილაც მოეპრათ. მის ადგილას თოვლით დაფარული კუნძოლა მოჩანდა.

გულდაძიმებული შევედი სოფელში და პირველი, რაც თვალში მომხვდა, აბხუბას ნასახლარი იყო. ჭიშკარი ისევე ძველ ადგილას იყო. სახლი კი აღარ ჩანდა. კარმიდამო გადახნული იყო და კიდევში თამბაქოს დამპალი ძირები

ეყარა. თვალთ დამიბნელდა, თითქოს შავი ნახაღი ჩამომაცვესო თავზე. ფეხები ძლივს მივათრიე სახლამდე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ჩვენი სახლი ხელუხლებლად იდგა. ესაა რომ ცოტა შეძველებულიყო და ოდნავ დაწეულიყო. აივანზე ბავშვები თამაშობდნენ, სიცივეს არ დაგიღვედნენ. პაერი შევიყნოსე და სუნით მივხვდი: აქ ახლა სხვა ოჯახი ცხოვრობდა. დიდმა ბებერმა ძაღლმა მოიბრძინა, უნდა დაეღრინა, მაგრამ თითქოს დაფიქრდაო და შორიანლოს ჩაცუცქდა. სიცივე თანდათან უპერდა. გზაზე გავედი და გრდემლის წვრილი მომესმა. პო, ეს ალბათ მჭედელი დაუთი ურტყამს ასე გულმოდგინედ — გავიფიქრე და სამკედლოსკენ გავემართე. ორკარედი ნახევრად ღია იყო და შორიდანვე დავიანხე კაცი, რომელსაც ცალი ფეხი ხისა ჰქონდა. გრდემლს უროს სცემდა და ყოველ დარტყმისას სკის ნაყარივით რიალებდა ჩინჩხლები. მჭედელს თავზე ყაბალახი ჰქონდა მოხვეული. მე კარს მივუახლოვდი.

— შემოდი, ცეცხლთან გათბი. მაგრად მოუჭირა ყინვამ! — ისე, მითხრა არც კი შემოუხედავს.

ყელში მოწოლილ ცრემლებს ვძლიე. — გამარჯობა, დურსუნი!

გრდემლზე დასარტყამი ურო თითქოს პაერში გაიყინა. დურსუნი სწრაფად შემოტრიალდა.

— ზაურყან, ღმერთო ჩემო, ზაურყან! — და ხის ფეხს ეკეუნით ჩემსკენ წამოვიდა. ერთმანეთს გადაავებეთ. გაბურძნულ ლოყებს ერემლი გვისველებდა. რკინის წითელი ნატეხი გრდემლზე ჩაშავდა, დურსუნი კი ნაზად მითათუნებდა ღონიერ ხელს მხარზე, ცრემლის არ რცხვენოდა და იღიმებოდა.

— ციდან ხომ არ ჩამოხვედი, ზაურყან, ჩემო საყვარელო ძმომ? შობლებს თავმოკვეთილი ეგონე და გამოგიტირეს, შენ კი ცოცხალი ჰყოფიხარ. მითხარი, მითხარე რაიმე ხმა

ამოიღე. დააჯერე ცალფეხა ღერსუნი, რომ ეს სიზმარი კი არა, ცხადია.

ღერსუნმა სახე ჩემს მკერდში ჩამალა. მე კი თითქოს ყელზე შემოჰქერილი თოკი მოვიხსენი და ვკითხე:

— ფეხი ომში დაკარგე?

— ტუნისის უდაბნოში დავუტოვე მშიერ მგელს. როგორც იქნა მოვალწიე აქამდე კოკლობით და მალე მამაც დავმარხე. ახლა მარტოდ-მარტო ვტრიალებ ცალ ფეხზე.

— დიდსულოვანი კაცი იყო მამაშენი, მის სიკეთეს სიკვდილამდე არ დავივიწყებ.

— მამა დიდხანს სიცოცხლე გვისურვა. დე, დღევანდელი დღე მომავალი დიდი სიხარულის საწინდარი იყო.

— ნუ მაწვალბ, ღერსუნ, მითხარი, ჩემებს რა მოუვიდათ?

— სელომ ფაშა რომ მოგიკლავს იზმიდში, მატა უგენბელი დაბრუნებულა შინ. როგორც მამაჩემმა მითხრა, ჰამირაზა, მატა და დედამენი სადღაც წასულან. მის მერე მათი ამბავი არ გამოვიცა, ზურყან. უბიხების აქედან გადასახლებაში კი შენ არავითარი ბრალი არ მივიძღვის. ეს შარდინს, ალოუს ძეს ადევს ცოდვად. ამაზე მერე ვიამბობ, ახლა კი ნამგზავრი ხარ და წაიხეშე.

სუფრას მიუუქვით. ზედ თევზი, შუაზე გადატეხილი ქაღი და დაქრილი ხახვი იდო. ცეცხლზე სპილენძის ყავადანი იდგა. გარეთ ჩამობნელდა. თოვლა და პოტივით ვაპკიოდა ქარი. ქრაქის ფითილი ბეუტავდა და ღერსუნმა რამდენჯერმე მოაცილა ქვარტლი. მკრთალი შუქი ანათებდა ჩვენს ღარიბულ სუფრას.

— მამატე, ზურყან, ასეთი ღარიბული ტრაპეზი რომ გვაქვს. რომ მცოდნოდა მოხვიდოდი... მეზობლებისაგან კი ვერაფერს ისესებ, ახალმოსახლეები არიან. შენნაირ სტუმარს ისეთი დახვედრა უნდა, ჩემი პაპები რომ ხვდებოდნენ ხოლმე სანატრელ სტუმარს საქართველოში. ხარი უნდა დამეკლა და მკვარი მომეხადა. — ღერსუნმა ხელები

გაშალა — აი ამხელა ქვევრმა შეგობრე... ბი უნდა მომეპატიოე საქმილად. გვესვა გვეპამა, გვემღერა, ცეცხვა-თამაში უნდა გვექონოდა მთელ კვირას, მაგრამ — ღერსუნმა მწარედ ამოიოხრა — საღარის მშვენიერი საქართველო და საღ ჩვენ.

— სიტყვა ისე პატარაა, ენის წვერზე ეტევა, ყველას გულს კი იპყრობს. მე ასეთ გემრიელ სუფრასთან რა ხანია აღარ ვმჯდარავარ.

ქარმა ღრუბლები მიმოჰფანტა. თოვლი ქყაად იქცა. ცაზე მომწვანო ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ღერსუნმა შეშა შეუმატა ცეცხლს და აედელზე ყვითელი ლაქები აცეკვდნენ. ცეცხლთან მივწეკით. ძილი მომერია და ქუთუთოები დამიმძიმდა...

* * *

გუშინ დავპირდი, შვილო, დაწვრილებით მოგიყვები, რა ჩაიდინამეთქი შარდინმა. როგორც სანდალის ხე არ არის წანაზარდების გარეშე, არც ხალხია, ერთი მახინჯი მიინც რომ არ ერითს. თქვენ, აფხაზებს მან ქამლათი გყავთ ასეთი. ჩვენ კი უბიხებს — შარდინი, ალოუს ძე. ამბობენ ჭიშინი ხეები ღმერთთან მივიდნენ ნაჯახზე საჩივრითო. ღმერთმა კი ასე მიუგო: „ისიც თქვენი ჭიშისაა, ტარი ხომ ხისა აქვსო“.

აბდულ აზიზის ცოლისძმა თურქეთის დივანის გავლენიანი პირი ვახლდათ. ძალაუფლება თვითდაჯერებას ბადებს. ხან სიტყვით და ხან საქმით დღითოდლე იმრავლებდა შარდინი, ალოუს ძე მტრებს. პირში უღიმოდნენ, ზურგს უკან კი მიწაში დებდნენ. თავის თანამემამულეებზე უბრალო ფიქროთა კი არ იწუხებდა თავს. ოსმან — ქოი მხოლოდ მაშინ ვახსენდებოდა. გლეხებისაგან ვადასახადების წაგლეჯვის დრო რომ მოვიდოდა. ჩინოვნიკებთან და მოხელებთან საქმეებს აკვარაბჭინებდა, რისთვისაც სინდისის ქენჯნის გარეშე იღებდა ქრთამებს, ისე გამდიდრდა,

ათი ფაშაც ვეღარ გაუტოლდებოდა. ისეთ გარყენილების მორევში გადაეშვა, თვით ჰარამხანის მფლობელებიც კი. გაოცებული იყვნენ. მამბზღარობდა ერთმანეთზე აქეზებდა და მამლებით აჩხუბებდა კარისკაცებს. ეშინოდათ კიდეც მისი და ეზიზღებოდათ კიდეც. თვით დიდი ვეზირი — ბებერი მელა საბაბს ეძებდა სატახტო ქალაქიდან სადმე შორს რომ გაეგზავნა და თავიდან მოეშორებინა. ისიც კი მოახერხა, რომ სულთანს წარჩინებული უბიხისთვის ფაშის წოდება აბოძებინა, რათა ოცნება აესრულებინა და ჯარში გაემწყვებინათ, მაგრამ შანდა იცავდა ძმის ინტერესებს და დიდი ვეზირის მანერებმა ამაოდ ჩაიარა.

ან შარდინს როგორ უნდა შეეკავებინა თავი ცოტუნებისაგან, როცა თვით სულთანი ფლანგავდა სიცოცხლეს დიდებსა და სასიყვარულო პაემნებში, ქეიფსა და ნადირობაში. თაყვანისცემით, მდიდრული საჩუქრებითა და ნაირნაირი ლაშაზმანებით მოთენთილი სულთანი ერთ მშვენიერ დღეს ისე ჩამოაგდეს ტახტიდან, ერთი ტყვიაც კი არ გაუსროლიათ. შორეულ მამულში გამოამწყვდიეს და მალე დაქირავებული მკვლელის ხელით სიცოცხლესაც გამოასალმეს. აბდულ აზიზის ტახტიდან ჩამოგდებაშ შარდინის, ალოუს ძის წინააღმდეგ გააერთიანა კარისკაცები. ერთმანეთისადმი ყოველგვარი შუღლი, მტრობა მტრობა დაივიწყეს და ერთად შემჭიდროვდნენ სულთანის ცოლისძმის სიძულვილით აღგზნებულნი. შარდინი შეიპყრეს, გაასამართლეს და შეაჩვენეს. მთელი მისი ქონება სტამბოლში და მიწები ოსმან — ქოიში ჩამოართვეს და სახელმწიფოს გადასცეს.

ახალი სულთანი მურატი ივადმყოფი, ნახევრად სულელი, უნებისყოფო კაცი იყო და სახელმწიფოს დიდი ვეზირი და ზედმიწევნით წარჩინებული ფაშები განაგებდნენ მისი სახელით. ქვეყანა მართლაც რომ ბორბალს ჰგავს. დღეს

თავზე ხარ მოქცეული, მაგრამ ციფრებს ტყუენებს ბედი და უკვე ქვეშ მარცხები მტვერივით. ის ვინც გუშინ ცახცახებდა შარდინის, ალოუს ძის შიშით, დღეს თვლებში აფურთხებდა და ძაღლს ეძახდა. ციხეში გამომწყვდეული ყოფილი მთავარი მიხვდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, თავს მოერია, შრაზი დაიოკა და შურის საძიებლად ხელსაყრელ დროს დაელოდა. დიდი ვეზირის სახელზე თხოვნა გააგზავნა სადაც სურვილს გამოთქვამდა, რიგით ჯარისკაცად გაეგზავნათ ოშში.

«ეს კი დასაშვებია, — გადაწყვიტა დიდმა ვეზირმა, — იქ უღირსს სხვები თუ არა, შენაინებივე ავიგებენ ანდერძს».

და აი, შარდინი, ალოუს ძე. უბრალო ასკერის ტანსაცმელში გამოწყობილი, ციხიდან გამოვიდა. დღემდე საიდუმლოდ რჩება თავისი მოფიქრებული შურისძიებით მოქმედებდა ყოფილი პატიმარი, თუ დაქირავებული მკვლელებით გამოთყენეს ტახტიდან ჩამოგდებული სულთანის მომხრეებმა.

შუალაშე გადასული იყო, როცა სტამბოლის ცენტრში ტაშმანტაში მინისტრ მიხდატ — ფაშას სასახლის წინ შარდინი, ალოუს ძე გამოჩნდა. მან წინასწარ იცოდა, რომ ამ დროისათვის აქ უნდა ყოფილიყო სერასკირი პუსეინ აგინი — ფაშა და ოთხი მინისტრი საიდუმლო მოლაპარაკებისათვის შარდინს, ალოუს ძეს ლაბადის ქვეშ ორი ნაგანი და ხანჯალი ეკიდა. არ ვიცი პარალი იცოდა, დად, და არ ვიცი — საიდუმლო შესასვლელი. ეს კია, რომ უბიხი თავადი სწორედ იმ ოთახში აღმოჩნდა სადაც სამხედროები თათბირობდნენ. პირველი გასროლისთანავე შარდინმა, ალოუს ძემ უსულოდ დასცა საგარძელში ფეხზე წამომდგარი სერასკირი. მეორე ტყვიამ კაბიტან აჰმეთ კაისარლის გაუხვრიტა შუბლი. რაიტ-ფაშას კი ხანჯალი ჩასცა შარდინმა, ალოუს ძემ. შარდინი ფარეხში შევარდნაო მგელს გაგდა თუმცა, დახოცილებიც მგლის ჯი-

შისანი იყვნენ. ორმა კაცმა მაგიდის ქვეშ შეძვრობა მოასწრო. მცველები არ დაიბნენ და მესამე გასროლა ვეღარ მოახერხა შარდინმა. ალოუს ძემ, მცველებსმა ხიშტებზე წამოაგეს.

სამხედრო მინისტრისა და მისი დაახლოებული პირების მცველობის ამბავსა ქვეყანა შეაძრწუნა. ძმის სიკვდილი რომ გაიგო, შანდამ თავი პოიწამლა, რაჟი მაშინვე იყნოსა, რასაც უქაღდა ყოველივე ეს. დაიწყო გამოძიება. კარგად მოგეხსენება, როცა მოპასუხე გვედარია, სხვის მოკლულ ძაღლსაც მას დააბრალებენ. ვიღაცის წამება და ვიღაცის შეწყალება, ვიღაცის დაცემა და ვიღაცის დაწინაურება; მოუყარეს ყველაფერს თავი. ერთმა კენჭი დადო, მეორემ — ტვირთი მოიტანა, მესამემ არ იძუწა და მთელი ქალაქის მექორებები დაიჭირა და ცოდვების გორა გაჩნდა, აიღეს და ყველაფერი შარდინს ალოუს ძეს დაატეხეს თავზე.

ის არაკაცი, სელიმ-ფაშაც გაიხსენეს. არაკაცი ჩემთვისაა, თორემ სხვებმა ლამის წმინდანად აღიარონ. „ო, რა ღირსეული ადამიანი იყო. მერე და რა ჭკვიანი. ასეთებს სანთლით ვერ იპოვნი, ისიც უბიბის ხელით ჩავიდა სამარეში“.

ზღვის ლეღვას ქარი იწვევს. ხალხისას — ყურმოკრული ამბები.

„აბა, გაიხსენეთ, ვინ მოჰკლა სელიმ-ფაშა? — ვიღაც ჩერქეზმა ზაურყან ზოლაქმა! — ვიღაც ჩერქეზმა? ვიღაც კი არ, ის შარდინის კუჭმუტის შვილი იყო და სელიმ ფაშაც შარდინის, ალოუს ძის დავალებით იყო მოკლული. მერე მთელი მისი პარამხანის ქალები თვითონ წაიყვანა ხასებად.“

მართლაც თოფის არ უნდა გეშინოდეს ისე, როგორც ჭორის. ისიც გაიხსენეს, რომ სიკვდილი მქონდა მისჯილი და განაჩენის სისრულეში მოყვანა კი კიანურდებოდა.

„შარდინი, ალოუს ძე რომ არა, აბა ვინ დაიხსნიდა ზაურყან ზოლაქს ჯა-

ლათისაგან“? „იმ ზაურყან ზოლაქის ციხიდან გაქცევაც შარდინის მოწყობილია. „რა თქმა უნდა, ერთი ჭურისანი არიანი“ — „საინტერესოა, სად იმალება სელიმ ფაშის მცველი“? — „ვინ იცის, რამდენი კაცი მოკლა, რაც ციხიდან გაიქცა?“

მითქმა-მოთქმა ქვეყანას ანგრევს და აი, თურქეთის ზაფთიამ ბრძანება მიიღო, მოეძებნათ ზაურყან ზოლაქი! სად არ მეძებდნენ რომელ ქალაქსა და სოფელში, მაგრამ იმ დროს მე, ქარიმ ეფენდის ქარავენში ვიყავი უმისამართო სპარაში. და აი, ყველაზე საშინელი რამ მოხდა, სელიმ ფაშასა და სერასკირის სიკვდილი მთელ უბის ხალხს აზღვევინეს. გამიგონია ასეთი რამ წინათაც მომხდარა ცისქვეშეთში.

„ვინ არიან ეს ჩერქეზები, თუ როგორც თქვენ უწოდებთ უბიხები?“ — „როგორც ამბობენ, ყველანი ყაჩაღები ყოფილან. წესიერები რომ ყოფილიყვნენ, არც რუსეთის მთავრობა იუკრავდათ გუდანაბადს“. — „ისლამის რჯული კი მიიღეს, მაგრამ მუსულმანებს არაფერი შემატებიათ ამით“. „ცუდადაც არ მოწყობილან, მაგალითად, ოსმან-ქოში“. — „მერე თქვენ იცით, რომ ოსმან-ქო შარდინის, ალოუს ძის დამქაშების ბუდეა?“ — „მთავრობამ ყველა მპაჯირი ქვეყნის განაპირას უნდა გაასახლოს“. — „ყველას ერთად გადასახლება არ შეიძლება, საშიშია. სხვადასხვა ადგილის გადასახლება გაცილებით სიომეფოა. ზოგი დაიხოცება, ზოგი კიდევ თავის ენასა და ზნე-ჩვეულებას დაივიწყებს და ჩვენს გლეხებს შეერევა.“

ფაშები დავობდნენ უბიხები კი განტევების ვეცად ექცნენ. დააცალკევეს და ბაღრაგის თანხლებით ვინ იცის, სად გარევეს. რაც ზურგზე აიკიდეს, ის იყო და ის, სხვა რამის წალების ნება არ დართეს. როცა მპაჯირები თურქეთისკენ მოდიოდნენ, რაღაც იმედი მაინც გაჩნდათ. ახლა კი ცხე-

ნოსანი ასკერების ჩრდილებთან ერთად მხოლოდ უიმედობადა სდევდათ თან.

ყველაფერი ეს მაშინ მოხდა, მე რომ აფრიკაში დავეხეტებოდი.

• • •

წუხელ ერთმანეთს რომ დავეშორდით, ზაურყანი ისე დალილი იყო, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მეშინოდა კიდევ. მაგრამ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე აღვა. ის კი არა და თავის შავ ძაღლს რომ მოუხმო სტვენით და აქამა კიდევ დიდხანს იდგა ეზოში. ეფერებოდა ძაღლს; ხან ზურგზე უსვამდა ხელს, ხან აიძულებდა, ამხტარიყო, ხან კიდევ აღამიანივით ელაპარაკებოდა.

— ეს ბუზები რომ არა, აქეთ-იქით რომ გატრიალებენ, ალბათ მოწყენილობისაგან მოკვდებიან, შე საწყალო! აბა, გეყოფა, ახლა მოშორდი, შე საცოდაო, თეთრი ფერის მაინც გაჩენილიყავი, იქნებ ღამეშიც დამენახე ამ ჩაბნელებულ სოროში, ჩემმა ბედმა რომ შემავლო.

ძალი წკმუტუნებდა და ფეხებზე ეტმასნებოდა პატრონს. აღარ შორდებოდა, თითქოს უხაროდა მისი დღევანდელი ენაწყლიანობა.

„სხვა დროს საქმელს მიუგდებდა თუ არა, ყვირილით იშორებდა თავიდან. დღეს ეტყობა, დილიდანვე კარგ ხასიათზეა მოხუცი“. — გავიფიქრე მე.

საუბრის შემდეგ სასაუბროდ რომ დავჯექით, ჩემი ვარაუდი გამართლდა; ზაურყანი მართლა კარგ ხასიათზე იყო. ხშირად ურთავდა თავის ნაღვლიან ამბავს ანდაზებსა და ხუმრობებს. თვითონაც იცინოდა და მეც მაიციებდა.

მისმა კარგმა ხასიათმა გამაბედვინა და როგორც იქნა ვკითხე, რისი გაგებაც დიდი ხანია მინდოდა და ვერ ვახერხებდი:

— ამ ხნის განმავლობაში ქალები არ შეგხვედრიათ?

— როგორ არა, — მიბასუხა მან, — მე ხომ ვიამბე იმ ქალზე, რომელიც

მიყვარდა, მაგრამ ორივეს ზურგით ვაქცია ბედმა. იმის მერე მისი მხარე მყვარებია. ისე კი, რა თქმა უნდა, იყვნენ ქალები... რაზე ვიამბო? რაც იცი, თუ რაც არ იცი? თვითონ თუ არაფერი იცი ქალებზე, მაშინ მე ვიამბობ. თუ იცი და, გამეორება რაღად გინდა? შემეშინდა, ჩემმა შეკითხვამ არ გააბრაზოს-მეთქი ჩემზე სამჯერ უფროსი კაცი. მაგრამ ზაურყანი ჩემს ცნობის-მოყვარეობას ჩვეულებრივად შეხვდა. გაიხუმრა მხოლოდ, ეს იყო და ეს.

მისი დაძარღვეული დიდრონი ხელე-ბი, ბებერი კაცის ხის მიწიდან ამოშვერილ ფესვებს რომ ჩამოჰგავდნენ, მშვილად განისვენებდნენ მუხლებზე. შემდეგ ჩაფიქრებულმა თითებით წვერს დაუწყო წვალბა; რამდენჯერმე ჩამოუსვა ხელი და ჩემი შეკითხვით შეწყვეტილი თხრობა განაგრძო.

• • •

გაზაფხულამდე მკვდელ ღურსუნთან ცეცხვრობდი, მაგრამ პურს მუქთად არ ვჭამდი. შემას ვეზიდებოდი ტყიდან, კერიაზე ცეცხლს არ ვაქრობდი საქმელს ვამზადებდი, ვრეცხავდი კიდევ და ტანსაცმელსაც ვაკერებდი. არცერთი საქმიანობა არ არის სათაკილო, გინდ კაცის იყოს და გინდ ქალის. მკვდლის ბელობასაც შევეჩვიე, ღურსუნის შეგირდი გავხდი. ისე ვამოვმედავდი წალს, ნაჭახსა თუ ბარს, რომ თვით ღურსუნიც კი მიჭებდა ნახელავს. ახალგაზრდა ვიყავი და თანაც ჯან-ღონიანი, გაჭიუტებულ ცხენსაც კი წამოვაქცევდი მიწაზე და ოთხივე ფეხს დაუჭედავდი. ღურსუნს უხაროდა ჩემი სიმარჯვე.

— სულთანის ყურამდე რომ მიალწიოს შენმა ამბავმა, სასახლის კარის მკვდლობა არ აცდებდა და არაბული ბელაურების დაჭედვა მოგიწევს.

როცა სამკვდლოში სამუშაო არ იყო, სოფელ-სოფელ დავდიოდი: ვის შემას ვუჩხავდი, ვის საჯანბოსა და ბოსელს ვუწმენდი, ვის კიდევ ბალახს ვუთიბავდი. წვერ-ულვაში გა-

ვიზარდე, რათა ყოველ შემხვედრს არ გეცნე. ღურსუნის ბიძაშვილი ვარამეთვი ვამბობდი, ორდიდანა ვარ და თოუფიკი მქვია-მეთვი.

სამქედლოში ყოველთვის ხალხმრავლობაა. ზოგი საქმისათვისაა მოსული, ზოგი კიდევ ისე შემოივლის, ზოგ ახალ ამბავს თვითონ იტყვის, ზოგს კიდევ სხვისგან გაიგებს. თუმცა ღურსუნი ბიძაშვილსა და თოფიკს მეძახის, ვიცი, მოვა დრო, ვილაც მიცნობს და მე რომ წამაცლიან თავს, ეს კიდევ არაფერი, დაუთის შევილსაც არ დაადგება კარგი დღე ჩემი შეფარებისთვის. პოლიციის სიაში შეტანილი ვარ, როგორც გაქცეული სახელმწიფო დამნაშავე და ბოროტმოქმედი.

• • •

გაზაფხულზე ყველაფერი იღვიძებს, ყველაფერი მზისკენ მიიღტვის. ყოველ ეოცხალ არსებას ახარებს სითბო და იმედით აღსავსე სინათლეს ეტანება. დახვსებული ბებერი კუნძიც კი ამოაყრის ხალხე წვრილ-წვრილ ყლორტებს: ფესვები სიცოცხლეს ებღაუჭებთან. მე კი ვინა ვარ? ხალხის ფესვებზე ამოხეთქილი ტოტი ვარ. ჩემი ხალხი კი ოსმან-ქოიდან ამოუძირკვავთ და უნაყოფო მიწაზე გადაურგავთ. მე ამ ფესვებზე მოგლუჯილი და წყლიან სურაში ჩადებული პატარა ტოტი ვარ.

ჩემი კიდევ ზამთარში, ცეცხლზე მიფიცებულები ვაწყობდით მე და ღურსუნი გეგმებს, როგორ მიმედღია ჩემიანებამდე უხიფათოდ. გადაწყდა, რომ ზღვა უფრო საიმედო იყო. მაშინ იზმიდამდე ფეხით უნდა მივსულიყავი. იქ ღურსუნის ერთგულ კაცთან გავჩერდებოდი. მერე კი კონტრაბანდისტებს გავყვებოდი იალქნიანი სანდლით მერსინის ნახევარკუნძულისკენ. საზღვაო დაცვის თვალის ასახვევად ნახევარკუნძულს გარშემო შემოვუვლიდი და ნავმისადგომში ჩავიდოდი. მერე კი იქვეა... მაგრამ დამზრჩეალივით მწყალობდა ბედი.

იზმიდში შიმშილის მოსაკლავად სულხმეში შევედი. იქ ჩემნიირი დატაკები დადიოდნენ. ჩაბნელებულ კუთხეში მივჯექი და იაფიანი შეჭამანი და ქიქა ყავა შევუკვეთე. წაფიხმსე მაგიდებს შორის გასასვლისკენ გავემართე. უცხად ვილაც შეგვკრემანის თვალებს შევეფეთე. სახე თითქოს მეცნაურა, შემფოთებულმა მეხსიერება მოვიშველიე, მაგრამ ის ვერაფერს შეუძნებოდა. ვარეთ გამოვედი და ბაზრისკენ მიმავალ ბრბოში გავერიე. კეფით ვგრძნობდი, რომ ვილაც მითვალთვალებდა. ცოტაც და ზურგს უკან ხმამალაი ყვირილი გაისმა:

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ! ეს ჩერქეზია! ამან მოკლა სელიმ ფაშა!

მოვიხედე და ის შეგვკრემანი დაგინახე. ახლა კი ვიციანი: ის ერთ-ერთი იმ მსახურთაგანი იყო, ხელები რომ გემიკრეს სასახლის ბაღში, შადრევნის ახლოს, როცა იმათი ბატონი უკვე ცისფერი აუზის ფსკერზე ეგლო და სისხლიან ბუშტებს უშვებდა პირიდან. ხალხი განზე გაბტა და სად იყო და სად არა, თითქოს მიწიდან ამოძვრენო. პოლიციელები მეცნენ. უიარაღო კაცის ხელების გადაგრებვას, მოგვხსენება, დიდი ამბავი არ უნდა და ერთ წუთში გამკოჭეს.

პირილობის სიმღერა

ჩემი დაჭერიდან ცოტახნის შემდეგ იზმიდში სასამართლო შედგა. მე თვითონ არ ვიცი, რამ შეარბილა მათი გადაწყვეტილება. ეს კია, რომ სიკვდილის ნაცვლად სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს.

საპყრობილე, სადაც ჩამსვენს, ძველ ციხე-სიმაგრეში იყო მოთავსებული, რომელიც მარტოღმარტო და პირქუშად აღმართულიყო მთის მწვერვალზე. ციხეს სამი მზრიდან უფსკრული ერთმყოდა ვარს. მეოთხე მხარეს რკინის ქიშკარი ჰქონდა. სიიდანაც წვრილი ვზა მიდიოდა ქედის თხემისაკენ. საბედნიეროდ, ციხის კედლები აგურიით კი

არა კლდოვანი ქვებით იყო ნაგები და საგრილეს გამოსცემდა. ისე კი კედლები ყოველთვის მშრალი იყო. ამ ციხიდან ცოცხალი თითქმის არავინ გამოსულა და ასეც უწოდებდა მას ხალხი: „მოუსავლეთი“.

ჩემი საკანი ერთადგილიანი იყო. მაგრამ თუ მოისურვებდნენ, მეორესაც დაატევდნენ. შუქი პატარა სარკმლიდან შემოდოდა. უფრო სწორად სარკმელი კი არა, პატარა ბაგვის თაგვის ხელა ხერელი იყო დატოვებული კედელში კაცის სიმაღლეზე. ხერელის კედლები პატიმრების სახეებით იყო დატკეპნილი და აპრიალებული, ათეული წლობით რომ ეწებებოდნენ ზედ თავისუფლებისა და ჰაერის მონატრულნი.

პირველ ხანებში დღეებსა და ღამეებს ვანგარიშობდი, შემდეგ კი რიცხვიც ამერია და სათვალავიც. საკანის კედლებს ყურები რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, რამდენ გულისწამლვას ყვირილსა და წყევლა-კრულსაც გაიგონებდნენ. ლაპარაკს არ გადაეჩვიო-მეთქი და ვინ იცის, რას არ ვიძახოდი. არც მოლა, არც ზედამხედველი და არც ნათესავი, ისევე ისე ამ ყრუ კედლებს ჰქონდათ მისჯილი მომაკვდავის ჩურჩულისა და მისი იშვარად აუზღენელი უკანასკნელი სურვილის მოსმენა.

შბოლოდ ერთი რამ მანიჭებდა სიხარულს: სარკმელს აქეთ-იქით ჩაქუცვტილი ადგილი ჰქონდა. ეს პატიმრების ხელისგულებისაგან იყო, ზედ რომ ეკვროდნენ კედელში ჩატანებულ გრილ ხერელს, რათა მზისთვის მოეკრათ თვალი, ეგრძნოთ მისი ცხოველყოფელი სითბო უსისხლო ტუჩებზე და აუჩქარებლად ჩაეწურათ სუფთა ჰაერი დასუსტებულ ფილტვებში.

მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ხატბად მეტკირა გარემოსთვის და სანამ თვალები არ მეტკინებოდა, მეთვალთვალა, რა ხდებოდა ჩვენს მოშორებით...

როგორც წესი, ახალგაზრდა იდამიანის მზერას, თუ კი ის თავისუფალი

არის, არ ძალუძს საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვება. ის თითქმის ყველგანს ზედაპირულად უყურებს; აქ კი საკანში, ახალგაზრდა პატიმრებიც იძენენ უნარს შენიშნონ ისეთი წვრილმანიც კი, როგორც მაგალითად ჩიტის გაფრენა, ან კლდის ნაპრაღში ყვავილის აღმოცენებაა. მე, ისევე როგორც ოდესღაც ჩემი წინამორბედი, შუბლს მივყარდნობდი ხოლმე უჩარხოთ სარკმლის ზედა კედეს და ასე გამყავდა დღეები.

ზაფხულის კარგ ამინდში, ნაშუადღევს, როცა მზე მთის მწვერვალის თავზე მოექცეოდა, საკანში მისი სხივები თითქმის თანაგრძნობით შემოიქვიტავდა და მოპირდაპირე მზარეს, ერთ ქვას მიანათებდა ხოლმე. სანამ სხივი არ გაქრებოდა, მის წინ ვიდექი და ისე მათბობდა, როგორც ცეცხლიდან მონაბერი ჰაერის თბილი ნაკადი. შემდეგ კი მზის ჩასვლას ვეკვირდებოდი. მთის თავზე ცა არწივის სანადიმო ადგილად მეჩვენებოდა, რომელსაც ის-ის იყო ახალი მსხვერპლი გაეგლიჯა.

უძილო ღამეებში ჩაბნელებული მწვერვალის თავზე მოციმციმე ვარსკლავებს ვებაასებოდი. ისინი ყოველთვის სხვადასხვანაირად ანათებდნენ. ხან კაშკაშებდნენ და ხან ბუტბავდნენ. ხანდახან მოწყვეტლნი ვარსკლავი გადაახავდა უკუნეთს და მაშინ ჩემი წარმოსახვა იმ ადამიანს ხატავდა, ვისაც იმ წუთებში განეშორა სული. „დიდებული კაცი იყო“ — ნაღვლიანად ვფიქრობდი მე, რადგან მტკიცედ მჯეროდა, რომ ცული კაცის სიკვდილს ცა არავის ამცნობდა.

აბოლქვებული ღრუბლების საომარი მოქმედება კი შფოთიანსა და ვაკაცურ ლაშქრობას მგაონებდა. ღრუბლები შიგნიდან დატოტვილი ცეცხლით ნათლებოდა და ერთიანად ბუტბუნებდა და გრიალებდა. ხანდახან ქარიშხალი ქვის ხერელიდან რამდენიმე წვეთს მომაშხებებდა და მაშინ ცრემლიან თვლებით გლოცულობდი.

— ო, ყოვლისშემძლევ! თუ გსურს ღელამიწა გამოაცალო აღამიანთა მოდგმას, თუ გსურს თავს დაატეხო მათ ცით მოვლენილი რისხვა გვედრები, მხოლოდ აქ ჰქმენი ეს, რომ ეს ციხესიმაგრე და აქაური წამებულნიც და მწამებულნიც უფსკრულში შთაინთქანს! მაგრამ უფალს დახშული ჰქონდა სმენა და ჩემი ლოცვა არ ესმოდა. დმერთს თუ ვინმე დაავიწყდა, საუკუნოდ დავიწყებული იქნება.

დილეგში გამომწყვდევის პირველ ხანებშივე შევნიშნე უფსკრულის მეორე მხარეს მერხერი ხეებით გარშემორტყმული ერთადერთი ეზო. ეზოში პატარა თიხით შელესილი სახლი იდგა. სახლს უკან ბეღელი ქონდა მიდგმული, ცოტა მოშორებით კი ბოსელი იდგა. მალე გავიგე, რომ სახლში ოთხი სული საგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობდა: კაცი ასე ორმოცი წლის იქნებოდა. ქალებიდან ერთი ახალგაზრდა იყო, მეორე — ხნერი. ერთი პატარა ბიჭიც ჰყავდათ. უფროსები გულბელდაკრფილი არ იყვნენ; იწათებდა თუ არა, მაშინვე იწყებდნენ მუშაობას. ბიჭი კი თავისთვის თამაშობდა.

გადიოდა დრო. მე ამ თურქი გლეხის ოჯახის ყველა წვრილმანი ვიცოდი უკვე. თითქოს უჩინრად ცხოვრობდნენ მათთან ერთად, ერთ ჰერქვეშ. დილით რომელიმე მათგანი გარეთ თუ არ გამოვიდოდა, ველავდი — ნეტა ავად ხომ არ გახდა? გამოვიტყდები, შარახ, რომ იმ ოჯახს უნდა ვუბალოდოდი იმდენხანს რომ გაქცეული ქვის ტომარაში გამომწყვდეულმა. თითქოს ის ოჯახი მაწვდიდა სასმელსა და საჭმელს, მამხნევებდა, შარტოობისაგან რომ არ შევშლილიყავი.

გრანიტის სვრელიდან ვაკვირდებოდი მათ ცხოვრებას და მივხვდი, ორივე ქალი ოჯახის უფროსის ცოლები იყვნენ. ადრე ალბათ უფრო შეძლებული იყო და ორი ცოლის რჩენაც შეეძლო. ამ თურქული ოჯახის ყველა წევრს უბიხური სახელები დავარქვე. მსგავსი

ოჯახი ვაიხსენე კავკასიიდან. იმეც ოთხნი იყვნენ: ოჯახის უფროსი, მისი ცოლი, და პატარა ბიჭი. სწორედ იმათი სახელებით მოვნათლე ჩემი ნაცობები უფსკრულის მეორე მხარეს. კაცს შმათი დავარქვე, მის პატარა ბიჭს ნავეი უფროს ქალს. ხმელ-ხმელსა და შავგვრემანს — შამსია, ახალგაზრდას, მკერდსავსეს — რაფიდა. ის იყო ნავეის დედა.

უბიხებს მრავალცოლიანობა ოდითგანვე გვეკრძალებოდა. ცოლიანი კაცი მეორე ცოლს ვეღარ მოიყვანდა. ასეთი რამე თუ მოხდებოდა, პირველი ცოლი არას დიდებით არ გაჩერდებოდა ქმართან ერთ ჰერქვეშ, მშობლები ან ძმები წაიყვანდნენ უკან, ქმარს კი ამ შეურაცხყოფისათვის სიკვდილი ემუქრებოდა.

პირველად რომ დავინახე ნავეი, ასე ხუთი წლის თუ იქნებოდა. მკვირცხლი ბიჭი იყო, ერთ ადგლას არ ჩერდებოდა. ხან შავ ძაღლს ეთამაშებოდა ეზოში, ხან წითელ მამალს დასდევდა და ხან ჩეროში იჯდა და წყნელებისა და ქვებისგან რაღაცას ლობავდა და აშენებდა. უფროსები არ ერეოდნენ მის საქმიანობაში. ღელამისი წყალზე თუ წავიდოდა, ბიჭი უკან მისდევდა. ყველაზე მეტად ღელინაცვლის ეშინოდა. თუ დაეცემოდა, ან ფუტკარი უქებნდა, ღრიალს დაიწყებდა, მაგრამ საკმარისი იყო ღელინაცვლის ერთი შეყვირება და მაშინვე მოიწმენდა ცრემლებს და ჩუმად სლუკუნებდა.

ერთხელ, კობტად გამოწყობილი, ღელამისს წაჰყვა სადღაც. შეიძლება სტუმრად წაიყვინა ვინმესთან ან ქალაქს გაემგზავრა. თუ დაიჭერებ, დად, ისე მოუთმენლად ველოდი მათ დაბრუნებას, თითქოს რაფიდას ქმარი ცყოფილიყო და ნავეის მამა.

შამსიას ყოველთვის შავები ეყვია და არასოდეს იღიმებოდა. ეტყობა უშვილო ქალი იყო და ეს ადარდებდა. როცა შმათმა შინ ახალგაზრდა ცოლი მოიყვანა, მთლად გაუტარილდა გული ქმრო

სადმი, მაგრამ უცხოდ მიიწვია არ თვლიდა თავს ამ ოჯახში, პირიქით ყოველნაირად ცდილობდა ეჩვენებინა, რომ პირველი დიასახლისის უფლებები მას ენიჭებოდა. ამას აღსტურებდა ხმამაღალი აყალ-მაყალი, რაც იშვიათად თუ ატყუებოდა ხოლმე ოჯახში. შმათი განცალკევებით ცხოვრობდა. თითებზე თუ ჩამოითვლი დღეებს, როცა მის ეზოში რაიმე საქმეზე ან ისე საბაზროდ ვინმე შევიდოდა. ისინიც ალბათ მეზობლები იყვნენ მეზობელი სოფლიდან. როგორც დავისკენი, შმათი ძვირად მოლაპარაკე და ღინჯი კაცი იყო. ნელა დადიოდა, არც სამუშაოს ეცემოდა ხოლმე უცბად. მოსაწვევად თუ დაჯდებოდა, ყოველთვის რალაცაზე ფიქრობდა. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა დილიდან დაღამებამდე მუშაობდა.

მახსოვს, ახალი გაზაფხული იყო, მთის ფერდობები მწვანედ ბიზინებდა. შმათი კი რალაცით დანაღვლიანებული იყო და ხენას არ იწყებდა. გუნებაში ვაგინებდი: რას კარგავ-მეთქი ძვირფას დროს, აქეთ-იქით დადიხარ და მეტი არაფერი. თუ ვერ ხედავ, რომ გუთნის მოკიდების საუკეთესო დროა. თურმე საწყალს ხარები არ ჰყავდა და ელოდებოდა როდის დაამთავრებდნენ სხვები ხენას. გვიან დათესილი სიმინდი კი იშვიათად იძლევა კარგ მოსავალს.

მოახლოვდებოდა თუ არა ზამთარი, შმათი ნაჯახს გაღუსავდა, ოჯახის წევრებს დაემშვიდობებოდა, მხარზე ხურჯინს გადაიკიდებდა და შინიდან მიდიოდა. წაივლიდა და გაზაფხულამდე აღარ გამოჩნდებოდა. თუ დიდი თოვლი მოვიდოდა, შმათი ერთი ან ორი დღით გამოჩნდებოდა, სახლს ვადათოვლავდა, ეზოს გაასუფთავებდა, შეშას დაჩეხავდა, ერთადერთი ძროხისთვის საკვებს დაამზადებდა და ისევ წაივლიდა. ჩემი აზრით, სადღაც მთის ვადაღმა ხეტყეს ამზადებდნენ და შმათიც იქ დადიოდა საშოვარზე.

როცა შმათი ცოლებთან ერთად სიმინდს თოხნიდა, თუ თამბაქოს რგავ-

და მეც განუყრელად მათთან ვყოფივართ, ნესტოებს ნახად ელამუნებოდა მიწის სურნელი და სისხლს მიჩქროლებდა ხოლმე. თითქოს მავიწყდებოდა კიდეც ციხეში რომ ვიყავი გამომწყვდეული, საიდანაც გამოსვლა არ მეწერა.

აღმართზე მიმავალი, მძიმედ დატვირთული ურემივით მიიზღაზნებოდნენ წლები. ჩემი დაპატიმრების დღეს მკერდამდე მოშვებულ წვერში ერთი თეთრი ბეწვიც კი არ მერია, ხოლო როცა ნავემ პირის პარსვა დაიწყო, თითქოს ფქვილი შეაყარესო, ისე მქონდა გაჭალარავებული. ეიხეში გატარებულ წლებს შმათის ბიჭის ზრდის მიხედვით ვითვლიდი. ნავეი ჩემი კალენდარი იყო...

* * *

ღამის დარაჯმა განგაში ატეხა. ისმოდა სტეენა და ყვირილი, ისროლეს კიდეც. ალბათ ვინმე გაიქცა-მეთქი გავიფიქრე.

დილით კი ფანჯარასთან რომ მივედი, შმათის ეზოში ხალხი დაეინახე. მერე მოლაც გამოჩნდა. გული ჩამწყვდა, მიგხვდი რალაც უბედურება იყო მომხდარი. მართლაც, იმ ღამეს რაფიდა მომკვდარიყო, ნავეის ცრემლების არ რცხვენოდა, დედას დასტიროდა. მასთან რომ ვყოფილიყავი, როგორმე დავამშვიდებდი. ცოლის სიკვდლის მერე შმათი ძალზე მოტყდა. თავჩაქინდრული და ჯოხზე დაყრდნობილი დიდი ხნობით იჯდა ხოლმე ჩეროში. სადილზე ან ვახშამზე რომ დაუძახებდნენ, უხალისოდ წახანხალდებოდა სახლისაკენ.

ერთხელ შმათი და შამსია ეზოში იყვნენ. ჰიშკარში ცხენოსანი შევიდა. მოხუცები წელში მოიხარნენ და მიესალმნენ, ის კი მათრახს იქნევდა და რალაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა, ეტყობა, ლანძღავდა. შემდეგ ცხენს მათრახი გადაუჭირა და პირდაპირ მასპინძელს ეცა. შმათი ისედაც ძლივს იდგა ფეხზე და ძირს დაენარცხა. შამსია ატირდა, საშველად უხმობდა

ხალხს, მაგრამ ახლო-მახლო არაეინ იყო. „ძაღლის შვილო, — მომუშტული ხელებით ვაწყდებოდი საკანის კედლებს, — ერთი მავ ეზოში ვიყო და ნახავდი, როგორ დაგიმტვრედი ძვლებს!“ უძლეური სიბრაზისაგან კედელს დავუშინე მუშტები. მესხიერებაში ის შემთხვევა ამომიტყვივდა, ოსმან — ქონში შარდინმა, ალოუს ძეკ რომ მოუქნია მათრახი მატას. მივაბრძანე კიდევ გარეთ. მივხვდი, რომ ცხენოსანი რომელიდაც ეფენდის მოურავი იყო და რალაც ბეგარის ვადახდას თხოულობდა. „საიდან უნდა ჰქონდეს შმათს ფული, როცა რაფიდას სიკვდილის მერე ფეხებს ძლივს დაათრევს.“ — ვფიქრობდი მე.

შამსია კარის ზღურბლზე იჯდა და რალაცას კერავდა თუ აკერებდა. იმ დღეს კაცები შინ არ იყვნენ. უცბად ეზოში შემოსული ოთხი უცხო კაცი დაეინახე, წინ ნავეი მიუძლოდათ. ყველას შამსიანა ეპირა ხელში. „უყურე შენ, უკვე იარალი აულია ბიჭს ხელში“ — გავიოცე მე, რაკი მეგონა, რომ სროლაც არ იცოდა ჯერ.

შამსიამ ყველანი შინ შეიბატეა. კაცები დიდხანს არ გამოჩინილან ეზოში. ეტყობა, ლეთის ბოძებულ საჭმელს გეხლებოდნენ, „ვაი, თუ ეს ოთხი კაცი ყაჩაღების ბანდიდანაა და ნავეიც ჩაითრივს? — შევეფოთდი მე, — მაგრამ ბატონისანი გლების შვილი ცარცვა-გლეჯას არ იკადრებს. ადამიანის აღსაზრდელად წლებია საჭირო, ვასაფუჭებლად კი ერთი წამი. — შეკამათებოდა პირველი ხმა.“

სტუმრები ეზოში გამოვიდნენ, მასპინძელს გამოემშვიდობენ და ჰიშკარში კი არ გავიდნენ, ლობეში გაჭერენ. ნავეი გარეთ იდგა, სანამ ამხანაგები თვალს არ მიეფარნენ. შემდეგ მხარზე შამსიანაგადებული შინ შევიდა. „რას ნიშნავს ყოველივე ეს?“ — მაწვალბდა ფიქრები. სარკმელს სახეს არ ვაშორებდი, ვცდილობდი, გაეგო, რა ხდებოდა მოპირდაპირე ეზოში. ფეხები დამეჭანცა: კედელზე ჩაფრენილი ხე-

ლები დამიბუყდა, ლობიოს შეშინდითინის ჯამით რომ შემოაცურა ზედა-მხედველმა კარებში, გაცივდა. მე კი ისევ არ ვაშორებდი თვალს შმათის სახლს.

და უცბად ისევ ის მხედარი დაეინახე, დასუსტებულ შმათს ცხენი რომ ატაყა და ძირს დაავლო. ეზოში შემოვიდა და რალაც კითხვა შამსიას. იქნებ ეკითხებოდა — კაცები სად არიანო, ცხენი შეაბრუნა და მდელოსაკენ გააქენა, სადაც ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ძროხა ბალახობდა. საჩქაროდ მოხსნა პალოზე გამობმული თოკი, ისევ ცხენს მოახტა და მათრახის ტყლაშა-ტყლუშით ძროხა წინ გაიგდო. შამსია ხელებ-აწვდილი ევედრებოდა, ძროხას ნუ წამართმევო, მაგრამ ცხენოსანმა ყურიც არ გააპარტყუნა.

ამ დროს სახლიდან ნავეი გამოვარდა შამსიანით ხელში. ჯერ ლულის პირზე კვამლი დაეინახე და მერე სროლის ხმაც გავიგონე. ცხენოსანი წაბორძივდა, თოკს ხელი უშვა და ცხენი გააქენა. ისევ გაისმა სროლის ხმა. ცხენის ფაფარზე გაკრული მხედარი უკან მოუხედავად მიჰქროდა. ნავეიმ იმავე პალოზე გამოაბა ძროხა და აცრულეზულ დედინაცვალს დაუყვავა და დაამშვიდა. მერე იმავე ხერხით საიდანაც მისი მეგობრები ვაჭერნენ, მთებისაკენ გაემართა.

„ყოჩაღ შვილო, მარჯვედ დახვდი მომხდურს, ნამდვილი ვაჟაკი ყოფილხარ!“ მიხაროდა და ხმამალა ვაჭებდი ნავეის. მეც, როგორც ვალიაში მომწყვდეულმა ბებერმა არწივმა, ოცნებაში ფრთები ვავშალე და თავისუფლად განავარდების წყურვილი ვიგრძენი. ოპ, ერთხელ მაინც რომ ავჭრილიყავ ცაში... აი, როგორ აღანთებს ხოლმე ადამიანის ჩაფერფლილ სულს სიამაყის მაგალითი აი, რა ძალა აქვს თავისუფლებისკენ მაკებრალ ჭეპურებთანს.

ახლა ნავეი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა სახლში. შამსია და დედინაცვალს მოინახულებდა და მაშინვე საქმეს ჰკიდებდა ხელს, დაამთავრებდა და

სწრაფად ბრუნდებოდა უკან. სიმინდს თოხნიდა, შეშას ჩეხავდა თუ ბოსელს ასუფთავებდა, გვერდით მუდამ შაშხანა ედო. არც ისე დიდი ხნის წინათ კენჭებისა და წკირებისაგან სათამაშო ნაგებობებს ამუშენებდა ეს ბიჭი, ახლა კი მოხდენილი და ტანადი ჰაბუკი მზად იყო იარაღით დაეცვა მამის სახლი, მამის მიწისფერი და საკუთარი ღირსება.

ზოგჯერ ნავეი ამხანაგებთან ერთად მოდიოდა. ისინიც ყოჩაღი ბიჭები ჩანდნენ. ვუყურებდი და ეტკებებოდი. ამ ჰაბუკებმა გამიღვიძეს იმედი. ჩემი წარმოსახვა უფრო ხშირ-ხშირად ხატავდა ერთსა და იმავე სურათს: ჰაბუკების რაზმი ნავეის მეთაურობით ციხის მცველებს ესხმის თავს, ქლუტს მათ და ფართოდ აღებს ციხის კარებს.

„აბა გამოდიოთ! — ისმის ნავეის ხმა, — გაუმარჯოს თავისუფლებას!“ დიღვეის ზღურბლს ვაბიჯებ და ნავეის ვეხვევი. ძალიან ჰგავს ჩემს ძმას, უგზოუყვლოდ რომ დამეკარგა. ო, რა ტუბილია იმედი! თანაც არსად ისე არ ესალბუნება იგი გულს, როგორც ციხეში.

ჩემთვის რომ ეთქვა ნავეის: აიღე იარაღი და ჩვენთან წამოდი! ჩვენ ერთი მტერი გვეყავსო, — არც კი დაფიქრებოდი, ისე წავიდოდი საბრძოლველად მისი მეთაურობით. თუნდაც მცოდნოდა, რომ მტრის პირველივე ტყვია გამიხერხებდა გულს.

აფხაზებს ერთი ანდაზა ვაქვთ, ძვირფასო შარახ: „წყალწილებული ხავსს ეჭიდებაო“, ნამდვილად ასეა.

თვეში ერთხელ პატიმრები სასივრთლოდ გაეყავდით, მაგრამ გადალაპარაკებას გვიკრძალავდნენ. თუ ვინმე ვაბედავდა ხმის ამოღებას, მეორე გასივრთლების უფლებას დაკარგავდა. ერთი პირობა დამდამოებით, სამარისებური სიჩუმე რომ ჩამოვარდებოდა, მესმოდა როგორ მიძიმდო ოხრავდა მეზობელ საკანში მისი უვადო მდგმური გულამოვლევითი ახველებდა და ხმამაღლა კვნესოდა. შემდეგში ყურსაც კი ვადებდი კედელს, მაგრამ ბაიბურეც არ ისმო-

და. სული განუტევა ალბათ მათ.

და აი, ერთ დამეს, თავისტიკივლით რომ ვიყავი გაწამებული და ძილი არ მეკარებოდა, ცხადად შემომესმა ნაღვლიანი სიმღერა. პირველად გავიფიქრე მეჩვენება-მეთქი. აბა ვინ უნდა იმღეროს აქ აფხაზურად ჭრილობის სიმღერა? მაგრამ ეს ზმანება არ იყო. აღელვებულს საკუთარი ტკივილი დამავიწყდა, ცივ კედელს ავეკარი და მივაყურადე. ღამურასავით მახვილი გამიხდა სმენა. არა, ეს სმენის მირაჟი არ იყო, ნამდვილად მღეროდა ვიღაც ნაცნობ სიმღერას ყრუ, ტკივილისაგან ნაწამები ხმით. ხანდახან სიმღერას გულისწამლები ხველა აწყვეტინებდა ამ შეიძლება დრო და დრო ვონებას კარგავდა. შემდეგ ისევ მესმოდა ნაღვლიანი, მაგრამ ვაეკაცური სიმღერა. ყველა სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ მაინც მიგხვდი, რას მღეროდა მეზობელი კედლის მიღმა. ვათენებამდე არ მომიხუჭავს თვალი.

დღე მოლოდინში გაილია და როცა შორეული ვარსკვლავი ისევ აციმციმდა მწვერვალის თავზე, კვლავ მოაღწია სიმღერამ ჩემამდე. აფხაზი დედისაგან მახსოვდა, რომ ამ სიმღერას სასიკვდილოდ დაჭრილი კაცი მღეროდა ხოლმე. ჩვენი ადამი მავალბდა დახმარების ხელი გამეწოდებინა, მაგრამ, როგორ, რანაირად? გულმოწყალება მეტხოვა ჩაფარისათვის? მერე და რომელი ჩაფარი გამიგებდა? აქ ხომ ყველას სამუდამო პატიმრობა გვექონდა მისჯილი? ჰოდა, სიკვდილი ყველასათვის სანატრელი იყო. მოკლედ, ის იყო ამ ტანჯვისაგან ერთადერთი მხსნელი. ბედნიერ ტყვედ ის ითვლებოდა, ვინც ადრე ეყრებოდა ამ წუთისოფელს.

დაჭრილის სიმღერა... წებებდა გამახსენდა. იქ დედას ნათესავები ცხოვრობდნენ. უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი, დედაჩემის ერთ-ერთი ძმა მიძიმედ რომ დაჭრეს, სიკვდილს ებრძოდა, ახლობლები და მეზობლები ყველდღე გროვდებოდნენ მის სარე-

ცელთან და დაჭრილის სიმღერას უმღეროდნენ. ბიძაჩემი კვნესით აყოლებდა ხმას. კედლის მიღმა წამებულსაც არ უჩანდა სასიცოცხლო პირი. აფხაზური წესის მიხედვით ვალდებული ვიყავი მისი ანდერძი მომესმინა და სიკვდილის მერე თვალები დამეხუჭა მისთვის.

მეორე დღეს, თანამომამე ისევე რომ ამღერდა, მე მოძახილი ავაყოლე, თანაც ისე ხმაჟალა, რომ ჩაფარმა კარი გააღო და დაიყრანტალა: „რა ვაღრი-ალებს პატიმარო?“ ციხის ზედამხედველის შენიშვნა არად ჩავაგდე და სამჯერ ვიმღერე დაჭრილის სიმღერა. მეხსიერებაში აღვადგინე მისი სიტყვები:

უა — რაიდა, რა კაცია,
ვინც სატყეარს ვერ დაითმენს.
იგი რაღა ვაგვაცია,
ვინც ჭრიალობას კვნესით ამხელს.

ხმას თანდათან დავუწყე და ყური კედელს მივაღდე ასე ვავიძეოვრე სამჯერ. და უცხად დავრწმუნდი, დაჭრილმა აფხაზმა გაიგონა ჩემი ხმა; ახლა ის აყოლებდა ხმას ჩემ სიმღერას. ნამღვილად აყოლებდა. ო, როგორ გამიხარდა განა საოცარი არ არის, ძვირფასო შარახ, რომ სასიკვდილოდ დაჭრილს სიხარული ეგრძნო? ასეთი რამ ალბათ არასოდეს მომხდარა, მაგრამ მე და ჩემი მეზობელი ვახარებულნი ვიყავით, ერთმანეთის ხმა რომ გავიგონეთ. მე დავამთავრებდი სიმღერას და ის დაიწყებდა. ის დაამთავრებდა და მე ვიწყებდი.

დავიქანცებოდით და ჩაგვეძინებოდა. ასე ვრძელდებოდა რადმენიმე ღამეს. მალე მეზობელ საკნიდან დანიშნულ დროს ხმამ ვეღარ მოაღწია. მორჩა ალბათ წვალებას, საცოდავი“, — გადავწყვიტე მე.

მეორე დღეს გასეირნება გვქონდა ადამიანები კი არა, ლანდები დადიოდნენ ციხის ეზოში და ერთ-ერთმა ლანდმა ჩამიჩურჩულა:

— გარეთ დიდი მღელვარებაა, მალე თევზის კასრით დატენიან ამ რწყილე-

ბის ბუდეს. ერთ ადგილიანმა ჩააგდებენ.

ნავეისა და მის ამხანაგებს რომ ვაკვირდებოდი, ადრეც ვხვდებოდი, რომ გარეთ რაღაც ცვილებები ხდებოდა.

სამი დღეც არ გასულა და ჩვენგული კარები ჭრიალით გაიღო. მედილეგებმა ჩემს საკანში ჯერ ხის ტახტი შემოათრიეს და მერე პატიმარი შემოიყვანეს.

— მიიღეთ სტუმარი! — ქუშად იხუმრა ერთმა. მჭრქალ შუქზე მალალი კაცი დაეინახე, თითქმის ჭერს ეხებოდა თავით შუბლზე ხშირი თმა ჩამოშლოდა, ჭლარა რომ არ გაკარებოდა ჯერ. ჩაცვნილ ღაწვებზე კი ეკალივით მოდებოდა წვერი. ვინახავს, შეილო, როდესმე მთის ტბები მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალების ახლოს? ისინი ისეთ ლურჯ ფერს დაიკარავენ, ცის ნავლელები ეგონება კაცს. აი ასეთი ფერის თვალები ჰქონდა პატიმარს. ფიცარივით იყო გამხმარი და ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ სისუსტის მიუხედავად, ცდილობდა გამართული მდგარიყო.

— დღე მშვიდობისა, — ხელისგული მეკრძნე მიიღო და მომესალმა. თანაც ნალვლიანი დაცინვით დაუმატა, — თუმცა ასეთ დღეებს ციხეში რა უნდა. შითხარი მეგობარო, შენ ხომ არ იზიარებდი ჩემს ტკივილს და დაჭრილის სიმღერას ხომ არ მიმღეროდი? აფხაზი ხომ არა ხარ წარმოშობით?

მისმა გამოჩენამ გამაოგნა, კედელს რომ არ მივეყრდნობოდი, უსათუოდ წავიშტეოდი.

— შენი მოსვლა ჩემი დღესასწაულია — ვუპასუხე მე და შეეწუხდი: — დგომა ვაგვიტრდება, დაჯექი, დაჯექი.

ის ტახტის კედელზე ჩამოჯდა, ისე რომ სახეზე სარკმლიდან შემოსული შუქი დაეცა. გული გამეყინა მწუხარებისაგან; ლურჯთვალებას სახეზე უკვე სიკვდილის ჩრდილი ეფინა.

— მე უბიბი ვარ, მაგრამ დედა მყავს აფხაზი, — სისუსტემ მძლია და

ცრემლების ყლაპვით განწირულს გადავხვიე.

თითქოს რაღაცამ ვაოცა და გაკვირვებით დამაცქერდა:

— ბავშვობაში ერთ კაცს ვიცნობდი, ზაურყან ზოლაკი ერქვა. ძალიან გავხარ იმას, მაგრამ ცოცხალი რომ იყოს, ის უფრო ახალგაზრდა იქნებოდა.

თვალეები ცრემლით აძევსო.

— მე ზაურყან ზოლაკი ვარ. მაგრამ მითხარი, შენ თვითონ ვინა ხარ, ჩემო ძვირფასო?

— ო, ღმერთო დიდებულო, — ჩაიჩურჩულა მან და ძლივს გასაგონად ამოიკენესა, ხალხი კი ამბობდა ჩამოახრჩვესო. ნუთუ სელიმ ფაშას მოკვლის დღიდან აქ ზიხარ?

— თითქმის...

მაშინ მე პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ თვალებით გიცანი... თვალეები...

შეტის თქმა ველარ შესძლო. სულის შემხუთველმა ხველამ ლამის გული ამოუგდო. შევეშველე, ტახტზე წამოვაწვინე და წყალი მივაწოდე. როცა ხველამ უკლო და სული მოითქვა, მკითხა:

— ოსმან-ქოი არ დაგვიწყნა, ზაურყან? თქვენს მეზობლად აფხაზი — საზი აბხუბა მზაუჩი ცხოვრობდა. მისთავს, კეთილი მეზობლობა გქონდათ ერთმანეთში. მზაუჩის ბიჭი, პატარა შოუდიდი კი თქვენს ეზოში უფრო ხშირად იყო, ვიდრე თავისაში. გახსოვს, სათამაშოებს უკეთებდი ხოლმე...

უბედური მთიელი ქოშინებდა და ხელს გულზე იქერდა, თითქოს ეშინოდა, ის წყუთული ხველა ისევ არ ამივარდეს და არ მომგუდოსო.

— მაშ შენ შოუდიდი ხარ? მზაუჩის შვილი შოუდიდი? — წამოვიძახე მე.

— გამოიცანი, ზაურყან.

— ღმერთო ჩემო, რა შეუძლია ღმერთს!

აბხუბა მზაუჩის შვილი თურქეთში დაბადა, სამსუნში და სახელი მამაჩემმა დაარქვა: შოუდიდი! ასე ეწოდებოდა აფხაზეთის ერთ-ერთ მაღალ მწვერვალს.

ცხადია, შოუდიდს ისეთს ვეცნო, როგორც მაშინ იყო, მაგრამ იმის დაგერება, რომ ჩემს წინ ახლა შოუდიდი იდგა, ის შოუდიდი, ოდესღაც ხელში აყვანილი რომ დამყავდა, თითქმის შეუძლებელი იყო.

მკერდი ტყვიით ჰქონდა დაკოდილი. დაჩირქებული ჰრილობა მთელ სხეულს მომაკვდინებელ ცეცხლს უკიდებდა, ძალ-ღონეს აცლიდა. ო, რა ნეტარებით მივეცემი ჩემს სიცოცხლეს, თუნდაც ცოტა ხნით რომ გამეხანგრძლივებინა მისი სიცოცხლე. კარგად იცოდა, რომ კვდებოდა და მაინც არ ემდუროდა ბედს, ვუკაცურად ეჭირა თავი. ლაპარაკი არ შეიძლებოდა, მაგრამ ამას არად დაგიდევდათ, უნდოდა ეამბუნა რა დაემართა მის ოჯახს, სელიმ ფაშას სიკვდილის მერე.

— ჩვენმა ოჯახმა ოსმან — ქოი მივატოვეთ და ადაპაზარის მიდამოებში გადასახლდით, სადაც საზების კვალდაკვალ, დალეუბი, წებულდეუბი და გუმელებიც დასახლდნენ. თანამემამულეები სახლის ამენებაში მოგვეხმარენ. მე მექმეთში მიმბარეს. ნიჭიერი გამოვდექი და მექმეთის დამთავრების შემდეგ სტამბოლის მედრესში გამგზავნეს. ორი წელი ვისწავლე იქ, დამთავრება კი ვერ შევძელი; ფული აღარ ეყო მამას. ამ ორი წლის განმავლობაში საინი ენა შევისწავლე და ცოტაოდენი ცოდნა შევიძინე. სტამბოლში ტაპირს შევხვდი, ჰამიდას შეილიშვილს. ის მასწავლებელია. უბიხები რომ გასახლეს ოსმან — ქოიდან, ტაპირიც თან გაჰყვათ. წერილებს ვწერდით ხოლმე ერთმანეთს. სადაღაც შორეულ სოფელში ასწავლის წერა-კითხვას უბიხ ბავშვებს. ღირსეული ადამიანია. შარდინის, ალოუს ძის შემგვიღრე კი მანსოუ, მიუხედავად იმისა, რომ ტაპირის გვერდით იზრდებოდა, დროსტარების მოყვარული გამოდგა: ქეიფი, ბანქო, ქალები... პირწავარდნილი მამაა...

შოუდიდს ჰაერი არ ყოფნიდა, თანაც წყურვილი კლავდა. მთელი დღიწყალი რომ მიგეცა, გამოთლიდა. ცო-

ტა რომ დაესვენა, ნაუბრის სადავეს მე ვიგდებდი ზოლმე ხელთ. ჩემს პატიმრობაზე ვუამბობდი, ისიც ვუამბე, შმათის ოჯახს როგორ დავუშვებოდა.

აბხუბას ვაყიშვილს არც მაინცა და მაინც ვაკვირებოდა, იარაღით რომ დაიცვა ნავეიმ თავისი სახლი. თურმე ნუ იტყვი და გარეთ დიდი ამბები ხდებოდა. გაუთავებელი ომებითა და აურაცხელი გადასახადებით განადგურებამდე მისული თურქი გლეხები უფრო და უფრო ხშირად გამოდიოდნენ იარაღით ხელში სულთანის ძალაუფლების წინააღმდეგ. არც რუსეთში იყო სიმშვიდე... შოუდიდისაგან შევიტყვე, რომ მამამისი ქამლათ ფაშას მებრძოლებს მიკედლებოდა, რომ როგორმე კავკასიაში მოხვედრილიყო, სამშობლოში.

გამგზავრებისას ასე დამიბარა: „დედას ვაუფრთხილდი და არ იფიქრო, რომ რუსებთან საბრძოლველად მივდივარ. გემიდან გადავალ თუ არა, ქამლათ ფაშას მივატოვებ. ესეც დაიმახსოვრე, შვილო: „შეიძლება სამშობლომ დაგივიწყოს, მაგრამ შენ ვერასოდეს დაივიწყებ მას!“ გადავიდა თუ არა მამა კავკასიის სანაპიროზე, გაქცა ქამლათ ფაშას და თან მსროლელთა ასეული გაიყოლია. მერე უბო-უპელოდ დაიკარგა. დედა ისე მოკვდა, რომ სასიკეთო ამბავის გაგებას ვერ ეღირსა. მამაჩემი თურმე ცოცხალი ყოფილა. წერილი მივიღე მისგან. მოხუცი სოფელ ჯგერდაში ცხოვრობს. თავისკენ მიხმობს, მაგრამ მორჩა, მამის ნახვა აღარ მიწერია...

შოუდიდმა თვალები დახუჭა. გავარგარებულ შუბლზე ხელისგული დავადე. წყალი მომთხოვა. ჯამით მიუტანე. ხარბად სვამდა. გულ-მკერდში კი ყველაფერი უხრიალვდა.

„ცელტა ბნის შემდეგ ისევ განაგრძო თხრობა:“

— მამაჩემის წერილის მიღებობისას ერთი კვირის თავზე მძიმე გადასახადებისა და აუტანელი შრომისაგან გაწამებული აფხაზი მაჩაჯირები აჯანყდნენ და თავადების — მარშანიების მოურავი მოკლეს, რისთვისაც მწირ მიწებზე ან სირიაში გასახლება ელოდათ. ჰოდა, სამშობლოში, აფხაზეთში დაბრუნება გადაწყვიტეს. გემი უნდა დაექირავებინათ, მაგრამ საამისო ფული არ გააჩნდათ. ან საიდან უნდა გექონოდა ამოდენა ფული? სწორედ ამან გვიბიძგა ბოროტმოქმედებისაკენ. შევადგინეთ გეგმა: საფოსტო ეტლი უნდა გავგვეძარცვა რომელსაც სახელმწიფო ფული გადაქონდა. მე ჩასაფრებული ვიყავი. ჩვენდა საუბედუროდ, იმ დღეს ეტლს ცხენოსანთა გაძლიერებული დაცვა ახლდა. დაიწყეს სროლა. ტყვიამ მკერდი გამიხვრიტა. მერე გამასამართლეს... ველარ მოვესწარი ჩემი სამშობლოს ხილვას. შენ თუ გარგუნებს ბედი მის ნახვას, ზაურყან, ჩემს მაგივრადაც ეცი თავყონი... მე მკერა, შენ ისევ მოესწრები თავისუფლებას! უა-რაოდა, უა-რაოდა, — ჩამქრალი ხმით წამოიწყა მან დაპრილის სიმღერა.

ეს სიმღერა შეეყინა ბაგეზე. ხელში ჩამაკვდა. ცრემლებად ვიღვრებოდი და თან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვაყოლებდი ხმას მის სიმღერას. მერე თვალები დავუხუჭე. არ ვიცოდი მისი სიტყვები წინასწარმეტყველური თუ იქნებოდა. გარშემო ყველაფერი გუგუუნებდა და აჯანყებული სულის სურვილისამებრ იცვლებოდა. ჩამოაგდეს ავბედითი სულთანი აბდულ-ჰადი და ძალაუფლება „ახალგაზრდა თურქების“ ხელში გადავიდა. ახალმა ხელისუფლებამ მანიფესტი გამოსცა. ბევრს გაუღეს ციხის კარები და რაკი ჩემი დანაშაულის ჩადენიდან დიდი დრო იყო გასული, შემეწყალეს.

რა შეუძლია დროს...

— წუხელ როგორ გეძინა, ძვირფასო შარახ? — ისე შეწუხებულმა მკითხა მოხუცმა ამ დილით, რომ შემრცხვა, მეპასუხა — მკვდარივით მეძინა-მეთქი.

— იმას რა სჯობია, კარგი ძილი თუ იციან კაცმა. მე კი, დავიწყებ თუ არა წარსულზე ფიქრს, მოგონებები ზღვის ტალღებივით გამიტაცებენ და თითქოს ზღვის ნაპირიაო, ისე მაქანავებენ ძილის შორიახლო. იცი, ძვირფასო შარახ, რაზე ვფიქრობდი დღეს დილაადრიახლად? სანამ ჩემი სტუმარი, ჩემი ბიძა დედაჩემის მხრიდან ჩემთანაა, მე არც დავიწყებული ვარ და აღარც უთვისტომო, მაგრამ მერე რა მეშველება, როცა წავა-მეთქი! ამას ყოველ დამე ვფიქრობ, რაც შენ ჩემი კარის ზღურბლს გადმოაბიჯე. დღეს კი მომეჩვენა თითქოს ჩვენმა მოხუცებმა სითმა, საულამა და ჩვენგან წასულმა კიდევ ბევრმა სხვამ მიბრძანეს — შენმა წასვლამ არ შემამინოს.

„როცა შენი სტუმარი წავა, თან შენი სული გაატანე, — მითხრეს მათ, — დაე, სამშობლოს დაუბრუნოს აგი, ჩვენი სულებიც ხომ უკვე დიდხანია იქ არიან. შენი ბებერი ძელები კი ვის რაში ჭირდება, ჩვენი ძელებივით ჩაიშალოს იქ“.

ასე მითხრეს, შენ რომ გეძინა და მე ვფხიზლობდი. და თუ ისინი მართალი არიან, რომც ვერ მოვასწრო სულის მოცემა, ის თვითონ წამოგყვება. როგორც ვატყობ, არც დიდი ხნის ლოდინი დასკირდებო, ეს წყველი სიბერეზე გეწყინება და დღეს ვეღარაფერს გიამბობ. ერთი ადგილი უნდა მოვიინახულო, მერე კი, რომ მოვბრუნდები, იქნებ დავიძინო. ზოგჯერ თავს არ ეძინება, მაგრამ დაღლილი ფეხები ეხმარებიან და აიძულებენ...

ზურყანმა თავისი კვერთხი აიღო და შინიდან გავიდა. ნეტავ სად წავიდა? იქნებ ძველი საფლავებისკენ გაუწია გულმა?

ბირამი, როგორც ყოველთვის შუადღისას მოვიდა, მოხუცი რომ არ დახვდა, არაფერი უკითხავს. სუფრასთან დამსვა, გამიმასპინძლდა და წავიდა. მარტო დავრჩი ჩემს ფიქრებთან. კმაყოფილიც კი ვიყავი ამ მოულოდნელი საჩუქრით — მარტოობით. წერის დროს ფიქრს ვეღარ ვასწრებ. ზურყან ზოლაკის ბიოგრაფია, მისი სისხლიანი ისტორია დაჭრილის კვალივით მისდევს უბიჯი ხალხის ტრაგედიას. და უკვე მერამდნედ მაოცებს ამ ასი წლის კაცის მეხსიერება. მისი ნამშობი და ისტორიული თარიღები ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს. უბიჯებმა 1864 წელს მიატოვეს კავკასიის სანაპირო. თუ მაშინ ზურყან ზოლაკი ოცდა ოთხი წლის იყო, ეს კი ნათლად ჩანს მისი ნამშობიდან, მაშინ ის 1840 წელს დაბადებულა ახლა 1940 წელია და ზურყან ზოლაკი ასი წლისაა, ეს სრული კემშარბიტებაა.

„ხუთ-ექვს წელზე მეტ ხანს არ ვყოფილვარ უბიჯებთან სამსუნში გადმოსახლების შემდეგ, ოსმან-ქოიში გატარებულ წლებსაც ვგულისხმობ“, — მიაბობს იგი. ამის მიხედვით მან თავისი დების გულისთვის 1869 თუ 1870 წლებში იძია შური სელიმ — ფაშაზე. ხოლო ციხიდან რომ გააპარეს და მონად გააყიდეს, მისი სიტყვებით: „რვა წელიწადი დადიოდა დღე და ღამე ბანცალ-ბანცალით აფრიკის უდაბნოში.“ მიუხედავად მისი პოეტური ფორმისა, ნათქვამის ძირითადი არსის მიხედვით, თუკი ზურყანმა რვა წელი დაჰყო აფრიკის უდაბნოში, მაშინ სტამბოლში ნამდვილიად 1877 წელს დაბრუნდებოდა, სწორედ იმ დროს, როდესაც აფხაზებს ძალდატანებით ასახლებდნენ თუ-

რქეთში, რამაც თავისი კვალი დაამჩნია მის ასაკოვან მეხსიერებას.

ამის შემდეგ ცოტა ხანს თავისუფალი იყო და მისი მოგონებების მიხედვით, ძნელი ვასაგებია, როდის მოხვდა ზაურყანი ისევ ციხეში. სამაგიეროდ აღვილი მისახვედრია, როდის განთავისუფლდა პატიმრობიდან. „მლადოთურქული“ რევოლუცია 1908 წელს მოხდა, სწორედ მაშინ გადმოაგდეს ტახტიდან პირისისლიანი სულთანი აბდულჰამიდი რომელსაც სიძულვილით იხსენიებს მოხუცი.

მართალია, სამუდამო პატიმრობა მისჯილი ზაურყანი უიმედო წლებს ატარებდა ციხეში, მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუციის ნაპერწყლებმა ციხის სქელ კედლებსაც გააღწია და მთელ სამყაროს მოწყვეტილ მის საკანმდეც მივიდა. გავიხსენოთ მოხუცის ნაამბობი „კრილიბის საგლობელით“, რომ დავასათურე. საიდან უნდა სკოდნოდა დატყვევებულ მთიელს, რომელიც წლების მანძილზე ციხის ჰუპრატანიდან უთვალთვალებდა რომელიც თურქი გლეხის ოჯახის ცხოვრებას, რომ მის თვალწინ გაზრდილი, ნავეიდ მონათლული ბიჭი ათასობით სხვა თურქთან ერთად იარაღით ხელში აჯანყდებოდა სულთანის მიძიმე უღლის წინააღმდეგ. ან სულთანი რას წარმოიდგენდა, რომ ის სამხედრო პირებიც არ გამოდგებოდნენ საიმედონი, რომლებიც თავის ტახტისა და ძლიერების ბურჯად მიიჩნდა. რომ სწორედ იმ წლებში — ეს მოხუცმა არ იცოდა, მაგრამ სამაგიეროდ მე ვიცი შესანიშნავად, მიწერა წერილი ოცდარვა თურქმა ოფიცერმა უშიშარი რევოლუციონერის ლეიტენანტ შმიტის დას. ეს წერილი სტუდენტობის დროიდან მახსოვს ზეპირად: „ვფიცავთ, ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე წმიდათა წმიდა თავისუფლებისათვის, რომლისთვისაც მრავალი ჩვენი საუცუეთესო მოქალაქე დაეცა. ვფიცავთ, რომ ძალღონეს არ დავიშურებთ და ვეცდებით გა-

ვაცნოთ თურქ მოსახლეობას რუსეთში მომხდარი ამბები, რათა სპერა...
ლით მოვიპოვოთ ადამიანური ცხოვრების უფლებები...“

საიდან უნდა სკოდნოდა ზაურყან ზოლას ერთი მოვლენის მეორესთან და შესამესთან კავშირი — 1905 წლის რევოლუცია, ლეიტენანტ შმიტის სიკვდილით დასჯა, თურქი ოფიცერების წერილი, აბდულჰამიდის ტახტიდან ჩამოგდება და თვით მისი ციხიდან განთავისუფლება? არა, ცხადია, ეს არ ეცოდინებოდა, მაგრამ ყოველივე ამისი კვალი საოცარი, ზოგჯერ ფანტასტიკური ფორმიითაც კი გასდევდა მის ნაამბობს.

ჯერჯერობით ამ ადგილას ვართ მე და ზაურყანი შეჩერებულნი, მაგრამ არც შემდეგში დარჩება მისი ცხოვრების ამბავი ისტორიის გამოძახილისადმი გულგრილი. ჯერ ხომ წინა გვაქვს მსოფლიო ომიცა და რუსეთისა და თურქეთის რევოლუციებიც. მე ჯერ არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ ყოველივე ეს თუნდაც გაცვრით, ოდნავ მაინც შეეხებოდა, უფრო სწორად არ შეიძლებოდა, არ შეხებოდა უბიძგის ისტორიასა და ამ ღრმად მოხუცებულ კაცის ბედს.

დღევანდელი შესვენება ერთის მხრივ მახარებს და მეორეს მხრივ მადლელებს — ჩემი გამგზავრების დღე ახლოვდება და ვინ იცის რის ჩაწერას მოვასწრებ და რისას — ვეღარ.

ზაურყანი მობრუნდა. არ უთქვამს სად იყო. ორივემ უბრაოდ ვივახშმეთ. მერე ადგა და ჩემზე ადრე დაწვა. მისი ნათქვამი: დაღლილი ფეხები თავს დაძინებაში ეხმარებოდა, წმინდა წყლის სიმართლე გამოდგა. ღამე მისი წამოდგომის ხმა არ გამოვიდა დილით კი ავდექი თუ არა, თითქოს ჩემს შიშს მიხედო, თხოვნისათვის არ დაუცდია, ისე დაიწყო თხრობა.

* * *

ციხის ზღურბლს გადმოღმა დიდხანს ბეტიალი მელოდა. „ღმერთმა გაგაჩინა

და სარჩოსაც ღმერთი მოგცემსო“, — ეს ისეა ნათქვამი, თორემ მუქთად არავინ არაფერს იძლევა. თუნდაც — სულ მცირე მოთხოვნილება გკონდეს და ბევრის ამტანი იყო უპუროდ პაინც ვერ იცოცხლებ, ასე არ არის, შარახ! რომელი გზის მტვერში არ ეფლობოდა ჩემი ფეხები, რა აღარ ვიყავი? ქირით, ვმწყევსავდი ცხერის ფარას, მტვირთავად ვმუშაობდი იზმიდის პორტში მდიდარი ვაჭრის ღუქნის დამლაგებელიც ვიყავი და მიწასაც ვთხრიდი რკინიგზის მშენებლობებზე. და აი ასე მოვალწიე შათ-იპამდე, სადაც აფხაზი მამაჯირები ცხოვრობდნენ. დედაჩემის ახლო ნათესავები ცოცხლები აღარ იყვნენ, მაგრამ გარეშე ბიძამ კონსოლუმ შემიკვდლა და თითქმის ორ წელიწადს ვიცხოვრე მის ქერქვეშ. შათ-იპას სასაფლაოზე ორი სამარე მიჩვენა ბიძაჩემმა. ერთში დედაჩემი განისვენებდა, მეორეში — მამაჩემი. სასთუმალთან ორივეს გაუთლელი ქვა ედო. საფლავებზე ბალახი გაბურღულიყო. სხვა რისი გაკეთება შემეძლო და საფლავები შემოვლობე. ერთი რამ-და მრჩებოდა სანუგეშოდ — თავიანთი ბოლო საყუდელი ახლობლებში რომ მოეძიათ. გინდა გაიგო, შარახ, როგორ მოხვდნენ ჩემი მშობლები შათ-იპაში? სელიმ-ფაშა რომ მოგვალდი, მატა თვალს მიეფარა. ჰკვიანი ბიჭი იყო და ხელად იაზრა, აყალ-მაყალის ატეხვამდე უნდა გადაეჩინა დედა და მამა. ხსნა კი მხოლოდ ერთში იყო: ოსმან — ქოიდან უნდა გაქცეულიყვნენ. აი, ასე გადასახლდნენ ჩვენები შათ-იპაში. აქ კი დედაჩემის ძმამ — მაშინ ის ცოცხალი იყო, — მისცა თავშესაფარი. ქალიშვილების უბედურებამ და ჩემმა დაპატიმრებამ საწყალ დედაჩემს ხელი მოუთავეს და ერთ წელსაც ვეღარ იბოგინა ამ ქვეყანაზე. ხუთი წლის შემდეგ კი მამაჩემიც გამოესალმა წუთისოფელს.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მატამ სახლის ამენება და საკუთარი მეურნეობის მოწყობა გადაწყვიტა, მაგრამ

ახლა ჯარში გაწვევა გამოაცხადეს. სხვა წებელდებლებს მატაც მიიყოლეს. სამხედრო ნაწილი, რომელშიც მატა მოხვდა, მარშით გაემართა არაბეთისკენ. მის მერე მისი ალი-კვალცი ვერ გავივით. არავინ უწყის ცამ ჩაყალპა თუ დედამიწამ.

ჩემი დებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. სელიმ-ფაშას სიკვდილის შემდეგ მისმა ნათესავებმა შარახსანა მიიყიდეს ფაშას ცოლებიანად და ხარკებიანად. ახლა ეშმაკიც ვეღარ გაიგებდა სად იმყოფებოდნენ ჩემი დები და ფელიში, ან საერთოდ ცოცხლები კი იყვნენ?

შენ ალბათ გიკვირს, ჩემო მომთმენო შარახ, ასე ადვილად რომ გაიმბობ ჩემი ახლობლების სიკვდილსა და დაკარგვაზე. რას იხამ? მის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. დრო ტყვილს აყუჩებს, ცრემლს აშრობს და მეხსიერებას დავიწყების ჩალმას ახვევს. დრო დიდი მანუგეშებელია და ეს მოვალეობა რომ არ ეკისრებოდეს მას, ალბათ კაცობრიობის ნახევარი შეიშლებოდა. მაშინ რაღა საჭიროა წარსულის გახსენება, მისი აფუტყვნა და წინაპართა არღილების შეწუხება? — იკითხავ შენ. ჰკუის სასწავლად შეიშლო, სიკეთის გულისთვის, სხვებს რომ ავაშოროთ მოთავალში საშინელი შეცდომა და მერე მწარე სინანული.

შეიძლებოდა შათ-იპაში მეცხოვრა, მაგრამ უბიხური სიტყვის გაგონება მომენატრა, თანაც ერთ ადგილას ყოფნასაც გადაჩვეული ვიყავი. მომეწყინა და გზისკენ გამიწია გულმა. ნათქვამია: „რა გზითაც მოსულხარ, იმ გზით წადიო.“ ნელა მივდიოდი, მანძილიც ცოტა მქონდა გავლილი, მაგრამ მიწა საოცრად შეიცვალა. ფერფლს დაემსგავსა. ზევით ნაცარი იყო, ქვეშ კი ისევ შენახულიყო დადარა. თვალსაწიერზე არაფერი მოჩანდა. ქარმა წამოიქროლა, მტვერი მოხვეტა და ბოლქვა-ბოლქვა ამისვეტა გზაზე. გარეშე თითქოს ყველაფერი ჩამკვდარი-

ყო და მე მარტოდ-მარტო ვიყავი შთენილი ამ მოქუფერულ, უკაცრიელ სამყაროში: სადაც ქარი ღმუთოდა და დროდა დრო მეც მინდოდა ღმუთილი ამ თავზარდამცემი მარტოობის გამო.

თვალეზზე ხელისგული მოვიჩრდილე. და უცბათ ნაცრისფერ ღურდოში რაღაც შავი წერტილი შევნიშნე. პირველად ეკალ-ბარდი მეგონა. წერტილი იზრდებოდა. მიახლოვდებოდა და საშინელი ამინდის სტვენასა და სისინში ადამიანის ხმა გავარჩიე, შემოვლოვნი ფოთოლივით რომ ცახცახებდა. ვილაც ნაღვლიანად და ვაბებით მღეროდა. სიმღერა ეთქმოდნა თორემ ტირილს, მოთქმასა და წყევლა-კრულვას უფრო მოჰკავდა. ქარი ხან მთლიანად ახშობდა ხმას. ხან შორს იტაცებდა და ხან კი პირდაპირ ჩემკენ მოჰქონდა და თითქოს აძლიერებდა. ვირზე შემგდარი კაცი გავარჩიე. მოხუცი იყო. მზით დამწვარი სახე იმ დანაოქმებულ მიწას მიუკავდა, რომელზეც მისი ვირი მიაბიჯებდა. ცოცხალი არსების დანახვამ გამაზნევია. რომ გამისწორდა, ხელისგული შუბლზე მივიდე და მივესალმე. მხედარს თვალეზი მღვრიე ცისკენ აღეპყრო და ვერც კი შემნიშნა, ისე იყო მოჭადროებული თავისივე ნაღვლიანი სიმღერით. ჯერ იყო და ვიფიქრე, ალბათ მოხუცი ადამიანის მიხედვით ნამაზს ასრულებს-მეთქი, მაგრამ მისი სიმღერა ლოცვას არ ჰკავდა, თუმცა ცისკენ იყო მიმართული. ისე ჩამიარა, არც კი მოუხედავს, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მე მეჩქარება, მოგზაურო, დაე ჩემმა სიმღერამ გამცნოს ჩემი ამბავი“.

ვიდებო და ვავცქეროდი. შემობრუნებულმა ქარმა ჩემამდე მოიტანა თურქის ბაიათის ხმა. დაქანცულ პირუტყვს აჩქარებდა მოხუცი და თან მღეროდა, ამ ვირის და სიბერის გარდა არაფერი ვაჩნდა და თავის ყურბარტყუნა შეგობარს მიმართავდა:

მიდი, მატარე დარდის ბილით,
ფლოქვით დაფშვნი კლდეების კეცი,

იმ ბრძოლის ველზე, მთავრად ხეივანედად
მარტა ჩემი თახვივ ვაფი.

ვულში მიღვივის ღაღარი, ღვალვი,
მღუღარე ცრემლით მეწვის თვალეზი.
მწაველი ბედ-იღბალს და სულთანს
მწაველი
და ხანს მამლუკენ კლდის ნაპარაკები.

მხედარი შორეთში დნებოდა და მისი სევდიანი სიმღერაც უფრო და უფრო ყრუდ მოისმოდნა. სანამ ძაფივით არ გაწყდა. მრცხვენია ამის თქმა, და იმ სვეგამწარებული მოხუცისაც შემწურდა, რადგან მას სიმღერით მაინც შეეძლო, ცოტაოდენი შეება მიენიჭებინა თავისი სულისათვის.

ო, მეც რომ ამ დაობლებული თურქივით შემძლებოდა სიმღერა ყოველივე იმაზე რაც ვადაზნდა, გეფიცები, ქვის კაცებსაც კი ვაფრქვევინებდი ცრემლს, მაგრამ მე კვლავ უბიხად ვრჩებოდი და აბა რომელი უბიხი იმღერებს მარტო ჭრილობის საგალობელის გარდა? არა, სიმღერისათვის მარტო აფხიარვა როდი მაკლდა, მსმენელებიც მჭირდებოდა, ჩინჩხლებ-აყრილი მაგარი თუ თავლიანი ღვინით სავსე თასებივით რომ აიტაცებდნენ ხმას და ამყევბოდნენ. ჩვენ, უბიხეზი ამაში მთებსა ვკავდით: დაიწყებს ერთი სიმღერას და ექოსავით გამოეხმეურებიან დანარჩენები.

• • •

— შენ შეგკვამა მამალმა მეგლმა, ბოლომდე უნდა გამაწიოვო? — ჯახით ეცა ჯმუზი მოხუცი ძროხის ჯიქანზე მიწებებულ ხმოს, სტაცა ხელი წაბლა ღორმუცელას, თეთრი ვარსკვლავი რომ უკიაფებდა შუბლსა და კულზე და დედას მოაშორა. ჭიშკარს ფეხი ჰკრა და ეზოში შეაგლო ხბო.

— ჯერ მზე არ ჩასულა და შენ შინ მოიხლანხე, ბალახის წიწკნაც რომ გეზარება — ახლა ნაწვიმარი მწიფე ქლიავივით ლურჯთვალეზა ძროხას დაუწყყო საყვედურები მოხუცმა. მოხუცის ლანძღვა საოცარ კეთილ

მოსალმებად მეჩვენია რადგან უბიძუ-
რად ილანძლებოდა.

სხვა დროს ალბათ, სიხარულისაგან
თავბრუნ დამეხვეოდა და ცრემლები
დამიგორდებოდა დაწვებზე. მაგრამ
ახლა უკვე გაუხეშებულ მქონდა სული
და მოულოდნელი სიხარულის აგრეთ-
გად ვანცდის თავი აღარ მქონდა.

ღმერთო ჩემო, უბიძების ენა! იმის
გაფიქრებაც კი საშინელებაა, რამდენ
ხანს აღარ გამიგონია იგი. ეს ერთ-
ერთი მივარდნილი სოფელი იყო, სა-
დაც სულის მოსათქმელად და ღამის
გასათევად შევუხვით. ჭიშკარში მოკა-
კულმა დედაბერმა გამოჰყო თავი.

— ამ ოხერს ვერაფერს მოუხერხებ
კაცი! გუშინაც ასე გამგრა გარეთ, აღა-
რაფერი რომ არ დაეტოვებინა ჭიქან-
ში. მეტი გზა არაა, უნდა დავაბათ...

ხომ კამეჩივით გაუხეშებული მქონ-
და კანი და მაინც ამებურძღვა: ჩემი
მკვიდრი მამიდის — ხიმეაქის ხმა
ვიცანი. „ეს მოხუცი კი ხომ სითია, მა-
მიდაჩემის ქმარი. ეს რა მომივიდა, მა-
შინვე როგორ ვერ ვიცანი?“ — გამოი-
ელვა გონებაში.

ფიქრებმა წამიღო. ვიდექი და ვიგო-
ნებდი რამდენი წელი არ გვენახა სურ-
თმანეთი. გარინდებიდან პატარა ამა-
კმა ძალმა გამომიყვანა, გააკვებული ყე-
ფით რომ გამოვარდა ეზოდან.

— გამარჯობათ, — მივესალმე მე.
მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს.
გაოცდნენ, უცნობი კაცი უბიძურად
რომ ვლაპარაკობდი.

— კეთილი იყოს შენი სტუმრობა, —
მიპასუხა სითმა და სახეზე დამაკერ-
და.

— ვინ არის ეს უბედური? — შემ-
ფოთება არ დაუფარავს, ისე ჩაუჩურ-
ჩულა მამიდამ ქმარს.

— მისი ძონძების მიხედვით, უსა-
თუოდ უფლისწული უნდა იყოს!

მამიდა ხუმრობას ვერ მიუხვდა და
დაბნეულად ჰკითხა:

— რომელი უფლისწული?

ახლა კი ვეღარ მოვითმინე და **ტყუარა**
ბი გავუწოდე:

— ხიმეაქ მამიდა, საყვარლო, ნუ-
თუ ვერ მიცანი? ზაურყანი ვარ!

— ზაურყანი? — ამოიხორა მან და
თითები პირზე მიიჭირა, თითქოს ეს რა
წამომცდაო და ღონე გამოცლილი ზუ-
რგით მივერდნო ჭიშკარს.

— ო, ალაპ, ამას ვის ვხედავ! ამოიკე-
ნესა სითმა და ტირილით ვადამეხვია.

— სით, ვინ არის ეს? ისევე ამოიჩიფ-
ჩიფა მოხუცმა.

— შე საცოდაო, თვალი გაახილე,
ზაურყანია, ზაურყანი! შენი ძმისშვი-
ლი!

— ზაურყანი? ჩემი ძმისშვილი? —
და მამიდაჩემი ჩემკენ წამოხუხუხესდა,
მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი ვადმოღვა
თუ არა, თვალები ვადმოქაჩა და ფეხე-
ბი მოკვეთა.

მამიდა ხელში ავიტაცე და სულს ვუ-
ბერავდი, მაგრამ ვერაფერს ვავხდი,
გულწასული იყო. ხელში აყვანილი
შევიყვანე მოხუცი შინ და ტახტზე
დავაწვინე. სითმა პირსახოცი დაასვე-
ლა ცივ წყალში და საფეთქლებზე უს-
ვამდა ცოლს.

— იმ ქვეყნად წასვლა თუ გადაგიწ-
ვეტია, უკეთეს დროს ვერც იპოვიდი;
შენი ძმისშვილი დაგაყრის მიწას.

მე მართლა შემეშინდა, ღმერთმა და-
იფაროს და მამიდას რომ რამე დემარ-
ტოს, ჩემს უნებურად მე ვიქნები-მეთ-
ქი ამის მიზეზი.

— ნუ გეშინია ზაურყან; არ მოკვდე-
ბა, ეს პირველად კი არ ემართება, მალე
გადაუვლის. — მშვიდად ჩაიქნია ხელი
სითმა, — შენ კი რა ხანია მკვლრად
გთვლიდით, შინაურებმა გამოგიტირეს,
მაგრამ აი, გაგვიცოცხლდი. დამაცა, ერ-
თი კარგად შემოგხედო, შვილო! ეჰ,
დროს მიაქვს სილამაზე, მიაქვს! მთვა-
რესავით გათეთრებულხარ. მერე და
განა ისე დიდი ხანი ვავიდა შენი ბიჭო-
ბიდან? დედაშენსა და მამაშენს ცოცხა-
ლი რომ ჰგონებოდი, სიკვდილის აღარ
შეეშინდებოდათ. დაჯექი, შვილო, და

ჯეკი, დაისვენე! ფეხები გიბეუის ალბათ დაღლილობისაგან. — და ცოლისაგან ისე გადაიხედა, თითქოს ბოდისაგან იხდისო, — ამაზე ნუ დარდობ, მოეგება გონს.

მართლაც, მამიდამ თვალი გააბილა, ოხერით წამოდგა ფეხები ძირს ჩაუშვა: — ახლოს დამიჯექი, ჩემო სიცოცხლემ!

შავი თავსაფრიდან ჩამოწეწილი ქალაქი თმა შეისწორა.

მე დაბალ სკამზე ჩამოვეჯექი მამიდას ახლოს. ის ნაზად მისვამდა ხელს თავზე, ოხრავდა და ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ჩათეთქვილი ლოყებზე. მერე სუფრა გაშალა და ვახშამს მიეუსხედით, გული რომ გადაგვეშალა ერთმანეთისთვის, მოგვეგონებია მკვდრები, როგორც აუხდენელი იმედების ალაზხე.

სითის ბრტყელსახურავიანი სახლი წივისაგან იყო აშენებული, იმ სოფელში ყველას ასეთი სახლი ჰქონდა. კედლები შიგნიდანაც და გარედანაც თიხით ჰქონდა შელესილი. სახლი ორა ოთახისაგან შედგებოდა. ერთ-ერთ მათგანში მე მეძინა. რომ გავიღვიძე, მზე კარგა მაღლა იდგა აივნიდან ქალებისა და მამაკაცების ზმები. ისმოდა, ჩემს სახელს ახსენებდნენ. „მეზობლები იქნებიან, — მოვისაზრე მე, — ალბათ ჩემი დაბრუნება მოულოცეს სითსა და ხიმქაცს“. სწრაფად ჩავიცვი და გარეთ გავვდი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, შუაში მომიქციეს და ძმურად მეხვეოდნენ.

— გამარჯობა დაუღ! რა ხანია არ მიხიხიხარ, მურატ!

— გახსოვართ ზაურყან?

— აბა როგორ არ მესხომებით, ყველანი ისევ ისეთი ვაჟკაცები ხართ, როგორებიც დატოვეთ. — ვუპასუხე მე, თუმცა ძლივ-ძლივობით ვიცანია ძალზე მოტეხილი ძმები: ჰაფიზი და ხატხვა.

შუა ვეზოში ცეცხლზე ქაბი იდგა და ხორცი იხარშებოდა. სუნზე მივხვდი, თხის ხორცი ხარშავდნენ. ეტყობა გულზე სითს ვალით ეყიდა თხა. უბიხუ-

რი სტუმარმასპინძლობა გაიხსენს. მამიდას კაცები სუფრას მიეუსხედნენ, ნაშატიმ ადგილი მე დამითმეს. ჩადრინი ქალები ზღურბლს გარეთ დარჩნენ. მარტო ხიმქაცი იდგა კარებში და საყვარულით საესე თვალებს არ მაშორებდა. მეზობლებს კერძინი თეფშები კარებამდე მოჰქონდათ და ერთ მკვირცხლ ბიჭს აწოდებდნენ, ის კი სტუმრებს უდგამდა წინ. წინათ უბიხებს ასეთი ჩვევა არ ჰქონიათ. ქალები სახეს არ იფარავდნენ და მამაკაცებთან ერთად შეეძლოთ სუფრასთან ჯდომა, ცეკვა და თამაში. სტუმრებს მხოლოდ ახალგაზრდა ქალები ემსახურებოდნენ ხოლმე. რაც შეეხება კუბუკებს, უკაცრავად, ისინი ტოლებივით ვერ მიუხსნებოდნენ სუფრას უფროსებთან ერთად. მათ საუბარში ხომ ვერა და ვერ ჩაერეოდნენ. ახლა კი დროც გამოცვლილიყო და ხალხიც მოხუცებულა ახალგაზრდებიც ისხდნენ, ხამამლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ ზოგჯერ უფროსებს სიტყვასაც კი აწყვეტინებდნენ. წინათ სუფრის წევრებს ხორცს მათი ღირსების მიხედვით უნაწილებდნენ; უფრო პატივსაცემ სტუმრებს უკეთესს ნაჭრებს თავაზობდნენ: ბარკალს, ბეჭს ან შუაზე გაჭრილ თავს ხორცის გამანაწილებელი ზუსტად წესის მიხედვით ირჯებოდა და არც არავის წყდებოდა გული. ახლა კი ნაჭერ-ნაჭერ დაეჭრათ თხის ხორცი, დიდ ლანგარზე დაეწყით და ყველა იმას იღებდა, რომელი ნაჭერიც უყვარდა. ღომი კი, რომლის გახსენებაც ნერწყვის მგერიდა, სუფრაზე არ ჩანდა. მის ნაცვლად გამხმარი პურები ეწყო. ღვინოს თაფლგარეთული წყალი გვიცვლიდა.

პირველი სიტყვა სითმა წარმოთქვა:

— პატივცემულო სტუმრებო, ძმებო და მეზობლებო! დღეს ჩემ დაიბლებულ პერქვეშ ზეიმია. ყველა კარგად ხედავთ: ზაურყანი დაგვიბრუნდა. თითქოს იმ ქვეყნიდან დაბრუნდა! მაღლობელი ვართქვენნი, რომ მოხვედით და ეს მოულოდნელი სიხარული გაიზიარეთ. ახლა პატივი დავგვდეთ და მიიბრუნეთ, ტაც კე-

თელი გულით მოგვიტანია სუფრაზე. თუ ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც საჭიროა, ნუ დაგვიძრახავთ. ალაჰმა გვაკურთხოს!

სითმა განხავევული თავლი მოსვა და საჭმელს მიწვდა. ყველამ სითს მიბაძა. მზარული ყაყანით, სიცილითა და ხუმრობით აივსო სახლი. ყველაზე მეტს ახალგაზრდები ყბედობდნენ. ხმა-მალლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და მოურადებლად ხარხარებდნენ. მე ვუყურებდი დაბეჭილ, გაქექილ ჩოხიან ჩემს ძველ ნაცნობებს და ნაღვლიანად ვფიქრობდი: „როგორ გაულევია დროს, მერედა რა ვოლიათები იყვნენ ერთ დროს.“

ესეც გაიფიქრე: „თავის ქვეყანაში რომ მოეწვია სითს სტუმრები, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. მთელი ხარი რომ მოეტანა სუფრაზე, მაინც ბოდვში მოუხდიდა სტუმრებს მცირე მასპინძლობისათვის, ისე რომ ვერ დახვდათ, როგორც ეკადრებოდათ. ხის ლანგარით ჯერ თითო სირჩა არაყს ჩამოაჩვიებდა ყელის გასასველებლად. მერე თამადას აირჩევდნენ. თამადად ისეთ კაცს აირჩევდნენ, ვისაც ჭკუისა და ღირსების სესხება არ დასჭირდებოდა. დაიწყებოდა სადღერატელოები და კუჭი კი არა სული—დაღუკეაყოფილტვინოდათ. მერე კი თითქოს ციდან დაეშვებოდა სიმღერა. მოხდენილი ბაჭები წვირდ წელზე დოინჯს შემოირტყამდნენ და ცეკვას გაჩაღებდნენ. მორცხიო ქალწულებიც გამოგოგმანდებოდნენ წრეში და ქალბატონების მოხუცებს გაიწვევდნენ საცეკვაოდ. ისინიც თავს-ლაფს არ დაისხამდნენ და დამტკიცებდნენ, რომ ჯერ საფანელი არ გამოლეფიათ.“

სითს თავის ქვეყანაში ოქროპირისა და ოხუნჯის სახელი ჰქონდა, ფრთიანი სიტყვა ემარჯვებოდა. ახლა კი თითქოს თვითეულ სიტყვას ჯიბეში ეძებდა და ხშირად ვერ პოულობდა. ერთდროს პეწიან ვაქაყას გაქექილი, ათასნაირად მიკერბილ-მოკერილი ჩოხა ეცვა. ერთად-

ერთი, რაც დროითა და ბედით დაწინაურდა, დობელ კაცს უცვლელი შემორჩენდა. კეთილი გული იყო.

სითის თანატოლებსაც მხოლოდ წარსულით შეეძლოთ სიციოცხლე. ახალგაზრდებს კი ვინც თურქეთში დაბადებულიყვნენ, წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რა ვაქაყები და არწივები იყვნენ ერთ დროს ეს წელში მოკაყული მოხუცები. როცა ფეხზე წამომდგარმა ჰაფიზმა ძველებური მრავალკამიერი წამოიწყო, ახალგაზრდებმა ყურიც არ ათხოვეს. ისინი წკლაპუნით ჰამდნენ თხის ხორცს და რაღაც მათთვის საინტერესო ამბებზე კამათობდნენ.

— ეჰ, ჩემო კარგებო, თქვენი წინაპრები ასე არ იქცეოდნენ, — სცადა ჰაფიზმა ახალგაზრდების თავხედური ყაყანის დაჯანა — სტუმარი რომ ეწვეოდათ, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეც კი ავიწყებდებოდათ. სტუმრის საღიღებელს მღეროდნენ და ცეკვით ართობდნენ.

— კარგი რა, თუ ღმერთი გწამს, „წინაპრები და წინაპრები“ — მოიგერიეს ახალგაზრდებმა ჰაფიზი.

„მოო, გავიფიქრე მე — ასეთი უბიხები ჯერ არ მინახავს.“

მაგრამ ჰაფიზს ახალგაზრდების უბეშობისთვის ყურბულზე არ მიუქცევია და ძველებური უბიხური სუფრული წამოიწყო:

ჰე, გმირები ვახსენოთ,
ღმერთმა დალაზეროს ლარბები,
სულ ერთად ვიყოთ, ბიჭებო,
როგორც წერბილთვალს მარჯვლები.

ორმა-სამმა ხნიერმა კაცმა, მათ შორის მეც, ავიტაცეთ ნაცნობი სიმღერა. ჩემი ხმა მე თვითონ მაოცებდა: თითქოს დუმილის ბორკილები დაწვევითაო, თავისუფლად და შეწყობილად ქლერდა.

ჰე, სტუმარი ღვთისაა,
რჯულივით თავჯანსაყემი,
სტუმრების საკეთილდღეოდ,
ყველამ დაეცალოთ უაწეები.

სიმღერა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. ერთი წუთით მაინც ვაიძულეთ ახალგაზრდები, დაჩუ-

მებუღიყენენ და ყური დაეგდოთ ჩვენთვის — მშობლიური ცეცხლის უკანასკნელი ფარეშებისათვის.

შმათმა ცრემლი მოიწმინდა და გამიღმი:

— ჩემი ცხოვრების დასალიერზე, შენი წყალობით, ზაურყან, თითქოს მშობლიური მწვერვალები მოვიარეთ.

ქალები კარებში შეჭკუფებულყენენ, თავსაფრის ბოლოები პირზე აეფარებინათ და გაოცებული მიცქეროდნენ. ასე ცოტა ხანს გაგრძელდა, მერე ისევ მიწაზე დავეშვით.

მე სითთან დავრჩი საცხოვრებლად. მისი ბიჭები კი ოსმამ-ქოიდან რომ წაიყვანეს ჯარში, უგზო-უკვლოდ დაკარგულიყენენ. მოხუცებმა მთელი სიყვარული და მზრუნველობა ჩემზე გადმოიტანეს..

• • •

აი აქედან, ჩემო საყვარელო სტუმარო, სწრაფმავალი რომ გავიდეს სამზრეთისაკენ, ორი კვირა დასჭირდება კარინჯ-ოვასამდე მისაღწევად, რაც „ქიან-ველეების დაბლობს“ ნიშნავს. ადვილი შესაძლებელია, რომ უბიხების გამოჩენამდე იქ ქიანველეების გარდა ძე-ხორციელი არ ცხოვრობდა. ეს მიწის ვიწრო და შიშველი ზოლი იყო, ძაღლის ენას მიაგავდა და წვერი ჩრდილოეთისკენ მიექცია. მისი დასაწყისი ახლაც აშშორებულ ქაობებშია შეჭრილი, სადაც ბოლქვა-ბოლქვა დარიალებენ მალარიის კოლოები, წვერი კი ქვიან მთებშია ნეჭრილი. ზაფხული იქ, როგორც წესი, ყოველთვის სულშემუთუველი და ხორშაკიანია და მინდვრები მოურწყავად რომ დატოვონ. ბირკა რა არის, პირკაც ვერ იხარებს. ზამთარს კი პირიქით მკაცრი იცის, ქარიანი და თითქმის უთოვლო. უარეს ადვილს კატარლისთვისაც კი ვერ იბოვი. მხოლოდ შაითანს შეეძლო შეე პარასკევს მოეცა რჩევა, სწორედ ამ უსიცოცხლო ადგილას გადაესახლებინათ უბიხები. თუ გადარჩებოდნენ, გადარჩებოდნენ, თუ დაიხოცებოდნენ და მგტი სადარდებელიც არ

ექნებოდათ. პოდა, ადგნენ და გადმოსხლეს უბიხები.

კაცს შუა ზღვაში რომ წამოეწევა ქარიშხალი, თანაც გემის ჩაძირვის შემდეგ ჯერ საკუთარი გაქვაცობის, საკუთარი ხელების იმედი უნდა ჰქონდეს და მერე ღმერთის, უბიხებმა დაბლობის განაპირას აირჩიეს შედარებით ნაკლებად გამოფიტული მიწის ნაკვეთები და მეურნეობას მოჰკიდეს ხელი. უფანჯრო, ბრტყელსახურავიანი წივის სახლების ოცდაათი სოფელი გაჩნდა. კარგად დაუფიქრდი, დად, წივის სახლების! ეს ხომ ბედის დაცინვა იყო. წინათ უბრალო ქობი რომ აეშენებია, უბიხი შქერის ძელებს ხმარობდა. თხმელას გვერდს უვლიდა და წაბლის ნივნივებს იყენებდა, სახლს ოქროსფერი ჩალით ან ნაძვის ყავრით ზურავდა. არც ჰის ამოღება ჰირდებოდათ უბიხებს. მაიცოცხლებელი წყაროებით იკლავდნენ წყურვილს. კარინჯ-ოვასში კი ათეული საყენის სიღრმეზე უნდა ამოეჭრათ უსიცოცხლო მიწა, მღვრიე წყალი რომ ამოსულიყო. და ვერც უსაყვედურებდი ახალგაზრდებს, შქერის ქალებისა და მთის ვერცხლისფერი ნაკადულებიდან ძალზე შორს რომ დაბადებულყენენ, რატომ უბიხურ სიმღერებს არ მღვრით, გაფიცხებული დოლის ხმაზე, რატომ საცეცხლოდ არ გადმოდიხართ, რატომ ისე არ აქენებთ ცხენებს, როგორც თქვენი მამები აქენებდნენო ერთ დროს.

იყო აქ მთელი სიცოცხლე რაზე ვოცნებობდი, ჩემო შარახ? ჩემი უსაზღვრო სურვალი იყო, თუნდაც ერთი დამე გამეთია უბიხურ ფაცხაში. ო, რა ჯადოსნური სიზმრები ესიზმრება იქ კაცს. როგორი ცხელი ზაფხულიც არ უნდა იყოს, ფაცხაში არასოდეს დაიხუთება ჰაერი. მის მოწულ კედლებში ისე ატანს სიო, როგორც ფრინველის ფრთებში. ლამლამობით კი იგივე ქუჩურუტანებიდან მთვარის შუქა შემოდის და სახეზე გელაციცება გარედან კრიქინობელები გამღვრიან ნანას. ო, რა ნეტარება!

ახლა კერძის არ იკითხავ? რომელი უბიბი წარმოიდგენდა საცხოვრებელ სახლს კერძის გარეშე? ის წმინდათწმიდასავით ინახავდა ცეცხლს და ცეცხლიც არასოდეს ქრებოდა კერძაზე. „ღმერთმა ვაგიციეოს კერძა“ — ამაზე საშინელი წყევლა არ არსებობდა. და მგონი ეს წყევლა მართლა დაატეხა ვილაციამ უბიბებს თავზე, დაატეხა და აუსრულდათ კიდევ. ახლა უბიბებს მიწის იატაკის შუაგულში ორმო ამოთხარათ რასაც თანდირს ეძახდნენ და იქ დაებუდებინათ ცეცხლი. საქმელსაც აქ აშუადებდნენ და პურსაც აქ აცხობდნენ.

საიღმინის ბუკი

ზაფხულის შუაღელა, პაპანაქება. ქათმები ხის ჩრდილქვეშ შემძვრალან და საწყალობლად დაუღლიათ პირები. ყველაფერს ხორხოშელა მტვერი ადევს. გზებზე მტვერი ისეა გავარჯარებული, რომ ჩექმებშიც კი ატანს მისი სიმბურვალე. სახურავები, მეჩხერი ხეების ფოთლები, ქიშკრები და კვეს-ს ვაუთავებლად მღვქავი აქლემებიც მტვრითაა დაფარული. ხელს შემოკრავ აქლემს ფერდზე. ან ქიშკარს შეაღებ და ბოლქვა-ბოლქვად ავარდნილი ნაცარი დაგფარავს. თითქმის სრულელი ჩამკვდარაო, ძაღლებიც კი არ ყფენ. უფანჯრო ბინებში შეყუყული ხალხი აკრილებას ელოდება. მზის ამოსვლამდე დგებიან და შრომობენ, სანამ ჰაერი არ გავარვარდება. მერე ისევ საღამოს ელოდებიან, ისევ სამუშაოს რომ მიუბრუნდნენ. ზაფხულში სხვანაირად არ ხერხდება. მე ღროებით მდგმურით ვცხოვრობ კარინჯ-ოვასში. ყოველშემთხვევაში ყველას ასე ჰგონია. „რაკა მოვიდა, წავა კიდევ“. — ასეცნიან მეზობლები. სოფლის შუაგულში მეჩეთია აღმართული. დღეში ხუთჯერ აღის მუეძინი მინარეთზე და მართლმორწმუნეებს ნამაზის შესრულებას მოუწოდებს. ისევ და ისევ გაისმის მისი ხმა: „არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა!“ კარინჯ-ოვასის აღმოსავლეთით შემო-

დგომობით ჯამხასარები გამოჩნდნენ ხოლმე, რომელიღაც მოხეტიალე ტომის წარმომადგენელი. ისინი თავიანთი მკაცრი ადათის მიხედვით, კარჩაკეტილი ცხოვრობდნენ და სხვა ტომის კაცს ახლოს არ იკარებდნენ. ის კი არა და უცხო ტომებთან სავაჭრო საქმეებსაც მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში თუ მიმართავდნენ. გარეგნულად, როგორც უნაგზრზე დაბადებული ყველა მოხეტიალე, წარმოსადგეგები, ძარღვმავარი და შავგვრემანები იყვნენ. ისინი მეცხოველეობას მისდევდნენ: თხის არვეებსა და ცხვრის ფარას ერეებოდნენ საქოვრიდან საქოვარზე. როცა ჯამხასარები ზაფხულის მიწურულს უბიბების ახლოს დასახლდნენ ცოტა ხნით, მათი ცხვრის ტყავისაგან გაკეთებული შავი კარვები დასასვენებლად ჩამომსხდარი ყვავების გუნდს მოაგონებდა კაცს, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლებოდა აშლილიყვნენ და გაფრენილიყვნენ. ჯამხასარების წინამძღოლი ჯავაღ-ბეი იყო, ქუში და გულჩახვეული მოხუცი. მიუხედავად იმისა, რომ ჰარამხანაშა უბიბი ქალები ჰყავდა. გადმოსახლებულ უბიბებს არ ზოგავდა. ის კი არა და თავს ესხმოდათ და ქალებსა და პირუტყვს სტაცებდათ.

რალა თქმა უნდა, ასეთ დროს მაჰაჯირები იარაღს იღებდნენ ხელში და თავის ღირსებასა და ქონებას იცავდნენ. ასეთ დროს ყოველთვის სისხლი იღვრებოდა, მაგრამ ამაზე წინასწარ ეინ იფიქრებდა, წინდაუხედავად ეკვეთებოდნენ ხოლმე მომხდურს.

შიშველი მწვერვალის დასავლეთით შარაულები ცხოვრობდნენ. სალმინი, თავაზინი, ჰკვიანი, ანგარიშინი და ცოტა ცბიერი ხალხი იყო. მხოლოდ ერთ საქმიანობას ეწეოდნენ: დიდი და პატარა ვაჭრობდა. არა მარტო ახლომახლო შორეული ბაზრებიც კი ხელთ ეპყრათ.

შარაულები დედა შვილის აკვანს არწყევდა და თან ასეთ ნანას უმღეროდა:

ნანა, ნანა, ჩემო ბიჭო,
ჩერ მაწიას ძილი გიჯობს.
გაიზრდები, მამას შეცვლი,
რომ პოიგო ოქრო-ვერცხლი.

გამოჩნდნენ თუ არა უბიხეები, ლამის მეორე დღესვე მოსწყდნენ შარატულელები კარიჯ-ოვასს.

— აბა, ქალი ვის უნდა, ქალი!

— ნაუთი, ნაუთი! — გაისმა ახალმოსული მეწვრილმანეების შეძახილები.

მალე ერთმა მარიფათიანმა შარატულელმა ფარდული გახსნა უბიხეების დასახლებაში. მეორემ — კაფე, მესამემ პატარ-პატარა თანხის გასესხება დაიწყო პროცენტებით. მეჩეთი რომ გაიხსნა, მოლადაც შარატულელი ჰაჯი დადგა, სოფლის მამასახლისად კი მისი ბიძაშვილი. ამბობდნენ, რომ თვით ვალი — გუბერნატორიც ძუნწი შარატულელების გვარისააო.

უბიხებსა და ამ ვაჭართა ფენის ნაშინერებს შორის თანდათან მარტო სავაჭრო ურთიერთობა კი არა, ნათესაობითი კავშირიც დამყარდა. სურჩიანსა და მოხერხებულ კაბუჯებს საბაზრო დღეებიც ავიწყდებოდათ. სარფიანი საქმეებიცა და მევალეებიც, როცა ლამაზ უბიხე გოგოებს მოჰკრავდნენ თვალს ამიტომაც გაისმოდა საქორწილო სადღეგრძელოები ორ ენაზე, უფრო ხშირად კი თურქულზე, რათა მოწვეული სტუმრებისთვისაც გასაგები ყოფილიყო. უბიხე საცოლე ბიჭებიც სიამოვნებით თხოულობდნენ ქალიშვილებს, ვისაც ვაჭრობითა და მევახშეობით ჰქონდათ შეგროვილი მზითვი. ასეთი ქორწილების წყალობით, ღვთის გაჩენილ მიწაზე. ბავშვები ჩნდებოდნენ და რომელ ეროვნებას განეკუთვნებოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ.

შენ ტაპირი ხომ არ დაგაეიწყდა დად შარახ, მოხუცი ჰამიდას შვილიშვილი? აი, იმ ჰამიდასი, მდინარე ჭოროხის ტალღებში რომ გადაეშვა. ჯერ კიდევ ციხეში მიაშბო მხაუჩ აბხუბას შვილმა, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, რომ ტაპირი ნასწავლი კაცი გახდაო მა-

გრამ ოსმან-ქოიდან გახსნა კუთხეები უბიხებს ისიც თან გაჰყვაო. მართლაც ასე იყო, ტაპირი მასწავლებლობდა, მშობლიურ ენაზე ასწავლიდა ბავშვებს წერა-კითხვას. კარგად მოგეხსენებათ ასეთი კეთილშობილური საქმიანობათვის წიგნებია საჭირო. უბიხებს კი აბა წიგნები საიდან ექნებოდათ და აი, ტაპირმა თვითონ შეადგინა უბიხური ანბანი. ეს რა თქმა უნდა, ხელნაწერი წიგნი იყო და ალბათ ერთადერთი ჩვენს ისტორიაში. მოლას ცხადია, არ გამოპარვია „ჩერქეზის“ ასეთი საძრახისი საქციელი. „რატომ უნდა იცოდნენ ბავშვებმა რაღაც ეშმაკისეული ენა? მაშინ როცა მე მოლა ვარ და თურქულ ანბანს ვასწავლი, აბრები რომ წაიკითხონ და ჯარში გასაწვევ უწყებებს ხელი მოაწერონ. ვარდა ამისა, რაკი მექმეთში დადიან, არაბულიც უნდა იზეპირონ. ყურანი ხომ არაბულადაა დაწერილი. ისლამის ქვეყანაში ლოცვები ზეპირად უნდა დაიმახსოვრონ. იმ ენის შესწავლა კი, რომელზეც ვერც ლოცვებს წაიკითხავ და ვერც სულთანის სახელს, მავნებლური წამოწყებაა. მასწავლებელ ტაპირის თვითნებობაზე თვალს თუ დაგხუჭავთ, ვინ იცის, იქნებ ამ ყაჩაღების ნაშინერებმა გულომდგინება გამოიჩინონ და უბიხური წერა-კითხვა ისწავლონ. მერე კი მიდი და არკვიე, რას წერენ და რას აკეთებენ. ალაჰმა დაგვიფაროს, ისედაც ბევრია შფოთისთავი“.

ექვიანობით იხეტქავდა მოლა თავის ჩერჩეტ თავს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ აქ ძაღლის თავი იმალებოდა.

საიდან გაჩნდა ეს მეცნიერებაში ჩახედული ტაპირი? სტამბულიდან. სტამბულში სად იზრდებოდა? მოლაღატისა და კაცის მკვლელის შარდინის, ალოუს ძის ოჯახში. აი რაში ყოფილა საქმე! და მოლაკ თავის უფროსს ახსენებდა: „გაცინობებთ რომ ეს უწმინდური ტაპირი იმასაც არ სჯერდება ღვთის საგმობ ენას რომ ასწავლის სხვა ტომის ბავშვებს. შფოთისთავებსა და ავაზაკებს მთარელობს. მაგალითად, არად ჩააგდო

საქანსკნელი უზიზი

სულთანის ირადა და ერთმორწმუნეთ მოუწოდა, ბეგარა არ გადაეხადათ ალი ხაზრეთ-ფაშასათვის. მუხტარზეც წერდა საჩივრებს და ფაშა ჰუსეინ ეფენდის მოურავზეც. ეს საჩივრები, უფრო სწორად ცილისწამება, რომელიც ვითომდა ხალხის დაწერილი იყო რამდენჯერმე თვითონ მიიტანა დიდი ვეზირის სასახლეში“.

რაც მართალი, მართალია შვილო, ტაპირი მართლა იყო ხალხის დაცველი და მფარველი. მაგრამ ვაზაფხულის თოვლივით აღლეებდა დაღ ვეზირს ჩვენი სადარდებელი. ყურიც არ გაუბარტყუნებია. ეს იყო, რომ გაიოცა: „უბიხებო? ნუთუ ამდენხანს არ დაეღეტე ან არ აღრეულან? თქვენ თვითონ ყოფილხართ დამნაშავე“. და ტაპირის ყოველგვარმა მონდომებამ და ცდამ ამაოდ ჩაიარა.

მოლა კი თავისას აკეთებდა, ბავშვებისათვის უბიხური ენის სწავლება სამუდამოდ აუკრძალეს ჰამიდს შვილიშვილს. ეს სწორედ კარინჯ-ოვასში ჩემი ჩასვლის წინადღეს მოხდა... ტაპირის ნახვა მინდოდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე. სტამბულს გამგზავრებულაიყო თანასოფლელების დასაცავადამბეცა ამოდომინს



შენ თვითონაც ხელები, ძვირფასო შარახ, რომ სითს სარჩენად ვერ დავაწვებოდი კისერზე. პოდა, გადავწყვიტე მქედლობა დამეწყო, რაც დავითის შეიღმა შემასწავლა, მაგრამ პარტო კეთილი სურვილი სამქედლოს ვერ ამიშენებდა და ვერც უროს, ვრდემლს, მაშებსა და სხვა საჭირო ნივთებს გამიჩენდა. სითისაგან ვისესხებდი ფულს, მაგრამ აბა საიდან ექნებოდა? „ჩიბეში თაკვები მიჰყავიანო“, მწარედ ხუმრობდა ხოლმე. ამ გადახრიოკებულ უტყვეო დაბლობზე ნახშირსაც ვერ იშოვიდა კაცი ცოტა იაფად. რა უნდა მექნა? ჰერის თესვაში ვებმარებოდი მოხუცებს, მაგრამ აბა რა მოსავალი უნდა მოგვეკლოდა ამ გვალვისაგან გამოფიტულ მი-

წაზე? ისიც არ დაგავიწყდეს, რომ სითისა და მამიდა ხიმჭადის ნაკვეთს ერთი ნაბადი გადაწვდებოდა. ბამბის მოყვანაც დავაპირეთ, მაგრამ მის მოსარწყევ წყალს სად ვიშოვიდით და გადავიფქრეთ. ერთხელ გარეული გოგარის თესლი ვიშოვეთ, ყელიან გოგარას ეძახდნენ. დავეთესეთ და ჩვენს ვაოცებას საზღვარი არ ჰქონდა ისეთი გოგრა გაიზარდა. სიღარიბე რას არ გასწავლის; გავახმე გოგრა და ლამაზ სახელურიანი ჩამჩები, საწურები, ფიალები და ათასნაირი ჭურჭელი გავაკეთე. გამხმარი გოგრიდან ბავშვის სათამაშოების კეთებაშიც ხელმარჯვენი გამოვდექით; ფრინველის ბუმბულით შორთულ თოჯინებს ვაკეთებდით. მატყლის უღვაშიან ნიღბებს და რა ვიცი, რას — არა. მიგვქონდა ჩვენი ნაჯახირევი და ბაზარზე ვყიდდით. ამ საქონელში აბა ბევრ ფულს ვინ მოგვაშავებდა და ჩვენც მხოლოდ სპილენძის ფული მიგვქონდა შინ.

მადლობა ღმერთს, რომ მამაჩემი არ მოესწრო ამ სამარცხენო დღეს. მხენულად და მთესველად დაბადებული მისი შვილი ამ ხარახურით ხელში რომ არ ნახა ბაზარზე.

ერთხელ პაპანაქება სიცხისგან ვისავათებულოდ ბუზებზსაგან გაბზერებულნი მთელ დღეს ვეგდე ბაზარზე. წინ ჩემი ნახელავი სათამაშოები მქონდა გაშლილი. მზის ჩასვლისას ნავაჭრი ფულით მარილი, ნავთი, პური ვიყიდე და გზას გაუდდექი. ცუდ ხასიათზე ვიყავი; ჩემი საქმიანობა ჭეშმარიტ კავკასიელს არ ეკადრებოდა. თანაც ყურმოკრული ამბებიც მაფორიაქებდა. ხალხისგან გავიგე, რომ ახალ ომს ვერ ავცდებოდით. ამბობდნენ საბერძნეთის ჯარები იზმიდში გადმოსასხამად ემზადებიანო. მერსინის რეიდზე საფრანგეთის გემებმა ჩაუშვეს ღუზა. სტამბულში კი ინგლისელები კარნახობენ თავის სურვილს დამოუკიდებლობაწართმეულ სულთანს და სისხლიან საქმეებში ითრევენო. შინ რომ მივედი, სითს მოუწყვეი გავო-

ნილი ამბები და შიშიც გამოვთქვი უბიძგის ბედზე.

— ეჰ, ბატონი და ქალბატონი რომ წაეჩხუბება ერთმანეთს, მოსამსახურეს მოხვდება ხოლმე, — ნაღვლიანად გამომეხმარა მოხუცი.

პარასკეობით მეჩეთში დავიწყე სიარული. არ იფიქრო, ზაურყან ზოლაკი მაჰმადიანური სარწმუნოებისკენ მიიქცაო. ამას მხოლოდ იმიტომ ჩავდიოდი, რომ სითი და მამიდა ხიწყაყი არ დამეღუბა. აბა რას ეტყოდნენ, მათ ვერკვეშ შეფარებული კაცი უღმერთო რომ გამომდგარიყო?

უნდა გითხრა, ძვირფასო შარაბ, რომ სანამ მე აფრიკაში დავეხეტებოდი და ცხებებში ვვგლე, ყველა უბიძგა ისლამი ირწმუნა. ამ ამბავმა ცოტათი როდი განმაცვიფრა. ის კი არა და, ისინი უფრო მეტ ღეთისმოსაობას ავლენდნენ, ვიდრე ადგილობრივი შარაულელები.

ყოველ პარასკევს დიდი და პატარა მეჩეთში მიდიოდა. ახლა ჩემი თანაგემოელები მუსულმანური კალენდრის მიხედვით მარხულობდნენ, რასაც ღარბი კაციც ადვილად შესარულებდა. დღესასწაულებზე არ მუშაობდნენ. განსაკუთრებით ურახისა და ნავრუხის დღეებში. ახლა ცისკენ ხელაპყრობილნი აღარ იძახდნენ „ღმერთო გვიშველეო!“ მიტყუბული ხელსაგულები მკერდზე მიედოთ და ისე ამბობდნენ: „ალაჰ, გვიშველე!“ რამაც ყველაზე მეტად გამოაცა, ის იყო, რომ წვეთ სასმელს აღარ უშვებდნენ პირში. ჰო, უკვე აღარაფრით ჰგავდა ეს ხალხი უბიძგებს...

შენ ბითხაზე მეკითხები, ძვირფასო შარაბ? სწორედ იმაზე უნდა შეამზნა ახლა. ეს სალოცავი ისევ არსებობდა და მოხუცები კვლავაც სცემდნენ თაყვანს. არც უნდა გავიკვირდეს. ახალგაზრდობაში მინახავს, როგორ ლოცულობდნენ შაფსულები მსხლის ხეზე. რომელზეც ჭვარი იყო გამოსახული, თუშკაც შაფსულები წარმატებულ ითვლებოდნენ. ის კი არა და, ჩერკეზებსაც ორი თუ სამი სარწმუნოება ჰქონდათ: ერთნი

ქრისტეს სცემდნენ თაყვანს, მეორენი ისლამს აღიარებდნენ, ზოგს კი უფრო პატარ-პატარა ღვთაებები გააჩნდათ, თითქოს ერთად შერწყმული ქრისტიანული წმინდანები და წარმართული ღვთაებები, როგორც მაგალითად მერისია, ფუტკრის მფარველი ღვთაება. ჩერკეზების ეს ნაწილი ირწმუნებოდა, რომ ერთ ზამთარს ყველა სკა დაიღუბა და მხოლოდ ერთადერთი ფუტკარი გადარჩა, იმიტომ რომ უცოდველი მერისის სახელოში შეიძალა. ამ გადარჩენილი ფუტკრისაგან აღსდგა ისევ თავლის მკეთებელთა ჯიშით.

ბითხას ქურუმი ისევ საულაპი იყო. ის უკვე ისეთ ასაკში გახლდათ, მე რომ ვარ ახლა.

და აი, ერთხელ სითი მეუბნება:

— საულაპი შეუძლოდა, წამოდი, მოვიწახულოთ, შეილო! სამწუხაროა, აქამდე რომ ვერ მოახერხე მისი ნახვა.

დავემორჩილე და ავადმყოფ ქურუმთან გავწიეთ. ჩემი თანამგზავრი ისე იყო გამოწყობილი, თითქოს სადღესასწაულო ყრილობაზე მიდიოდა. ჩოხა ეცვა, ჩოხის ქვეშ ბეშმეთი, ქამარზე ხანჯალი ეკიდა, ხელში კი რკინის ბუნციანი კვერთხი ეჭირა. ქურუმის გასახარებლად გამოეწყო ასე:

„შემხვედრები გვესალმებოდნენ:

— სალამ ალეიქუმ!

სითი კვერთხის წვეტს მიწაში არჭობდა და ყველას ერთნაირად პასუხობდა:

— ვაალეიქუმ ასალამ!

არცერთი ძველი უბიძგური მისალმება? „დილა მშვიდობისა“ და „გამარჯობის ნაცვლად „სალამ ალეიქუმ“ და „ვაალეიქუმ ასალამ!“ ასე რატომ უნდა მომხდარიყო? სითს შევეკითხე და მან მოკლედ მიპასუხა:

— შევეჩვიეთ.

გზაზე ბიჭები „დანობიას“ თამაშობდნენ. გვერდით რომ ჩაეუარეთ, არცერთი არ წამომდგარა, გზა რომ დაეთმოთ. თითქოს არც კი შეუმჩნევიათ ჰალარა-შერთული გამვლელები, ახარტულად განაგრძობდნენ ფოლადის დანის მიწა-

ში ჩარკობას. ჩვენ თვითონ ავუარეთ გვერდი. ერთმა შეთმინაშია ბიჭმა, ცოტა უფროსი რომ ჩანდა თამაშს თავი მიანება და სითს დაუძახა:

— ეგ მატყლი მოიშორე, პაპაჩემო, ძელები გაინიავე!

შეთმინაშეები ახარხარდნენ. სითს არც კი მიუხედავს. ეტყობა პირველად არ იგდებდნენ მისხარად სირცხვილ დაკარგული ბიჭები მოხუცებს. ახალ დროს ახალი ჩვევები მოეტანა.

— ეპ, ნეტა არ დაგვადებულეიყავი, — ჩაიბურტყუნა მოხუცმა და რაღაცაზე ჩაფიქრდა. იქნებ თავის ქაბუკობა გაიხსენა უბიხეთში. ოპ, იქ ყველაფერი სხვაგვარად იყო!

„ცხენი“ — დაიძახებდა ქალბარა წვეროსანი მოხუცი და პატარა სითი თვალისდახამამებაში მოპვერიდა მერანს. სითს მანამ ეჭირა უზანგები, სანამ პატრესაცემი მხედარი ცხენზე არ შეკედებოდა. თუ პატრეს დასდებდნენ და ცხენით გააყოლებდნენ სტუმარს, ოდნავ უკან ჩამორჩებოდა და მარცხენა მხარეს გაჰყვებოდა. შეაჩერებდა მოხუცი ცხენს ჩამოსაქვეითებლად და სითი უკვე ძირს იყო, ცალი ხელით აღვირი ეჭირა და ცალით — უზანგი. მერე წინ გაუსწრებდა და ჰიშვარს გაუღებდა. სუფრას მიუხსდებოდნენ მოხუცები და სითი წყალს, ტაშტსა და პირსახოცს მიუტანდა ხელების დასაბანად. სამი დღე და ღამეც რომ მსხდარიყვნენ უფროსები სუფრასთან. არ ჩაიძუხლებდა, ისე მოემსახურებოდათ. თუ არაფერს შეეკითხებოდნენ, ხმას არ ამოიღებდა. ეპ, გაფრინდა წლები და ახლა თვითონ არის მოხუცი, ახალგაზრდობა კი სხვაანარი მოვიდა. ის ლაწირაკები, ახლა დანობიას რომ თამაშობენ, სისხლითა და ხორციით უბიხები არიან, მაგრამ უბიხური აღზრდის ნიშანწყალიც არ ეტყობათ. უბიხები არიანო — ლიტონი სიტყვებია, ღმერთმა იყოს, ვინ არიან...

სახლის ეზოში რომ შევედითოსადაც საულაპი ცხოვრობდა, თავიდან ფეხებამდე თეთრებში გამოწყობილი ქურუმი

დავინახე, თითქოს ლოცვაზე მიდევნიდა დაბალ სკამზე იჯდა და ალაბაშის მკვლელობის ფერფლის ფერი წვერი ქამრამდე წვდებოდა. აქეთ-იქედან ადგილობრივი მოხუცები უსხდნენ. საულაპმა მიცნო, წამოდგა და გადამხეხია.

— ღმერთმა დალოცოს ის სახლი, რომელმაც შენ შეგიფარა.

დაჯდა და გვერდით მომისვა. მე კი ვერ გავებდავდი სუფრაზე ასეთ საპატრიო ადგილას დაჯდომას. მოხუცს თავისტიკივილი აწუხებდა. მაგრამ ახლა თითქოს დაივიწყოდა. მისი თხოვნით ჩემს ხეტიალსა და პატიმრობაზე ვუამბენ. ნამბობმა აადელვა.

— ჩემო ძმანო — მიმართა საულაპმა გარშემო მყოფთ, — თქვენ რომ არ მოსულეიყავით დღეს, მე თვითონ მოგიწვევდით. ზაურყანის აქ ყოუნაც ზედ გამოჭრილია. გადაწყვეტიტე ქურუმის მოვალეობა მოვიხსნა.

ასეთმა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გაგვოცა.

— ეს დიდი ხანია, გადაწყვეტილი მაქვს, მაგრამ გამხელას ვაყოვნებდი. ვიცოდი, რომ თქვენთვის — უკანასკნელი უბიხი მოხუცებისთვის მძიმე იქნებოდა ამის მოსმენა.

— შეგვიწმინდე, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს. გონება და ნებისყოფა არ შეგცვლია და აჩქარება არ ეგების. ხალხისაგან დაკისრებული მოვალეობა იოლი არ არის, მაგრამ ჩვენი თანამემამულეების სულიერად დაცემის დროს, შენი გადაწყვეტილება ნაჩქარევი. — შეშფოთების დაუფარავად შენიშნა სითმა.

— სულის სიმტკიცესთან სხეულის სიძაბუნე რა მოსატანია, — შენიშნა დაუთმა.

— წინამძღოლი რაღა საჭიროა, როცა ისინი აღარ არიან, ვისაც უნდა გაუძღვე. ფესვებს თუ გადაუჭრი, ხე ვეღარ იცოცხლებს. ვის რაღად უნდა ისეთი სალოცავის ქურუმი, რომელიც რა ხანია დაივიწყებისთვის მიუციათ? — თქვა

მწუხარედ თავჩაქინდრულმა საულაჰმა.

— არა, პატივცემულო საულაჰ, სანამ წმინდა ბითხას, თუნდ ერთადერთი თაყვანისმცემელი მაინც იარსებებს, შენს მოვალეობაზე უარის თქმა არ ძალგიძს, — სითის მხარე დაიჭირა მისმა თანატოლმა თათლასტანმა.

— ნათქვამია, პატივი ხანდაზმულსაც უნდა სცე და ახალგაზრდასაცო. აღსრულებს ნება თქვენი, — წარმოთქვა საულაჰმა, როცა თავისტიკივალმა გადაუარა შევიკრიბოთ და ჩვენი თვალთ ვნახოთ, ბევრია ისეთი, ვინც ბითხას მფარველობას ეძებს?

— მათი რიცხვი კი შემცირდა, მაგრამ მთლიანად არ მოსპობილა ჯერ — გულის სიღრმეში თვითონაც არ იყო დარწმუნებული ისე დააიშედა დაუთმა მოხუცი.

ქურუმს გონება კვლავ ფხიზელი ჰქონდა და დაუთის სიტყვებშიც იგრძნო მის გულისგასაკეთებლად მონაგონი.

— აღდგომა და ხვალეო, დიდი ხნის ლოდანი არ მოგვიწევს. პირველსავე ხუთშაბათს მოუხმეთ ხალხს. თუ შეიკრიბებიან...

— ე-ე-ეჰ, შინ რომ ვყოფილიყავით, ერთს ჩაებრავდით ბუქს და ყველანი როგორც ერთი, ისე მოვიდოდნენ, — ამოიხორა სითმა.

ჩვენ წასასვლელად წამოედექით, მაგრამ საულაჰმა გვთხოვა: ცოტახანს შეიცადეთო. მან თავის ცალბელა ავადმყოფ შეილიშვილს მოუხმო და რაღაც ჩუმად უბრძანა. შეილიშვილმა თავი დაუქნია და შინ შევიდა. ერთი წუთის შემდეგ იშვიათი ძველებურა ქამარბანჯალი და სპილენძის წმიდა ბუქი გამოიტანა.

საულაჰი სწრაფად წამოდგა: (რამდენადაც ძალა შესწევდა), აღაბაში მიწაში ჩაასო და წვერზე ხელი ჩამოისვა:

— ძმებო—მოულოდნელი სიფიცხით მოგვემართა მან, — იცოდეთ, რომ ეს ხანჯალი მაშინ არის გამოქედილი, როცა

ტბიხების ქვეყანა... მოსული. ის ჩემი მამის... ქონია და მისი პატრონები ნაწდელი ვაჟაკები იყვნენ. მათი ხელის გული ამ ბასრი მახვილის გაგრძელება იყო. ეს ბუქი კი ხალხის მაცნე იყო. მათი სიხარულისა და მწუხარების მაუწყებელი. მთებიც კი იმეორებდნენ მის ხმას. მე უკვე სამარის პირასა ვარ მისული. ჩემი შეილიშვილი კი, როგორც იცით, ავადმყოფი და გამოუტყდელი კაცი — საულაჰი მე მომიბრუნდა, — ზაურყან ზოლაჰ. ჩემო შეილო, შენ აქ დამსწრეთაგან ყველაზე უმცროსი ხარ, გაჭირება კი ყველაზე მეტი გადაგიტანია. სულიერად სუსტებს გაჭირება ანადგურებს, ძლიერებს კი — აწრთობს. ამიტომ მხოლოდ შენ მიმჩინიხარ ღირსად. ეს ნივთები რომ გიანდერძო, რომლებსაც ჩვენი ბედის ანაბეჭდი ადევს ზედ.

— ამას ნუ დამაქისრებ, — დავიბენი მე, — შემძლია კი მათი მიღება? მე ხომ უდანაშაულო საიდის სისხლი მადევს. თანაც სულს ვიწყემდ ზოგჯერ რადგან რწმენის გარეშე დავდივარ მეჩეთში...

— დამმორჩილდი შეილო! ეს მე უფრო ვიცი, — თქვა მოხუცმა.

დამსწრეებმა მომილოცეს აშენლა პატივი. საულაჰმა მარცხენა მხარეზე ხელი დამადო და ბრძანა:

— ხუთშაბათ დილით წმინდა სალოცავზე მიხვალ, ბორცვის წვერზე შედგები, ბუქს პირთან მიიტან და ჩაბერავ. დაე მისმა ხმამ გაახსენოს უბიხებს ვინ არიან ისინი. დაე, სულიერად დაცემულები აღსდგნენ, დაე, ჰოვონ თავნი თვისნი. და თუ მთლად არ აუღია ღმერთს ჩვენზე ხელი, ხალხი შეგროვდება.

მოხუცები გამხნეოდნენ, თითქოს ათათი წელი ჩამოიბერტყესო მხრებიდან. მე კი ვიდექი მათ წინ და არ ვიცოდირა მექნა, გამხარებოდა თუ მეტირა.

თარგმანი თამარ ჩინგაძისა

მოთარ კუპრავა

სირიაჩონის ტყის სიზმარი

რომანი

ადილარ გვაზავა ნაშუალამევეს წავი-
და შინისაკენ; „მაშ, ჩემო ადილარ ბე-
ტონო, — თავად გაუბა საუბარი საკუ-
თარ თავს. — ის გოგო, შენს ცხენს
ტყვია რომ მოარტყა, ვერცო ყოფი-
ლა?“...

სცოდნოდა ადილარს, რა შვილი გა-
უშვებდა! ვილაც გამვლელი ცხენოსანი
კი არა, ცხრათავეიანი დევი ვერ გააკავებ-
და...

ერთგან ვიწრო თხრილი შეხვდათ
გადასასვლელი. სხვა დროს ადილარის
ცხენისთვის ასეთი თხრილი გზაზე და-
გდებული ჩხირი იყო. ახლა ძირს დაი-
წია ჰკვიანი პირუტყვი, კარგად მო-
ზომა და ფეხი ფრთხილად გადააბიჯა.
თხრილში სიბნელე ჩაწოლილიყო და
ადილარს უნებლიეთ გაახსენდა უცხე-
დრო საფლავი.

საფლავის მოლანდებას საფლავი
მოჰყვა. და ადილარის ფიქრებში ჰქვეს-
კნელიდან აბოლდა მამანტი ხაბეშვი-
ლის სულიც...

შინ რომ მივიდა, მაშინვე დაწვა, მა-
გრამ ვერ დაიძინა...

— ადილარ გვაზავა, ცოცხლად ნუ
დამმარხავ! — ახლა საწოლქვევიდან
ამოსძახოდა მამანტი ხაბეშვილი...

ერთხანს თითქოს მიეძინა, მაგრამ
უცებ რალაც ამორტყმა იგრძნო. ქვე-
ვიდან და წამოხტა... საბანი თავზე წა-
იხურა, მოიკუნტა და იმ საბნის სიბნე-
ლეში გაახლა თვალი.

თითქოს ქარი შრიალეზდა და გლეჯ-
და ყველაფერს ამ დამწყვედულ სიბ-
ნელეში... და მიჭროდა ადილარი სად-
ლაც უგზო-უკვლოდ...

გათენებამ სწორედ მაშინ მოუსწრო,
როცა სიზმარში თუ მოლანდებაში, ვე-
რცო შეიპყრო და შეუქანა...

ადილარის შეძახილზე ცოლი შემო-
ვიდა საწოლ ოთახში:

— რა იყო, ადილარ, ვის ეძახდი?
ადილარმა საბანი გადაიწია და საბე
გამოაჩინა:

— ეძახდი თუ?.. ეჰ, დავიდალე,
თოლიგე... დავიდალე... ამ ცხენის და-
რდმა არ დამაძინა... ის მეორე თვა-
ლიც ვერ უჭრის ადრინდებულად...

...ნასაბეშვეს ადილარმა სამსახურ-
ში შეიარა, ერთი მილიციელი იახლა
და ცხენდაცხენ კოლორის გზას დაად-
მა.

ლაშახლად თოვდა. ფიქტებზე ნელა-
ნელა იკოლებდნენ ფეხს სველ მიწაზე.
ისლიან სახლებიდან ამოსულ ბოლს
ცისკენ პირდაპირ ასვლა უჭირდა და

გაწოლილად ეფინებოდა დათოვლილ სოფელს. ბოლი მალა რომ ვერ მიდის, თოვის ნიშანია..

ადილარი კარგ გუნებაზე დადგა და ჩაილიღინა. მილიციელიც უნებლიედ აყუვა. მას არც უკითხავს თავისი უფროსისთვის, სად და რა საქმეზე მიდიოდნენ. იქნებ არც აინტერესებდა, — ასეთ ამინდში გავლა-გასეირნება უსაქმოდაც სასიამოვნო იყო...

მიდიოდა ორი ცხენოსანი ახალ თოვლში და მიიმღეროდა...

პეპუს ბორანთან შედგნენ. მებორნეს მანარა მხარებზე მოეგდო და თავის ფაცხაში ცეცხლს ეფიცებოდა — ხის ფეხი გვერდზე გაეჭიმა და ზედ ყალიონს აბერტყავდა; სტუმრები რომ დაინახა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ადილარმა გააჩერა: იჭკვი, შე კაცოო... რატომღაც ახლა შეეცოდა ეს ცალფეხა კაცი, ადრე არასდროს უგრძენია მისდამი სიბრალული.

მებორნეს სიმინდის კბილ-მეჩხერი, დაგლატებული ტაროები ჩაეყარა ქვაბში და მოსახარშად შეედგა. ადილარმა იფიქრა: გავესაღბრები ამ ადამიანს ცოტა ხანს. იქნებ ვერცოვზე რამე წამოვაცდევინოო; საუბრის დასაწყისი უცნაური გამოუვიდა:

— სად მოიპარე, ბიჭო, ევ სიმინდი?..

ეს შეკითხვა კი არა დაცინვა იყო, რადგან აშკარად ჩანდა, რა მოსაპარავი ტაროებიც იხარშებოდა.

— აგერ ჩალის ზვინები რომაა, იმათში მოვიწაყერე, შენ ხარ ჩემი ბატონი!

ადილარმა პეპუს გაწვდილი ხელის მიმართულებით გაიხედა: ეს „აგერ“ რიონს გადაღმა იყო.

სითბო ეამა ადილარს, საბეზე ხელი აიფარა და ქვევიდან შეუბერა ცეცხლს, კვამლმა აქეთ შემოუტია და თვალები დასწვა...

— ჯაბა კიზირია ხომ არ გინახავს ამ დღეებში? — ესეც იმ სიმინდის ამბავით ცალყბად იკითხა ადილარმა და პასუხის მოლოდინში თავის მილიცი-

ელს მოუხმო: აქეთ მოიწი...
— ჯაბას რა გაახარებს, ადილარო ბატონო! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა პეპუს და თავი ბორნისაკენ დახარა: — გაბრძანდებით გაღმა?..

ადილარმა მებორნის შეკითხვას გვერდი აუქცია:

— ქალიშვილი სადაა, მაგისი, თუ იცი?

პეპუს იცოდა, ვერიკო ამჟამად კოდორში რომ არ იყო, — გუშინ გამოვიდა აქეთ და მერე არ დაბრუნებულა...

— მეზუმრებით ბატონო? — განგებ გაიკვირვა მებორნემ „გარდაცვლილი“ ადამიანის მოკითხვა. — გაანათლოს უფალმა მისი სული...

— ხუმრობას განახებ მე შენ! — უცებ შეიცვალა ადილარი, რადგანაც ზედავდა, მებორნე აშკარად უხვევდა თვალს, მათრახი ცხვირწინ დაუტრიალა და სავსებით გასაგებად განუმარტა:

— იმ კუბოში მიცვალებული არ ესვენა!.. მე თვითონ ვნახე! ამოვათხრე ვინე და ვნახე!.. ახლა რას მეტყვი?

მებორნემ იგრძნო, მართლა რომ არ ხუმრობდა, და გაჭირვებიდან დასაძრომიდ რაღაც-რაღაცეების მიყებამოციბვა სცადა:

— შესაძლოა იქ ცარიელი კუბო და მარხეს... ის საცოდვე გოგო კი სხვაგან მიაბარეს მიწას... შეეშინდათ, ალბათ, ბატონო. ცოცხალს მოსაკლავად დასდევდნენ და მკვდარი საფლავიდან არ ამოგაღონო...

ადილარისთვის გასაგები იყო, სად მიძვრებოდა მებორნე თავის შესამალავად. მაგრამ მიყოლა დაეზარა და საუბარი სიცილში გადაიტანა:

— შეეშინდათ და საიდუმლოდ მიუფანიერეს, თორემ თამარ მეფე მყავდა!

ადილარი წამოდგა, — ამ მებორნისაგან მაინც არაფერი გამოდნებოო, — და ისევ გაღმა გასვლა და ჯაბა კიზირიასთვის „ყელის მოგრეხა“ არჩია. მაგრამ გაღმა გასვლა არ დასჭირდათ.

იქითა ნაპირზე ჯაბა კიზირია თვითონ გამოჩნდა — აქეთ მომავალი...

— მიღიხართ, ჰე, ვალმა — მოაძახა ჯაბას გამოსაყვანად ბორნისკენ წასულმა პეპუმ მილიციელებს.

— წადი, გამოიყვანე!.. და, მე რომ აქ ვარ, ნუ ეტყვი, — დაარია ადილარმა მეზორნე.

ამ მეზორნის წელანდელმა ნათქვამმა — ვერიკო აღბათ სხვაგან დასაფლავესო — ცოტა ეპქვიც კი ჩააგდო ადილარ გვაზავა: ვინ იცის, ეგება მართალიცაა... აბაშაში იმ კუბოთი თოფები წამოიღეს, „დასაფლავეს“ და იმავე ღამეს ამოთხარეს. ნამდვილი მიცვალებული კი იქვე, კოდორში დამარხეს.

ესეც ჰგავდა სიმართლეს...

ბორნიდან გადმოსული ჯაბა უგულოდ მიესალმა მილიციის უფროსს და შეჩერებას არც აპირებდა, ადილარს რომ არ მოებრუნებინა თავისი ნაძალდეკად დამტყბარი სიტყვით:

— ჯაბა, სიმართლე მითხარა და ხელს არ გახლები!..

— რა უნდა ვითხარა?..

— შენი ქალიშვილი სადაა?..

სხვა რაიმე შეკითხვას არც მოელოდა ჯაბა მილიციის უფროსისაგან. ამ შეკითხვით ჯაბა მიხვდა, რომ მისი ქალიშვილი დაჭერილი არ ჰყოლიათ; ახლა ის აწუხებდა: ვერიკომ ამ სულწაფყმედილის აქ ყოფნა არ იცის და საიდანმე უცებ არ გამოჩნდესო...

ვერიკო მართლა მოდიოდა ამ დილით შინისკენ ბიქტორთან ერთად; ბორანი შორიდან დაზვერა და, მეზორნის ჯიხურთან სარზე ჩამომხობილი ქოთანის რომ ნახა, შეჩერდა (ქოთანის სარზე ჩამომხობა საშიშროების ნიშნად ჰქონდათ დათქმული).

ახლა, ამ წუთას ვერიკო და ბიქტორი რიონისპირას ზეინში თბილად შემალულიყვნენ და ბორანს უთვალთვალებდნენ...

ჯაბამ თვალი გაუსწორა ადილარ გვაზავას. ჯაბას ეკვდაც არ შეიძლება სკოდნოდა, რომ ადილარს „ვე-

რიკოს საფლავი“ უკვე ამოთხარეს ჰქონდა, პასუხიც ამ რწმენიდან ვერა-

დინა:

— რაშია საქმე! მიცვალებულსაც არ ასვენებთ?..

გულში კი მიაწყევლა ადილარს: შენ გაგიწყდეს ძირი და სახსენებელიო...

ამთ სუბარში, პეპუ ხელახლა გასულიყო ვალმა და ჩალაბულით დატვირთული ურემი შეეყენებინათ ბორანზე.

ბორანზე, მეურმის და პეპუს გარდა, კიდევ სამი ნაბღიანი კაცი იდგა. რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. მეზორნე აქეთკენ მიუთითებდა მათ, ხმა კი ვერ ატანდა აქამდე. ადილარი, ჯაბა და მილიციელი ჯიხურში იდგნენ და ღია კარიდან ხედავდნენ ამ სურათს.

თოვამ იმატა. ადილარისა და მილიციელის ცხენები ქანდაკებებივით იდგნენ ამ თოვაში. მილიციელის ცხენს თავი დაბლა ჰქონდა დაშვებული, ადილარის ცხენი კი დაძაბული და თავაწეული, აქეთ-იქით ატრიალებდა ყურებს.

ბორანი რომ წამოვიდა და შუაწყალს გამოსცდა, ადილარი ჯიხურიდან გამოვიდა: რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ იმ ურემზე თოფები იქნებოდა ჩამალული. ის სამი ნაბღიანი უცნობიც არ მოუვიდა თვალში...

გდმორეკა თუ არა მეურმემ ხარები ნაპირის ბოგაზე და შეაყენა, ადილარმა სულის მოთქმაც არ დააკადა:

— სად მიგაქვს ეს (ჩალაო უნდა ეთქვა, მაგრამ „თოფებიო“ წამოსცდა)... მეურმემ თვალმოჭუტულად გამოხედა: რას ამბობს ეს კაციო!..

ადილარმა ნაბღიანები შეათვალღერა და ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, საბრძოლო მანძილი აიღო, გულმა უგრძნო: ეს შეხვედრა „კარგი გამარჯობა — გზა მშვიდობისათი“ არ დამთავრდებოდა...

სამივენი ტანდაბალნი და სახეამდგრეულნი იყვნენ, მუხლსზევით ასაკეცა ჩექმები ეცვათ... მეგრულზე სავა-

ზნებზე გადაჯვარედინებულად შემოერთდა სამივეს. სამივეს ქამარში გაჩრილ იარაღზე ედო ხელი...

ერთს ჩიბუხი გაეჩარა კბილებში, შავი მოკაუჭებულო, კავლის სიმსხოთავიანი.

ჯაბას თვალი ამ ჩიბუხს მოხედა პირველად. სწორედ ასეთი ჩიბუხი ჰქონდა მის შვილს მოსეს... მოსეს ჩიბუხზე სპილოს ძვლისგან გამოჭრილი ასოებით იყო ჩასმული მისივე სახელი „მოსე“. ეს სხვა ჩიბუხი იყო ალბათ, ჰგავდა მხოლოდ ჯაბას შვილის ჩიბუხს...

ნაბღიანები ხმას არ იღებდნენ; ბორნიდან მარდად გადმოხტნენ და გაფანტულად განლაგდნენ. მათი თვალები მთელ გარემოს ზეერავდა... და ესეც ცუდად ენიშნა მილიციის უფროსს. ადილარს თანახმა იყო, ხელი არ ეხლო მათთვის, ოღონდ მშვიდობიანად გასცლოდნენ აქაურობას, მთელი თავისი ყურადღება განკუთვნილი მეთრეველთა და რევოლვერის ამოღების მიზეზად მეთრეველთა გამოიყენა.

— გაჩხრიკე! — უბრძანა თავის მილიციელს, ჩაშახი შემართა და ნაბღიანებს ზურგი შეაქცია; ამით ანიშნა: თქვენ არაფერს გერჩით და კეთილდღეობით, თქვენი გზა ნახეთო...

მილიციელმა ურმიდან ფიწალი ამოიღო და ჩაღას აპკრა... მეთრეველნი დაუდგა:

— მოემვი მაგას... ძლივს დამიღვია ურემზე და მიწაზე მიყრი?

ადილარმა აბლა შეამჩნია, რომ მეთრეველს ცალი მკლავი მხარზე შემხმარი ჰქონდა მოდრეკილად და თათების აუმოძრავებლად ასწია მალა...

— გადმოყარე! — ჩაესმა მილიციის უფროსის დაყვირება და ამ დაყვირებაში დააჩქარა მოსახდენი: ერთ-ერთი ნაბღიანი ფოცხვერივით გადმოხტა ადილარისაკენ და ისე აართვა იარაღი, თითქოს ყანწი სჭეროდეს ადილარს ხელში... იმავე წამს მეორე უცნობმა მკერდში ჩაავლო ცალი ხელი მილი-

ციელს და მიწას ააცილა. მძლიერად ფეხები გააფართოხა პერსონაჟს.

უცნობებმა გააკეთეს ის, რასაც თვითონ ადილარი გააკეთებდა მათზე არანაკლებ, მილიციელი რომ არ ჰყოლოდა ბედოვლათი.

მესამე ნაბღიანი ადგილიდან არც დაძრულა... არც ერთს იმ სამთავან რევოლვერი არ ამოუღია.

ადილარს ბოღმა ყელში მოაწვა. მისი რევოლვერი თოვლში ეგდო.

ფიქრმა გაუელვა: დასწვდნოდა იარაღს და თუ სიკვდილი იყო, იმ იარაღით ხელში მოჰკვდარიყო... ასე ლანჩრულად ვერ ძლებდა. ყალიბიანმა თითქოს ვაიგო ადილარის გაფიქრება და რკინის ელრიაცივით ხმა გამოცა:

— იდექი მანდ, თორემ შენს ვაჩერებას ერთი ტყვია უნდა...

— ვინა ხართ თქვენი! — ციცილი წაეკიდა ადილარს...

ის ჩიბუხიანი დინჯად წამოვიდა და ადილარის რევოლვერი ფეხის კვრით თითქმის შუა რიონამდე გადაადგო. წყლოდან დამფრთხალი ფრინველი აფრინდა...

უცებ გონება აემღერა ადილარს, თვალთ დაუბნელდა, ელვის უსწრაფესად ჩაიხარა და გამართვას ისეთი მუშტი ამოკრა მოძალადეს, რომ რუხინის ბურთივით გადაისროლა გვერდზე...

მუშტნაკრავი კაცი თითქოს მართლა რეზინისა ყოფილიყოს, მიწაზე დანარცხებისთანავე წამოხტა, ადილარს მკლავი დაუქირა და ზურგისუკან აუგრიხა...

მეგობრნე პეპუ ჯერ კიდევ ბორანზე იდგა და იქიდან უყურებდა ამ უცნაურ ქიდილს.

ჯაბას ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია: თვალებს ამოძრავებდა მხოლოდ, თოვლში ჩაყარდნულ ჩიბუხს დააკვირდა. მაგრამ ზედ ვერავითარი წარწერა ვერ შენიშნა: ვაიფიქრა: ასეთი ჩიბუხი ქვეყანაზე მართა მოსეს ხომ არ ეჭნებოდაო...

ადილარს ვადაგრებილი მკლავი მოტეხვავზე რომ მიუყვოდა, ტანი მაშინ მიაკოლა და ცხვირპირით ჩაეფლო თოვლიან ტალახში; ნაბღიანმა უფრო გადუტრილა მავა და ისე ავორავა, ვიდრე სულ მთლად არ ამოვანგლა...

ადილარის მილიციელი მორჩილად იდგა ურემთან. მიშველებას ვერ ბუდავდა.

— მე თქვენ გიჩვენებთ!.. დაგვრეტით!.. — მკერდზე სამოსს იგლეჯდა ადილარი.

— გავაჩემო? — იკითხა თავის მეგობრებში ერთმა ნაბღიანმა და რევოლვერი ადილარისაკენ გაიშვირა.

დაუშალეს.

მეურემე ურემზე ჩალა გაასწორა ცალი ხელით, ნაბღიანებს მადლობით დაემშვიდობა და ხარები გარეკა... მიუძღოდა ურემს და თან უკან-უკან იხედებოდა.

ჯაბას თავისი ვაყები გაახსენა ამ სამი ჭაბუკის გაბედულებამ. ასეთები იყვნენ მოსე და ლევანიც.

„ამათაც დახვრეტენ, თუ დაიჭირეს!“ სრანულით გაიფიქრაა ჯაბა კიზირიამ და ამ დროს მოესმა ადილარის ძახილი:

— შენც დაგიჭერ, ჯაბა კიზირია, და შენც, — მებორნისაკენ გაიშვირა ხელი.

— ამით რას ემართლები! — შეუბღვირა ადილარს ერთმა ნაბღიანმა; მერე მეგობარს გადაულაპარაკა: — გავთოკოთ!

პეპუს ჯიხურის ოქვათოში თხის დასაბმელი თოკი ეკიდა; ჩუმად მიეპარა, ჩამოხსნა და ნაბღიანისკენ გადმოისროლა... ნაბღიანებმა იარაღაყრილ ადილარს და მის მილიციელს ზურგისკენ მაგრად შეუკრეს ხელები და ასე, ერთმანეთზე გადაბმულად დაყარეს. ერთმა ნაბღიანმა მილიციელის ხმალი მიწაში გადამდე ჩაასთ და ფეხის კერით გადატეხა, მილიციელის რევოლვერი კი სიცილით შეათვალიერა: ამით გინდათ გვებრძოლოთ? — და ისიც ადილარის რევოლვერის გზას გაუყენა რიონისკენ.

თვითონ მოვერცხლილტარინა ვოლვერი ჰქონდა ქამარში მარტო შეხედვა ღირდა რამედ.

— ცხენები კარგი გყოლიათ, — თქვა ჩიბუხიანმა და ადილარის ცხენს აღვირში სწვდა, ადილარისავე მთირახი ახლა მას ეკიდა მარცხენა მკლავზე.

— ცხენს არ გაეკარო! — უყვირა ადილარმა; სახეზე ლაფი ეცხო და ზღაბრულ „შავ კაცს“ ჰკავდა...

— ეჰ! — სასაცილოდ არ ეყო ადილარის წინააღმდეგობა ჩიბუხიანს და ცხენთან მარცხენა მხრიდან მივიდა შესაჯდომად, როგორც საერთო წესია მხედართა.

ახლა კი დამშვიდდა ამის შემყურე ადილარი: მისი ცხენი ამ მხრიდან, თვითონ ადილარსაც არ შეიჭენდა.

უხანგშიც არ გააყრევინა ფეხი უცხოს, ყალბზე შეიმართა და დაიჭიხვინა; თავი ვინათავისუფლა, ერთი ლამაზად შემოურბინა მინდორს და პატრონთან მიდგა. სახეზე გაუსვა თავითითქოს რაღაცას შესწიოდა... ადილარმაც შესწივლა პირუტყვს თავისი დამარცხების სატიკვარი... ცხენი — პატრონზე უფრო ძლიერი გამოდგა იმ დღეს...

ერთ ნაბღიან უცნობს ჯაბას გვერდით მოუხდა შეჩერება და ჯაბამ მეგრულად გადაურჩურჩულა: ვინა ხართ, მძებო!..

მეგრული არ სცოდნოდა უცნობს, შეკითხვავზე კი მიხვდა, ქართულად უპასუხა: საჯავახოდან გადმოვვდიოთ. ამ პასუხით ჯაბამ ისღა გაიგო, რომ უცნობები ან გურულები უნდა ყოფილიყვნენ, ან — იმერლები.

ბორანს იქით, ვილაცის ეზოში ზვინს შეფარებულ ვერცხოს და ბიქტორს ვერ გადაეწვივებოდა რა ექნათ... ბიქტორმა ვერცხო ადილარისკენ გაახედა:

— მაგრადაა გათოკილი... მიდი სტკიცე ერთი კაკალი ტყვია წარბში!..

ვერცხომ მწარედ გაიღიმა: გათოკილს ლაჩარი მოკლავს. გაფრენილის ჩამოგდება კარგია.

შორს გზაზე გამოჩნდა აბაშილან ბტ-

რნისაყენ მომავალი ეტლი; ძლივს-ძლივობით მოზოზინებდა თოვლსა და თოვამი...

ნაბდიანები აჩქარდნენ. ერთი მათგანი უკვე შემჯდარიყო მილიციელის ცხენზე... ადილარის ცხენს ახლა ორნი მიეჭრნენ და, როგორც იყო, მოახერხა ერთმა მათგანმა უნაგირზე მოვლება; აღვირი ღონიერად დაიჭირა მაგრამ ცხენმა მაინც წაართვა თავი და მინდორზე გაიჭრა... მაგარი ჩანდა მხედარი, თითქოს უცებ შეეზარდა ცხენის ზურგს...

ადილარმა რაღაც თავისებურად შეუძახა პირუტყვს, ზედ სტეენაც მიაცოლა. ცხენმა იმავე წამს ტორები დაწია მიწას და შეჩერდა; ერთ ადგილზე როკავდა და ქიხივებდა... ნაბდიანმა გადმოვარდნას გადმოხტომა არჩია, დარწმუნდა, ვერაფერს გახდებოდა. გაბრაზებულმა, მიწაზე ფეხი რომ მოიცილა, რევოლვერი დააძრო და ცხენს შუბლში დაუმიზნა... ადილარს არაადამიანური ღრიალი აღმოხდა და ახლა თვითონ ჩაემხო თოვლში ცხვირპირით...

ჯაბამ იმარჯვა და ნაბდიანს მკლავში სტაცა ხელი:

— ვაჟაკო! ცხენს არ ესროლოო...

ნაბდიანმა რევოლვერი ქაშარში ჩაიბრუნა, წავიდეთო, გასძახა მეორეს და ფეხად გაპყვნენ ცხენზე აჩხვრებულ მესამე მეგობარს... სამივენი მალე გაუჩინარდნენ თოვამი...

ბორნისკენ მომავალ ეტლში ძაქვებით შემოსილი ქალები ისხდნენ; მილიციის უფროსი უმწეო ყოფაში რომ ნახეს, ცოტა შეიკვლეს, ცოტა შეწუხდნენ და გაჩუმდნენ... პეტუმ ისინი გალმა გაიყვანა და მალე მობრუნდა...

ადილარი პირიდან ცეცხლს ჰყრიდა ჯაბას ლანძღავდა და საკანში ამოღობას ჰპირდებოდა... გათოყილ მილიციელს წიხლი ჰკრა და პაპისპაბა არ დაუტოვა შეუგინებელი:

— არველოდი ნარსია, შენი ჭილაგისანი შთამომავლობით ლენჩები რომ ხართ, ეს კი ვიცოდი, მაგრამ თელად ასე

წამხდარი და ლაჩარი თუ იყავით, მანქანა... რა წყალს ვისხამდნენ? მანქანა რომ გაიზარდენ, არველოდის რომ ვარქმევდნენ, ვის ელოდნენ შენზე უკეთესს!..

არველოდი — მილიციელი საღ უნდა წასულიყო, თავის უფროსთან თოკით იყო გადაბმული!

მებორნიმ ჯაბას მხარი გაჰკრა:

— ნახე?..

— ვნახე, აბაბა.. მეც აქ არა ვარ?!

— მე იმას გეუბნები; იმ ნაბდიანის ჩიბუხი თუ ნახე:

— მოსეს ჩიბუხს ჰგავდა...

— ნამდვილად მოსესი იყო, კაცოო... ბორანზე რომ გადმოწყავდა მაშინ დავაკვირდი. სპილოს ძვლით ეწერა ზედ მოსეს სახელი... ცოცხალია ეგება შენი ვაჟი ჰა?.. დაიცადე, ჩემო ჯაბა, ჯერ ესენი აეუშვათ...

ადილარი და მისი მილიციელი ზეზე წამომდგარიყვნენ და ზურგით მიყრდნობდნენ ერთმანეთს... ადილარი აქეთ იცქირებოდა და პირიდან ღორბლი გადმოსდიოდა:

— ორივეს ჩავაღობოთ, ციხეში, ჯაბა კიხირია, და შენც, პეპუია... — თან წიხლს წიხლზე უშენდა მილიციელს; მომწყვდი აქედან და გამცილდიო... მილიციელი ძალიანაც ექაჩებოდა თოკს, მაგრამ თბის დასაბმელი წერილი თოკი გაწყვეტის ნაცვლად, მაჯებს უჭრიდა და უსერავდა... ჯაბამ დანა ამოაღო და ერთი ჩამოსმით დააცალაკევა ერთმანეთზე გადაბმულნი, ხელები გაუთავისუფლა ორივეს.

პეტუმ დიდი ცეცხლი დაანთო ჯიხურაში, რაც იმ კვირისთვის ჩინჩხვარი ჰქონდა მოტანილი, სულ ერთად დააყარა... ადილარმა ტანსაცმელი გაიხადა და მილიციელს სახეში მოაყარა:

— გააშრე... შერე იმ წყალში რევოლვერი მიმოვე. თორემ თოკით ჩამოგკიდებ...

ადილარმა ცეცხლისპირას მებორნის ძონძების მოხურვაც იკადრა და მისი ანწლის არყის გადაკვრაც; ის კბილებმეჩხვები სიმინდის ტარობიც მშვენი-

ვრად დამარცხდა და არაყს დააყოლა...

...ზეინში შემალული ვერცხო და ბიქტორი შეწუხდნენ ამდენი ლოდინით. წუთი საათად იქცა მათთვის. ბოლოს, როგორც იყო, გამოვიდა ადილარ გვაზავა ჩიხურიდან, ბოთლით არაყი გამოიტანა და ცხენს გადაახუხა; ერთი მართლაც გადაფიქრა: ამ ლენჩ არეულობის წყალში ჩავეშვებ და რეველგერს მოვადებინებო, მაგრამ მეზობრის რჩევამ შეაჩერა: ახლა მაგას კაციშვილი ვერ იპოვის, მისილული იქნებაო...

ადილარი ცხენზე რომ შეჯდა, ჯაბას ჰკითხა:

— ჯაბა კიზირია, როგორ გირჩევნია, შენი ნებით გამომყვები, თუ თოკით გამოგინბა თხასავით?..

ჯაბა და პეპუ გაოცდნენ... არც ვერცხო და ბიქტორი მოელოდნენ, ადილარი ჯაბას თუ დაიჭერდა... ჯაბამ უთოკოდ გაყოლა არჩია, მძიმე ნაბიჯით წაუძღვა წინ მილიციის უფროსის ცხენს... წავედნენ...

ახლა კი მოუხდა ვერცხოს გადმოგდო ცხენიდან ეს უმადური კაცი, მაგრამ მაინც თავის შეკავება ამჯობინა.

თოვანში, ბორანთან მარტო დარჩენილი ცალფეხა პეპუ თითქოს შეზრდოდა დედამიწის იმ ერთ წერტილს, რომელზედაც იდგა. ვერცხო და ბიქტორი სამალავიდან გამოძვრნენ და მოჩვენებასავით გამოეცხადნენ მას.

* * *

პეპუმ ჩიხუხის ამბავი დაახვედრა ვერცხოს:

— „მოსე“ ეწერა ზედ, ჩემი თვლით ვნახე... თუ იჩქარებ, დაეწევი და ძმის ამბავს გამოკითხავ...

— სად მილიოდნენ თუ იცი, პეპუ ბიძია?

— დასამალავს რომ ეძებდნენ, თქმა არ უნდა. იქნებ სააფხაზაოში მიდიან, ან შონეთში...

— ეგებ უცხოეთში აპირებენ გაპარვას გემით, — თავისი აზრი გამოთქვა ბიქტორმა, — მაშინ ფოთისკენ ექნებათ გზა.

— უნდა დაეწიოთ, — ტყვე ვერცხომ.

თითქმის სირბილით გაჰყვინენ ვერცხო და ბიქტორ თოვლში ნაბღიანთა ნაწყვალევს... ვერცხოს მეგზურივით აედევნა ფიქრი: „მოსეს ჩიხუხი რატომ უნდა ჰქონოდა სხვას? მოსე არამც და არამც არ გაასაჩუქრებდა — თვითონ მას აჩუქა ერთმა აქარულმა... ზედ წარწერაც ჰქონდა ჩასმული, სპილოს ძელისა... ნაჩუქარს არ გააჩუქებდა მოსე. იქნებ დაჰარგა და ამ ვიღაც უცნობმა იპოვა?! მაშინ ცოცხალი ყოფილა ჯერ არ დაუხვერტიათ!..“

მილიოდნენ თოვანში.

ნაყანევზე, ხის ტოტებში აყოკოლავებულ ჩაღის ქვეშ ვიღაცის ცხენს შეეფარებინა თავი.

— იქნებ დავიჭიროთ, — ცხენისკენ მიუთითა ვერცხომ მეგობარს.

— რას დაიჭერ! აქაური ცხენები გველურებულები არიან...

მაინც სცადეს. ვერცხო წავიდა ცხენისაკენ ხელგაწვილი, ვითომ საკმელი მიჰქონდა პეშვით... ცხენი ადგილიდან არ დაძრულა... ადვირად ბიქტორის ქამარი გამოადგათ. წინ ბიქტორი იჯდა ცხენზე, უკან — ვერცხო. სწრაფად იარეს. ცოტა შემადლებულზე რომ ავიდნენ, შორს თვალსაწიერზე წერტილებივით გამოჩნდნენ სამნი: ერთი — ცხენი, ორი ქვეითად; ხან გაუჩინარდებოდნენ კორომებსა და ძეძვებში ხან ისევ ამოტივტივდებოდნენ.

ნაბღიანებმა ნოსირიდან ხელმარჯნივ, მთებისკენ აუხვიეს, ალბათ ღამის გასათევ ადგილს ეძებდნენ...

ბიქტორისა და ვერცხოს ვარაუდით, ესენი ავანჯები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მთავრობა მოსაკლავად დასდევდა.

ბინდი თანდათან მოახლოვდა, თითქოს შემოეგებათ გზად მიმავალი.

ვერცხოს გულში შიშის ქარმა გაუარა: ამ თავხეზელადებულ და იარაღში ჩაპქლარ ხალხთან შებრძოლება ერთი პატარა რეველგერით არც ისე იოლი იყო. რაღაც ხერხი უნდა ეხმარათ.

ცხენი აჩქარეს, ნაბლიანებზე აღრე გადალახეს ტეხური. შეუმჩნევლად გადაუსწრეს, მერე შემობრუნდნენ და, ვითომ იქიდან აქეთ მომავალნი, შემთხვევით შემოხვდნენ უცნობებს.

მათ უკვე მოენახათ ღამის გასათევი ერთ შეტეხილ კლდესი.

— ჰეი, ძმებო! — შესძახა ბიქტორმა.

ერთმა ნაბლიანმა ელვის სისწრაფით იძრო რევოლვერი.

— რომელი ხარ!

— მგზავრები ვართ, ბიძია — მოიხსწყულა თავი ვერიკომ. ნაბლიანებმა ახალგაზრდები რომ ნახეს, დამშვიდნენ. ერთმანეთს გამოეცნაურნენ.

ვერიკო და ბიქტორი ვითომ და-ძმა იყვნენ, მოდიოდნენ ბანძიდან, ცხენი ვინმესთან უნდა დეტოგვბინათ სენაკში და ფოთში. მატარებლით გამგზავრებულიყვნენ ავადმყოფი დედის სანაწავად... ნაბლიანებს შეებრალათ ეს დარბ-ლატაკი გლეხის შვილები და დარჩენის ნება დართეს. მათი გაშვება ისედაც ხელს არ აძლევდათ: სენაკში ამ ახალგაზრდებს შეეძლოთ ვინმესთვის ეთქვათ, ამადა ამ ადგილას სამი შეიარაღებული კაცი ღამეს ათევსო...

ვერიკომ ყველაზე აღრე ჩიბუხს მოჰკრა თვალი ერთ-ერთის ხელში, ოღონდ წარწერა ერთბაშად ვერ შენიშნა. აღარ ჩქარობდა. — დრო დილამდე თავშესაყრელი რჩებოდა. ნაბლიანებმაც მიკიბულ-მოკიბულად დაიწყეს წაუბარი ახალგაზრდებთან: ხონელები ვართ, აბაშაში გამოვლისას, ბორანზე ორი მილიციელი შემოგვაკვდა, საქმე მაინც გასაქცევად გვეონდა და ახლა სულ მთლად უნდა გადავიკარგოთო...

ბეპუს ბორანთან მილიციელებს მოკვლა ცოცხალი ტყუილი იყო, იქ ხომ ყველაფერი საკუთარი თვლით ნახეს ბიქტორმა და ვერიკომ...

ფიჩი ბევრი მოაგროვეს და ცეცხლი დაანთეს, თოვაში ახლა წვიმაც გაერია და მძიმე მოწყენილობა ჩამოაწვა ღამისმთევლებს.

გამოქვამულში ცხენებისთვის დაკრძალა როდა ადგილი...

ვერიკომ ბიქტორს ჩემად უთხრა:

— ხომ არ აჯობებს ახლავე წავიდეთ? იქნებ ფოთის მატარებელი შეგვხვდეს!..

ერთი მათგანი გაეპასუხა:

— სად წახვალთ! ბნელა, გზასაც ვერ გაიგნებთ.

ახლადგაცნობილი ერთმანეთს გაუშინაურდნენ.

— აქ გავიყინებით ამაღამ, — თქვა ბიქტორმა.

— აგერ ცეცხლი და მისი ჯანი, — დაიძვინკა იგი ჩიბუხიანმა და ხურჯინი თავისკენ მიიწია. მის ჩიბუხს ვერიკო ცეცხლის შუქზე კარგად დააკვირდა და გარკვევით ამოიკითხა ზედ წარწერილი — „მოსე“. ეს ნამდვილად მოსეს ჩიბუხი იყო, ვერიკოს ძმისა. მეტი ჩავლა-შემოვლა უკვე აღარ სჭირდებოდა.

კრინტი არ დაუძრავს ამის თაობაზე ვერიკოს, ღინჯად და დაფიქრებულად მიჰყევბოდა უცნაურ ხლართებში თავმოსანახ საქმეს; აქ უნდა გაეგო ან სასიხარულო, ან თავზარდამცემი ამბავი მისი შესახებ.

ჩიბუხიანმა ბრტყელ ქვაზე დალაგა მკაღი, პრასის მწილი, ყველი, მოზერის რქის ყანწები... ერთმა მამაკაცმა ჩექმის ყელიდან დანა დააძრო და პრასის დაქრას შეუღდა...

— მომეცო მე დაგვრი, — სამსახური შესთავაზა ვერიკომ, დანა გამოართვა.

ცეცხლს ყველაზე ახლოს ჩიბუხიანი მამაკაცი უჭდა, შემდეგ — ერთი მისი ამხანაგი. მათ თავიანთი მალეურები დაეცილ ნაბადზე ისე დადეს, რომ ხელწამოსაკლებად იოლი ყოფილიყო. სავაზნეებიც ნაბადზე ეყარა ყაბალახ-წაფარებული. მესამე მამაკაცს რევოლვერი და სავაზნი არ მოუშორებია. ვერიკოს ამ მესამის ნაბდის კალთაზე ედო მუხლები და დაბლა დაბრილი ჭრიდა მწილს. ბიქტორი ცოტა აქეთ ჩიბუხ-

ქულიყო, სველ ქვაზე დასაფენი არაფერი ჰქონდა და ამიტომ არ ჯდებოდა.

ხეებსა და გორა-გორა ლოდებში წელმოტეხილი ქარი აქ უკვე უძლური იყო, მაგრამ ვერიკოს და ბიქტორს ზურგს მაინც უციებდა; სამაგიეროდ კვამლსა და ნაპერწყლებს იქით მიდევნიდა და იმ მესამეს თვალებზე ხელს აფარებინებდა...

ტიქტორას ყელი გაუხსნეს და არყის სუნი დატრიალდა. ვერიკო სუფრის საქმეს რომ მორჩა, დანა გაწმინდა და პატრონს დაუბრუნა. მელიის თვალები ჰქონდა დანის პატრონს...

ბიქტორი ჯერ ვერ ჩასწვდენოდა მეგობრის ჩანაფიქრს.

ვერიკო მთლად გაუშინაურდა უცნობებს: მკადი სათითაოდ ჩამოურიგა სამივეს, მიირთვითო... ბიქტორს მოეჩვენა რომ ვერიკო უღიმოდა კიდევ მათ... მერე წამოდგა ვერიკო, მუხლები ჩამოისუფთავა, ნაბაღზე დაწყობილ იარაღს მიუახლოვდა, — არ გავარდეს ბიძია, როგორ დაგიყრიათო, — მათუბრებს, ორივეს ცალ-ცალკე, ცერი და საჩვენებელი თითები ჩაავლო ლულაში და ნელა ასწია; თავი გვერდზე ჰქონდა გადახრილი. ვითომ ეშინოდა იარაღის პატრონებმა თითქმის ერთდროულად შესძახეს: ფრთხილად, დატენილიაო!

ამის გაგებაც სჭირდებოდა ვერიკოს და კიდევაც ვაიგო. თვალის დახამხამება რა არის! ვერიკომ ლუღით თითებში მოქცეული რევოლვერი უცებ ჰაერში შეისროლა. ჰაერშივე დაიჭირა ორივე, ახლა უკვე ტარით და ერთ-ერთის სასხლეტს უმაღლე გამოჰკრა თითი, დასცალა.

თვალის დახამხამებას მეტი დრო დასჭირდებოდა. ტყვიამ ყურს ზემოთ, გაუარა იმ უცნობს, რომელსაც იარაღი და სხვაზნე არ ჰქონდა მოშორებული. მოულოდნელობისაგან შეშვებარმა კაცმა თავში იტაცა ის ხელი, რომელიც ასეთ თავდასხმის დროს, წესით, იარაღისაგან უნდა წაეღო...

— არ გაინძრეთ! — შესძახა ვერიკომ.

ბიქტორს არასდროს სმენია ვერიკოს ასეთი ხმა. ახლა სულ სხვა იყო თვითონ ვერიკოც: ტუჩები მოკლემა, თვალები ნაკვერჩხლებივით უღიზგიზებდა... გადახტომისას თავსაფარი წასძვრა და თმა ჩამოეშალა. და ეს სახეგარე მებნებელი, თმაგამლილი გოგონა ალბათ მთელ რაზმს დააჩოქებდა...

ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა ბიქტორს. მან ხელი დაავლო კარგა მოზრდილ, სატევარზე უკეთ მოამარჯვებულ ჯოხს. მას ვერიკოს კარნახი აღარ სჭირდებოდა, თვითონაც კარგად იცოდა, რაც უნდა მოემოქმედნა; ცალი ხელით ჯოხით აღმართა რევოლვერმეჩენილის თავზევით და მეორეთი რევოლვერი ააცალა. ჯერ გონს ვერ მოსულიყო უცნობი. იარაღაყრილი ყაზალი ზაფანგში გაბმულ მგელივითაა: რაც უნდა ურტყა, ღრენას არ მოიშლის და, თუ ახლოს მიუტანე ხელი, წაგაღვეს. სწორედ მგლის ღრენის მსგავსი ხმა გამოსცა ჩიბუხის მფლობელმა:

— რას თამაშობთ, ბაღლებო!..

ჩიბუხი ქვაზე იდო ისევე ხელუხლებლად, როგორც ჰამის დაწყების წინ დატოვა. ვერიკომ საუბარი ამ კაცს გაუბა:

— თქვენ ალბათ დასამალავად მიდიხართ, მაგრამ ის კი არ იცით, მე რომ გაგიშვათ ჩემს ბიძებს ვერ გადაურჩებით...

— არაფერი მესმის, — თითქოს ჰვეერიდან ამოიძახა უცნობმა.

ვერიკომ რევოლვერიანი ხელით ერთი წამით ჩიბუხისაგან გაიშვირა:

— ამ ჩიბუხის პატრონმა მამაჩემი მოკლა ორი წლის წინათ!..

ბიქტორს ჩუმად ჩაეცინა, მისთვის უკვე ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა; მარცხენა მკლავზე მათუბრი გადაეწვინა და მიზანში აყვანილ უცნობის ყოველ მოძრაობას უთვალთვალეზდა...

ჩიბუხის მფლობელმა: რაყი ვაიგო

რამიც ყოფილა საქმე, დამწვილდა: გოგოს მამის მოკვლის ბრალდება მას არ მიუღებოდა. ამ იმედით იყო, რომ გაიციანა.

ვერიკოს სიტყვა არ გაუწყვეტია:

— სწორედ შენ იყავი! მაგ ნაჭრილობევითაც გცნობ. ამაოდ ვიცდია წვერით მისი დაფარვა...

ბიქტორმა ახლად შენიშნა ჩიბუხის მფლობელის ლოყაზე ნაჭრილობევის ზოლი, რომელიც წამოზრდილ წვერში ოდნავ შეიმჩნეოდა.

ჩიბუხის მფლობელი ჩიბუხის ასაღებად დაიხარა, ალბათ გაბოლებმა მოუნდა ამ მღვრიე ხასიათზე, მაგრამ ვერიკოს შეძახებამ. — ჩიბუხს ხელი არ მიაყარო, — ზეზულადვე გააშეშა და ხელებიც მალა ააწვეინა.

ხელბაწეულმაც ისევე გაიცინა:

— შენაირ მეგობარს კი ინატრებდა ტყესშეზიზნული კაცო — ვერიკოს ნასროლი ტყვიით ყურსზემოთ თმაშეტრუსულმა მეგობარს გახედა: — სროლაც კარგი გცოდნია...

— ამას შენი საყუთარი შუბლი უკეთ გაიგებს...

უცნობს გაბრაზება დაეტყო.

— იარაღთან ნუ ხუმრობ!.. ფეხებით დაგვიდებთ, იცოდე! — მუშტები შეპკრა და კბილები დაახრჭილა.

ვერიკომ ხმას დაუდაბლეს თითოეულ სიტყვას გამოკვეთილად და მოზომილად ამბობდა:

— გულმაეიწყვი ყოფილხარ!.. ორი წლის წინათ მამა მომიყალი, გაგვძარცვე!.. ახლა არ გახსოვს!.. სწორედ ეს ჩიბუხი გქონდა პირში გაჩრილი... მაჩნებმა სატევარი რომ დაგვარა, მაშინ გაგივარდა და ძირს გაგდებულს კარგად დავაგვირდი, წარწერაც ამოვიკითხე — „მოსე“... ჩიბუხითაც გცნობ და მამაჩემის სატევარის ნაკვალევითაც... ორნი იყავით. მეორე მგონი ეს იყო — ვერიკომ შვერა მეორე უცნობზე გადაიტანა.

— კარგი ზღაპრები გცოდნია, მე და ჩემმა ლმერთმა. — დამცინავად შეხედა ვერიკოს ჩიბუხის მფლობელმა, — ეს ჭრილობა დათვის ნატორაია, ეს

კაცი კი ორიოდ თვეა რაც გვეძიებოდა!

— მერე... — ვერიკომ ხმა განგებ აითრთოლა: — შენ სამი ტყვია დაახალე მამაჩემს... ახლა უკანვე მიიღებ შენს ნასროლ ტყვიებს... — ეს რომ თქვა ვერიკომ, ცალი ხელი გამართა.

— არ ისროლო! იღრიალა თავისივე მაუზერით გამოძიზნულმა, სახეზე ორივე ხელი აიფარა და თითებიდან გამოხედა ვერიკოს: — ამ ჩიბუხის პატრონი მე როდი ვარ!..

ბიქტორის მიერ მიზანში გამომწყვდეულ კაცს თითქოს ყელში მჭადის ფინჩხა გადასცდაო, ხველა აუტყდა სულის მოთქმა გაუჭირდა, მოიხარა...

— არ გაინძრე! — უყვირა ბიქტორმა და კინაღამ ტყვიაც არ მიაყოლა.

უცნობი მექანიკურად დაემორჩილა რევოლვერის ლულიდან შავად მომზირალ სიკვდილის ცალ თვალს. ხველა კი ახრჩობდა და საცოდავად სჭიმავდა ყელს... ვერიკო თანდათან უახლოვდებოდა თავის მიზანს: საიდან

ჭკონდა უცნობს მისი ძმის ჩიბუხი!

— ეს ჩიბუხი ჩემი არ არისო? —

— მაშ ვისია ჩიბუხი?..

— მოთმინებას მოუბძე, გოგონა! თუ ამ ჩიბუხის პატრონმა მოკლა მამაშენი, უნდა დამიჩოქო და მუხლები დამიკოცნო!.. ჩიბუხის პატრონი ამ ქვეყნა აღარ არის, — ეს თქვა და ამაყად დასძინა: — მე მოკვალი ამ ჩიბუხის პატრონი მამაშენის მკვლელი...

ვერიკოს თითქოს კეფაზე ელვის ისარი ჩაესო და ტერფამდე გაუარა. ვერ გაერკვა: ცეცხლი მიწელდა და სინათლემ იკლო თუ თვითონ დაუბნელდა თვალთ... ერთ წამში მოიკრიბა ძალა, გაიპარდა, თვალი თვალში გაუყარა მოპირდაპირეს:

— სტყუი!.. აგრე იოლად ვერ დაიძვრენ თავს!..

მერე ბიქტორს შეხედა და უთხრა:

— გვატყუებენ თავიანთი ჭკუით... შენ იმას ესროლე, ძმაო, ამ ორს მე მოუტევი.

— გველავენ, ბიჭებო!.. ეს ლაწი-

რაკები როგორ უნდა მოგვერიონ! —
დაიძაბა ერთმა მათგანმა.

ტუჩებს კბილებით იგლეჯდნენ გამ-
წარებულნი, თავხევით ძალა არ ჰქონ-
დათ.

— მე მოვკალი მამაშენის მკვლელი!
— უფრო დამაჯერებელი ტონი მისცა
თავის სიტყვებს ჩიბუხის მფლობელმა.

— რითი დამაჯერებ?

— ქუთაისის ციხიდან გავიქეცი
ერთად შარშან... წინა დღით ძმა დაუხ-
ვრიტეს... იქნებ ის ძმა ახლდა მამაშე-
ნის მოკვლის დროს...

„ლევანი დაუხვრეტიათ!“ — გული
შეეკუმშა ვერიკოს...

— თურქეთში ვაპირებდით გადახვე-
წას... ბათუმისაკენ მიმავალნი, სამშვი-
დობოს რომ გავედით, ერთ-ერთი ჩვე-
ნგანი უკვე ზედმეტი იყო. ორს უფრო
აღვილად ჩავვიგდებდნენ ხელში... მე
რომ არ დამესწრო, ის მომკლავდა...
მისია ეს ჩიბუხი...

ბიჭტორს ყურში ტყვიასავით გაუწი-
ვლა ამ სიტყვებმა. ვერიკომ სული კბი-
ლებით დაიჭირა და გულიდან დიდ სევ-
დამოცილებულივით მშვიდად ამოისუ-
ნტქა: „ალბათ კიდევ რაღაცის გაგება
სურდა ძმის ასე უღვთოდ დაღუპვით
გულმოკლულ დას; რევილვერიანი ხე-
ლები დაუშვა და უცნობს ახლა უკვე
თავაზიანად მიმართა:

— მართლაც მადლობის ღირსი ყო-
ფილხარ ჩემგან, მეგობარო. მე კი... მა-
პატიე... ჩიბუხმა მომატყუა... ოღონდ
აქადაც თუ მეტყვი რა ერქვა იმ შენს
მოკლულ, მამაჩემის მკვლელს, რომ წმი-
ნდა ილორში სანთელი ავანთო და ჩემს
უბედურ მამას ვაუწყო სახელი მისი

იმქვეყნიური მონისა და...
ნელისა.

უცნობი ამაყად გაიმართა წელში და
თითქოს სიმაღლეც მოემატა.

— საკანში მოსეს ვეძახდით ისე აწე-
რია მის ჩიბუხსაც. გვარი მეგრული
ჰქონდა. არ მახსოვს...

— ბარემ ისიც თქვი სად დამარხვე,
რომ ძაღლთა და ღორთა სათხრელად
გადავცე მისი საფლავი წმინდა ილორ-
ში...

— დამარხვის დრო სადღა იყო...
გაიღიმა გაღარჩენაში უკვე საბოლოო-
ოდ გულდაჭერებულმა უცნობმა,
— იქვე დავტოვე, ზევში...

— ეგე!.. იქნებ არც იყო მკვლარი,
ბოლო იმედის მსგავს რაღაცას ჩაებ-
ლაუბა ვერიკო და ცრემლი და ბიღმა
უკვე ყელში მოაწვა.

უცნობს გაეცინა:

— მტერმა იცოცხლოს ისე... დანით
გამოვჭერი ყელი...

საესებით დამშვიდებულმა მამაყა-
მა აქამდე აწეული ხელები ჩამოუშვა...

— ესენიც თუ გახლდნენ? — სულ
ქვესკნელამდე ჩასდია ვერიკომ. ეს
უკვე ბოლო შეკითხვა იყო.

უცნობმა შემარზუნეი მზერა იგრძნო,
ეს შეკითხვაც ეუცნაურა და ისევ აი-
ფარა სახეზე ხელები, თან ხმის კანკა-
ლით ამომარტვლა:

— ამთ არც ვიცნობდი მაშინ...

უკანასკნელი ბგერა გამოთქმულიც
არ ჰქონდა უცნობს, რომ შუბლზე
ტყვიის წერტილი დააჯდა.

თვითონ ვერიკოს თავისივე გასრო-
ლოს ხმა არ გაუგონია.

მოსე კიზირიას მკვლელი თავ-პირით
დაემხო ცეცხლს და ჩააჭრო...

მეხუთე მართალი

ჯაბა კიზირია ით დღეს იჯდა ნესტიან
საკანში. ელენე ანრდილივით დადიოდა
მილიციის შენობასთან და ჭმრის გან-
თავისუფლებას ელოდა. ცემენტის ია-
ტაკზე წოლით ჯაბას ფილტვების ანთე-

ბა გაუჩნდა და საკანშივე გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ, სიციხიან კაცს მოეჩ-
ვენა: თითქოს დაღუპული ვაჟიშვილე-
ბი გამოეცხადნენ და წაყოლა სთხოვეს.
უკანასკნელ წუთს იგი საკანის სარკვე-

ლნი შემოპარულ სინათლისაკენ მიაცოცებდა თითებს კედელ-კედელ, სუროსავით: ბოლო ამოსუნთქვის ნაცვლად, ამოიოხრა.

მილიციის უფროსს ადილარ გვაზავას ვერიკოსათვის შეთვლილი ჰქონდა: თუნებით ჩაგვბარდები, მამაშენს გავათავისუფლებთო...

ვერ მოესწრო ჯაბა განთავისუფლებას. გარდაცვლილ პატიმარს, წესით, თვითონ მილიცია მარხავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ადილარი ცოტა შეაწუხა სინდისმა და გადაწყვიტა ცხედარი პატრონისათვის გაეტანებინა.

მანამდე იგი გადასვენებს მიცვალებულთა საეციალურ საკანში. ეს საკანი მილიციისავე ეზოში იყო, განცალკევებით.

ვერიკომ ადილარის გადაწყვეტილება არ იცოდა და იმავე ღამეს, ბიქტორასა და ლულუნის დახმარებით, მამის ცხედრის მოპარვა განიზრახა.

პატიმართა საენების გუშავს მიცვალებულთა საკანისკენაც უნდა სჭეროდა თვალი. მას კი თვალედახევეულს მიუსწრეს, გათოყეს, პირი ჭინჭებით ამოუტენეს, თოფიც წაართვეს და ცხედარიც წაიღეს.

ელენე თავის მეუღლეს ცოცხალს მოელოდა და მკვდარი მიუსვენეს გამოთენისას.

ცხენი დაეჭირათ ჭალაში ბიქებს და იმით მოიტანეს.

ვერიკო ბორნამდე მიჰყოლია მათ და გაბრუნებულა...

ადილარ გვაზავამ ჯაბას ცხედრის გაქრობის ამბავი დილით შეიტყო და მიცვალებულთათვის განკუთვნილ იმ ბნელ საკანში თვით გუშავი მილიციელი დაამწყვდია: ახლა კი იმედი მიეცა, რომ ვერიკო მამის დასაფლავებას უსათუოდ დაესწრობოდა და მამინ შეიძლებოდა მისი ხელში ჩაგდებაც. მხოლოდ ამ ფიქრით დაიტვირთა ადილარის გონება: ვინ გავგზავნა ტირილში მიცვალებულის პირისუფლის — ვერა კიზირიას დასაქვრად?

თვითონ ვერ წავიდოდა, მაგრამ ამ საკმის შემსრულებელნი აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ფრთხილნი, გამბედავნი და მოხერხებულნი, რადგანაც წყალში ჰყავდათ მოსახელთებელი თევზი.

ჯაბას ცხედარი კოდორელებმა შინ, მთავარ ოთახში დაასვენეს. ერთმა მეზობელმა თავისი სახლის შესაკეთებლად დახერხილი ფიცრები გაიმეტა დაუყვედრებლად. იმ ფიცრებით კუბო შეკრეს. ელენე დიდხანს დასტიროდა მეუღლის ცხედარს. მერე — ცრემლიც გაუშრა, თვალედახევეულს იეფარა.

ქალებმა უკანა ოთახში გაიყვანეს... ღამისმთევლებად მიცვალებულთან მამაკაცები დარჩნენ. კოწია დალაქიც დარჩა. იგი პატიმრობიდან ახალი განთავისუფლებული იყო.

ჭუთაისის ციხიდან აბაშაში რომ დაბრუნდა, პირველი „კაი გამარჯობა“ ადრლარ გვაზავას მოახსენა, თავის დამკერს. ცოლიანი დაბრუნდა კოწია ციხიდან. იქ ციხის სადალაქოში მუშაობდა თურმე ბულო დროს; შემცდარა და დამლაგებელ ქალთან სული წაუწყემდია. რომ განთავისუფლდა, ქალს უთქვამს, თუ არ წამიყვან, თავს მოვიკლავო, და წამოუყვანია.

ისე კოწიას ციხეში ერჩია ყოფნა, რადგანაც პოლიტიკურებში იჯდა, თვითონაც პოლიტიკურ პატიმრად ითვლებოდა რაც მთავარია, იქ კოწიას კი არა, კონსტანტინეს ეძახდნენ...

ღამის მთევლებში ერჩია ჯაბას ახლო მეზობელი, ცოტათი სიბერეში შესული კაცი — კალისა.

სხვებმა უთხრეს: წაბრძანდი, ბატონო, შინ, ჩვენ დავრჩებითო. მაგრამ არ ჰქნა. მას ჯაბა ისე უყვარდა, რომ ერჩია მის მაგიერ თვითონ ყოფილიყო მკვდარი... ;

ყველაფერი მიჩუმდა. ღამისმთევლებს მიცვალებულისათვის ორ-სამჯერ მიიწვ უნდა გამოეცვალიათ პირსახეზე საფენი: ამაში კოწია

დალაქმა დაივალდებულა თავი სხე-
ბმა მეორე ოთახში მძიმე ღამის მოსა-
კლავად კარტის თამაში დაიწყეს.

ჯაბა კიზირია იწვა ამბოხებული; ისე
ჩანდა, აგერ-აგერ წამოდგება და ვილა-
ცას ერთი დაკერით მიწასთან გაასწო-
რებსო.

თვითონ იყო საცოდავი მიწასთან
გასწორებული. ვერ მოკვდა ვაჟკაცუ-
რად.

თავის სახლში რომ მომკვდარიყო, თა-
ვის თუთის ძირში, თავის კუთვნილ ცის
ქვეშ, ან თოხი სქეროდა ხელში და გა-
ვარდნოდა, გუთნის ერქვანზე მკერდით
მიწოლალს ჩაემუხლა, — ღმერთს შე-
ხედავდა უკანასკნელად და ქვეყნიერე-
ბას გამოეთხოვებოდა...

მაგრამ ჯაბა საკანში მოკვდა და ამი-
ტომ იყო სიკვდილშიც განრისხებული...

...კარტს ვითომ ფულზე თამაშობნენ,
სინამდვილეში არცერთს გროში არ ება-
და და ტყუილად იძახდნენ, ამდენს და
ამდენს მოვდივარო.

კალისან თავისი შვილიშვილისათვის
წულებების საყიდელი ფული შიგნითა
ბლუზის ჯიბეში ჰქონდა, იმას ხელს
როგორ ახლებდა!

კოწია დალაქმა სიტყვა ჩაუტრა კალი-
სას: ვიცი, რომ ფული გაქვს, და ნაღდ-
ზე ითამაშეო.

კალისამ გაიღიმა, მაგრამ ეს არ იყო
ნამდვილი გაღიშება, რადგანაც მეორე
ოთახში მკვდარი ესვენა. კოწია კარტის
თამაშით ვართულებს ვაშორდა, მიცვა-
ლებულის ოთახში გავიდა და ფანჯარა
დახურა, რომ კატა არ შემოპარული-
ყო.

პატარა მაგიდაზე თაფლის სანთლების
შუქში იდგა ღრმა ჯამი და ბოთლით
არაყი. ცხედარს სუდარა ვადაუწია, სა-
ხიდან არყის საფენი მოაშორა. შეხედა
ჯაბას და შეებრაღა. ყბა აუქანალდა
კოწიას, ტირილი მოუხდა. მისი გაპარ-
სული იყო მიცვალებული და ახლა შე-
ნიშნა, — უღვაში ცალ მხარეს კარგად
ვერ დაეყენებინა. თვითონ ღროზე ვერ
ნახა და მკვდარი-რას ეტყოდა..

მიცვალებულის სახეზე დასაფხმარ ტყუილ
ლო ჯამში ჩადო, ბოთლი ცალი ხე-
ლით აიღო. ტილოზე არაყი დაასხა და
თავისუფალი ხელის თითებით დაწინხა;
თან აქეთ-იქეთ თვალი ვააპარა, ხომ
არვინ მიუყრებსო, და მეორე ხელში
დაქერილი არყიანი ბოთლი პირთან მი-
იტანა, სამი თუ ოთხი ყლუბი მოსვა
მხოლოდ, უკანასკნელი გზა დაულოცა
ჯაბა კიზირიას...

იქ კარტის თამაშს გამოკლებოდან კა-
ლისა თავის ფულიანად, კილოფგადაფა-
რებულ ტახტზე გულადმა დწოლილი-
ყო და მშვიდად ეძინა.

კარტის ტყუილად თამაში სხვებსაც
მოებზრდათ და პაერზე გავიდნენ.

კალისა კი დარჩა ოთახში, ტახტზე
დაძინებული. შეეცოდათ, არ გააღვიძეს.
კოწია დალაქმა იფიქრა: მოდი, ამ კაცს
რამეს დავახურავ, არ გაცივდესო. იმ
რამე დასახურის ძებნისას ზეწარი მო-
ჰყვა ხელში; გაშალა და გადააფარა; ერ-
თი ნაბიჯი რომ გადადგა, შეჩერდა; ცა-
ლი მუხლი ჩაბარა და და ზეწარგადაფა-
რებულ მძინარე კაცს დააკვირდა:
მთლად სუდარაგადაფარებულ მიცვა-
ლებულს ჰგავდა კალისა. მაგრამ რაღაც
მინც აკლდა, რაღაც არ მოეწონა კო-
წიას. ისევ მიუახლოვდა ტახტს, ზეწარი
ერთი შეეკვიცილი ბოლო ჩამოასწორა:
მერე ბევრი არ უფიქრია, ჯაბას ნაწფ-
ლოში შებრუნდა, ერთი ცისფერი ყვა-
ვილი მოპპარა მიცვალებულს და ზე-
წარსზევიდან გულზე დაადო მძინარე
კალისას. ახლა კი ნამდვილი მიცვალე-
ბული ესვენა ტახტზე.

სოფელს ეძინა. მხოლოდ ჯაბა კიზი-
რიას სახლიდან გამოკრთოდა ობოლი
შუქი.

ღამისმთევლებს ეზოში პატარა ცე-
ცხლი დაენთოთ, წაქცეულ ხეზე ნაბე-
ვრად ჩათვლემილნი ისხდნენ და თბე-
ბოდნენ.

კოწია დალაქმა კვლავ გამოუცვალა
ცხედარს არყის საფენი.

წინა გამოცვლისას რომ მიცვალე-
ბულს დაულოცა უკანასკნელი გზა, ახ-

ლა მისი დამრჩომი აღდგებულა და, რაკი დამრჩომთა რიცხვი მეტი იყო, ბოთლიც მეტხანს ჰქონდა მიყუღებული პირზე...

ბოთლი რომ ჩამოდგა, გვერდიდან გახვდა, თან ცხედარს გაესაუბრა:

— არ გეწყინოს, ჩემო ჯაბა, შენ ესეც გეყრფა!..

აივანზე გავიდა კოწია და მიცვალებულის ოთახის კარი გაიხურა.

მეორე ოთახის კარი ღია იყო, კალისას ბავშვის სიმშვილით ეძინა, ზედ თეთრი ზეწარიც მშვენივრად ეხურა და ცისფერი ყვავილიც მშვენივრად ედო გულზე. ფოთიდან სატირალში ჩამოსული ჯაბას ბიძაშვილი მთელი თავისი ჯალბით უთენია მოადგა ქიშკარს. ერთი დაქირავებული მოტირალი ქალიც წამოეყვანათ. ეს მოტირალი ქალი თავის საქმეს შუა ეზოდანვე შეუდგა და მიცვალებულს თავდაპირველად მის სატირალში მოსულნი წარუდგინა (ასე ყოფილა წესი):

— ვაი, შე უბედურო ჯაბა! მოდის შენი ძმა და მოჰყვება გლოვის ღრუბელი... მოდის შენი რძალი თმაგაშლილი და ცრემლში დამბრჩვალნი (არც თმა ჰქონდა გაშლილი რძალს და არც ცრემლის ნატაპალი აჩნდა. მოდიან შენი ძმიშვილები, შენი ძემა და მკუჭები... მოდიან შენი საფიცარი სიძეები (ჯაბა სიცოცხლეში თურმე ვერც იცნობდა სიძეებს)... მოდიან!.. მოდიან! წამოდექი და შეეგებე... რომ მიდიხარ, სად მიგეჩქარება ჯაბა ზედამწყვარი!.. შენს საცოდავ ელენეს რა ვარაშს უტოვებ!.. ვინ უპატრონებს შენს ერთადერთ ქალიშვილს ვერაყოს!.. შენი დედ-მამა მოგნატრებია იმქვეყნად და მათკენ გაგიწია გულმა!... შენი ვაჟები მოგნატრებია და მათკენ გაგიწია გულმა!..

მოთქმა კი არა, წარღვნა მოდიოდა. ამ „წარღვნამ“ კოწიას უკვე ეზოში გამოსულს მოუხსრო. ახლა კიბესთან იდგა და უხერხულად წრიალებდა. მაგრამ მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება.

ჯაბას ბიძაშვილის ცოლმა მოტირალს

ყურში ჩაულაპარაკა: ცოტა მეც მაღროვეო. თმა ჩამოიშალა, სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და „უი-უის“ ძახილით მიადგა სახლის კიბეს, მაგრამ სახეზე ცხვირსახოცაფარებულმა კიბე ვერ შენიშნა, დროზე რომ არ მიშველებოდნენ დაიმტვრეოდა.

ბავშვიანმა ქალმა ბავშვი ჩამოსვა და ეზოში გაუშვა, წაქცეულ ხეზე ჩამომსხდარი ღამისმთევლები უკვე წამომდგარიყვნენ და გულზე ხელდაკრეფილი იქვე ისხდნენ.

მიცვალებულის ბიძაშვილმა ბოხობი მოიხადა და გვერდზე მიაგდო უანგარიშოდ; თავში ხელები დაიშინა, — „ვაი, ჩემო ძმაო“, — და პირველი ავიდა აივანზე.

ჯაბას ცხედარი აივნიდან პირველ ოთახში ესვენა, მაგრამ იმ ოთახის კარი დახურული იყო... კოწიამ ისიც ვერ მოასწრო, ჩამოსულებისათვის ეთქვა: მიცვალებული ამ კარდახურულშია და იქით ნულარ მიდიხართო. დაყვირებით ზომ ვერ დაიყვირებდა!

ეს ოთახი რომ დაკეტილი იყო, სამაგიეროდ, მეორე ოთახი, სადაც კალისას ეძინა, ღია დახვდა მოსულებს. რა თქმა უნდა, ყველამ ცხედრად ჩათვალა ზეწარგადაფარებული და გულზე ყვავილდადებული ადამიანი.

კოწია სწრაფად აფუცხუნდა აივანზე. არა, ბატონო, ის არააო, — ლულულუბდა დაბნეულად, არ იცოდა მეტი რა ელოდა.

მოტირალმა ქალმა, თავისი მიხედვრით, მიცვალებული ნახა და ჰლა მას ცხრა კოწიაც ვერ გააჩუმებდა, — ფული ჰქონდა ასალები ამ ტირილში. ჯაბას ბიძაშვილი კვლავ თავში იცემდა ხელებს და წელანდელ სიტყვებს იმეორებდა გულდამწყვარი. აქეთ-იქით სიძეები ედგნენ გუშაგებივით. მისმა ცოლმა თავის „უი-უის“ ვერაფერი მიამბა.

ქალიშვილებს პირზე ცხვირსახოცი აფარებინათ და გრიბიანებივით სრუტუნებდნენ.

ზეწარქვეშ მწოლარე კალისა ამ

დროს სიზმარში ხედავდა გაუთხრელ საფლავს და სიზმარშივე უკვირდა, — რატომ ერქვა საფლავი გაუთხრელ ადგილს? მოთქმაც ესმოდა კალისას სიზმარში. სინამდვილეში ეს იმ დაქირავებული ქალის ხმა იყო.

— საცოდაო ჯაბა ვინ გაიტანს ყანაში შენს სვეს ბოლომდე!.. ვინ გაპირავს შენს სახნისს... ვინ ვასხლავს შენს ვახს, ვინ გახედნის შენს მოზვრებს!...

სად ჰყავდა ჯაბას მოზვრები ან საკუთარი ყანა სად ჰქონდა! ცოტა არ იყოს გადაამეტა ქალმა და ჯაბას ბიძაშვილი ახლა გაბრაზდა: რა ჰქირად მინდოდა ამის დაქირავებაო! თვითონ მართლა დამწყურებული იყო ჯაბას დაკარგვით. ერთმანეთს შეზრდილები იყვნენ ბალობიდანვე ის და ჯაბა.

გული ამოუჯდა მოხუცს, ტახტთან მივიდა და ცხედარზე რომ დაემხო, უცებ, ლოდქვეშ მოყოლილივით დაიკლავნა კალისა თავის სიზმარში.

დაიკლავნა და წამოხტა.

ფოთიდან ჩამოსულებისათვის კალისა ჯაბას ცხედარი იყო და, ცხედარი რომ წამოხტა, ჯაბას ბიძაშვილმა ვაიო, ერთი ამოძახება მოასწრო და უკან, კედელს მიენარცხა თავით...

ქალიშვილები კივილ-კივილით გარქცნენ გარეთ (ასე ეკრულათ დროზე იმ ქალის დაქირავებაც არ დასჭირდებოდათ!)

მოტირალი ქალი ქვა და ხელ იქცა...

კოწია დალაქმა ერთი სიკვდილი გაათავა; ზურგით აივნის სვეტს მიეყრდნო და თვალები ცრემლებით ავესო...

კალისა ჯერ ვერაფერს მიხვდა; აქეთ-იქეთ გაიხედა, ტახტიდან გადმოვარდნილი ზეწარი და ყვავილი დაინახა, მერე შეშინებულ კოწიას მოჰკრა თვალე და მაშინვე მიხვდა, რომ ყველაფერი ეს სწორედ მისი მოწყობილი ოინი იქნებოდა, ხელები გააფათურა კალისამ და, სხმფება ჯორკო რომ მოჰყვა უაზროდ ესროლა კოწიას...

სახლიდან კივილით გამოცვენილი ქა-

ლების დანახვაზე, ღამისმთვედღმობი ვით გამოიქცნენ...

ეზოში დატოვებული ბავშვი წაქცეულ ხის ტოტზე შემოსკუპებელიყო, ზევით-ქვევით ქანაობდა და აჩუ-აჩუს ძიხობდა...

კალისას ნასროლი ჯორკო კოწიას საფეთქელში მოხვდა და ძირს დააგლო.

ერთ წამში გააცხებინა სული.

კალისამ დაინახა, რაღაც ცუდად რომ წაიქცა კოწია, და შეეშინდა;

მივარდა წაქცეულს და... გაციებულ იშერჩა ხელთ.

„რა იყო, ბიჭო, ხუმრობა არ იციო?“

— თითქოს საწყალობლად შემოსწითდა კოწია თავის ასე გამმეტებელს...

ელენე და მისი მოპატრონე მეზობლის ქალი ხმაურზე გამოვიდნენ და საშინელება გადაიშალა მათ თვალწინ.

გადარევამდე მისული კალისა მკვდარ დალაქთან დამხობლიყო და შუბლს იატაკზე ურტყამდა: კაცი შემომავცდა! დამარტყვით მეც რაიმე და მომკალითო!

კოწია ცალ გვერდზე იწვა, საფეთქელზე ხელი ჰქონდა მიფარებული და სიხსლს თითებში გამოუეონა.

ღამისმთველებმა ურმით წაასვენეს თავის სახლში.

(კოწიას მეუღლე მაშინ ფეხშიმეღ იყო მერე ვაჟიშვილი შეეძინა და მამის სახელი შეარქვა — კონსტანტინე — იგივე კოწია. ამ კოწიამაც დალაქობა ისწავლა და ყველაფერი მამამისისა გამოკყვა, ოღონდ წვერ-ულვაში არ ამოუვიდა, ქოსა გამოდგა.)

ჯუტამ იმ დღეს სპეციალურად არამუშავა ბორანი; ჯაჭვის მთავარი რგოლები ზედმეტად გაცვდა და საშიშოაო. როინის მოდიდებაც მოიმიზეხა. ეს იმისთვის დასჭირდა, იცოდა, აბაშის მილიციის უფროსი ადილარ გვზაუა უთუოდ გამოავზაენიდა თავის ხალხს ვერიკოს შესაპყრობად.

მათი შეფერხება ეწადა მეზობრებს.

ვერიკო მიცვალებულის გასვენებამდე ცოტა ხნით ადრე მოვიდა, შავები ეცვა სამი თუ ოთხი სპარტაკელიც მოჰყვა.

ისინი ხალხში შეუმჩნეველად გაერივნენ რაიმე სახიფათო შემთხვევისათვის იარაღი ჯიბეში ედოთ.

ვერიკომ მწარედ დაიტერა თავისი გატანჯული მამა, მასთან ერთად ძმებიც გამოიტერა და თავის უბედური ბედიც მიცვალებული საფლავში რომ ჩაუშვეს, ვერიკოს ქალები ამოუდგნენ და წამოიყვანეს.

კუბოზე ბელტის დაცემის ხმა გრუხუნად შოესმოდა ვერიკოს, თათქოს თვითონ მას აყრიდნენ გულზე იმ ბელტებს. ბოლოს ხალხი ჭირის სუფრას შემოუსხდა. თავზე საყრელი იქ არაფერი ყოფილა. რაც იყო ისიც საწყალმა სოფელმა მოაგროვა.

თითო ნატეხი პური ამოუსვეს ლობიოს, თითო-ოროლა ქიქა ღვინო დალიეს და მიცვალებულისა და ღვთის წინაშე ვალი მოიხადეს.

— მე უნდა წავიდე, — უთხრა ვერიკომ თავის მეზობლებს და მოკეთებებს, — დედაჩემი დეიდასთან იცხოვრებს აქვე.

— სახლა?

— დაწვით... ცეცხლი წაუყიდეთ! — თქვა ვერიკომ.

და სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მას მილიციის სამი აგენტი.

როგორ გამოვიდნენ ბორანზე გაურკვეველი იყო, ან აქ ასე უეცრად საიდან გაჩნდნენ?

— ბოდიშით, ბოდიშით, ხალხნო! — არც ისე ძლიერ ხმამალა მიმართა სოფლებს ფორმირება მილიციელმა და ვერიკოსაკენ გზა გამოიკვლია: — ოჯახის გასაქირს და უბედურებას ვიზიარებთ, მაგრამ ნაბრძანები გვაქვს...

მილიციელი ვერიკოს წინ დადგა: — მთავრების განკარგულებით მილიციაში უნდა გამოიყვეთ ცოტა ხნით...

არც დიდი აურზაური და ჩოჩქოლი ატეხილა, არც არავის უყვირია, არც სპარტაკელებს ამოუღიათ იარაღი...

ერთმანეთს ტყაცანი ვაისმა მხოლოდ უბრალოდ მოხდა ყოველივე; ვერიკომ ჯერ დამუშტა შარკვენა ხელი, მერე მო-

წყვეტით მოიქნია, მუშტი ჰაეჭმის ჯამში და მილიციელს სილა რომ გააწნა, ხუთივე თითი მუქწითელ ფერად მიაბეჭდა სახეზე. მეზორნის ვაეიშვილმა ქამარზე დაკიდებულ დანის ტარს ნიჩბის-სიფართე ხელი დაადო და ოდნავ ამოწია,

ეს იყო და ეს.

მილიციის მსახურნი უსიტყვოდ გაეცალნენ იქაურობას, ვერიკოსაკენ აღარც მოუხედავთ.

ღედის მკერდზე თავმიყრდნობილი ვერიკო გულამომჭდარი ტიროდა კარგახანს; მერე გამაგრდა, ნათესაეებსა და მეზობლებს უცრემლო თვალები მიაკურსო; წახელის წინ მძის ჩიბუხი ამოიღო და მეზორნის შვილს გაუწოდა:

— მოსეს ნაქონია, აწი შენი იყოს!...

დოკუმენტური ფურცლებიდან

1920 წლის 20 მარტს კომკავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის მეზობლო ახალგაზრდობის სახელით მიიღო მიმართვა რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობისადმი, რათა აღმოეჩინათ მათთვის დახმარება. მენშევიკების, მუსავატელებისა და დამსაყების კონტრ-რევოლუციური მთავრობის გასანადგურებლად.

ამ დახმარებას გულზელდაკრეფილი არ დალოდებია

მესამე დღეს, 22 მარტს, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურომ გამოიტანა სპეციალური დადგენილება კომკავშირის 17-21 წლის ასაკის ყველა წევრის მობილიზაციისა და „ახალგაზრდა კომუნისტების წითელ გვარდიაში“ მათი გაერთიანების შესახებ.

28 აპრილს აჯანყებულმა აზერბაიჯანელმა ხალხმა, რუსი ხალხისა და მისი სახელოვანი მეთერთმეტე არმიის დახმარებით, გაანადგურა მუსავატური მთავრობა და დაამყარა საბჭოების ხელისუფლება.

აზერბაიჯანის ამ გამარჯვებამ საგრ-

ძნობლად შეასუსტა ანტანტის სახელმწიფოთა პოზიციები მთელს ამიერკავკასიაში.

საქართველოს მენშევიკებს შიშის ზარი შეუდგათ.

სულ დაჰკარგა ძილი ადილარ გვაზავამ... თენდებოდა პირველი მაისი.

სიმღერა მოესმა ლოგინში მწოლს.

კარგად რომ მიაყურადა, სიტყვებიც გააჩნია.

— მეგობრებო, წინ, წინ გასწიო,

ნუ შედრება თქვენი გული.

დემკერდს სისხლას ცვალი აჩნდეს

და შებღს ოფლის ნაკადული.

ამ სიმღერის ხმები სხვადასხვა მხრიდან მოდიოდა, სადაღაც შორს თანდათან ერთდებოდა და ადილარის სმენამდე გუგუნად აღწევდა.

ასე ნაკადულები ერთდებიან და მერე მდინარედ იქცევიან.

საქონლის ბაზრის ჭადრების კორომში შეიკრიბნენ ამ დილით ბოლშევიკები და სპარტაკელები. ყველა სოფლის გზა აქ იყრიდა თავს და დემონსტრაციაც აქედან დაიწყო.

ფედია ხუთიოდე დღის ჩამოსული იყო ბაქოდან (გადასახლება რომ ჰქონდა მისი, მაშინ არ წასულა ბაქოში, ახლა თვითონ დაიჩემა იქ წასვლა პარტიულ საქმეებზე, თორემ მეგობრები არ უშვებდნენ ავადმყოფს). აზერბაიჯანის განთავისუფლება თავისი თვალით ჰქონდა ნანახი და მის სხეულში ახლა უფრო ძლიერი სული ბოზოქრობდა.

ჯანი კი არ მოსდევდა, ძველებურად, ხშირხშირად ახველებდა და დახველების დროს თავი უსკდებოდა რაღაც არაადამიანური ტკივილებით, თითქოს ჩაქუჩებს სცემდნენ უმოწყალოდ.

ას კაცამდე მოგროვდნენ.

ტარზე დახვეული დროშა თვითონ გაშალა, კალთა კარგად გაუსწორა და გუჯა ნოდისა გადასცა. გუჯა იქნებოდა დღეს ბაირახტარი, ის წაიღებდა დროშას როგორც ყველაზე უფრო ჯანდონიანი და მაგარი.

უავდრო დილა თენდებოდა ყვავილთა სითეთრე და ატმის ყვავილთა ფეროვნება, ედემური სილამაზით ხატავდა გარემოს.

— წავიდეთ, ამხანაგებო! — მოისმა ფედიას ხმა.

სიმღერა მედროშემ წამოიწყო და გზაზე პირველი გავიდა.

სწორედ ეს ხმა იყო, ადილარ გვაზავას რომ შემოესმა.

ჯერ კიდევ ძილის ბურანში მყოფმა სახელებმა გამოადიდეს.

კარ-ფანჯრებს ფართოდ აღებდნენ ღრიბ-ლატანი, რომ მათი ჭერი გაზაფხულის სურნელებითა და ამ ბრძოლის პანგებით ავსებულყო.

ერთმა გლეხკაცმა თავის ფაცხაშივე ააყოლა ხმა სიმღერას, დილეკოები შეიკრა, — აბა წავიდეთ, რაშა საქმეთ, — გასძახა უფროს ვეიშვილს და დემონსტრანტებს შეუერთდა.

ფაცხის ზღურბლზე ორი ბავშვიც გადმოვიდა. მესამემ, სულ პატარამ, ვერ გაიგო რა ხდებოდა და ტირილი მოართო.

ონტოფოდან სხვა ნაკადიც გამოჩნდა. ისინი აქამდე უსიმღეროდ და ჩუმად მოდიოდნენ, როგორც კი შენიშნეს აბაშელი ბოლშევიკები, ხმაც ამოიღეს და სიმღერაც მოადონიერეს.

ახლა ნავსაკოვოს მხრიდან წამოვიდა ოციოდე ჭალი და კაცი.

დროშა დაინახეს და მას მიჰყვნენ. ნაცნობები ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და უღიმოდნენ სიმღერის შეუწყვეტლად.

უზოებიდან ორ-ორნი, სამ-სამნი გადმოდიოდნენ და უერთდებოდნენ აბაშის შუაგულისაკენ დაძრულ ხალხს.

ბევრს არც ჰქონდა წაყითხული პროკლამაცია და არც იცოდა რა ხდებოდა, მაგრამ მაინც უერთდებოდა ხალხს. იქ ერჩია, სადაც თავის დაჩაგრულ დაძმებს ხედავდა. ვინც გზაზე არ გამოდიოდა, ეხოლან ან აივნიდან იქნევადა ხელს და გულში აყოლებდა ბანს სიმღერას.

მთელი აბაშა მღეროდა.

წამოვიდა სხვა ნაკადებიც სუჯანიდან ძველაბაშიდან, ბანძიდან, სამიქაოდან.

ბავშვებს ზოგს ჩაცმა ვერ მოესწრო და ნახევრდ ტიტვლები მოსდევდნენ მამებს, დედებს, უფროს დაძმებს; ყვიროდნენ, ჯოხის ცხენებს მოაქიხინებდნენ, წნელებს ხმლებივით იქნევდნენ...

რალაც უჩვეულო ზღებოდა მათ თვალწინ. კოდორიდან მომავალ გზაზე ფედიამ სპარტაკელებში ყველაზე უწინ ვერიკო გამოარჩია.

თვითონ მოჰქონდა თავისი შეყვრილი დროშა ვერიკოს. მასზე მზისფერი ძაფით ამოქარგული ლენინის სახე ანათებდა. სპარტაკელთა ეს პატარა დროშა ბოლშევიკების ფართო დროშის გვერდით, ლამაზად ადრიალდა.

თითხმეტი ბიჭი აკლდათ სპარტაკელებს, წითელ გვარდიაში ვაწვეულები მაგრამ მაინც ბევრი ჩანდნენ.

მენშევიკები თავიანთ სახლში ფანჯრის ოდნავ გაწეული ფარდებიდან ცალი თვალით იხედებოდნენ. არ იცოდნენ რა მოესაზრებინათ...

ადილარ გვაზავამ ვეება მუშტი გულზე დაიბავუნა და — „აუუ, ჭიმააჯამიო!“ — იყვირა; კი არ იყვირა, ივივლა; რევოლვერი იძრო და ცხენით, — გასძახა თავლისაკენ.

და როდესაც მილიციის რაზმი საბრძოლო წესრიგში ჩადგა, ადილარმა არც ისე ხმაოდლა და არც ისე გულთანად, მაგრამ მაინც ბრძანა:

— ისრალოეთ მხოლოდ შესაშინებლად!

თან ფიქრობდა: ნეტავ ყველა მილიციელმა ვერ გაიგონოს ჩემი ეს ვანკარგულება და ერთი-ორი ბოლშევიკი იმქმეყნად გაისტუმროსო.

ამას შეცდომად ჩაუთვლიდა ადილარი მსრთლელს და ცოტათი „ყურს აუწევდა“, თვითონ კი ხელსუფთა და გულმოფხანაილი დარჩებოდა.

მილიციელებმა მკერდით დააჯახეს ცხენები ზღვასავით დაძრულ ხალხს, მაგრამ ნაპირზევე მაგარი ტალღები დახვდათ და უკანვე დაიხიეს.

თეთრგვარდიელთა პატარა რაზმიც წამოვიდა დემონსტრაციის დასაშლელად. მათი ღრიალი უგემურად ჩაებლანდა ამბოხებულ, ლამაზ სიმღერას.

ადილარმა დროშებისაკენ მუხუშევა დაიწყო. მან გარკვევით დაინახა, მომცრო დროშა, რომელზედაც ლენინის სახე იყო ამოქარგული — მიჰქონდა წითელ-თავსაფრიან ქალს.

სწორედ ამ დროშას ეძებდა ადილარი ამ დროისათვის ჰყავდა ერთი კვირა შინ დამწყვდეული თავისი ერთადერთი შვილი. ეს დროშა სულ პირველად ვერიკოს ხელში ჰქონდა ნანახი და ახლაც ის წითელთავსაფრიანი ქალი, ალბათ ვერიკო იყო.

აჩქარდა, მაგრამ ვიდაცამ ცხენს ჩიჩვირში მუშტი აპკრა და უკან დაახევიანა. მთელი აბაშა ფეხზე იდგა... მღეროდნენ საპატიმროს სარკმლიდან თვალდაციკებული პატიმრებიც.

უცებ ფედიამ ფრანვიშვილის მრისხანე სახეს შეეღეწა მისი მზერა.

ფედიას მოკვლა დანაშაულად არ ჩაითვლებოდა, რდგანაც ის იყო გადასხლებიდან გამოქცეული და დაპატიმრების შემდეგ თავდებით გამოშვებული. ხელწერილი ჰქონდა დადებული, — რომ არავითარი მონაწილეობა არ მიეღო მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში.

ახლა კი ადილარის რწმენით, მთელი ხალხი მიხი აბუნტებულ იყო.

ადილარმა ჭინჭრის სხვისი ხელით მოთხრა ჩაიფიქრა.

— ესროლე! — ჩუმად გადაულაპარაკა ერთ ცხენოსან მილიციელს და ფედიასზე მიანიშნა.

ფედიამ მედროშის გვერდით მიდიოდა. მილიციელმა ორაზროვნად გადმოხედა თავის უფროსს.

— გაიგონე რასაც ვუებუნები! — კბილები დაუხრქიალა ადილარმა.

მილიციელიც ხედავდა ფედიას მაგრამ ძნელი ამოსაღები იყო მიზანში, — ხან იკარგებოდა, ხან გამოჩნდებოდა არამწყობრად მიმავალ ხალხში.

მილიციელებმა და გვარდიელებმა სროლას უხშირეს. ოღონდ ყველა გასროლა უმიზნო იყო მხოლოდ გამაფრთხილებელი.

თითქოს ზღვის ტალღებს ზემოთ მიფრინავდა ორი დროშა.

ადილარი მათევენ მოიწევდა, მათ შესამუსრად; მათრახს აწივლებდა და უმოწყალოდ სცემდა დამხედურთ.

ადილარი რომ ცხენს მკერდით მიადებდა ხალხზე, ზღვის უქუქცევასავით უკან იხევდა ხალხი, მერე ისევ ამოივსებოდა...

რკინიგზის სადგურის უკან, ჰადრების მოედანზე ორივე დროშა შეჩერდა და ხალხიდან საოცრებასავით ამოიზარდა შემბლმეხვეული კაცი. ადილარმა კარგად იცოდა, რომ მოედნის იმ ადგილას, სადაც კაცი მთელი ტანით გამოჩნდა, არც შემალბებული ბორცი იყო, არც ხის მღალი გადანახრხი. მიხვდა, რომ ის კაცი ხალხმა აიტაცა და ხალხის მხრებზე იდგა.

— ამხანაგებო! — მეხივით გავარდა მისი ხმა.

ბლუზის გულისპირზე ორივე ხელი ჩაველო და მკერდი გადაელედა.

ეს ფედია იყო.

სიჩუმის ანგელოზმა გადაუარა აგუგუნებულ მოედანს.

ზარივით რეკდა ფედიას ხმა:

— მოახლოვებულია მენშევიკების აღსასრული. სულს დაფავს მათი უხერხემლო მთავრობა. ჩვენ უნდა შევერთდეთ და ხვალ თუ ზეგ იარაღით ხელში საბოლოოდ დავებრუნეთ სისხლისმსმელნი ისევე, როგორც ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანელმა ხალხმა დათრგუნა და გააცამტვერა კონტრრევოლუციონერ მუსავატელთა ბანდა. ძირს მენშევიკური მთავრობა, გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას, გაუმარჯოს პროლეტარიატს!

ხალხში დაგუბებულმა გრიგალმა ისევ აიწყვიტა და ადილარ გვაზავას სმენა დაუხშო.

ერთბაშად:

მსროლელი არავის დაუნახავს, ის კი ყველამ დაინახა, რომ ფედია შეტოკდა, მოიკეცა და მკერდზე სისხლის დაღდაჩნეული ხალხში ჩაიძირა.

შეშფოთდა და შეჩოჩქოლდა მთელი მოედანი. ჰადრებზე შემომსხდარმა ბავშვებმა სტვენა ასტეხეს...

— გვბოცავენი გვესერაინი — გაისმა

შეძახილები. ადილარმა ცხენს დაჰკრა და დემონსტრანტებს ბალიდან შემოუარა.

აქედან ორივე დროშა უფრო ახლოს იყო

— დაიშალეთ! შინ წადით! — კვლავ აფრთხილებდნენ ამბოხებულებს მილიციელები.

ცხენდაცხენ მოეკრნენ ხალხს და მიმოფანტეს. ვიღაც კაცი კინაღამ გადათქერეს ცხენებმა. დემონსტრანტებიც გაძალიანდნენ, ერთგან მილიციელი დაითრიეს ცხენიდან.

დიდმა დროშამ აქეთ-იქეთ გადაწოლა იწყო, ჩანდა იქ წართმევა-არდათმობის ჭიდილი იყო.

ადილარი სულ ხუთთორდე ნაბიჯზე მიუახლოვდა პატარა დროშას და მედროშეს დააკვირდა: ვერიყო იყო, წითელი დროშა ეჭირა და თავსაფარიც წითელი ჰქონდა. ცხენიდან გადმოხტა: ადილარი და ფეხდაფეხ სცადა გზის გაკაფვა არეულ ბრბოში. დროშა ზედ მის თვალწინ ნელ-ნელა ძირს დაეშვა და უცებ გაქრა. ადილარი დროშის გაქრობის ადგილას გაჩნდა. და ახლა წითელ თავსაფრიან მედროშეს დაუწყო ძებნა. იპოვა კიდევ, უკანიდან მიუახლოვდა და ძირს თავი თავსაფრიან-თმინად მოიქცია უშველებელ ტორებში: შემოატრიალა და თავისი შვილი შერჩა ხელთ.

ეს მოხდა ზუსტად ისევე როგორც წინა წელს კლუბში ლექციაზე — სპარტაკელთა დენისას.

ეს სრულიად უბრალოდ მოახერხა ვერიკომ: მთელი დემონსტრაციის დროს მილიციის უფროსის შვილს, პატარა ადილარს გვერდიდან არ იცილებდა: მომყევი ადილარ, არ ჩამორჩეო. ეს უხაროდა ბიჭს. საფრთხის მოახლოვება რომ იგრძნო ვერიკომ, თავსაფარი მოიხსნა, წააფარა პატარა ადილარს თავზე და უცებ გაქრა.

და ის იყო, მამამისის ტორიც დაეცა წითელი ნაჭრით თავწაყრულ ადილარს.

დიდი დროშაც საღდაც გაუჩინარდა. ორ კურდღელს სღია ადილარმა და

ვერცერთი ვერ დაიჭირა. ერთთავად მშრალზე დარჩა.

მერე გამოირკვა: თურმე ადილარის მოადგილეს და თეთრგვარდიელთა რაზმის მეთაურს კარგად უმუშაენიათ: სადგურის მთავარი მოსაცდელი დარბაზის კარებთან და ფანჯრებთან ზიმტებიანი მკველები დაუყენებიათ და გამკვლელ-გამომკვლელნი შიგ შეუყრიათ. დარბაზის კარები რომ დაეკეტეს და გაამაგრეს, იქ მყოფი მატარებლის მომლოდინე მგზავრებზეც არ გამოუშვიათ ვარეთ. ახლა ამ საკსებით უდანაშაულო ხალხის წიოკობა იკლებდა იქაურობას, რადგანაც მათი მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო და სადაცაა წაეიდოდა. ერთმა ბავშვებთანა მგზავრმა ქალმა კარში გაჭგიულ მილიციელს ენით ვერაფერი რომ ვერ შეაგნებინა, აგური სდრუზა შუბლში. მილიციელს მთელი სახე და გულმკერდი სისხლით ჰქონდა მოსერილი...

ორმოცდაათზე მეტი ქალი და კაცი აღმოჩნდა დაპატიმრებული. მათში ფედია ფრანგიშვილი ერია.

ფედია საათვის იღლიაში გაეელო ტყვიას და მხოლოდ რბილი ქსოვილები დაეკრა, ძვალს არ შეხებია.

ადილარმა დაჭრილი პირდაპირ მილიციაში წააყვანინა, თვითონაც მიჰყვა და საკანის კარიც თვითონვე შეუღო.

მეორე დღესვე ადილარმა ფედია ფრანგიშვილი ქუთაისის ციხეში გადაგზავნა.

ქუთაისში 6 მაისს, 1920 წლისა, სამხედრო-საველე სასამართლომ გამოუსწორებელ რევოლუციონერს და მთავრობისათვის საშიშ პიროვნებას ფედია ფრანგიშვილს დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

დოკუმენტური ფურცლებიდან

1920 წლის 7 მაისს, განაჩენის გამოტანის მეორე დღეს, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობებს შორის, დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება.

ამ ხელშეკრულებით საქართველოს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ეძღვოდათ ლეგალური არსებობისა

და მოღვაწეობის, კრებების თავისუფლად მოწეობისა და თავისუფალი საგანმომკემლო საქმიანობის უფლება.

პირველ დღეებში მენშევიკურმა მთავრობამ „სიტყვისკაცობა“ გამოიჩინა და პატიმრობიდან განათავისუფლა ათასამდე კომუნისტი და კომკავშირელი.

დახვრეტის განაჩენი და განათავისუფლების ბრძანება ერთად მიუტანეს ფედია საკანში. მისთვის გამზადებული ტყვია გაუსროლილი დარჩა.

ფედია თავისა და სახსრების ტყვილით ისე იყო გაწამებული, რომ განათავისუფლების ცნობის მიღებისას გაიფიქრა: იქნებ სჯობდა არ გავენთავისუფლებინეთ, სამუდამოდ დავისვენებდით.

მაშინ განათავისუფლეს ბორის ძენლაძეც, რომელიც თებერვლის პირველი ნახევრიდან, ესე იგი, თითქმის სამი თვე, დაპატიმრებული იყო ჯერ შეტეხის, ხოლო შემდეგ კი ქუთაისის ციხეებში.

განათავისუფლებულებმა — ბორისმა და ფედია მ ბევრი რამ საგულისხმო ილაპარაკეს და დასახეს მომავლის საერთო გეგმები.

მაისის ბოლოს საქართველოში მოხდა პარტიის ხელმძღვანელი ცენტრის რეორგანიზაცია. შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკურის) დროებითი ცენტრალური კომიტეტი. ასევე რეორგანიზებულ იქნა კომკავშირის ხელმძღვანელი ცენტრი: რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ნაცვლად, შეიქმნა — საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომკავშირმა ეს ლეგალიზაცია მაქსიმალურად გამოიყენა მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური მთავრობა ყოველ ნაბიჯზე ურცხვად და უტიფრად არღვევდა ამ პირობებს.

20 ივნისს თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში სერგეი მირონის ძე კიროვი, რომელმაც დიდი

როლი შეასრულა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში — აზერბაიჯანში საბჭოთა ხელი-სუფლების განმტყიცებისა და საქართველოსა და სომხეთში სოციალისტური რევოლუციისთვის მშრომელთა მოზილხაციის საქმეში.

1920 წლის 25 აგვისტოს თბილისში, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მონაწილეობით გაიხსნა საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის პირველი „ლეგალური“ ყრილობა. ყრილობაზე წარგზავნილ იქნა 43 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველოს კომკავშირის სამი ათას წევრს (დღეს საქართველოში კომკავშირელთა რიცხვმა ნახევარ მილიონს გადაამეტა და მათში ნახევარზე ცოტათი მეტი გოგონები არიან).

აბაშიდან ყრილობის დელეგატად არჩეულ იყო ვერა კიზირია.

• • •

ვერიკოს უკვე შეეძლო თავისუფლად ევლო აბაშიში და ხელსაყვერავინ ახლებდა, მაგრამ მაინც ფრთხილობდა.

რკინიგზის სადგურთან, ბაღში შეიკრიბნენ მეგობრები, ვერიკო უნდა გაეცილებინათ. ხის მერხი, მიწაზე რომ ეგდო, ბიქტორმა ბოძებზე გასდო, ამოშვერილი ლურსმნები ქვით დააჭედა და ფედიას შესთავაზა ჩამოჭდომა.

— ტყვილეები თითქოს გამიყუჩდა, ეგ თავბრუს ხვევა და ყურების შუილი რომ არ მეშვება!.. — სევდიანად წარმოსთქვა ფედიამ.

ლულუნი გაესაყვედურა უფროს ახანაგს:

— წავიდოდი ბორჯომში და დავისვენებდი...

— და დროს დასვენებაა, ჩემო ლულუნი. თუ რამის თავი გვაქვს, ახლა უნდა ვიმარჯვოთ... — ცოტა ხანს გაჩუმდა ფედია, მერე ვერიკოს მიანერბდა.

მოწყენილობისა თუ რალაც, უკურნებელი სევდის ბურუსი ეფინა ვერიკოს სილამაზეს.

იმ ბურუსიდან გაუღიმა ფედია. შევიკაბა ეცვა და შავი მარჯაში ჰქონდა მხრებზე მოხურული.

შეგ ღრუბლებში გახვეულიყო მთვარე.

ფედიას ვერიკოსთვის თვალი არ მოუშორებია, ისე ჰკითხა მეგობრებს:

— სამგზავრო ფული თუ მოუგროვებთ საქმაოდ?

— მგონი ეყოფა, — თქვა ბიქტორმა.

რკინიგზის მხრიდან ბაღის ჩატხილი მესერზე ორი სპარტაკელი გადმოვიდა.

უკვე ნამეტანი ბევრი მოგროვდნენ და თვითონვე შეეშინდათ: კრება არ ეგონოთ და არ დაგვაკავონო...

მცირე ხანს საერთო დუმილი ჩამოწვა და მერე ფედიამ დაიწყო ლაპარაკი, თითქოს სადღაც სხვაგან იყო და ახლა მოვიდოდა:

— რა მითხარით?

ბასუხი ლულუნიმ გასცა:

— დაგესვენა ბორჯომში. ამბობენ, იქაური ჰავა ძალიან მარგებელიაო.

ფედიამ ღრმად ამოისუნთქა და სიტყვებიც ამოაყოლა ამოსუნთქვას, მისი ნათქვამი სრულიად უადგილო იყო ამჯერად:

— აქ დამასაფლავეთ...

(სწორედ იმ ადგილზე მიუთითა, სადაც ახლამ მისი საფლავი).

— რას ამბობ, ფედია, — მხარზე ხელი ოდნავ შეახო ვერიკომ და თავისივე თითების კანკალი იგრძნო.

ფედიას ეამა ვერიკოს სიხლოვეც და ნათქვამიც, მაგრამ უცებ ისევ თავის სამყაროს დაუბრუნდა:

— მიყვარს ეს ადგილი...

ფედიას დამ — ვერა ფრანგიშვილმა თავი ვერ შეიმაგრა და აჭვითინდა.

დის გული სხვაა მაინც...

ვერიკომ დაამშვიდა სენია.

მატარებლის მოსვლამდე ბევრი დრო არ რჩებოდა. ალბათ ფედიამაც იგრძნო ეს და საქმიანი საუბარი გაუბა ვერიკოს:

— სიტყვა თუ გავს მომზადებული?

— ზებირად ვილაპარაკებ... სამი სა-

კითხი მაქვს ძირითადი: უფრო რეგულარულად მოგვემარაგონ პოლიტიკური ლიტერატურით... ყრილობამ თავისი დადგენილებით გაფრთხილება უნა მისცეს მენშევიკურ მთავრობას, რათა აღიკვეცოს რუსეთთან ხელშეკრულების უხეში დარღვევის შემთხვევები. ხომ ხედავთ, ამხანაგებო, როგორ იცაა მათგან ნაბოძები ლეგალიზაცია? რეპრესიები... ცემა-ტყუება (ამ სიტყვაზე ფედიას შეხედა ვერიკომ)... დევნა... სიტყვის თქმის ჩახშობა... ყველაფერი ადრინდებულად გრძელდება.

— კონკრეტული მაგალითები მოახსენე...

— და... — სიტყვა არ გაუწყვეტია ვერიკოს. — ეს კი ცალკე უნდა გადავცე ხელმძღვანელებს: გვკვირდება მეტი ხელშეწყობა შეიარაღებისა და ჯარის მომზადებისათვის. ჩაცმა უნდათ მეზობლებს... თანხაა საქირო...

ამ საუბრის დროს ფედია სადღაც სივრცეში იხედებოდა, იქნება არც ეს მოდა ვერიკოს ხმა. ბოლოს უცებ წამოიძახა:

— წინ, მეგობრებო!.. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, — მერე იკითხა: — რას ვლაპარაკობდი წელან?

— დამშვიდდი, ფედია, — შეწუხდა ვერიკო, — წყალი ხომ არ მოგიტანო? მიმოიხედა, თუმცა წყალი ახლოს არსად ეგულებოდა — ბალის ბოლოს რომ ჩანდა, ის გაბინძურებული იყო. ეს ვერიკომაც იცოდა და სხვებმაც.

ფედიამ გულსჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო და ვერიკოს გაუწოდა:

— გამომართვი... დაგვირდება...

— მაქვს ფული, ფედია, მეყოფა. — უკან დაიწია ვერიკომ.

— თბილისში პირველად მიდიხარ... გამომართვი, — არ მოეშვა ფედია.

— წამლების წამოღება არ დაგავიწყდეს, ვერიკო, — შეახსენა მეგობარს ბიქტორმა, — ბოროსს პირადად იცნობ და ისიც მოახსენე, აჯანყების დაწყებისთვის ერთი ექიმი მაინც გამოგვიგზავნოს თბილისიდან. მომავალი ბრძო-

ლა მწვავე იქნება და სისხლიც შეგვიღებოდა დაიღვრება ალბათ...

— ვეტყვი... ყველაფერს ვეტყვი...

ბაქანზე გავიდნენ. უკვე ბინდი ჩამოწოლილიყო და ერთადერთი ფარანი ბაქანს ძლივს ანათებდა.

რკინიგზის მორიგემ ზარს ჩამოჰკრა და ცოტა ხანში, სენაკის მხრიდან ორთქმავლის ცალმა „თვალმაც“ გამოახათა.

ვაგონში ბიქტორიც ამოჰყვა ვერიკოს, პატარა ხელჩანთა ამოუტანა და დასაჯდომი ადგილიც უშოვნა.

ამასობაში მატარებელიც დაიძრა. ბაქანზე დარჩენილები თანდათან ჩაიკარგნენ სიბნელეში. ბიქტორი ბაქანს იქით გადმოხტა მატარებლიდან. „ფედის მოუარეთო“ — ეს თხოვნა დაადევნა ვერიკომ მეგობარს. ვაგონში ცხელოდა. ზედა საწოლები და ბარგისთვის განკუთვნილი მესამე თაროებიც დაეკავებინათ მგზავრებს და იწვნენ თვალდახუჭულნი. ღმერთმა იცის, ეძინათ თუ არა.

ერთს ფეხსაცმელები გაეხადა და წინდებიანი ფეხები დაბლა ჩამოეშვირა...

საშინელი სუნე დაგუბებულნი გარშემო. ბალნიჩოების დასახოცად მოსხმული წამალი თვალებს სწვავდა მგზავრებს.

ვიდრე შეეჩვეოდა ვერიკო ამ მდგომარეობას, პირზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული...

ვერიკო ქვედა საწოლის აქეთ ნაპირას იჯდა. ზურგსუკან ვიდაცის ჩექმებიანი ფეხები ჩანდა.

გვერდით ჩამოქდა მამაკაცს ქუდი თვალბუზე ჩამოეფხატა და მკერდზე თეჩამოგდებულს ეძინა. მოპირდაპირე ადგილზე მოკალათებულ ქალს კალათა გულში ჩაეხუტებინა, თავი კი გვერდით მჯდომი მამაკაცს მხარზე მიედო.

ერთმანეთის ახლობლები არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც მამაკაცი დროდადრო აჰკრავდა ხოლმე მხარს. ქალი ერთი წამით უაზროდ გამოიხე-

დავდა ბიძგის შეგარძნებისას და ისევე ბრუნდებოდა ბურანში.

შემდეგ კიდევ ორნი ისხდნენ, და-კონკალიტანსაცმოლიანები. თვალები და-ეხუტათ, მაგრამ ეტყობოდა, არ ეძინათ თვალდახუტულნი ეჭმდნენ ძილს.

სულ განაპირა ფანჯარასთან ქალა-ქურად გამოწყებილი მამაკაცი ჩაკვე-ხებულყოფა. ზოლებიანი კოსტუმში ეცვა, სწორედ ისეთი, ცირკში რომ ნახა ერ-თხელ ვერიკომ მასხარას ტანზე. ფეტ-რის ქუდი უკან გადაეწია, საფეთქლებ-თან თმა ოდნავ შექვილარაეებული ჰქო-ნდა.

იგი ხან მგზავრებს გამოხედავდა, ხან ფანჯარასთან ჩაქროლებულ ფარნის შუქს გაადევნებდა თვალს.

ვერდის საწოლებიც ასევე დაძე-გილი იყო სხვადასხვა ჯურის მგზავრე-ბით.

ამდენ უცნობ ხალხში ერთადერთი ნაცნობი სახე დალანდა ვერიკომ მოშო-რებით და გაეხარდა. ეს იყო ზუგდიდე-ლი კომკავშირელი. სახელი და გვარი არ ახსოვდა იმ ყმაწვილისა, მაგრამ ნანახი ჰყავდა სენაჯში მიხა ცხაკაიასა და ბორის ძნელაძის ლექციებზე.

გული გაუნათდა ვერიკოს — მარ-ტო აღარ იყო.

ქაბუქმაც იცნო და შორიდანვე და-უჯრა თავი. ალბათ ისიც ყრილობაზე მიემგზავრებოდა.

გასაღებულ ადგილებშიც ათასი ბარ-გი-ბარხანა ისე დაეყარათ მგზავრებს და ზედაც დაჯდომოდნენ, რომ კაციშ-ვილი ვერ გაივლიდა.

ვერიკოს ახლა გაუგვირდა, — რო-გორ მოიყვანა იგი ბიჭტორმა იქამდე და ეს დასაჯდომი ადგილიც როგორ გამოუნახა!

ყველას და ყველაფერს ეტყობოდა სიღარიბის, სიდუხჭირის, ვისა და ვა-ების დამლა.

მხოლოდ ფანჯარასთან მჯდომ ზრელ-კოსტუმთან მამაკაცს ჰქონდა ცხოვრე-ბით კმაყოფილი ადამიანის იერი.

ვერიკომ რამდენჯერმე იგონო მისი. შემოხედვა და გული მოუვიდა: რას 7. „მნათობი“, № 7.

მომჩერებია ეს ვილაც მოცლილნი მატარებელი ძლივს მრითრეულა წელს.

საჭილაოში გაჩერდა თუ მხოლოდ შეანელა სვლა, კაცი ვერ გაიგებდა. მე-რე რიონის ხიდზე რახარახით გავიდა და სამტრედიაში კი ნამდვილად გაჩერა და.

ვერიკოს ვაგონი ისეთ ადგილას მოხ-ვდა, რომ საღვურის შუქი პირდაპირ ფანჯარაში შემოდოდა.

მატარებლის გაჩერებისთანავე ვა-გონში ორივე მხრიდან ამოვიდნენ მი-ლიციელები.

— გზა მოგვეცი, გაგვატარეთ, — მჭახედ გაისმა მათი ხმა.

მგზავრების ვინაობას ამოწმებდნენ, მაგრამ ყველასას კი არა, ზოგზოგიერ-თისას, ამორჩევით.

ჭრელკოსტუმთან მამაკაცი ისევე ვე-რიკოს უყურებდა.

იმ ზუგდიდეულ ყმაწვილს საბუთები ჩამოართვეს და ერთ მილიციელს ჩააბა-რეს, წასაყვანად.

ქაბუქმა წასვლის წინ ვერიკოსკენ მოიხედა. ეს მოხედვა დახმარებას არ ითხოვდა, უბრალოდ, აგრძნობინებდა ვერიკოს: შენ მაინც გაფრთხილდი.

მილიციელები ჯაჭგურით, ლანძღვა-გინებით მოიკვლევდნენ გზას უწესრი-გოდ დაყრილ ბარგ-ბარხანაზე.

ვერიკოსთან ორივე მხრიდან ერთ-დროულად მოაღწიეს.

ჯერ მკერდზე თავჩამოქინდრულ კაცს გაუსინჯეს საბუთები, მერე — ბნელში მიმალულ ყმაწვილ ქალს.

ეს ქალი აქამდე არ შეუქმნევია ვე-რიკოს.

ახლა ვერიკოს დააკვირდა ერთი მი-ლიციელი. ვერიკომ ხელჩანთა გახსნა და თავისი პირადობის მოწმობა გაუწო-და. მილიციელმა ხმამაღლა ამოიკითხა „ივლიტა რუხაძე“.

მერე ისევე გამომცდელად შეხედა ვერიკოს და მოულოდნელი თავაზი-ანობით მიმართა:

— გთხოვთ წამობრძანდეთ!

— მე ხაშურში მივდივარ, ბატონო.

დარჩენა არ შემძლია, — განაცხადა ვერიკომ.

— აქ მატარებელი დიდხანს ჩერდება. მოასწრებთ... წამობრძანდით.

ეს უკვე ბრძანებას უფრო ჰგავდა, ვინც თხოვნას. ამიტომ ვერიკომ გაყოლა არჩია.

სადგურის მილიციის ერთ ვიწრო ოთახში ათიოდე მგზავრი მოეყვანათ.

ხის დაბალ მოაჯირს იქით მაგიდას უჯდა. გრძელულვაშიანი მორიგე და საგულდაგულოდ სინჯავდა დაკავებულთა საბუთებს. ის ზუგდიდელი ქაბუციც ამ ხალხში ყრია. როგორც კი ვერიკოსკენ გამოიხედა, ვერიკომ მაშინვე თითის ტუჩებზე მიდებით ანიშნა არაფერი ეთქვა.

გრძელულვაშიანმა მორიგემ, ვაგონში შემოსული მილიციელის მსგავსად, ჯერ ვერიკოს შეხედა, მერე მისი საბუთები დაათვალიერა და აგდებულად წამოიძახა:

— აბაშელი ხარ, ვოგო?

ვერიკომ იცოდა, რაც ეკუთვნოდა ახლა ამ უდიერს, მაგრამ ზაფანგში იყო და ხელის ოდნავ განძრევასაც შეეძლო გასასვლელი კარი სულ ჩაეკეტა. დიხ, აბაშელი ვახლავარო! — უპასუხა მშვიდად და შუბლზე ჩამოყრილი თმა თავის გადაქნევით უკან გადაიგდო.

— მაშ, ქალბატონო ივლიტა, — ახლა უკვე დამცინავი კილო გაურია მორიგემ ხმაში, — ვერა კიზირია გეცოდინებათ... ისიც აბაშელია... დიდი ფიქრი და ძიება არ უნდოდა: მილიცია ეძებდა ყრილობაზე წამსვლელებს. ნაბრძანები ჰქონდათ შეეფერებინათ დელეგატების გამგზავრება თბილისში. ასე სრულდებოდა რუსეთის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება. ვერიკომ არაფერი შეიმჩნია:

— ვიცნობ... მხოლოდ შორიდან...

— როდის ნახე უკანასკნელად და სად არის ამჟამად?.. — შეკითხვას შეკითხვა მოაყოლა მორიგემ.

ოთახში გაუთავებელი ხმაური იდგა. ყველა ერთად და თავისებურად გა-

მოსთქვამდა საყვედურს: რატომ ვეძებთ, რად მაგვიანებთო... შიზლინიცნიცნიც

მორიგეს ვერიკომ გარკვევით და ვსაბეგბად აუხსნა: ის ვიღაც ვერა კიზირიაა, უკანასკნელად როდის ვნახე, არც მახსოვს, და სად არის როგორღა მეცოდინებაო... თავიც უმტვრევია. მე ჩემი გზა მაქვს და გთხოვთ ნუ მაყოვნებთო.

მორიგემ ყოველივე მოისმინა, მერე ვერიკოს საბუთი უჯრაში ჩადო, მოაჯირის კარი წამოუღდომლად თავისკენ შეაღო და ვერიკოს მიმართა:

— აქეთ შემოდით და დაისვენეთ. თქვენს საქმეს მერე დავაზუსტებთ.

— როგორ გეკადრებთ!.. მე მეჩქარება!.. საცაა მატარებელი გაეა!.. შეწუხდა ვერიკო.

— თქვენს საქმეს მერე დავაზუსტებთ... შემოდით, ნუ მაცდენთ... — ხმას აუმაღლა მორიგემ.

ვერიკომ მალულად კარისკენ გაიხედა, თითქოს ვინმე მშველელს ელოდა. იქით არავის უშეებდნენ. აქეთ კი ისევ შემოჰყავდათ მგზავრები.

საიდან სადაო, ვერიკოს თანამგზავრი, ზოლებიან პიჯაკში გამოწყობილი, ფეტრის ქუდიანი მამაკაცი შემოვიდა, ვერიკოს ვვერდით ამოუდგა და მორიგეს ტყავგადაკრული ფართო წიგნაკი გაუწოდა.

— რატომ აყოვნებთ?.. ჩვენ შეიძლება მატარებელმა გაგვასწროს...

მორიგემ მისკენ გამოწვდილ წიგნაკს დახედა თუ არა, წამოდგა და გაიჭიმა.

— თქვენთან ბრძანდება?..

ვერიკომ უცნობ მამაკაცს მკლავში ორივე ხელი ჩაჰკიდა კარგი ახლობელივით და ხმაშეუცვლელად, სრულიად ჩვეულებრივად წარმოსთქვა:

— არ ვიცი, რას შემართლებიან...

გრძელულვაშიანმა მორიგემ ვერიკოს საბუთი მოწიწებით ამოიღო უჯრიდან, ტყავგადაკრულ წიგნაკს ზედ დაადო და ორივე ერთად გაუწოდა მამაკაცს.

— ბოდიში... ყველაფერი შეცდომის ბრალია.

ბაქანზე რომ ვავიდნენ, ვერიკომ მამაკაც ხელები შეუშვა და მადლიერი მზერა მიაპყრო:

— გმადლობთ, ბატონო (ბიძია უნდოდა ეთქვა, მაგრამ იცოდა რა ჰანგის სამღერღადაც ემზადებოდა ეს კაცი, და მისი გულის ერთბაშად მოკვლას მოერიდა). მე ნამდვილად მაგვიანდება...

ეს თქვა ვერიკომ, უკან-უკან დაიხია, მერე მიბრუნდა და თავისი ვაგონისკენ გაეშურა.

კიბეზე ასვლისას გაახსენდა, რომ მისი საბუთი უცნობს შერჩა, და კიბიდან უცებ ჩამოვდა ფეხი.

— აბრძანდით, ვაგონა, — მოესმა ამ დროს უცნობის ხმა, — ნუ ღელავთ, თქვენი საბუთი არ დაიკარგება.

ერთად შევიდნენ ვაგონში.

მათი ადგილები სხვებს დაეკავებინათ...

ვერიკო ხუმრობას და სიცილს უკვე კარგა ხნის გადაჩვეული იყო, მაგრამ ახლა, ამ მამაკაცის მიმართ მაინც გაეცინა გულში: კარგი ჩიტი ბრძანდები, ჩემო ძვირფასო და აქეთ მოიწი, იქნებ კიდევ დამჭირდეთ...

მთელი გზა ერთ ფიქრს უტრიალებდა: ვინ უნდა ყოფილიყო ეს კაცი, მწიცივითი ერთბაშად რომ შეაფუცხუნა სამტრედიამი? სხვა ვერაფერი გამოუძებნა და საიდუმლო პოლიციის აგენტად ჩათვალა.

ვერიკოს ვინაობა არ შეიძლება სკოდნოდა — აბაშაში არ ამოსულა ვაგონში, ფანჯარასთან მოკალათებული დახვდა.

ვერიკოსთვის მეგობრებს ნამდვილი სახელი არ დაუძახიათ, ივლიტას ეძახდნენ...

მატარებელი ავტოლაში რომ შეჩერდა, ვერიკოს უკვე თბილისი ეგონა და თავის ბარჯს დასწვდა, მაგრამ უცნობმა მამაკაცმა შეაჩერა.

ვერიკოს მოეჩვენა, რომ აქ მთელი საათი იდგნენ. ქშინავდა ორთქლმავალი. ვაგონში უკვე იმდენი სიციქროვე

არ იგრძნობოდა. ჩამოწეულ ფანჯარაში გაღიხებდა.

ეუცხოვა აქაური ჰაერი, აბაშაში უფრო ცხელი ავეისტო დატოვა.

მახუთში ამოსვრილმა და სახეგანგულმა კაცებმა რაღაც უშველებელი მილი თავზევით დაუყენეს ოთქლმავალს და წყალი ჩაუსხეს.

დაარწყულეს ორთქლმავალი, მაგრამ წასვლას ჯერ მაინც არ აპირებდა. ვერიკო და ის მამაკაცი მარტონი, პირისპირ დარჩნენ, — გვერდითი საწოლები უკვე აეყვით და მგზავრებიც სხვაგან გადაბარგებულნიყვნენ.

ვერიკო უცნობს დააკვირდა, თვალტანადი და ლამაზი მამაკაცი იყო.

ფანჯრის პატარა მავიდა წყნელზე მძივებებით ასხმულ ვაშლებს ეკავა. ვაშლების წყნელზე ასხმა ჯერ არ გაეგონა ვერიკოს. გორში იყიდა უცნობმა ვერიკოსთვის. გორული ვაშლი.

დუმილი ზედმიწევნით გაგრძელდა და აუტანელი გახდა, სადღაც რამე ხმა უნდა დარჩეულიყო.

ეს ვერიკომ ითავა:

— ამდენი გზა ერთად გამოვიარეთ, მე კი არ ვიცი ვინ ბრძანდებით.

მთელი ღამის უძინარს ხმა დატყბილებოდა. ასეთი ხმის აღწერა სიტყვის ძალას აღემატება. ის უნდა მოისმინო.

ვიდრე მამაკაცი რამეს იტყოდა, ორთქლმავალმა უცებ დასძრა ვაგონები და მაშინვე ნელ სვლაზე გადავიდა.

— ახლა კი თბილისი იქნება, — პასუხს გვერდი აუარა უცნობმა.

ვერიკო ჩქარობდა მისი ვინაობის გაგებას, რადგანაც სწრაფად უნდა გადაეწვიტა: აქედანვე გასკლოდა მას თუ თბილისის სადგურზე მოსალოდნელი შემოწმების დროსაც თან ხლებოდა?

დრო ზედმიწევნით მცირე იყო და ამიტომ ვერიკო მიუკიბ-მოუქიბავად, პირდაპირ გადავიდა იერიშზე.

— მე მგონია, თქვენ ბრძანდებით საიდუმლო პოლიციის მუშაი...

სიტყვა „აგენტი“ უხეშად მოეჩვენა და არ იხმარა.

მამაკაცმა გაიღიმა და ვერიკო ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ეს გაღიმება: მისი ვარაუდის დასტურს თუ უარყოფას? მატარებელი შეჩერდა.

უკვე თბილისში იყვნენ, ამას აღასტურებდა ბაქანზე გამოკრული უზარმაზარი აბრა.

თბილისის სადგურიც ისეთივე თეთრი, თლილი ქვით იყო ნაგები, როგორც აბაშისა.

ვერიკომ ხელჩანთიდან ჩუმად ამოიღო აბაშიდან წამოღებული კენჭი. ბიციოლამ გამოატანა: რაკი პირველად ჩადიოდა უცნობ ქალაქში, ეს კენჭი უნდა ჩაეტანა და გადაეგდო. ამით მერე ვითომ სულ მაგრად იქნებოდა იმ ქალაქში, არაფერი გაუჭირდებოდა.

სადგურიდან ქალაქში გასასვლელ კარებთან მილიციელები იდგნენ და მგზავრებს საბუთებს უსინჯავდნენ: საექვოდ მიჩნეულებს აჩერებდნენ და გვერდზე აყენებდნენ.

— მე გამომყევით, — ახლა უკვე ჩვეულებრივად მიმართა უცნობმა მამაკაცმა ვერიკოს.

ვერიკომ ისევ მკლავი მკლავში გამოსდო მას.

ვიღაც მანდილოსნებმა ჩაიარეს და დააკვირდნენ ფეხშეწყობილად მიმავალ წყვილს. კმაყოფილება თუ შური გამოსჰქოდა იმ მანდილოსნებს შემოხედვაში.

ვერიკომ თვითონვე წარმოიდგინა, როგორნი იყვნენ ის და უცნობი მამაკაცი შორიდან, და მოეწონა.

მართლაც მოჩხიბვლელი წყვილი იყო, თუ კი ცოლ-ქმრად ჩათვლიდა მნახველი.

მილიციელებმა მხოლოდ მამაკაცის საბუთი გასინჯეს და ორივენი გატარეს. სადგურისწინა მოედანზე ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო: ეტლები, ფურგუნები, მეკურტნეები, ჩამოსულნი და დამხვედრნი. მიჯრით გაჩერებული ტრამვაები...

ყველა რაღაცას ეძებდა, ყველა სადღაც მიიჩქაროდა. იღვა გაუთავუაელი ზუზუნი, ხმაური, შეძახილები: მუშა,

მუშა ვის გინდათ!.. ფაიტონი... გურ... გუნი... მალაქნებისაკენ... სოლოლო... საკენ... ვაისაკენ..

ვერიკოს არაფერი გაკვირვებია, ასეც მოელოდა.

ამ მამაკაცის ზღემა მას უკვე ნამდვილად არ სჭირდებოდა. ვერიკომ იცოდა თავისი გზა: მიხაილოვის ქუჩა, სახლი № 101. იქ ცხოვრობდა ვერიკოს თანასოფლელი და თანატოლი — ელი-საბედ თოფურია, შინაურულად — ლიზა, ლიზიკო.

ლიზა ვერიკოს ტოლი იყო, მაგრამ უკვე ქმარიც ჰყავდა და შვილიც. ქალაქის მოსამართლეს გაბუნისა გაჰყვა ცოლად და, აბაშაში მოსული ხმები თუ სარწმუნოდ ჩაითვლებოდა, ფუფუნებაში ცხოვრობდა.

ფედიამ ზუსტად აუხსნა და დაუხატა ვერიკოს, როგორ მოსულიყო ლიზას სახლამდე: სადგურიდან ჯერ წავიდოდა პირდაპირ, ვიწრო შესახვევებს გადასჭრიდა და გაუხვევდა მხოლოდ მთავარ, განიერ ქუჩაზე, ხელმარცხნივ. ეს იქნებოდა მიხაილოვის ქუჩა. მერე სახლის ნომრებს დააკვირდებოდა და იპოვიდა 101-ს.

უცნობ მამაკაცს — ხელი ფრთხილად შეუშვა და თავაზიანად მიმართა:

— მე თქვენ დიდად დამავალეთ... და თქვენს კეთილშობილურ თავაზიანობას ჩემს მიმართ ასევე კეთილად დააგვირგვინებთ, თუ მიბოძებთ უფლებას დაგმორადეთ...

ეს ისე გრძნობით იყო ნათქვამი, რომ მამაკაცს არ შეეძლო წინ აღდგომოდა. ვერიკომ თავი დაუქრა და წაივიდა.

ამდენ ჯარ-ხალხში არცერთი არ ერია მისი ნაცნობი — ასეთ ქალაქში რომ ეცხოვრა ვერიკოს, ათი ღლიარეც ვერ მიაგნებდა, მთელი წელიწადი რომ ეძებნა.

ჭაბუკები და ხნოვანებით შებერტყილი მამაკაცებიც კი, ისე არ ჩაუვლიდნენ, რომ თვალი არ გაეყოლებინათ მისთვის.

ვერიკომ ჯერ იფიქრა: ჩემი ჩაცმუ-

ლობა ხომ არ უკვირთო, მაგრამ სხვებს რომ შეხედა, მისნიარად ჩაცმულიც ბევრი ნახა.

ქვის კენჭი აქამდე ხელში რომ ეჭირა, ახლა იგრძნო, პატარა სკვერში გადავადო, მეტი სითამამე მოიკრიფა და ნაბიჯს მოუჩქარა.

ყოფილებას არავის აქცევდა, ისე მიდიოდა, თითქოს ეს გზა სიარულით ჰქონდა გაცვეთილი. მაგრამ ვერცხვად არ იცოდა, რომ მას შორიშორ, მალულად მოჰყვებოდა ის უცნობი მამაკაცი... ზუსტად, სხვების დაუხმარებლად მიადგა ვერიკო მიხაილოვის ას ერთს.

უცნობმა მამაკაცმა შორიდან ისიც ნახა, ვის ბინაში შევიდა ვერიკო, და დაშვებულად შეუქმნევლად გაბრუნდა. ლიზამ, ვერიკო რომ დაინახა, სიხარულით ცას ეწია. მთელ საათს ჰყოცინდა.

ეს იყო 24 აგვისტოს, 1920 წელს. მგორე დღეს, დილით უნდა დაწყებულიყო ყრილობა. ვერიკო დღევანდელის წითელი მანდატით წარსდგებოდა ყრილობაზე. ეს მანდატი გულთან ჰქონდა დამალული, უბეში. დღეს ვერიკოს წინასწარ უნდა ენახა ბორის ძნელად ბორისს ბირადად იცნობდა ლიზას მეუღლე და ის შეახვედრებდა.

ვერიკომ მიმოიხედა ლამაზად მორთულ, განთქმულ ოთახში.

ვერდიოთა ოთახის ღია კარს იქით ქალი აქვანს არწევდა.

ვერიკოს ესიაშინა აქენის დანახვა. აქამდე რატომღაც ეგონა, რომ აქვანში მხოლოდ სოფლის ბავშვებს ზრდიდნენ; ქალაქის ბავშვები კი აბრეშუმებსა და რბილ საწოლებში ჰყავდა წარმოდგენილი. მიუახლოვდა არტახებში გაღვივებულ ჩვილს.

ლამაზი, ფართოთვალეებიანი გოგონა იყო. ერთი ციციკა ტუჩები ჰქონდა.

— რა ჰქვია? — ჰკითხა ძიძას.

— ძაბული..

ვერიკომ ერთის წუთით წარმოიდგინა და გაუკვირდა, რომ შეიძლებოდა მასაც ჰყოლოდა შეილი, ვერიკოც ხომ ლიზასავით თექვსმეტი წლისა იყო..

ლიზას სულაც არ ეტყობოდა დედობა. ისევ ისეთივე კეკლუცი და მომხიბვლელი ჩანდა, როგორც აბაშიდან ახსოვდა ვერიკოს.

ლიზამ ხვედრდგადაფარებულ პატარა მავიდიდან ოქროსფერი ზარი აიღო და დააწკრილა. ოთახში თეთრწინსაფარიანი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი შემოვიდა.

— ცუბა, გენაცვალე, გვასუზმე, — ტბილად მიმართა მას ლიზამ, მერე ვერიკოსკენ გაახედა, — გაიცანი, ჩემი მეგობარია, ერთად ვსწავლობდით სოფელში.

ქალი რევერანსით მიესალმა სტუმარს და ოთახიდან გავიდა.

ვერიკო და ლიზა რბილ სავარძელში მოთავსდნენ და ერთმანეთთან საუბარს მოწყურებულნი, ხარბად დაეწაფნენ განვლილის მოგონებებს, აბაშის ამბებს, სადღესო ჰირ-ვარამს...

ლიზამ უპირველესად მოიკითხა თავისი და ანა, რომელიც აბაშაში ცხოვრობდა დედ-მამასთან ერთად...

ბევრი რამ გაახსენდა ლიზას აბაშიდან სასაცილო თუ სატირალო... და რატომღაც გაახსენდა კიდევ ხანის წყალგაღმა მკალო ვაშლის ხე მეგრული სახელწოდებით — კვეტლე უშქური: კაციშვილი არ ჰქონდა მის მკავე ნაყოფს, მაგრამ თოვლს რომ დადებდა და ყინვა დააჭერდა, მაშინ შეესეოდნენ ბიჭები... ცხელი ზაფხულის მთვარიან დამით მიჯნურთა ზღაპრული თავშესაფარი იყო ამ ხის ჩრდილი...

ვერიკომ გაიხარა ლიზასთან ყოფნით, კარგა ხანი იყო, ასე არ განათებოდა გული, ასეთი გაფარფაშებული ცხოვრება კი საერთოდ ასე ახლოს არ ენახა. უბოროტოდ შეშურდა თანატოლის ბედი, ქმარშვილით, მდიდრულად და უზრუნველად ყოფნა... მაგრამ როდესაც ლიზასგან შეიტყო, ცხოვრება ძალიან გვიჭირს, ჩემო ვერიკო, სულ ვალებში ვართო, — ეს კი გაუკვირდა.

რა უნდა გასჭირვებოდათ ასეთ ფუფუნებაში მყოფთ? ნუ იტყვი, თურმე.

გარედან ყოფილან მტრის გულის მომკვლენი.

თუ ღარიბი ქათამს ყიდულობს, ან ღარიბია ავად, ან ქათამი.

ისე კი მათ კედლებზე გაკრული ხალიჩებიდან, მარტო ერთი, თუნდაც ყველაზე ნაკლები, ეღირებოდა ვეროკოს მთელ მამაპაპეულ სახლკარად. თავისი სახლკარის გახსენებაზე ჩამქრალი და გაპარტახებული ვერა წარმოესახა ვერიკოს და ისევ მოედრებულა ის ერთი წამით განათებული გული.

თერთმინაფარიანმა ქალმა სასადილო ოთახში გაიწვია სტუმარი და დიასახლისი. იქ მაგიდაზე სამოვარი საამუხრად შიშინებდა, მღეროდა რაღაც, ვერიკოსთვის გაურკვეველ, ქალაქურ მოტივს.

ლიზას ხელის მტევენებს დააკვირდა ვერიკო. ერთად დადეს ხელები სუფრაზე. ორივეს გრძლად ჩამოსხმულა თითები ჰქონდა... მხოლოდ ვერიკოს ფრჩხილები გალაქური არ იყო, ულაქოდ გადაჰკეროდა ატმის ყვავილის ფერი. ნაჯაფრობა ეტყობოდა და უხდებოდა. ლიზას თითებს კი, ეტყობოდა, ჯერ თეფშიც არ გაერეცხნა.

ვერიკო გაეხუმრა მეგობარს:

— ამ ხელებით, ჩემო ლიზა, არაფერს აკეთებ?

ლიზამ გადაიკისკისა:

— მე რა უნდა გავაკეთო, ვერიკა? ესენი აკეთებენ, — მკლავები გაშალა ლიზამ და უცებ წინასწარ მომზადებულივით: სამზარეულოს კარი გაიღო და მოსამსახურე ქალმა ბორბლებზე შემდგარი, სანოვავით და ქურქლით დატვირთული პატარა მაგიდა მათვენ გამოაგორა, იქით მეორე ქალი სხვა რაღაცას საქმიანობდა, მზარეული უნდა ყოფილიყო...

ალბათ სხვებიც იყვნენ ამ სახლში. ცალ-ცალკე თავთავიანთ საქმეში ჩინილები: მრეცხავი, ბაზარში წამსვლელი, ბავშვის მომვლელი, ნახშირის მომტანი... და იყო ამ სახლში აგრეთვე — ვალები, რაც თურქე, მძიმე ტვირთად აწვა.

ვერიკომ გულში ისევ თქვა: „მეც უნდა და უვალოდ ცხოვრება ამჯობინა ასეთ შეფერადებულ, მოჩვენებითს ბედნიერებას.“

— ბოლოს და ბოლოს როდისღა უნდა ამოხვიდეთ ვალებიდან?

— იქნება ყველაფერი, ჩემი ვერიკო, თანდათან, აბა ამაზე თუ იღარდებ, რაღა გამოვა.

...კიდევ ბევრი რამ გაგახსენდება, ჩემო ლიზა, ანაშიდან და მოვენატრება, იმ „კვეტელე“ ვაშლისა არ იყოს... მსუბუქი საუბრის შემდეგ, ვერიკომ ერთხანს სურათების ალბომი ათვალიერა, ლიზამ როიალზე მშვენიერად დაუყრა და მშვენიერადაც იმღერა... მე-რე და მე-რე ვერიკოს თვალები მიელულა და გამოტყდა: ცოტა თუ არ წავიძინე, აღარ შემძიდაო.

მთელი დამე მატარებელში ნაჯაფურევის და უძინარს უცებ ჩაეძინა გაქათებული ლოგინში.

რომ გამოიღვიძა, სადარბაზო ოთახიდან მამაკაცების საუბარი შემოესმა. ლოგინშივე გაიბრუნა და დაელოდა, ვიდრე ვინმე გამოჩნდებოდა.

მალე ოთახში ფეხაკრებით შემოვიდა ლიზა და, მეგობარი გაღვიძებული რომ ნახა, საწოლზე ჩამოუჯდა:

— ვერიკო, იცი, რა ბედი გეწია?

ეტყობოდა, ძალი. ნ გაეხარებინა რაღაცას.

ვერიკოს პირზე საბანი ეფარა და მხოლოდ თვალები და თეთრ ბალიშზე გაშლილი თმა მოუჩანდა. მე-რე თითებიც ამოაპარა და საბნის კიდებზე ამოძრავა. „მართლა რა ლამაზია!“ — გაიფიქრა ლიზამ. მე-რე: იქნებ ჩემზე კარგიცააო! — და თვალი სარკისკეა გაქცა: სულ სხვადასხვანაირი სილამაზისანი იყვნენ ვერა და ლიზა. არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს, ცალ-ცალკე თუ ერთ ბლუჯა მარგალიტს აიწონინდა თითოეულის მშვენიება, ორივესი ერთად რატომ ათს არ გადაამეტებდა! შვენიოდნენ და თითქოს ავსებდნენ ერთმანეთს, რაღაცნაირ ჰარმონიულობას ჰქმნიდნენ. მნახველს არ შეეძლო

გულგრილად ჩაველო მათთვის ქუჩაში, თან ჩავლის შემდეგ, უკანვე არ გამოვხედა და არ დამტკბარიყო მათი ამოლტილი ტანის რხევით.

ლიზამ ერთ წუთში ათასი რამის თქმა მოასწრო:

— სტუმარია ჩვენთან. ჩემს ევეგენის მოჰყვა... თურმე გიცნობს და მოსწონხარ. შენთან ერთად უმგზავრია... აბა იჩქარე, გენაცვალე, და ლამაზად მოერთე...

ამ სიტყვებს ლიზამ მოაყოლა თავისი ფილოსოფიური შეგონებანი: თუ როგორ უნდა „დასწვა“ მამაკაცი. თვითონ გულანად კისკისებდა, ვერიკო კი მხოლოდ იღიმებოდა.

მოსამსახურე მოიხმო ლიზამ და თავისი ძვირფასი კაბები მოატანინა ვერიკოსთვის ამოსარჩევად. ვერიკო ადგა და ფეხშიშველამ გაიარა თეთრა დათვის ფუმფულა-ბეწვიან ტყავზე, როგორც ლორთქო ბალახში.

შეპყურებდა ლიზა ვერიკოს და ტყებოდა.

ახლა სულ ცისიერ არსებას ჰგავდა — პერანგისამარა, თმანამოშლილი... ცოტათი ძილყოლილიც...

ფრთებიც რომ ჰქონოდა, ანგელოსი იქნებოდა და ანგელოსებთან იფრენდა ლავიარდებში.

ცოტა ძილი რომ აპყვება ლამაზ ქალს და სახეც ოდნავ შეშუპებული ექნება, ეს ყოფილა მშვენიერება... ასეთ დროს ქალს უნახესი მოფერება და ალერსი ნდომებია... მაგრამ მხოლოდ ლამაზმანთა დამამშვენიებელი ყოფილა ცოტა ძილის აყოლაც და სახის ოდნავ შეშუპებაც, თორემ შეუხედავთათვის ფასი არ სდებია...

მშვენიერების ამ არსში შეუცდომლად ერკვეოდა ლიზა. მას მთელი თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სარკის წინ გაეტარებინა და ამ საკითხში ტოლს არავის დაუდებდა.

ძვირფასი კაბები არც დაუბოძებია ვერიკოს... ჩაიცვა. ის ახლა კარსიქით მოსალოდნელ სიამოვნებაზე როდი ფიქრობდა! დროს უფრთხილდებოდა,

რათა სადამოს ბორის ძნელადის ნახვა არ დაგვიანებოდა.

სასტუმრო დარბაზში ევეგენი და ვერიკოს თანამგზავრი უცნობი მამაკაცი ისხდნენ. მას სამოსელი გამოეცვალა, ზოლებიანის ნაცვლად ახლა ლურჯი ფერის კოსტუმი ეცვა. უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ვერიკოს უფრო ლამაზიც ეჩვენა.

მამაკაცების საუბარი პოლიტიკას შეეხებოდა. ვერიკომ ბოლო ფრაზებს მიუსწრო. ლიზას წკრიალა ხმამ ახალი სიცოცხლე შეიტანა. მან ვერიკოს გაუსწრო და ქმარს გაუკეკლუცა:

— ევეგენი, გენაცვალე, ესაა ჩემი მეგობარი ვერიკო!

ევეგენი წამოდგა, სპიამოვნოაო, რატომღაც სამჯერ გაიმეორა ეს სიტყვა, ვერიკოს ხელი ჩამოართა და თავისი მეგობარი წარუდგინა:

— გაიცანიტ ჩემი კოლეგა, სასამართლო მრჩეველი. (მამის სახელი რუსული „იჩით“ დააბოლოვა).

— ჩვენ უკვე ნაცნობები ვართ. ერთად ვიმგზავრეთ წუხელ, — ხელი გადამეტებული მოწიწებით ჩამოართვა სტუმარმა ვერიკოს, და დიდხანს არ გაუშვა...

„ეგ კი ვერ გამოგივიდა ლამაზი, დიდად პატივცემულო მივხურო. ევეგენი თითქმის მოჭერით ვერიკოს ვერ მონუსხავ“...

ლიზა ერთ ამბავში იყო. არ იცოდა რა მოემოქმედნა, აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც ახარებდა.

ეს „რაღაც“ ვახლდათ ვერიკოს მთავალი ბედნიერება.

ვიღრე ვერიკოს ეძინა, იმ მამაკაცს ევეგენისა და ლიზასთვის ვერიკოსთან ერთად მატარებლით მგზავრობის ამბავიც ვადაუცია და თავისი გულისნადებრივ გაუმხელია: ცოლის შერთვას რომ ჩამჩიჩინებ, აი ბატონო, გამირიგეთ თქვენი სტუმარი გოგონა და მე დღესვე მზადა ვარო. საუბრის გაგრძელება ვერ მოასწრეს, მოსამსახურე ქალმა სტუმრებიცა და მასპინძლებიც სადილზე მიიწვია.

სასადილო ოთახში გავიდნენ.

ვერიკომ მდიდრულ სუფრას თვალი რომ გადაავლო, ცოტა არ იყოს გაოცდა: ამათ თუ ყოველდღე ასეთი სადილი აქვთ, ნავალევი ფულით ნაყიდი, გულიც ამათ ჰქონიათო.

შამაყაცები ბარაქიანად და გემრიელად შეექცეოდნენ ნაირ-ნაირ კერძებს, ღვინოც შესვეს.

ვერიკომ და ლიზამ ჩიტის ულუფა იკმარეს...

ვერიკო ისე იჭდა ამ სუფრასთან და დანა-ჩანგალსაც ისე ხმარობდა, ვერავინ იტყოდა, სოფელში გაზრდილი გოგოა და ღომი ტაბაკზე დადების ნაცვლად თეფშზე თუ ამოქონდათ, ვერ წარმოედგინათ.

ევგენი ლიზაზე ბევრად უფროსი იყო, მაგრამ ძალიან შეეფერებოდნენ ერთმანეთს ახოვანი, დარბაისელი შამაყაცი და კეკლუცი, სიცოცხლით აღსავსე ლიზა, ანუ ლიზიკო, როგორც ჰმარი ეძახდა ხოლმე.

ევგენიმ სასმისი აიღო და ვერიკოს შეხედა. იგი ლიზას წყალობით კარგად იცნობდა ვერიკოს და შინაურად თვლიდა. ამიტომ ევგენის საუბარიც

შეუზღუდველი და გულწრფელი იყო.

—ჩემო ვერიკო, მე ლიზიკოსგან შენზე მხოლოდ ქება მსმენია და დღეს საკუთარი თვალითაც დავრწმუნდი მოსმენილის ჰეშმარიტებაში... ჩემს ქალბატონს და მე გვსურს იყო ბედნიერი, გქონდეს კარგი ოჯახი. შენ არ შეგფერის სოფლის ჩამკვდარი, ჩაბნელებული ცხოვრება. ხელში ფარშევანგის მარათ უნდა გეჭიროს და ფეხქვეშ აბრეშუმები გეფინოს... კარგი გოგონა ხარ და მეუღლეც შესაფერი გეკუთვნის...

ვერიკო გასუსული უსმენდა, და მორცხვად, ხმადანა ამბობდა მადლობას ასეთი დიდი ყურადღებისათვის.

ევგენი აბა რა იუროსტი იქნებოდა, ლაპარაკი რომ გასჭირვებოდა და სიტყვები საძებნი გახდომოდა:

— ჩემი კოლეგა საქმიანი და ოჯახისათვის გაჩენილი ადამიანია, ხელგამართულად ცხოვრობს...

ევგენის კოლეგა ბავშვრვით გაწითლდა, თითქოს რაღაც ცელქობაზე წაასწრესო.

□ მასასრული იქნება □

სოლომონ დემურსანაშვილი

მზის მოქცევა

ზანაქლივი მგზავრობა, მრავალი საღვთო, გრძელი გზა და აგერ პეტრეს ქალაქიც, ევროპაში ერთ-ერთი უღამაზესი, ღრუბლიანი დღე იყო, ქალაქის თავზე თხელი ნისლი იწვა, მაგრამ შორიდანვე შეიმჩნეოდა მისი ღირსება და სილამაღე.

აბული გულიმჭერით მისწერებოდა ცაში ატყორცნილ გუმბათებს, ამ ღრუბლიან ამინდშიც რომ ბრწყინავდნენ, ნეტავ რომელი იყო მათში ისეთი ტაძარი ან პეტრე-პავლეს მონასტერი? რამდენი სიამოვნება უღოს ამ დღეებში...

ვაგონშივე იგრძნო აბელმა რუსეთის სუსხი, ჩემოდნიდან ფრთხილად ამოიღო დაკეცილი პალტო და შეეცადა, რაც შეიძლებოდა წესიერად გამოწყობილიყო. უცებ გაახსენდა ამხანაგების ნათქვამი, პეტრებურჯში გამოცოდებისას რომ აზარებდნენ, ღვინის გადაღვი — „ნინამ“ უსაქმურობით მოიწვინა-თქო. ნეტავ როგორ გადაწვდებოდა მართლა „ნინას“ საქმე?

მატარებელი საღვთოში შედიოდა. მგზავრები ჩასასვლელად ემზადებოდნენ, აბელმა პალტო გადაიცვა და ვაგონიდან ჩასასვლელ მგზავრებს უხედავებ მიჰყვა.

პირველ რაგში ბოლოტინის ქუჩაზე უნდა მისულიყო, იქ კაცო დახვდებოდა და აცნობებდა, სად გაიმართებოდა ცენტრალური კომიტეტის წევრების თაბიჩი. ეტლი დაიქარავა და მისამართი უთხრა. აბელმა, შეუხედავად იმისა, პეტრებურჯში პირველად იყო, მაინც მყისვე იგრძნო, რომ მთელი ქალაქი რაღაც უჩვეულო ცხოვრებით ცხოვრობდა, თავისი მუდმივი კალაპოტიდან ამოვარდნილიყო. ეს ეტყობოდა ყველას და ყველაფერს, თითქოს ყველა რაღაცის მოლოდინით ცხოვრობდა. აბელმა კარგად იცოდა, რა იყო ამის მიზეზი. ამ დროს მთელი რუსეთი ბოშოქრობდა. მოკლე ხანში ერთმა-

ნეთს მიჰყვა უმნიშვნელოვანები მოკლენება, სისხლიანი კვირა, გაფიცვები, შავრაზმელთა თარეში, მფფის მანიფესტო, რამაც აღწევებულადი ხალხი ვერა და ვერ ჩააწყინა. ერთი სიტყვით, მთელი რუსეთი მიუჭრებული იყო ქარიშხლის მოლოდინში.

სიტყვაძენი შეიბრუნა უხელოდ მებრეგებოდა ცხენებს. აბელი მის მოღუწულ ზურგს მიშტერებოდა. სქელ ტუპაუჭში გამოწყობილმა შეიბრუნა ვიწრო ქუჩაზე ჩაუხვია, ეტლი გააჩერა და მგზავრს უხელოდ გაღმობედა, აი, ესცე შენი ბოლოტინის თხოვრები ნომერიო.

— ცოტაზანს დამიცადეთო — უთხრა აბელმა შეიბრუნეს და მკვირცხლად ჩამოხტა. სადარბაზოში შესულმა ერთ-ერთ კარზე ამოიკოხტა წარწერა — „ექიმი ბრონტეინი“. ზარი დაჩქავა. მძიმე, ყრუ კარის უკან გაისმა მსუბუქი ნაბიჯების ხმა. კარი ოღნავ გაიღო და იქიდან გამოიხედა შუახანის მიწილეული ქალმა.

— ვინ ვნებავთ?
— შე კავახიიდან ვარ, აბელი.
— ამ, გასაგებია. — გაიღმა ქალმა, კარს ფართოდ გაღო და სტუმარი შინ შეიპატივა.
— ეტლი შელოდებო. ეგებ არა ღირს მისი გაშვება?

— ნამდვილად არა ღირს, — უპასუხა ქალმა, — თქვენი ახლავე უნდა წახვიდეთ თათბირზე, პოროვსკის მოედანი, ბადის ქუჩა, ორმოცე ნომერი, ინჟინერ ბრუსნევის ბინა.

— გამალობო, ქალბატონო! — აბელი მყისვე გამოხარუნდა და ერთხელ კიდევ გაიმეორა ქალის ნათქვამი. ბადის ქუჩა, ორმოცე, ბრუსნევის ბინა.

— პოროვსკის მოედანისაკენ. ბადის ქუჩაზე. — უთხრა შეიბრუნეს, როცა ეტლში ჩაქდა. ისევ მიჰქროს ეტლი, ცხენებს ოფლიან ზურგზე ორთქლი ასდბო. შეიბრუნა კვლავ უხელო ზის და სქელ ტუპაუჭში გამოწყობილს თითქოს

* ერთი თავი დოკუმენტური მთარბობიდან.

საქართველო

განმრეველ უჭირს. ღრუბლიანი დღეა. ცივი, ნესტიანი წივი ძვალ-რბილში ატანს, მაგრამ აბელს ახლა სიცივე სულაც არ აგონდება. რამდენიმე წუთის შემდეგ მას დიდი შეხვედრა ელის. აგერ ქვაფენილიანი დიდი მორდანი, აღზნათ მოკროსკი ეს არის. თვალი მოაღვლო მორდნის ვარშემო მდიდრულ, მოჩუქურთმებულ შენობებს და დღეს პეტერსბურგში ჩასვლის წუთიდან, ვინ იცის მერამდენედ დარწმუნდა, რომ ის ნამდვილად ევროპულ ქალაქში იყო, რაც აქამდე არ ენახა.

ეტლმა მორდანი გადასტრა და ლარივთი გაქიშულ ქუჩას დაადგა. ეს იყო ბადის ქუჩა. ახლმა ეტლი გააჩრებინა, შეეტლეს ანგარიში გაუწორა და ბადის ქუჩას ფეხით გაჰყვა. ფეხები თითქოს დაბუფებოდა, ნაბიჯის გადაღება უჭირდა, მაგრამ მერედამერე შეცვივებული ტანი შეუხურდა და სპორული ენამოვნა კადეც. ბადის ქუჩას მიჰყვებოდა და აქაურობას ხარბად ათვალიერებდა. კანტაკუნტად დიარებოდნენ ადამიანები, ალბათ სიცივის გამო, ყველა იჩქაროდა. ერთმანეთს არც უყურებდნენ. აბელი სახლის ნომრებს ათვალიერებდა, აგერ სადაც არის ორმოც ნომრის მიაღებდა. გული გამაღებთ უცემდა. ახლოვდებოდა ის წუთი, რაზეც ეს რამდენიმე დღეა ოცნებობს.

ორმოცი ნომერი სახლი ქუჩის ხაღრმეში იდგა. პატარა, ერთ საბურღიანი, მაგრამ კონტა სახლი იყო. წითელი აგურით ნაშენი. ხადარბა. ზო კარი ქუჩის მხრიდან ჰქონდა. საშიოდე კვის საფეხურზე შედგებოდათ და მოჩუქურთმებული, მშებ კარის შუაგულზე წარწერა გაენიხიდა, რომ აქ სკოვრობდა ინჟინერი ბრუსნევი. წარწერის თავზე ზარი ედგა. აბელი შეჩერდა, ყური მიუდგო. ისეთი შთაბეჭდილება არებოდა, თითქოს ეს სახლი დიდბონის შიტაცებული ყოფილიყოს, ბიბურციც არ ისმოდა აქიდან, თორემ სხდომასა და თათბირს ვინა ჩივის. ზარს მისწვდა და ჩამორგდა. ისევ დუმოლი, რამაც რამდენიმე წამს გასტანა. მერე შეგნიდან ფეხის ხმა გაისმა და კარი ნელა გაიღო. ზღურბლზე შუაზნის კაცი იდგა, წვერმოშვებული, ახოვანი და ოღნავ ფერჭკრთალი.

— ვინ გნებავთ? — კუშტად იკითხა მან.
 — ინჟინერი ბრუსნევი აქ ცხოვრობს?
 — დიას, აქა ცხოვრობს, — ნირი არ შეუძვლია, ისე უპასუხა.
 — შე თათბირზე ვარ მოვლინებული, ბაქო-დან. აბელ ენუქიძე გახლავართ!
„გრ. ორბელიანი და დ. უიფიანი თავიანთი ეროვნული კონსერვატივი სრულიადაც არ ეკუთვნოდნენ კონსერვატორების თაობას. პირველი... უპირატესად ახალი თაობის მხარეზე იდგა, მასთან ერთად მონაწილეობდა უოველგვარ ეროვნულ თაოსნობაში, მეორე — ცარიზმისადმი ერთგული საშხაბურის მიუხედავად, პატრიოტი ქართველის იდეალურ ტიპს წარმოადგენდა“ (გვ. 832).

„ეროვნული ტრადიციების დაცვის, ერის სულიერი ძალების გამოვლენების, ერის ისტორიული საზღვრების აღდგენის, ხალხის შეშოქმედებითი ენერჯიის მოპოვებისათვის საქმედა. გრ. ორბელიანი ახალთაობასთან თანამშრომლობდა... გრ. ორბელიანი, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანთან, დიმიტრი უიფიანთან და სხვებთან ერთად, მხარში ედგა ახალთაობას და წამოწყებული ეროვნული თაოსნობის წარმატებით განხორციელებას ნიჭსა და უნარს, ცოდნას და გამოცდილებას არ აკლებდა“ (გვ. 344-345).

ამ იდეალურ სურათს კვლავ უხეშად არ დევნს ასეთი უპირობი:

„1871 წელს... საქართველოს რუსეთის მონარქი ალექსანდრე მეორე ეწვია. თავდაღწახურობა დაეფუძრდა, რომ იმპერატორისათვის თავისი უქვეშევრდომილები ერთგულება დედასტურებინა და მისთვის რაიმე ახალი წოდებრავი პრივილეგია გამოეძალა. თავდაღწახურობა სპეციალური შეტრებაც მოიწვია და აორჩია კომისია ადრესის შესადგენად... მაგრამ კომისიის კონსერვატორულმა ჯგუფმა, რომელშიც გრ. ორბელიანი, გ. პირველინი — თუ მანიშვილი, დ. გორჭაძე, რ. ანდრონიკაშვილი (მარშალი) და სხვ. შედიოდნენ, ბარონ ნიკოლაის მხარდაჭერით ადრესი თვითნებურად გადაეცა, უმაღლესი ხასწავლებლის გახსნა ამო

ილი და მისში უმნიშვნელო ხასიათის წოდებ-
რები მოთხოვნები წამოაყენა...

ზემოაღნიშნულ ფაქტში თავდასაფრთხილად გამო-
ვლიდა კონსერვატორთა სულიერის კრებულს, მათი
ლაქობის სულიანკვეთება, ერისათვის საქარბო-
როტო საკითხებისადმი აღმაშფოთებელი გულ-
ციგობა და წოდებრივი ეგოიზმი“ (გვ. 385 —
386).

ახლო განმანადგურებელ კრიტიკას კვლავ ახე-
თი დიოთარამბები მოსდევს, როგორცაა:

„...უფიანი საუფეთესო ქართველი იყო,
რომელსაც უფარდა შობლიური ქვეყანა, მისი
დიდებული წარსული, მისი ენა და კულტურა.
იგი ამაყობდა თავისი ქართველობით... დიმიტრი
უფიანი, ახვ როგორც თერგდალეულნი, იღწე-
ვოდა ერის გამოღვიძებისათვის; ერისწინული
თვითმართველობის გაფართოებისათვის; ერის-
ბისათვის, სასამართლოში ქართული ენის და-
კანონებისათვის“ (გვ. 347, 350).

თუ სიტყვებს საერთოდ რაიმე აზრი და მნი-
შვნელობა აქვს, უკვლავ შეუძლებელია, რომ
ერთი და იგივე მოღვაწე გამოავლინოს კონ-
სერვატორად (ე. ი. ზატონიშვილის დასკვნად)
და ამავე დროს — იდეალურ ქართველად; უკ-
ვლად შეურვებელია, აგრეთვე, რომ ერთი და
იგივე პიროვნება ერსა და იმავე დროს იყოს
ცარილის პოლიტიკის დასმველი — მისი ერთ-
გული ჭარბსა, რომელიც რუსეთის იმპერა-
ტორის ტახტის ბრძოლს შეადადოა ინტერესე-
ბის დაყვას შედადადებს, და ამავე დროს —
ერის სულიერი ძალის, მისი შემოქმედებითი
წინაშის მოხილვისათვისა დასმველია შეტრ-
ძოლი; რა უანაზნაა უნდა მქონდეს ადამიანს,
რომ წამოაღვიოს მოღვაწე, რომელიც ცარი-
შის უბეშ კოლინიურ პოლიტიკას და შობლი-
ური ერის ახილავას გულგრილად უყურებს,
ზოლო იმავე დროს თავისი ქვეყნის სატრიტორია,
თავისი ქართველობით ამაყობს და თერგდალე-
ულებთან ერთად ხალხის გამოღვიძებისთვის
იღწეობს? ვინ დაიჭერებს, რომ ლაქობის სული-
ანკვეთებით გადღწეული კონსერვატორი, რო-
მელიც ერისათვის საქარბოროტო ხასიათის-
საღმის აღმაშფოთებელი გულგრილობა და წო-
დებრივი ეგოიზმი ახასიათებს, ამავე დროს თავ-
დადებულს სასოგადო მოღვაწეს და სახალხო
საქმის ნიჭსა და უნარს, ცოდნასა და გამოცდი-
ლებას არ აკლებს?!

ცნებებისა და აზრების მთელი ეს გაფიქრო-
ბის არგუმენტა იმის შედეგია, რომ პატივცემ-
ულმა ავტორმა ვერ გაიგო გრავოლი ირბელია-
ნის, დიმიტრი უფიანისა და საერთოდ შურ-
ნალ „კოსკის“ არგვლად შემოკრებილი მოღ-
ვაწეების სასოგადოებრივ შეხედულებათა არსი
ანუ ამ შეხედულებათა სოციალურ-კლასობრივი
ბუნება; ამავე დროს, ქართულ ისტორიოგრა-
ფიაში დიდი ხანია გამოჩენილია, რომ სხე-
ნებულად მოღვაწენი არც კონსერვატორები და

რეაქციონერები უფილან და არც იდეალური
ქართველები, — ისინი იყვნენ თავისი კლასის
განაილებული წარმომადგენლები, რომელთაც
თანამედროვე მეცნიერება „თავდაწნაურულ
ლიბერალიზმს“ უწოდებს, ეს არის ის ენ.

4. არავითარ ლოკალს არ ემორჩილება ავ-
ტორის მხედლობა რუსეთის იმპერიაში შექმ-
ნილი პირველი რევოლუციური სიტუაციის
არგვლად. ერთ თავის ნაშრომში (1964 წ.) ავ-
ტორი, ვ. ი. ლენინის ცნობილ შიითობაზე
დაუბრუნობთ, სამართლიანად ამტკიცებს, რომ
რუსეთში პირველი რევოლუციური სიტუაცია
1859—1861 წლებში არსებობდა II, მაგრამ
მომდევნო ნაშრომში (1968 წ.) მას ეს შიით-
ობაც ავიწყდება, თავისი საკუთარი მტკა-
ყვებაც და პირველი რევოლუციური სიტუაციის
ფარგლებს საგრძნობლად აფართოებს; ის
ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თით-
ქოს, მიუღ 180—70-იან წლებში რუსეთში რე-
ვოლუციური სიტუაცია სუფილდა, რევოლუცი-
ონურ-დემოკრატიული მოძრაობა არყვდა თვით-
მყარობლობის ბურჭებსა; მაგრამ საქმე
ამითაც არ თავდება და მესამე ნაშრომში
(1972 წ.) ავტორი ხსენებული რევოლუციური
სიტუაციის უფრ ახალ დიოთარდებას გვთავა-
ზობს; ის ამბობს: „1860—1861 წლები რუსე-
თის იმპერიაში რევოლუციური სიტუაციის ხა-
ნის წარმომადგენელი“.

ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ასე არეულად
წერა რუსეთის ისტორიის სპეციალისტს არ
ეკადრება, მაგრამ ამავე უფრო საოცარი ისაა,
რომ ავტორი, როცა ეს მას სჭარბდება, სავსე-
ზით გაფიქრებს საქართველოს რუსეთის იმპე-
რიის ფარგლებიდან, რათა საშუალება ექნეს
ამტკიცოს, რომ საქართველოში რევოლუციური
სიტუაცია არ უფილანო. დავაკვირდეთ მის
მხედლობას:

„1860—1861 წლები, როგორც აღვნიშნეთ,
რუსეთის იმპერიაში რევოლუციური სიტუა-
ციის ხანის წარმომადგენელია. რუსეთი სახალხო
რევოლუციის ზღურბლიან იდეა მძლავრ ან-
ტიმპერალიზმურ მოძრაობას იმპერიის შიგნით
შხარს უზიდა, და ამლიერება ერისწინულ-გან-
მათვისფლებული მოძრაობა განაძირკო. კოლო-
ნიურ რეაქციონერში... 14 მაგრამ არ იფიქროს,
რომ უკვლავ ეს საქართველოსაც შეუხებო-
დეს, პირიქით, ავტორი გვარწმუნებს, საქარ-
თველო მერ საამისოდ მოწიფებულად არ იყო;
მოკვლავნით:

„...მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გლე-
ხობა მიიმე სოციალურ და ერისწინულ ჩაგვრას
განიცილიდა და მრავრელთა წინააღმდეგ ბრძო-
ლას გამოდილიდა, და მაღალი ტრადიციები
განმანდა მანც შეიძლება გადამტროს ითქვას,
რომ 1861 წლისათვის მასობრივი სახალხო
აქამყების დიოთარება საქართველოში არ არსე-
ბულა... რამდენადაც ჰამწუხაროს არ უნდა

იყოს, ფაქტია, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი იმ დროისათვის არც სოციალური, არც ეროვნული გამოსვლისათვის მომწიფებელი (ხაზი ავტორისა — პ. რ.) ჯერ კიდევ არ ყოფილა" 15.

ყოველივე ეს ჭეშმარიტებისაგან, რა თქმა უნდა, ძალიან შორსაა, მაგრამ საინტერესოა ვთვალოთ, რატომ გამოითხა ავტორმა საქართველო რუსეთის იმპერიის იმდროინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ფერხულადან? რატომ დაივიწყა მან ქართული გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი პოლიტიკური გამოსვლები და აქავეებები, რომელთა შინაინი ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლება იყო? რატომ დასწამა მან ქართულ საზოგადოებრივ აზრს მოუწიფებლობა იმ დროს, როცა აქავეებულა უძრავი გლეხებიც კი აცხადებდნენ, „კაცის კაცი აღარ უნდა არსებობდეს“, ხოლო რევოლუციური იდეებით აღფრთოვანებული პოეტ-ტრაგისი ხალხს მოუწოდებდა: „ქართველო, ხელი ხმაღს აჯარ, გათავა დაღე დიდებისაო“?

ამიტომ, ჩემო მეომრეო, რომ ხსენებული ფაქტები ეწინააღმდეგებიან და ძირს უთხრიან ავტორის ხელოცნერად შეთხზულ, ყაღბ კონცეფციას. მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას, რომ ავტორი თვალს ხუჭავს უფლასათვის ცნობილ ფაქტებსზე და უარსჟოფს საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობას.

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიშაღებო, ნათქვამია, არავითარ ხელოცნერ კონცეფციას არ შეუძლია მათფრჩიოს და უარსჟოს ის უცხოპოლელი ისტორიული ფაქტი, რომ 60-იან წლებშიც და 1906 წლის მღელვარე დღეებშიც ქართველი ხალხი მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ მებრძოლთა პარტელ რიგებში იღვამ ახეთა მოკლედ ჩვენი წინასწარი შენიშვნებში პატიცემული ავტორის მეცნიერული სტილის არკველიც.

როგორც დაინახეთ, პროფ. ა. სურგულაძე ძლიან თავისებური მეთოდი აყვლევს ისტორიულ მოკლევებს. მისი მეთოდიტ შეიარაღებული მეცნიერისათვის ზედმეტი პარგია ლოკიკაცია, ახალი საარქივო მასალებიც და ელემენტარული ობიექტურობაც; მისთვის საქმარისია სხვა ატორების მიერ გამოკვეენებულ და მრავალჯერ განხილულ მასალებში შეარჩიოს მისი, წინასწარ შეთხზული კონცეფციის, შეხაფერი ფაქტები და არგუმენტები, ნებისმიერად შეასწოროს და შედაამაზოს ისინი და ამ გზით „დაასაბუთოს“ თავისი მტდარი, ყოველგვარი ისტორიულ საფუძველს მოკლევული თვალსაზრისი, რაც შეეებება საკითხის არსებითად განხილვას და მეცნიერული ჭეშმარიტების დაღვენას, ეს მისთვის საკადღებულად არ არის.

პატიცემული ა. სურგულაძე „სურგულაძე პარტიკულარული“ მიაღვს, რომ სწორედ ახეთი შეთხზული მეთოდიკის მისი საუბეთესო მოწმობაა მისი დამოკიდებულება ე. წ. „პირტიკული შენიშვნებისა“ და „საერთო კრიტიკული შენიშვნებისადმი“, რომლებიც უძვირფასესი ისტორიული დოკუმენტებია. ავტორი ვადაპტირთ აცხადებს, ეს დოკუმენტები „უპირტიკულად ბურჟუაზიული წრეების პოლიტიკის ასახვდენო“, მაგრამ საიდან დაადგინა მან ახეთი უებრო ჭეშმარიტება? მოუყენიოთ:

„ჩვენს პირდაპირ მიზანს არ შეადგენს ამ დოკუმენტების შინაარსისა და ავტორობის სპეციალური კვლევა. საკითხის გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურტიდან უფრო დამაჯერებლად გვიჩვენება ახალგაზრდა მკვლევარის რ. უორდანიას ნარკვევი“ 16

მაგრამ რატომ შაინცა და შაინც ხსენებული ახალგაზრდა ავტორის აზრები მოეწონა ჩვენს მკვლევარს? ცხადია, იმიტომ, რამ ეს აზრები მის კონცეფციას ახე თუ ისე უღებთან. შაშა. სადამე, არ არის საჭირო არავითარი „სპეციალური კვლევა“, — დაე, აზრე, თავი სხვებში იმტიროს, ჩვენი ავტორი კი ყოველთვის ამოვის ერთ ან ორ თანამოაზრეს, რომელთა „სპეციალური გამოკვლევები“ მის „განსაზოგადებელ“ ნაშრომებს ფაქტებთან და არგუმენტებით მოამბააგებენ.

ახეთ მეთოდი, როგორც ცნობილია, მეცნიერებში ეკლექტიზმის მეთოდი ეწოდება.

ამ მეთოდიტ შეიარაღებულ მკვლევარს შეუძლია ყოველგვარი მეცნიერული პარობლემა ადვილად „ვადაპტოს“, მას შეუძლია სტილტანინი წიგნებიც კი დაწეროს, ოღონდ მეცნიერების სავანჭურს ერთი ატომითაც ვერ გაამდიდრებს.

ვადადვიტარო სადავო პარობლემის არსებითად განხილვაც.

დავიწყეთ „ერის“ ცნების ავტორისებული გაგების კრიტიკაო.

2. ერის ცნების მეცნიერული და მტდარი გაგება

პირველი ძირითადი საკითხი, რომელსაც პატიცემული ა. სურგულაძე არასწორად სწევებს და რომელიც ეროვნული საკითხში მისი დანარჩენი შევდომების წყაროა, ესაა „ერის“ ცნების შინაარსის განსაზღვრა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების კანონ-ზომებრებათა დრშიად შესწავლის საფუძველზე, დიდი ხანია შემუშავებს მწყოობრი მოძღვრებას ერებსა და ეროვნულ ურთიერთობებზე და სანაუკლებეს ეროვნული საკითხის ვადაწყვეტის მეცნიერული პრინციპები. ვაითვალისწინა რა ერის არსზე და მის ძირითად ნიშნებზე კ. მარქ

ქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის მიერ გამოქმნილი შეხედულებანი, ი. ბ. სტალინიმა ჭრე კიდევ 1918 წელს მოგვცა ერის ცნების კლასიკური განსაზღვრა, რომელიც ვ. ი. ლენინმა მოაწოდა და საბჭოთა მეცნიერებაში საყოველთაოდ იქნა აღიარებული. ეს განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა შორის დიდი ხნის განსვლლობაში დავას არ იწვევდა. მაგრამ სტალინის კულტის კრიტიკის შემდეგ ზოგიერთმა მეცნიერმა (მათ შორის პროფ. ა. სურგულაძემ) იგი ნაყოფიერად მიიჩნია და მისი გადასინჯვა მოიხსოვა.

1968—1968 წლებში გურნალ „ეპაროსი ისტორიის“ ფურცლებზე გაიშალა ფართო დისკუსია ერის თეორიის ზოგიერთ სადევო საკითხზე, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი „ერის“ ცნების განსაზღვრის საკითხს ეჭირა. დისკუსიამ, რომელშიც ნი. ზე მეტმა გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა, დაწვრილებით განიხილა „ერის“ ცნების შინაარსი და იმ დამკვიდრებულ მკვლევარ, რომ ი. ბ. სტალინის ფარმული შეხედულება შინაარსის ერთადერთი სწორი და მეცნიერული განსაზღვრაა. 1970 წელს „ეპაროსი ისტორიის“ სარედაქციო კოლეგიამ გამოაქვეყნა დისკუსიის შემაჯამებელი წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ი. მარქსმა, ფ. ენგელსმა და ვ. ი. ლენინმა თავიანთ ნაშრომებსა და გამოქმნებში გამოარკვევეს ერის არსი, ახსნეს მისი წარმოშობის მიზეზები და პირობები, დაახასიათეს მისი ძირითადი ნიშნები. დისკუსიის მსვლელობაში სავსებით სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ერის ცნობილი განსაზღვრა, რომელიც ი. ბ. სტალინიმა ჩამოაყალიბა, ყოველივე იმის განზოგადებაა, რაც ვ. მარქსს, ფ. ენგელსსა და ვ. ი. ლენინს უოქვამთ ერის არსისა და მის მთავარ ნიშნებზე. ამ განსაზღვრაში ნათქვამია: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და ამ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“. ცნობილია, რომ ი. ბ. სტალინის ის ნაშრომი, რომელშიც ეს განსაზღვრაა მოცემული, დადებითად იყო შეფასებული ვ. ი. ლენინის მიერ. მოგონილი განსაზღვრა ერისა, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა დისკუსიის მსვლელობაში, მეცნიერული, მარქსისტული განსაზღვრაა, იგი ერების მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემაჯამებელი ნაწილია.“¹⁷

ესეთია ერის ის განსაზღვრა, რომელშიც უმეცნიერესი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გამოიარა, მაგრამ მაინც ძალში დარჩა და ამჟამადაც მიიღო საბჭოთა კავშირის მასშტაბით არის აღიარებული ნამდვილად მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენინურ განსაზღვრად; თუმცა, რასაკვირად...

ველია, სტალინის განსაზღვრა დოგმა და მისი შემდგომი გაუმჯობესება-სწავლა იმისათვის იყო ეს შესაძლებელია, არავის ეარმალება.

პროფ. ა. სურგულაძემ ჭრე კიდევ 1970 წელს გამოსცა საბჭოთაო ნარკვევი „ერის ცნებისა და რეკლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“, რომელშიც დაყენა საკითხი ერის ცნების სტალინიური განსაზღვრისათვის კიდევ ერთი ნიშნის, სახელდობრ „ეროვნული სახელმწიფოებრიობის“ დამატების შესახებ. ავტორმა შემოგვთავაზა, ერის ახალი განმარტება, რომელიც ამბობს:

„ერი ადამიანთა მყარი ისტორიულ-ეკონომიური ერთობაა, რომელიც ზრდის კაპიტალისტურ ან სოციალისტურ ეპოქაში ასრულებს, ეროვნულ სახელმწიფოდ ყალიბდება და ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის ერთობით ხასიათდება“¹⁸.

როგორც ვედავთ, ამ განსაზღვრაში მთავარი სიახლე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვა „ეკონომიური“ უადგილოდ დამატებას) ისაა, რომ ეროვნული სახელმწიფოს არსებობა აღიარებულია ერის არსებობის აუცილებელ ნიშნად. მაგრამ უკველია საქმეში წამდგომლა მკითხველმა კარგად იცის, რომ ეს აზრი არც ახალია და არც ორიგინალური; ასეთი მოსაზრება წინათაც არკვრიბულ ყოფილა გამოქმნილი და ზოგიერთმა მეცნიერმა ზემოთ ხსენებული დისკუსიის მსვლელობაშიც გამოთქვა, რასაც არც ჩვენი ავტორი უარყოფს.

მაგრამ დავინათ თუ არა აშკარა „შესწორების“ რაიმე თეორიული ან ისტორიული საფუძველი? ვადებრით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი „დამატების“ თუ „შესწორებისათვის“ არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობს, რაც ჩინებულად დაასაბუთა ი. სტალინიმა ჭრე კიდევ 1928 წელს ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“; უბასუბედლა რა მემკვიდრე, კოვალენკისა და სხვებს, ი. სტალინი ამბობდა:

„არუს მარქსისტებს უკვე დიდი ხანია აქვთ თავიანთი თეორია ერისა... როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, თქვენ ეს თეორია არასაკმარისად მიგანჩათ, ამიტომ წინადადებას იძლევით დაემტკიცოს ერის ოთხ ნიშანს მებუთე ნიშანი. სახელდობრ: თავისი საკუთარი განკერძოებული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა. თქვენი აზრით, თუ ეს მებუთე ნიშანი არ არის, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ერი.“

მე ვფიქრობ, რომ თქვენ მიერ წამოყენებული სიმე „ერისა“ მისი ახალი, მებუთე ნიშნით — უარრებად მდარარი და არ შეიძლება გამართლებულ იქნას არც თეორიულად, არც პრაქტიკულ-პოლიტიკურად.

თქვენი სტემის მიხედვით ერებად უნდა გვე...

17. „ნათობი“, № 7.

ენო მხოლოდ ისეთი ერები, რომლებსაც თავიანთი საკუთარი, სხვებისაგან განცალკევებული, სახელმწიფო აქვთ, ხოლო ყველა ჩაგრული ერი, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მოკლებული არიან, უნდა ამოკვეთილია ერების რიცხვიდან, ამასთან ჩაგრული ერების ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, კოლონიური ხალხების ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა გამოგვერცხა „ნაციონალური მოძრაობის“, „ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ცნებიდან.

უფრო მეტიც თქვენი სქემის მიხედვით უნდა გვეშტაციონებინა, რომ:

ა) არსაწინდელია ერი ვახდენენ მხოლოდ „ორღანდიის თავისებური სახელმწიფოს“ შექმნის შემდეგ, მანამდე კი ისინი ერს არ წარმოადგენდნენ;

ბ) ნორვეგიელები ერი არ იყვნენ მანამდე, ხანამ ჩორვეგია შეეცაოს არ გამოეყო, და ერი გახდნენ მხოლოდ ასეთი გამოყოფის შემდეგ;

გ) უკრაინელები ერი არ იყვნენ, როცა უკრაინა შეეცაო რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ისინი ერი ვახდენენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთს გამოეყვნენ ცენტრალურ რაიონს და ვეტმან სკოროპადსკის დროს... ასეთი მაგალითი შეიძლებაა მრავალზე მრავალი მოგვეყვანა.

ცხადია, სქემა, რომელსაც ასეთ აბსურდულ დასკვნებამდე მივყვართ, არ შეიძლება მეცნიერულ სქემად ჩაითვალოს.¹⁹

აა ვგონებ შეიძლებოდას იმის ფარგულა, რომ აქ მოტანილი მსჯელობა სავსებით ლოგიკურია, ხოლო მითითებული მაგალითები — საფუძვლიანი და დამაქრებელი.

მაგამ საინტერესოა გარკვევს ის არგუმენტები, რომელთა დახმარებითაც პროფ. ა. სურგულაძე და მისი თანამოაზრენი თავიანთი მცდარი აზრის დასაბუთებას ცდილობენ: რამდენადაც პატივცემულია ა. სურგულაძე არსებითად მხოლოდ იმერებს დისკუსიაში მონაწილე თანამოაზრების არგუმენტებს; ჩვენთვის სავსებით საქმარისია ვაეცნობთ, თუ როგორაა შეფასებული ხსენებული არგუმენტები დისკუსიის მონაწილე შეინიერთა უმრავლესობის შიურ და როგორ აიხსნა დისკუსიის შედეგად მიღებული დასკვნები „უკრაინის ისტორიის“ სარედაქციო წერილში. აა, რა არის ხსენებულ წერილში ნათქვამი:

„ძირითადი მოსაზრებანი, წამოკუნებულნი იმის დასამტკიცებლად, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა ერის ნიშანს წარმოადგენს, დავიკანებინან იმ უზარმაზარი რაოდის აღნიშვნამდე, რომელიც მთელი რიგი დასავლეთევროპული ერების ჩამოყალიბებას ისტორიულ პროცესში სახელმწიფოებრიობამ თამაშა...“

ამასთან დავაშვირებით ვ. ი. ლენინის სიტყვებით კი მომავალათ იმის შესახებ, რომ ეროვნული სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენს „ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას (მისწრაფებას)“, რომ „ეროვნული სახელმწიფო“ არის „საყოველთაო წესი“, ხოლო ეროვნულად აჭრებულნი სახელმწიფო, ე. ი. მრავალეროვნო სახელმწიფო, მხოლოდ გამოწყალებია ამ დებულებებიდან (და კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ანალოგიური გამოთქმებიდან) კეთილებოდა დასკვნა იმის შესახებ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები თითქოს ეროვნულ სახელმწიფოებრიობას ვანიხლავდნენ როგორც ერის ნიშანს.

მრავალმა ავტორმა მოიყვანა იმის დამამტკიცებელი დამაქრებელი საბუთები, რომ ერის ძირითად ნიშნად სახელმწიფოებრიობის მიჩნევა კანონზომიერი არ იქნება, ასეთ წინააღმდეგს ეწინააღმდეგება თვით ფაქტი ეროვნული სახელმწიფოების გვერდით მთელი რიგი მრავალეროვნო სახელმწიფოების (მათ შორის მეფის რუსეთის) არსებობისა; რომლებშიც ყვეუე საქმოდ ჩამოყალიბებულ ერებს არ ჰქონიათ თვითნაირი ეროვნული სახელმწიფოებრიობა. აღინიშნა, რომ კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი, მიუთითებდნენ რა სახელმწიფოებრიობის დიდ როლზე ერის ჩამოყალიბებაში, არ მიიჩნეოდნენ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას არც ერის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობად და არც მთი უმეტეს მის ნიშნად. რაც შეეხება მარქსისტულ-ლენინურ პრინციპს ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ თვით სახელმწიფოებრივი გამოყოფამდე (რასაც ერის განსაზღვრაში ეროვნული სახელმწიფოებრიობის შეტანის მომხრენი ამოწმებენ), ეს პრინციპი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, ეროვნული ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ იყო მიმართული და არ ნიშნავს იმას, რომ ყოველმა ერმა უთუოდ თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნას... ყოველივე აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერის განვითარებისა და კონსოლიდაციის საქმეში, მაგრამ არ წარმოადგენს არც ერის შექმნისა და არც მისი არსებობის აუცილებელ პირობას.²⁰

ასეთი ნათელი მეცნიერული განმარტების შემდეგ თითქოს მოხადიდნული იყო, რომ ჩვენა ავტორი ხელს აიღებდა თავის მცდარ შეხედულებებზე როგორც ერის ცნების, ისე მისგან გამომდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არხის გაგებაში, მაგრამ მოხდა პირიქით; ნაშრომში „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა,

იგი კიდევ უფრო აღრმავებს შედეგობებს და უკველი ღონისძიებით ცდილობს თავისი ხელისუფლების იტორიული კონცეფციის დაცვას. ენახოს ეს კონკრეტულ მაგალითებზე.

8. ისტორიის დიდი კანონის აღპიწყება

თანამედროვე მეცნიერება, როგორც ეს სპეციფიკურად ცნობილია, ისტორიული მოვლენების ახსნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანთა სოციალურ ურთიერთობას ანუ კლასთა ბრძოლას, რომელიც ისტორიის მამოძრავებელ ფაქტად არის აღიარებული. საბოლოო შედეგებისთვის არ შეიძლება სადავო იყოს, რომ დღემდე არსებული საზოგადოების ისტორია არსებითად კლასთა ბრძოლის ისტორიაა; ყოველმა ისტორიკოსმა იცის, რომ „სწორედ მარქსი იყო ის, ვინც პირველად აღმოაჩინა ისტორიის მოძრაობის დიდი კანონი, — კანონი, რომლის თანახმად ყველა ისტორიული ბრძოლა, წარმოებს ის პოლიტიკურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ სხვა იდეოლოგიურ სფეროში — სინამდვილეში მხოლოდ საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის შეტყაველებით და მათი გამოსახულებას წარმოადგენს, და ამ კლასთა არსებობა და, მათთანავე, აგრეთვე შევსება, თავის მხრივ, პირობადებულია მათი ეკონომიური მდგომარეობის განვითარების დონით, მათი წარმოების წესით და ამით გამოწვეული მათი გაცვლა-გაშორებით“²¹.

აქედან ცხადია, რომ თანამედროვე მეცნიერება უკვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას, და მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც, განიხილავს არა მისი სოციალური შინაარსისაგან მოწყვეტით, არამედ ამ შინაარსის დიდი ისტორიული როლის გათვალისწინებით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის გასაგებად სოციალურ-კლასობრივი მოძრაობის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე განსაკუთრებით დამტკიცებელი მნიშვნელობა ე. ი. დენინი, რომელმაც რუსების და ევროპის უამრებო ისტორიის გამოცდილების გათვალისწინებით ეროვნული საქმის გადამწყვეტის მწკრიბრი მეცნიერული მოძღვრება შექმნა. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „ერის მარქსისტული თეორიის განვითარებაში ე. ი. დენინის წვლილი უპირატესად უკლებსა იმში მდგომარეობს, რომ მან მოთავსა უფროდღა მიაქცია ერის სოციალური არსის გამოკვლევას, და, კერძოდ სოციალურს და ეთნიკურს შორის სწორი ურთიერთობის დადგენას“²².

ნათქვამიდან, ვფიქრობთ, დღესათვის ნათელია, რომ თანამედროვე მეცნიერება არ ცნობს სოციალური შინაარსისაგან დევიდულ „წმინდა“

ეთნიკური სასიათის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სხვა ქვეყნებშიც და საქართველოშიც მიზნად ისახავდა ხალხის როგორც ეროვნული, ისე სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას; „ერის არსში, ეროვნულ ურთიერთობებში სოციალური და ეთნიკური დიქტატორ ურთიერთკავშირში, ურდევ ეროვნულში იმყოფებთან, თუმცა განსხვავებულ როლს უკვდილავს სოციალური, კლასობრივი ფაქტორები თამაშობენ“²³.

ასეთია თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსზე, ამ მოძრაობაში სოციალურისა და ეროვნულის ურთიერთობაზე.

ახლა ენახოთ, როგორ ენის პროფ. ა. სურგულაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსი.

მისი ნაშრომების უფროდღებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ავტორის ისტორიულ კონცეფციას თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალური მოვლენის უფლებიერ-ყოფის ტენდენცია.

ბატონყმური ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლების და დემოკრატიული წყობილების დამყარების საქმეში, ავტორის აზრით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპზე (მომ-მომ წლებში) სულაც არ შედგა, ხოლო მო-მომ წლებში — მეორეხარისხიანი და უმნიშვნელო საქმედ იყო მიჩნეული (აქედანა ავტორის მტკიცება, ილია ქაქუცაძის ლურსაბ თათქარაძე და წინდაცემული დათიკო, როგორც ქართველები, ეცობდომოდო, რაზედაც შემთ გვერდია საუბარი).

ავტორის კონცეფციით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხის (გლეხობის) სოციალური (ანტიბატონყმური) მოძრაობასთან იყოს დაკავშირებული, რადგან ეს ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოძრაობაა; ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ესა თუ ის მოღვაწე სოციალური თვალსაზრისით კონსერვატორი და რეაქციონერი იყოს, ხოლო ეროვნული თვალსაზრისით — პროგრესის მდრომე და იდეალური ადამიანი (აქედანა ავტორის მტკიცება, გრ. ობრელიანი და დ. უიფანი, ერთხა და ამავე დროს, ბატონყმობის დამცველი რეაქციონერებიც იყვნენ და ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი იდეალური ქართველებიც).

ესეც უნდა ითქვას: სიტყვით ავტორი ზოგჯერ აღიარებს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი სოციალური ჩაგვრის (ბატონყმური ურთიერთობის) მოხაზავ იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტონი განცხადე-

ბაა, სიანმდელით იგი სოციალურ საქობს უფლებელყოფს ყველგან, სადაც კი ეს მისი კონცეფციისათვის საჭიროა, ამით ახსნება ის უცნაური ფაქტი, რომ ავტორი 1882 წლის შეთქმულების მონაწილე თავადების უმრავლესობას, რომელსაც, მისივე სიტყვით, ხალხის სოციალური ტყვეობები სრულებით არ აწუხებდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის წარმომადგენლებად სთვლის.

უპირველეს უყოლისა ვნახოთ, როგორ განსაზღვრავს იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსს.

ქვრ კიდევ 1970 წელს ავტორმა შემოგვათავაზა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის შემდეგი საკუთარი განსაზღვრა, რომელიც ზუსტად გაიმეორა 1974 წელს გამოცემულ ნაშრომშიც:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, იმ ერის მოძრაობაა რომელიც ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულია და მისი მოპოვებისათვის იბრძვის.“²⁴

ძნელი შესაშინევი არაა, რომ ამ მარტივ განსაზღვრაში დაპარაკია მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ხოლო სოციალური მომენტი სრულად უფლებებელყოფილია, მაგრამ მიუხედავად ამისა.

როდის იწყება და რა მიზანს ისახავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც უკლებლივ მისი ბელმდელნი? მოუხსინოთ:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხების ერებად კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის დამამთავრებელ ეტაპზე წარმოიშობება. ესაა ბურჟუაზიული მოძრაობა და მის მდროულად ყველგან (ხაზი ჩვენია. — პ. რ.) ბურჟუაზია გამოდის... კაპიტალიზმის გაფურჩქვნისა და განქციების ეტაპზე ამ მოძრაობის ავანგარდი ბურჟუაზია, და მას ეპურახელთ მოძრაობის დროში, შემდგომში: კაპიტალიზმის ლიბერისა და პროლეტარულ რევოლუციონს ეტაპში ეროვნული მოძრაობის ავანგარდში ბურჟუაზიის ნაცვლად პროლეტარიატი ღებება, რომლის მთავარ მოკავშირედ გლეხობა გამოდის.“²⁵

შემდეგ:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ტენდენცია ყველა ქვეყანაში (ხაზი ჩვენია. — პ. რ.) ეროვნული სახელმწიფოების შექმნა-ჩამოყალიბება იყო. სწორედ კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში იწყებოდა ეროვნულ სახელმწიფოებად ჩნვლის, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ. ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ძირითადი მისწრაფება იყო იტალიელი და გერმანიელი

ერებისა... ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ტენდენცია განსაზღვრავდა რუსეთის და ავსტრიის მრავალეროვნულ სახელმწიფოებში გაერთიანებულ, კოლონურ მდგომარეობაში მყოფი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას (პოლონეთი, უკრაინა, ბულგარეთი, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია). ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის ნიშნით მიმდინარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული ერთი მხრივ თურქეთის, მეორე მხრივ ავსტრია-უნგრეთის ძალადობის წინააღმდეგ.“²⁶

მოტიანი მსჯელობა ამხატურებს, სულ მცირე, სამ სერიოზულ შენიშვნას.

ქვრ ერთი, ავტორს არასწორად ექვს წარმოადგენილი ის ისტორიული პირობები, რომელშიც ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთში ერების წარმოშობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი მიმდინარეობდა, მას ჰგონია, რომ ეს პროცესი ყველა ქვეყანაში ერთნაირი იყო. ავტორი ვერ ამჩნევს, რომ ინგლისში (უიარღვედით), საფრანგეთსა და იტალიაში ერების წარმოშობა დროის მიხედვით ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობას დაემთხვა და ბუნებრივად ნაციონალურ დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ ნაციონალურ სახელმწიფოებად განვითარდნენ, აღმოსავლეთში კი სხვაგვარი პირობები იყო, რის გამოც აქ ერები დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად კი არ განვითარდნენ, არამედ შექმნის რამდენიმე მრავალეროვნო ბურჟუაზიული სახელმწიფო (ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი), რომლებიც გაბატონებული და დაჩაგრული ერებისაგან შედგებოდნენ.

ძნელი შესაშინევი არ არის, რომ ამ ორი სხვადასხვა ისტორიული ვითარების ერთმანეთში არევა და ამ თავისებურებათა დავიწყება, რომელშიც რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა, გარღვევად გამოიწვევს ისტორიული პერსპექტივების დამახინჯებას, — გამოიწვევს იმ პრაქტიკული განსხვავების უფლებებელყოფას, რომელიც დიდი და პატარა ერების, გაბატონებული და დაჩაგრული ერების ნაციონალურ მოძრაობებს შორის არსებობს.

მეორე, ავტორი შაბლონურად უდგება ბურჟუაზიის ისტორიული როლის გაგებას და ვერ ამჩნევს, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილი და დაჩაგრული ერების სუსტ ბურჟუაზიას არ შეუძლო ისეთად პროგრესული როლი ეთამაშა თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორც ეს, ვთქვათ, ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიამ თავის დროზე ითამაშა.

ძნელი შესაშინევი არ არის, რომ იმის მტკიცე-

მა, თითქმის ყველა ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედროშედ ბურჟუაზია გამოდიოდა, გარდაუვალად მოგიყვანს ისტორიული ფაქტების უგულებელყოფამდე. ჩანაჩრად შეიძლება, რომ ქართველი ბურჟუაზია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ყოფილიყო, როცა იგი, — როგორც ეს ყველაზეათვის ცნობილია, — რეჟორმამდედ ხანაში და ფვით რეჟორმების პერიოდშიც (60-იან წლებში), როგორც კლახი ქერ არც კი არსებობდა?!

შესამდე, ავტორის არასწორად ესმის გლეხობის (აგრეთვე ქალაქის დარბიზი მოსახლეობის) ისტორიული როლი, ეს ვერ ზედვას ამ პირდაპირ კავშირს, რომელიც გლეხთა აჯანყებებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის არსებობს. მას ჰგონია, რომ მუშათა მოძრაობის დაწყებაშდე გლეხობა არ თამაშობდა რაიმე სერიოზულ როლს მეფისა და მემკვიდრეების წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

გამოსდის, რომ ქართველი ბურჟუაზია, იმ დროსაც კი, როცა იგი არ არსებობდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და მედროშე იყო, ხოლო ქართველი გლეხობა, რომელიც მოსახლეობის ცხრა მეთოდს შეადგენდა და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში აჯანყებას აჯანყებაზე აწყოდა როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის, ისე „საკუთარ“ თავდაზნაურობის წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არავითარ სერიოზულ როლს არ თამაშობდა... ვინაც სურს, დაეჭროს!

შეგრამ საქმე ამითაც არ მთავრდება. ჩვენი ავტორის აზრით, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თურმე, არა მარტო ბურჟუაზია, არამედ ზოგჯერ რევოლუციური თავდაზნაურობაც კი ზედმძღვანელობდა. როგორ ხდებოდა ასეთი დაუჭერებელი ამბავი?

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ავტორის აზრით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბურჟუაზიული მოძრაობა და მისი ზედმძღვანელი ყველგან ბურჟუაზიაა, შეგრამ საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ბურჟუაზია არ არსებობდა, რაც ჩვენმა ავტორმაც კარგად იცის; იმ დროს საზოგადოების ძირითად კლასებს თავდაზნაურობა და გლეხობა შეადგენდნენ, შეგრამ რამდენადაც ავტორი გლეხობას და მის იდეოლოგიებს ანგარიშში არ აკლებს, იძულებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის დროს რევოლუციური თავდაზნაურობას გადაუღოდოს. მართალია ასეთი სახით უთო ოპერაციის ჩასატარებლად მას წინ გადაუდებავი თეროიული და ესტორიული ხანა-

ათის წინააღმდეგობანი ხედება, შეგრამ ქართველი ტრზის მეოოდით შეიარაღებული მტრისგან არავითარ დაბრკოლებას არ უშინდება.

გვაადევნოთ თვალი ავტორის აზრთა დენას: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მის პირველ ეტაპზე ბურჟუაზიული მოძრაობაა. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ამ ეტაპზე მისი მედროშე არის ბურჟუაზია... ბურჟუაზიას ამ დროს ხელთ ეხურა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროსა, იგი ტრის ავანგარდი იყო წინსვლის გზაზე. მაშინდელ ვითარებაში იგი იყო ზელმძღვანელი, დამარზნავი, პროგრესული ძალა საზოგადოების დაზავსებელი, დროშოქმული ძალების წინააღმდეგ... ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც XIX ს-ის 30-40-იან წლებში ჩაისხა და 60-70 წლებში განმტკიცდა, ეროვნულად ერთად სოციალური შინაარსისაც იყო და ითვალსწინებდა არა მარტო ცარზიზის კოლონიური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლებას, არამედ თავდაზნაურულ-ფეოდალური ბატონობის მოსპობას, მისი სოციალური პრივილეგიების ლიკვიდაციას.“²⁷

ეტილი და პატოხანი, შეგრამ რა მოუხერხოთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში არც 30-იან და არც 60-იან წლებში ეროვნული ბურჟუაზია, როგორც კლახი, არ არსებობდა? ვის, რომელ კლასს უნდა ეტარა „არა მარტო ცარზიზის კოლონიური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლება, არამედ თავდაზნაურულ-ფეოდალური ბატონობის მოსპობა, მისი სოციალური პრივილეგიების მოსპობა?“

მეფესმინოთ: „ქაბიბალიტური ურთიერთობის აღმოცენების და განმტკიცების ეპოქაში, ეროვნული მოძრაობის თავისთავად ბურჟუაზიული შინაარსის მუხედავად, მრავალჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად თავდაზნაურულ-მემამულური კლახის წარმომადგენლები გამოსულან (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალების მოუმწიფებლობის ვამო) და ისეთი პროგრამა დაუსხავთ, რომელიც მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენას გულისხმობდა და ფეოდალურ-ბატონურ ურთიერთობას უცვლელად ტოვებდა.“²⁸

ასე ადვილად, როგორც იტყვიან, კლახის ერთი მოსმით გამოაცალა ავტორმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სოციალური (დემოკრატიული) შინაარსი და დაიუენა იგი „წმინდა“ ეროვნულ მოძრაობამდე. ამის შემდეგ მას, ცხადია, ხელს არაფერი უშლიდა, რომ ქართველი თავდაზნაურობის ის რევოლუციური ნაწილი, რომელიც „ფეოდალურ-ბატონურ ურთიერთობას უცვლელად ტოვებდა“ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის მესვეურად გამ-

ეცხადებია და გამოაცხადა კიდევაც. მოვუხსნი-
ნოთ:

„დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი თავადობის პოლიტიკური იდეალი თავისი შინაარსით ეროვნულ-პროგრესული იყო, იგი მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს უკმაყოფილებდა (ხაზი ჩვე-
ვია. — მ. რ.), ცარიზმის აგრესიას წინ ედგობოდა და ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების კეთილშობილურ იდეას ემსახურებოდა.“²⁹

ასე გაიავტა ავტორმა მთელი ქართველი ხალხის ინტერესები ერთი მიუკერძოებელი თავადების ინტერესებთან, — იმ თავადებისა, რომლებსაც, თვით ჩვენი ავტორის აღიარებით, „სიღატაკის ვაგონებაც კი არ სურდათ სოციალურ ურთიერთობაში რაიმე ცვლილებაზე“, რადგან „მომხილიცა და უმაც საშვილიშვილო საქუთრებად მოაჩნდათ“.³⁰

რაც შეეხება საქუთრებ 1832 წლის შეთქმულებას, მის შესახებ ავტორი ამბობს:

„შეთქმულების მოწაწილთა უდიდესი უმრავლესობა მის გამო, რომ თავდაპირველი კლასის წარმომადგენლები იყვნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალურ მხარეს უფრადდებოდ ტოვებდნენ. მათ პროგრამაში არ შედიოდა არსებითი ცვლილება ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში“.³¹

ამრიგად, თუ ავტორს დავუჭერებთ, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი მიზანი ფეოდალურ-ბატონურის წყობილების შენარჩუნება და მისი დამცველი საზღლმწიფოს აღდგენა ყოფილა! აი, სადმდე მიიყვანს მკვიდრებს სოციალურ-კლასობრივი მოშენების უფლებებუფა, — ისტორიის დიდი კანონის დავიწყება!

ვფიქრობ, ყველაფერი დღესათვის ნათელია. დავტარებთა გავარკვიოთ საკითხი, როგორ აფაქებს ავტორი მშინდეთს (თერგდალეულთა) იდეოლოგიას?

ავტორი რომ ლოკატორად მსჭვლოდებს (რამდენადაც ეროვნული ბურჟუაზია ჩვენში არც მშინდეთში არსებობდა), მისი კონცეფციით თერგდალეულებიც თავდაპირველად კლასის წარმომადგენლებად (იდეოლოგებად) უნდა გამოცხადებოდნენ, — სწორედ ისე, როგორც ამას თავის დროზე ცნობილი „რაპედები“ და ბურჟუაზიული მოაზროვნეები სწავლიდნენ, მაგრამ ჩვენს დროში რაპული და ბურჟუაზიული შეხედულებების აშკარად ქადაგება შეუძლებელი საქმეა, ამიტომ ავტორი ამკობინებს თავისი კონცეფციის ლოკატორი წყობა დაარღვიოს და თერგდალეულები საერთოდ კლასების გარეშე მდგომ მოღვაწეებად წარმოგვიდგინოს. ის ამბობს:

„სახვებით მართებულად მიუთითებენ, ქართული მკვლევარები (მ. დუღუჩავა, ა. კეჭოშვილი და სხვები), რომ ილია და მისი თანამებრძოლები გამოდიოდნენ „მოთიანი ერის“ თერგდალეულ მათთან ყველაზე მაღლა იდგა არა რომელიმე კლასის ან წოდების, არამედ მთლიანად ერის ინტერესები. „მოთიანი ერის“ თერგდალეულურ თეორიას საფუძვლად ედო წოდებათა ერთიანობა, რაც განსაყურებოდა ხაზგასმული ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის, ს. მესხის და სხვათა მსოფლმხედველობაში და რაც საბოლოო მკვლევარების მიერ მიჩნეულია უფალზე სუსტ მხარედ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა“.³²

ეს თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, ახალი არ არის და ჩვენც არაერთხელ გვქონდა შემთხვევა მისი უსაფუძვლო და დეგენერატიული, ამიტომ მის დაწვრილებით კრიტიკას აქაღარ გამოუვლდებოდა, თორემ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მკითხველს მოვაგონოთ დიდი ლენინის შესანიშნავი აზრი იმის შესახებ, რომ „არც ერთ ცოცხალ ადამიანს არ შეუძლია არც მიერმხროს ამა თუ ამ კლასს“³³ და რომ „საზოგადოებაში, რომელსაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ღრღინს, არ შეიძლება არსოდეს გარკველობრივი ან ზეკლასობრივი იდეოლოგია არსებობდეს“.³⁵

ამრიგად, ვერ ჩასწვდა რა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაშვილი არსს, ჩვენმა ავტორმა ვერც თერგდალეულთა იდეოლოგიის კლასობრივი ბუნების, განსაზღვრა შესწოლა. მისი ისტორიული, კონცეფცია, რომლის დასაცავად ავტორი არ ერიდება არც თეორიისა და არც ისტორიის უფულებედუფას, დაუძლეველ წინააღმდეგობებს და შეცდომებზეა აგებული, ამიტომ ამ კონცეფციის საშუალებით საქართველოს ისტორიის მოვლენათა სწორი ახსნა და გაგება ყოვლად შეუძლებელია.

აქ ბუნებრივად იხადება კითხვა: საიდან, რა ისტორიული მოსაცემებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ავტორმა თავისი ისტორიული კონცეფცია?

პროფ. ა. სურგულაძე თვითონაც არ მალავს, რომ მისი კონცეფციის ერთ-ერთი წყარო XIX საუკუნის ჯოჯოხეთი ქართველი მოაზროვნის, კერძოდ ა. აბრამ ჭარჭაძის შეხედულებებია, ამიტომ ზედმეტი არ იქნება მოვლედ მინც გავცინოთ ამ შეხედულებებს.

4. ბ. ჯორჯაძემ ღბ პროვინული საკითხი

ზემოთ ჩვენ უკვე ვახებთ, რა დავიწებით მოთხოვდა პატრიარქული ა. სურგულაძე ერის ცნების გადასინჯვას და მისთვის ახალი, მეზუღე — ძირითადი. ნიშნის — „სახელმწიფოებრივი“

ბის“ დამატებას; ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ავტორის აზრით, სწორედ სახელმწიფოს აღდგენა იყო უპირველესი და ძირითადი ამოცანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომლის ზეღმძვანელოდ ანუ მძღორშიდ ბურჟუაზია და თავაღანაწარობა გამოდიოდა, ხოლო რაც შეეხება სოციალურ საკითხს (ე. ი. ბატონუშური უღლისაგან გლეხთა განთავისუფლებას), ასეთ ამოცანას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეღმძვანელები ან სულ არ ისახავდნენ (პარტულ ვტანა), ან კიდევ მეორეხარისხიან საქმედ მიიჩნევდნენ (80-იან წლებში).

ახლა ვნახით, როგორ მსჯელობს ამ საკითხებზე არილ ჭორჭაძე.

„ქართულმა სახელმწიფომ შექმნა ქართული ეროვნება“³⁹ და ეროვნული შემეცნება. ეს შემეცნება ძლიერი იყო ქართულ სახელმწიფოს ძლიერების ხანში, ხოლო სუსტი ამ სახელმწიფოს დასუსტების დროს“.⁴⁰

შემდეგ:

„სახელმწიფოს, თავის ძალდატანებითი ორგანიზაციით, შეუქმნა არა ერთი და ორი ერთნაირადი სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარი. შორს რომ არ წავიდე, ქართულ ეროვნების შემოქმედი მთავარი ფაქტორი — „სამეფო“ ამავე გზაზე იდგა... სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ, რომელიც ბატონუშობის და პატრონ-ყმობის ნიადაგზე განმტკიცდა, წარმოშვა ჩვენში ქართული ეროვნული თვითშემეცნება. ამ ეროვნულ თვითშემეცნების შინაარსს მარტოოდენ პოლიტიკური მთლიანობის აზრი კი არ შეადგენდა, არამედ ღმერთის და ბატონის წინაშე დამორჩილების გრძობაც“.⁴¹

შემდეგ:

„შეურთველია ის აზრი, რომ არც ენას, არც რასას, არც საერთო თავდადასავალს, არც სხვა რაში ამ ხასიათისას არ ჰქონია ძალა ეროვნების შექმნისა. ეს ხასწაული არ მოხდენიათ არც ამ ელემენტების ერთად აღებულებს. ეროვნების წარმოშობისათვის საჭირო იყო სხვაგვარი ძალა. საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გაუქვეყნისა, ჩაყრივისა და შეერთებისა ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო სახელმწიფო“.⁴²

„რუსეთის დამკვიდრების შემდეგ საქართველო (ს) დაქანებულის ნაბიჯით შაქანებდნენ დენაციონალიზაციისაკენ. დენაციონალიზაცია გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივ ორგანოების მოსპობით... სახელმწიფო ორგანოები (მეფობა) ჰქმნიდა ქართულ ეროვნებას. მოისპო შეფობა, დამაბუნდა, შეირქა ეროვნება“.⁴³

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ზემოთ მოტანილი აზრები წარმოადგენენ ერთ-ერთ წყაროს, რომელშიც პრფ. ა. სურგულაძის ისტორიული კონცეფცია იდებურად ახსრდო-

ვა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი კონცეფცია მთლიანად ემთხვევა ა. ჭორჭაძის შეხედულებებს (მაგალითად, თანამედროვე ავტორი, ცხადია, ვერ იტყოდა, „ქართული ეროვნული თვითშემეცნების შინაარსს ღმერთის და ბატონის წინაშე დამორჩილების გრძობა შეადგენდა“), მაგრამ ა. ჭორჭაძის შეხედულებათა გარკვეული გააღწევა მის კონცეფციაზე უძველესი ფაქტია. პატრიცეუმში ა. სურგულაძემ გაიზიარა ა. ჭორჭაძის ძირითადი დებულება, სახელდობრ ის დებულება, რომ სახელმწიფოებრიობა არის ერის ძირითადი ნიშანი, ხოლო სახელმწიფოებრიობის პრინციპის აღდგენა — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მიზანი. აქედან გამომდინარეობს ავტორის დავიწებითი ცდა, ეროვნული საკითხი ყოველმხრივ გაავიჯლოს, ხოლო სოციალური — ყოველმხრივ მიჩქალოს.

იმ ფაქტს, რომ მისი კონცეფცია აღრიწველი შეხედულებებიდან მომდინარეობს, ჩვენი ავტორი, როგორც უკვე ითქვა, არსებითად თვითონვე აღიარებს. დავაყიარდეთ, შავაღლით, მის შემდეგ მსჯელობას:

„ა. ჭორჭაძემ ქართველ სამოციანელთა სამოღვეწეო პროგრამის დედაბოძად ეროვნული საკითხი აღიარა. ილია ჭავჭავაძემ იგი ზედადა ეროვნული ცხოვრების წინამძღოლს... ეროვნული ჰიერარქიის გამომხატველს...“

კ. ახაშიძე აკაკი წერეთლის შემოქმედების ქვაკუთხედად აგრეთვე ეროვნულ იდეალს თვლიდა...

ფედერალისტური პარტიის ლიდერებმა სწორად და გააზრეს (ხაზი ჩვენია. — პ. რ.) სამოციანელთა პროგრამის დედააზრი, ეს დედააზრი მარტლაც ეროვნული საკითხი იყო“.⁴⁴

შემდეგ:

„1064 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ნაშრომი „რუსეთი XIX ს-ის 60-80-იან წლებში“, სადაც ცალკე თავად გამოვუყვით „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის ისტორიაში XIX ს-ის 60-70 წლებში“... ამ მოძრაობის ძირითად ლოზუნგად მივიჩნეთ „ჩვენი თავი ჩინადვე გავუარდეს“, ჩვენი გავიჯიარეთ აღრე გამოვითქვლით ვალსაზრისი (ხაზი ჩვენია. — პ. რ.), ყველაზე მტკიცეული, ყველაზე ძირითადი საკითხი, რომლის გარშემო ქართველ 80-იანელთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააშალა, ეროვნული საკითხი იყო“.⁴⁵

შემდეგ:

„ჩვენში ერის ძირითად კომპონენტად ეროვნულ სახელმწიფოს აღიარებდა ფედერალისტები ა. ჭორჭაძე. ამასთან ქართველი ხალხის ბრძოლას სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იგი XIX-XX საუკუნის მოძრაობათა ქვაკუთხედად აღსაღებდა. ერის ნიშნად ეროვნული სახელ-

როცა გლეხთა კლასის წარმომადგენელი თავად-აწნურობის მიმართავს: უფლებათა თანასწორობის ნიადაგზე ვავერთიანდეთო, ეს უფროს მოთხოვნას, თავდაზნაურობამ ხელი აღლოს თავის წოდებრივ პრივილეგიებზე და გლეხთა წოდების გაერთიანებებას. რა არის საერთოთ ამოცანა, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ფეოდალისტურ შორის?!

ილია ქავჭავაძემ წოდებთა შერეობის უტო-ბიური ფეოდალისტის წამოყენება არა 80-იანი წლების დასაწყისში (როგორც ეს ჩვენს ავტორს მგონია), არამედ 70-იანი წლების ბოლოს, როცა გამოქვეყნდა მისი შეხანისწინავე გამოკვლევა „ცხოვრება და კანონი“. ვისაც ეს ნაწარმოები ერთობელ მანძელზე წაუკითხავს, მას ეტყობინება, რომ იქ ლაპარაკია ქართველი ხალხის თვითმმართველობის მოწყობაზე წოდებრივობის პრინციპის უარყოფის საფუძველზე. ილია მოითხოვდა თავადებსა და გლეხის შერეობას, მათ შორის „ნაბტეხილი ხიდის“ აღდგენას და ამ ორ წოდებას შორის თანასწორობის დამყარებას; დიდი დემოკრატი აწოდებდნენ, რომ ეს მოხდებოდა მშვიდობიანი გზით, განათლებული თავადაზნაურობის მიერ თავის უფლებებზე ნებაყოფლობით ხელის აღებით, რაც რა თქმა უნდა, უტო-ბიან, მაგრამ ეს უტოპია მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ზრუნვამ, დაბერავებული ქართველი გლეხობისადმი დახმარებია მხურვალე წურჭურველმა გამოიწვია და მას, ცხადია, არა-

ფერი აქვს საერთო არც ბურჟუაზიულ და არც ფეოდალურ იდეოლოგიასთან. ხელს სხვა არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია. ვუპატიოებთ, დღეს აწანაურ კემშირიტებთან რიცხვს ეუფლების დებულება ამის შესახებ, რომ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები, და მათ შორის, პირველ რიგში, არჩილ ჯორჯაძე, ცდილობდნენ ამ კლასის ინტერესები მთელი ქართველი ერის ინტერესებზე გაეფარებინათ, ბურჟუაზიის კლასობრივი მისწრაფებანი მთელი ერის მისწრაფებამ დაეხატათ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური შინაარსი უარეყოთ და ეს მოძრაობა წარმოედგინათ როგორც მხოლოდ ეროვნული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ; ბურჟუაზიის იდეოლოგები უყოველნაირად ცდილობდნენ შეიქმნათ კლასობრივი ბრძოლა, რათა ამით გაემარცხებინათ ერის „საერთო ნიადაგი“. უყოველივე ეს ბურჟუაზიის იდეოლოგებს სტი-რებოდათ არა „თეორიული ვარქიზობისათვის“, არამედ თავისი რეალური კლასობრივი ინტერესებისათვის. დღეს კი ამგვარი თეორიების, ან თუნდაც მათი ზოგიერთი მხარის, გაცოცხლებას ცდებიან არავის სტირდება და ეს ცდები მხოლოდ ისტორიულ ანაქრონიზმად შე-იძლება ჩაითვალოს. ასეთი მოკვლევი ჩვენი შენიშვნები პროფ. ა. სურგულაძის მცდარი ისტორიული კონცეფციის ირგვლივ.

შედეგები

1 იხ. ს. დიდაშვილი. თხზ., საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა 1961 წ. გვ. 228-229, 382.

1 იხ. სოლომონ დიდაშვილი, თხზულებანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961 გვ. 228-229, 382.

2 «Утверждение русского владычества на Кавказе», т. I, 1901, стр. 33.

3 იქ ავტორს მითითებული აქვს: «საქართველოს ცსა, ფ. 1457, რე. V, გვ. 125; გ. გ. ზ. ა. ი. შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-119».

4 «ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა», გვ. 293-294.

5 იხ. წიგნი «თერგდალელთა რეგოლაციური მოღვეწეობის ისტორიიდან», 1962 წ. გვ. 127.

6 სიხუსტისათვის აღნიშნავს, რომ წიგნის სხვა ადგილას (გვ. 217) ავტორს თავისი «შესწორება» დავითონვე დაიწვებია და ციტატი სწორად მოაქვს.

7 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 188-189.

8 ი. ქავჭავაძე, თხზ. ს. კრებული, ტ. II, 1941, გვ. 47.

9 დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

10 «ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა», გვ. 342, 345.

11 «არსებითი XIX ს. 60-80-იან წლებში», გვ. 5-7.

12 «ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა», გვ. 143.

13 «ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში», გვ. 197.

14 «ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში. გვ. 197.

15 იქვე, გვ. 119.

16 ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 180.

17 «ეპაროსის ისტორიი», 1970, № 8, გვ. 90.

18 დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

19 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 369-371.

20 «Вопросы истории», 1970, № 8, стр. 95-96.

- ²¹ ჯ. შარქო, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 265-266.
- ²² Ленинизм и национальный вопрос, в совр. условиях, М., 1974, стр. 15.
- ²³ იქვე.
- ²⁴ ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, გვ. 72; ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 417-418.
- ²⁵ ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 418.
- ²⁶ ერის ცნებისა და სხვ., გვ. 74.
- ²⁷ ერის ცნებისა და სხვ., გვ. 74-76.
- ²⁸ იქვე, გვ. 78.
- ²⁹ „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“, გვ. 178.
- ³⁰ იქვე, გვ. 179.
- ³¹ ერის ცნებისა და სხვ., გვ. 88.
- ³² ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 423.
- ³³ პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, 1962, გვ. 31.
- ³⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 664.
- ³⁵ იქვე, ტ. 5, გვ. 481.
- ³⁶ ავტორი „ერსა და „ეროვნებას“ ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობს.
- ³⁷ ა. ჭოჩიაძე, თხზულებანი, წიგნი I, 1911, გვ. 26-27.
- ³⁸ იქვე, გვ. 29-30.
- ³⁹ იქვე, გვ. 43.
- ⁴⁰ იქვე, გვ. 116-117.
- ⁴¹ ამ ადგილას ტექსტში დაშვებულია კორექტურული შეცდომა: „გაიზარეს“ ნაცვლად, წერია „გაიზიარეს“; დასწორებთ შეცდომას კონტექსტის მიხედვით.
- ⁴² ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 7, 9, 10.
- ⁴³ ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 34-35.
- ⁴⁴ ერის ცნებისა და სხვ., გვ. 16.
- ⁴⁵ ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, გვ. 36-46.
- ⁴⁶ იქვე, გვ. 6.
- ⁴⁷ იქვე, გვ. 424.



ახალი ქართული პოეზიის გზაჯვარედინზე

ტიციან ტაბიძე კვლავ დაუბრუნდა ქართველ მკითხველს, როცა თითქმის წედიწედი გამოვიდა სხვადასხვა ხასიათის ორი კრებული, რომლებიც თათქოსდა ერთმანეთს ავსებენ და თვალნათლივ წარმოაჩენენ მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის ქეშმარიტ რაინდს, პოეტს, მოაზროვნესა და მწერალს.

მე აქ ვგულისხმობ ტიციან ტაბიძის ლექსებისა (1955 წ.) და წერილების კრებულს (1957 წ.), რომელთა გამოცემას ასეთი სიყვარულით მოხკიდებია შალვა დემეტრაძე — პოეტის მეგობარი და თაყვანისმცემელი. (იხ. აგრეთვე მიხილვე შედგენილი ტ. ტაბიძის სამტომეული. — თბ. 1966 წ. რომელსაც უძღვის დევი სტურუას ხაინტერესო წერილი).

ტიციან ტაბიძის უცნაური შთაგონება უფლებოვს იყო პოეზიის მოყვარულთა განსაკუთრებული ინტერესის საგანი. რასაკვირველია, ამ ინტერესს ამძაფრებდა პოეტის ტრადიციული ხვედარი, რაც წინათგანმობის სახით ახლავს კიდევ მის ზოგიერთ ლექსს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველი მკითხველის თვალში ტიციან ტაბიძე და ახალი ქართული პოეზიის მძლავრი მაჩიხცემა გაუთიშველიად არის დაკავშირებული. მართლაც, დიდი უმადურობა იქნებოდა ამისი დაჯიწება. წინამდებარე წერილაც უფრთხილვით ამის კიდევ ერთხელ შესხენებას ისახავს მიზნად.

ერთი რამ კი ამთავითვე ცხადია: ტიციან ტაბიძე თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უფრთხილვით იღვა ახალი ქართული პოეტური კულტურისათვის გაიაღებულ ბრძოლას წინააზრდა. მეტი რომ არ ვთქვათ, იგი ერთი პირველთაგანია იყო მთ შორის, ვინც კამერტონივით გრძნობდა ფერისცვალების მოახლოებულ ტალღას. მართლაც, ბრძოლა და

ძიება, სიახლეებისაკენ სწრაფვა ტიციან ტაბიძის პიროვნული თვისება აღმოჩნდა, ხოლო ყოველივე ეს ბეჭედივით აზის კიდევ როგორც მის ბრწყინვალე ლექსებს, ისე ფიქრებსა და აზროვნების უფრთხილვით გამოვლინებას, რაც სიტყვიერი კულტურის სხვადასხვა ფორმაში იყო გაშვლავებული.

მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ტიციანის პოეტური ბუნება თითქოს უნიკონში აღმოჩნდა მისხვე უპოქის მღვდლავრ სულთან. სოციალური თუ კულტურული კრიზისიდან თავისდაღწევა პირველი რიგის ამოცანა შეიქმნა. ამ თვალსაზრისით მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის შემდგომი განვითარების გზაზეც ჩვენი საუკუნის ათიანი წლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ეს იყო, მართლაც, ძნელადდასაძლევია გზაჯვარედინი და გაბედულ ძიებათა გარეშე წარმოუდგენელიც ჩანდა ახალი ნაპირების აღმოჩენა. არც ის არის დასაშალი, რომ წარუმატებლობა და მარცხი თან ახლდა ძიებათა ასეთ გზას, მაგრამ გულწრფელობა და თავგანთავება მას ერთი წუთითაც არ მოკლებია.

აქ ზოგჯერ ინტუიტური სწრაფვა ინტელექტუელ ნაყოფს როდის როდი ასრულებდა, პირველმებრძოლნი, რომელთა შორის ტიციან ტაბიძე უფრთხილვით გამოირჩეოდა, თითქოს საცდობით მიიწვედნენ წინ. რასაკვირველია, მაქსიმალურად შდერს სხვა შემთხვევის გამო ნათქვამი არტურ რემბოს სიტყვები, როცა იგი ანტიუიციის სასარგებლოდ დაუდევინებელ აზრთა მოძალტვას წმინდათაწმინდა პროცესად მიიხსენებს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ანალოზ ზოგჯერ გუშანი უსწრებს წინ და ეს არც ისე იშვიათი მოვლენაა ამა თუ იმ ხალხის სულიერი კულტურის განვითარების უფრთხილვით.

საკვიფრესი ვითარების წინაშე აღმოჩნდა წვენი საუკუნის დასაწყისიდანვე ქართული პოეტური კულტურა და, მე მგონი, ამას არც სჭირდება ზედმეტი მტკიცება. მართლაც, მე-19 საუკუნის დიდი ქართული შერლომა, რომელსაც აგრე გამოკვეთილად ჰქონდა თავისი მონა, გამოხატება ფორმები, დაშორების პირას იყო მისული და მხოლოდღა ინერციის ძალით განაგრძობდა ფეთქვას. ინერცია კი იხეხება ნათესაუფელია, რომელსაც ხალხით აფარებს თავს უყოველივარი უხედავ-კულტურული მოძრაობა. ეს ეპიგონიზმის ერთ-ერთი უნივერსალური კანონია და ამ შემთხვევაში ზუსტად დამახასიათებელია 10-იანი წლების ქართული პოეზიისათვისაც.

დიდი ეროვნული თუ სოციალური ვნებათაღელვით დაშობული ქართული კლასიკური პოეზიის ადვალე უხერხო მედექსეობამ დაიკინა, ხოლო შერლომაზის კვალით დაღდასმულმა კარჩაეტელობამ აშკარა პროვინცილაზმის იერი მიიღო.

გალაქტიონისა და „ცისფერყანწელთა“ ორდენის უდაღვის დაშახურება, უწინარეს, ამ ეპიგონობის წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლის გამოცხადება იყო. ამის პირველი მაცენ გალაკტიონის უცნაური თრთოფით აღბეჭდილი ლექსები, ხოლო მეორეს მხრივ „ცისფერყანწელთა“ ორდენის (1916 წ.) დაარსება იყო, რომლის თავაკები, როგორც საკუთარი პოეტური პრაქტიკით, ისე თეორიული დეკლარაციებით აშკარად ანუღავნებდენ შეამბოხურ ვანწყობილებას. ტიცინა ტაბიძე ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის.

ეროხანს მე კინოსტუდიაში ვემუშაობდი რედაქტორად, ვწვრდი სცენარებს, ჩემი რომანების მიხედვით გადაღებული ფილმების სახეის (სხვათაშორის, უკვე დაიწერა „თეატრი ბაირადების“ სცენარიც) — ყოველივე ამან მიმაჩივია ლეკონოზმს, მასწავლა მონტაჟი.

ბ. ი. — არ გერევენებთ, რომ თქვენი მოთხრობები უფრო ნაკლებ „სცენურია“, ვიდრე რომანები?

წ. ლ. — არ ვიცი, ვერაფერს გიტყვით... ერთი კია, ისინიც ან ინსცენირებულია ან ეტრანისებული, თქვენ წარმოადგინეთ „მზეც“ — კი. მე ვფიქრობ, ჩემს შემოქმედებით ველოდუციას სხვა მიზეზები განსაზღვრავს — ცხოვრება თვით მე მცვლის, საბოლოოდ უაღიბდება ჩემი ინდივიდუალური ხელწერა.

ბ. ი. — გახსოვთ, ამ ჩვენი ძველი საუბრის

დროს გყობთ, რომელი გიყვართ. მითქმ უფრო თქვენზე რომანებიდან. მაშინ მახსოვხეთ: — „ბებია“. ახლა სხვაგვარად შემოგობრუნებთ კითხვას: ამ ხუთი რომანიდან და ათი მოთხრობიდან რომელი უფრო მიგაჩინათ მნიშვნელოვნად?

წ. ლ. — ჩემის აზრით, „თეატრი ბაირადები“ მე შევეძელი უფრო სრულად მეთქვა ყოველივე, გამომწედავებინა ჩემი მსოფლმხედველობა უფრო მკაფიოდ, ვიდრე რომელიმე სხვა წიგნში.

მართალია, „ბებია“ იღბლიანი ნაწარმოებია გამოდგა და მისი გაგრძელება „ნახრდენსავით“ დაუსრულებლად შეიძლებოდა. არის ასეთი ფორმაც, როდესაც ეპიზოდები ერთმანეთს თავისთავად ერგება...

მაგრამ მე ახლა გებებს ვეძებდი, უკვე გავლილის გავლა საინტერესო არაა.

ბ. ი. — „ბებიაში“ თქვენ იუმორისტის ისეთი დიდი ნაჭი გამოავლინეთ, რომელიც უმწევეტ, რა პარადოქსულადაც არ უნდა ელრდეს, თითქოს არ ხელსაც გიშლით. ყოველშემთხვევაში, მე ისეთი შთაბეჭდილება მარჩება, რომ თქვენ ზოგჯერ ოკუები იუმორის გრძობას, არ აძლევთ მას გამოვლენის საშუალებას.

არას იტყვით თქვენ ყოველივე ამის შესახებ? წ. ლ. — საინტერესო კითხვაა.

თქვენ მართალია პრამანეთ.

მკითხველი ძალზე ემოციურად რეაგირებს ტონის მცირეოდენ ცვლილებებზეც; თუ მე რამზე იუმორით ვწერ (თუმცა ეს სულაც არ გამოირიცხავს იმას, რომ მე უკვილი მალაპარაკებს), მკითხველმა შეიძლება ეს ყოველივე სერიოზულ საკითხებთან შედარებული მიდგომით ახსნას.

მართალია, ზოგჯერ თავს ვაკაებ ზოლმე იუმორისგან, ისევე, როგორც თავის დროზე, თავს ვაკაებდი რითმებისგან, როდესაც პოეზიიდან პროზაში გადავდიდი, თუმცა ზოგჯერ მაინც გამეპარებოდა ხოლმე გარითმული სიტყვები. აქაც ასეა.

ბ. ი. — თქვენ პირველ წიგნებში მნიშვნელოვნად იჩენდა თავს სიტყვიერი კომიზმი. თარგმანში ეს აღბათ იკარგება, არა?

წ. ლ. — რა თქმა უნდა.

სხვა ენებზე ვერაფერს ვიტყვი, რუსულზე მოკაბხენებთ.

რუსულად ჩემს ნაწარმოებებს თარგმნის ზურაბ ასულედიანი — შესანიშნავი მთარგმნელი. მე ვენდობი მას და არასოდეს ვერევი მის საქმეში.

და მაინც — თრმოცი პროცენტი, განსაკუთრებით იუმორისა, თარგმანში იკარგება.

ზოგი სიტყვათთაში თუ სიტუაცია რუსულად ფაქტორად ვერ ითარგმნება ან თუ ითარგმნება, თავის პერს კარგავს: ერთი მაგა-



დათი: თუ ვახსოვთ, „ბებიაში“ იყო: — ერთი შეყოვნება მაქვს თავმჯდომარისთან. ძველი კლასი რომ დანაგრდა, ახალ კლასს რადის ააშენებს? — იყოთა ვილაქამ.

— შავს რად უნდა კლასი, უკლასო საზოგადოების აშენებს, — თქვა ილირიონმა.

სიტყვათაშაშის ეფექტი აქ იმზე იყო დამყარებული, რომ კლასი — სკოლა, და კლასი — საზოგადოების ნაწილი ერთნაირად უდრის. რუსულში, რა თქმა უნდა, ეს ეფექტი არ ჩანს. თუმცა, ზოგი დანაყარგის ახსნა ენობრივი ბარიერი ვერა ხერხდება.

„ნუ გემინია, დედა!“ იწყება შვის ამოსვლის აღწერით. მოგვხსენებთ, რაც მზე ამოვლის, იმდენად ხანია ამოსვლას აღწერენ, აქ რამე ახლის თქმა ძალზე ძნელია. მე ვფიქრობ, ერთი ფრაზა მანაც იყო აქ ახალი, საყოფარღო წესი, რაც რეაღიღობს სიტუაციას, საგუშაგო კოშკზე ახის შეხვედრამ შეარჩა.

როდესაც უკანასკნელი ვარსკვლავი ჩაქრება და მზე ჯერ არაა ამოწვერილი, ვარსკვლავისეთი სიბნელი და სიჩუმეა, თითქმის დედაშიწა უპატრონოდ დარჩა. აი, ეს — „ცაზე რომ უკანასკნელი ვარსკვლავი ქრება და მზე ჯერ არ ამოსულა, დედაშიწა ობოლს ჰვავს, უპატრონოს“ — იყო ჩემი. გულსატყენია, რომ სწორედ ეს ფრაზა დაიარაგა რუსულ თარგმანში.

შეტსაც მოგახსენებთ. ამ უპატრონო წამბა თითქმის თვალი ამიხილა: მე უკვე ვაცოვი ხანიდან დავიწყებული და როგორ ავაგებდი რომანს.

ბ. ი. — კარგია, რომ საკითხი თვითონ წამოიჭრა ეს მტკაღ საინტერესოა: ნაწარმოების დაბადება, ის პირველი ხილვა ჯერ შეუქმნელის, რომლითაც გაპირობებულია შემდეგი მთელი ნაწარმოები.

ბ. — ძალზე ძნელია ამაზე საუბარი, ძნელია აღსადგენი, ზოგჯერ ბოლომდე გაუარებელიც. „თეთრ ბაირადებზე“ ვიტყვი. მასზე 1954 წლიდან ვფიქრობდი. წლების მანძილზე მიმაწედა გული ამ წაგისყენ.

მაგრამ ჩემს წინ გადაუტრეული დიღუმა იდგა. ათი კაცი წის ერთ ოთახში — ციხის ხაკინში და გუთვებულად დაპარაკობს. ეს უფროდ მოხაწევენა! თუმცა კინემატოგრაფია იმისი მაგალითიც გავიჩინე, რომ შეიძლება ასეთი ფაბულა საინტერესოდ ვაკეთდეს და დაატყვევოს მსურებელი. ვახსოვთ, ალბათ — „მარა — ოქტომბერი“ და „თერამეტი ვაბარებული მამაკაცი“. ერთი კია, ორივეგან საუბარში ერთვებოდა სხვა, გამაღიზიანებელი ფაქტორი (პირველში ტელევიზორი და მისდამი ინტერესი, მეორეში ორჯერ კარის გაღება და ასევე ინტერესის გაღვივება)...

...თეთრ ბაირადებში“ ახლი ფუნქციას ასრულებენ საყნის საკმელი, ხალხანაც მოჩანს მატარა ნაკეთი ვარე სამყაროსი და გვირახ

ხილვები. ეს არღევს ჩაკეტული სურათები გრძობას, თითქმის ასვენებს მყოფებელს, უნაცვლებს მას ვაწყოობას.

თავდაპირველად გამოიჭრა რომანის ფორმის, „ჩარჩოს“ მოქმენა. საყანი ზომ ფაქტურად „მარჩა“. და აი, ერთხელ, ბიბლიის კითხვის დროს, ნოეს კიდობანმა, მისმა „ჩარჩომ“ შეარჩა რომანის ფორმა.

გახსენებთ რითი იწყება რომანი — წარღვნი. ასეთი იყო საწყისი ბაქო — დანარჩენი უკვე, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე ვაღღათა. ადვილად იწერებოდა.

ბ. ი. — ბატონო ნოდარ, ამ რამდენიმე წლის წინათ გურამ ახათიანმა მტკაღ საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა „ციხეარში“, „შუმანორობის პრობლემაზე“ მოგახსენებთ, რომელშიც, სხვათა შორის წერდა: „მე-ინანწლება ლეონი მწერლობის წარმმართველი ნაწილისთვის, სხვათაშორის, იმგვარა სულისკვეთებითაც აღინიშნა, რომელსაც ნოდარ დუშინამ თავის უკანასკნელ რომანში (ნახევარად სერიოზულად) „სენტაიმენტალურ ჰუმანიზმს“ უწოდებს“.

ერთ-ერთი ტონის მიმცემი თვისება ამ მითარბულები იყო ჰუმანიტური ღმობიერების მოტოვი, სწორედ ეს მცენება წააწერა თავის დროშას, კერძოდ, იმდროინდელმა ახალგაზრდულმა პრინციპმა მტკაღ შემწარებლობა ადამიანური სისუსტეებისადმი, მტკაღ სიკეთე გულისხმიერება, თანაღმობა საერთოდ ადამიანისა და კერძოდ „მატარა“, „რავით“ ადამიანის მიმართ“.

რას იტყვით, თქვენ ამ შენიშვნის შესახებ?

ბ. — ღმობიერება და ჰუმანიზმი პროფესია არ არის. იგი მოწოდებაა ხან გენეტოკურად განპირობებული, ხანაც შექმნილი სწავლით, პირადი მავალით, და სხვათა კითხვობილური საქციელის მიზანდით. იგი, როგორც უკვეღგავარა სიკეთე, ღია ინსტიტუტა და მისი უწომოდ გამდიდრება შეიძლება. მაგრამ ჰუმანიზმს მარტო ქადაგება არ შეეღოს. ალბათ ჰუმანიზმი ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელსაც საქმით უნდა მტკიცება, თუმცა ამ საქმისა და საქციელის ფორმები იმდენად ძნელი დახადგენია, რომ კაცობრიობას დღემდე ვერ დაუღდგენია და ალბათ კიდევ ბევრი, ბევრი თაობები და ცივილიზაციები დასპირდება მის დაღდგენას.

ადამიანებმა წინასწარ რომ იცოდნენ თუ რა მოქვეება საბოლოო შედეგად ზათ საქციელს, ან ისწავლენ სხვისადმი ამ შეუღომებისა და ცოდვების შენდობა, რასაც თავის თავს აპატიებენ და შეუღდობენ ხოლმე, უთუნდაც ისეთივე გულმოდგინებით და მონღომებით იცავდნენ და ამართლებდნენ სხვის საქციელს როგორც მონღომებით და სიმშაგობით ამართლებენ ხოლმე საყურთარ საქციელს, ალბათ, კარ

საქართველო

ცობრობის ბედს სულ სხვაგვარად წარმარ-
თებოდა.

ლმობიერება და ჰუმანიზმი ადამიანთა
ზნობას ეს კატეგორიებია, რომლებიც ხშირად
მთავან დამოუკიდებლად, ბუნებაში არსებულ
კანონებთან არიან უხილავი ძაფებით დაკავ-
შირებული. ამიტომ ლმობიერება და ჰუმანიზ-
მი ეს ზნობრივი კატეგორიებია, რომელთა
თავზე დამოკლებს მახვილივით ჰკილია, მარმო-
ნია, აუცილებლობა და სამართლიანობა. ამის
გარეშე არაფერს ფასი არ აქვს.

გარდა იმისა, რომ ბევრი რამ თვით ადამი-
ანის ფსიქიკაზე და მოკიდებული, უფრო ბევ-
რის გან ბუნებაში არსებულ აუცილებლობით
არის დასაბუთებული. ამიტომ, გარდა „სენ-
ტიმენტალური ჰუმანიზმისა“ „პარადოქსული
ჰუმანიზმიც“ არსებობს. მაგალითად, ჩვენ გუ-
ლისამაყურებელი სინაზით ვზრდით და ვე-
ლლიავებთ შინაურ პაროტკებს, ენას ვუწ-
ლეყო, მოფერებთ ბებრებებსა და ბორბლებს
ვეძახით და როდესაც დაგვირდება ყელში და-
ნას ვუსობთ (მთ შორის, გურამ ასათიანიც),
ან კიდევ: დიდ ჰუმანიზმად მიგვაჩინა მგლის,
პატინასა და მიმინას მოყვლა, რადგან, ერთი
ჭკრუნებს მეორე წიწილებს, ხოლო მესამე
მტრედებს იტაცებს, რასაც ჩვენ შეშფეც არა-
ნაკლები ოსტატობით ვაკეთებთ, მაგრამ ვანა
რომელიმე ჩვენთაგანს მოუყლატს მერცხალი
იმის გამოა რომ მერცხალი ძალიან ანადგუ-
რებს?!

ამიტომ გურამ ასათიანის ფლორტი ჰუმანიზ-
მთან ცოტა მსუბუქედ მიჩვენება.
ძალიან ცდება ვინა ჩემს ნაწარმოებებში
მხოლოდ განუსაზღვრელ, ანტირატულ ჰუმა-
ნიზმსა და ყოვლისშემყენარტლობას კითხუ-
ლობს. ჰყვენად არავინ იცის ამ პირობებში და-
თყო ბრძოლისა თუ აბიზოსაღში ჩემი გვი-
რების დამოკიდებულება ლმობიერება თუ სი-
კადელზე მკაცრი განაჩენი და თუ ჩემი გვირბე-
ნი წყნად იმედულ, ვადაგარებულ და გაბრწინდ
ადამიანებშიც კი დუთორ ნაქერწყალს დაემე-
ზენ და კიდევ ერთხელ ცდილობენ ამ ნაქერ-
წყალს გადვებებს. ვუქირობ, ეს დანაშაულად
არ უნდა ჩათვალათ.

გურამ ასათიანი მართალია იმაში, რომ ჩე-
მი თაობის ლიტერატურას ერთ-ერთი ტონის
მიმცემი მიმართულება ჰუმანიზმა, მაგრამ
ჰუმანიზმსა და სკოლეს, მოკვებენებთ, რადაც
უპირისპირდება ბუნებაში და საზოგადოებრივ
ცხოვრებაში, კერძოდ, უსამართლობა და ბო-
როტება. ჩემი თაობის მწერლებსა ჰუმანიზმი-
საღში ლტოლვა და მისწრაფება უმინწოდ
არ დაბადებულა, იგი ზემოდსხენებული მიზე-
ზების არსებობას გამო ვაჩნდა და მათი არტე-
ზობით იყო აღბთ გაპირობებული. ამიტომ,
ვუქირობ, კრიტიკა ამ მიზეზების ძიებითა და

ანალიზით უფრო უნდა იყოს დაინტერესებულ
ლი, ვიდრე სხვა წერილმანი საკითხებით.

ბ. ი. — „თუთარ ბაირადებში“ თქვენ თით-
ქოს საბოლოოდ დაქმვადობთ თქვენს ტრა-
დიციულ გვირს, ჰეაუეს, რომელიც ჩვენს თვა-
ლწინ უაღიბდება და არკვებს ცხოვრების ძი-
რიოად ფანსელებოზათა რაობას.

დაქმვადობთ თქვენს რაიმანებში გამოვ-
ლენად პოზიციას — ბოროტების დათრგუნ-
ვას სიკეთით. ყოვლისშემყენადობლობით.

თქვენსავე ერთ-ერთ ბოლო მოთხრობაში
— „ძალდა“ — ბოროტებასთან ბრძოლა, უკან
თითქოს ძაღის პოზიციადან სდებთ.

რა არის ეს? საწყისი ახალი დამოკიდებუ-
ლებისა მოვლენებთან თუ კონკრეტული მო-
თხრობის, კონკრეტული გვირისა ხასიათის
გამოვლენა კონკრეტულ სიტუაციაში, და, ამ-
დენად, კერძო შემთხვევა, რომლის განზოგა-
დებაც ნაჩქარე დასკვნებამდე მიგვიყვანს?

ნ. დ. — ჩემი ტიპის მწერალი არასოდეს არ
ემშვიდობება თავის ტრადიციულ გვირს. ეს
მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდევადემო მწე-
რალი იმავ გვირს სხვა, მისთვის უჩვეულო,
სიტუაციაში აუენებს, თუ შეიძლება ასეთი
ტერმინი ვიხმაროთ, სდება გვირთა სულების
გადასახლება. ასეთ პირობებში გვირი სულ
სხვა ხასიათსა და ჩვევებს იძენს, გვირში ცო-
ცხლებსა სხვა ვარემოს შესაფერისი ვნებები,
მასში იღვიძებს მისსავე არსებაში მეოფი მე-
ოფე — მე, რომელზეც ადრე მას წარმოადგენაც
არ ჰქონდა. შეხვედრა საყუთარ თაყთან სულ
სხვა გარემოში არ ნიშნავს წარსულის უარ-
ყოფას. გვირი კი არ ღალატობს საყუთარ თავს,
არამედ პირიქით აქვიდრებს მას, სრულყოფს
და მონოლოთურს ხდის საყუთარ არსებას.
ტყუალად რადი თქვა ფლობებრმა — მაღამ
ბოჯარი შე ვარო.

როგორც ადრე მოგახსენეთ, ყოვლისშემ-
ყენადობობა ის ტერმინი არ არის, რომელიც
ჩემი გვირების ხასიათ მიეხსადება, ისინი
თავისთავზე სულ სხვა აზრისანი არიან.

შე არ ვეთანხმებოთ, თითქოს ბოროტებას-
თან ძაღის პოზიციით ბრძოლა მხოლოდ ჩემს
მოთხრობას „ძალდაში“ იყოს. იგი ყველა ჩემს
ნაწარმოებებშია მეტნაკლებად.

რაც შეეხება ჰუმანიზმს, მე თუ მკითხავთ,
იგი თავის მხრივ უზარმაზარი ძალაა, რომე-
ლიც ბოროტებას უპირისპირდება და სძლეებს
კიდევაც წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრესი
არ იქნებოდა ქვეყნად. საყუთობარი მასშტა-
ბით ჰუმანიზმი უფრო გლობალური ძაღის
იარაღითაა აღქურვადი, ვიდრე ბოროტება.

ყველა გვირის საყცილების განზოგადება
შეიძლება, რა კონკრეტულ ვითარებაშიც არ
უნდა გვევლინებოდეს იგი, თუ რა თქმა უნდა,
მისი საყციელი საყუთობარი ვნებებსა და ტყი-
ვლებს ეხმარება. საერთოდ, მოვლენის გან-

ზოგადებისას დიდი სიფრთხილთა საჭიროა. მაგალითად, თუ მატეო ფალკონის კონსტრუქტულ მსკეოელს განაზოგადებთ, შემზარავ დასკვნამდე შევალთ, კერძოდ, იქამდე, რომ ყველა მამამ, ყველა გზასადენილი შვალი უნდა მოკლას. მაგრამ საბედნიეროდ ეს მოთხრობა ამისთვის არ არის დაწერილი. მოთხრობა შამებს კი არა, შიელი მსოფლიოს ბავშვებს აფრთხილებს, რათა ცდუნებებს არ აყენენ და არ დაეპარგონ ადამიანის უზენაესი გრძნობა, მაღალი ზნეობა, მოვალეობა და კაცობოყვარობა. მხოლოდ ეს მომენტი უნდა განზოგადდეს ამ მოთხრობაში. ჩვენ გვაქვს ამის ბრწყინვალე მაგალითი ქართული ლიტერატურაში, „ხევისბერი ვინა“. საერთოდ კი არც ერთი კერძო შემთხვევა თუ იგი არ განზოგადდა, არ შეიძლება დიდი ლიტერატურის საყენად გახდეს.

ბ. ი. — თქვენს ნაწარმოებებში სიმბოლოს როლს თამაშობს სტერეოტიპი ქალი — აღმზრდელი. იქნება ეს ბებიია, მამიდა თუ დედა ამ სახეს ძალზე მნაშველდოვანი ფუნქცია აქვს დეკორატიული. იგია სიმწიხნის, სიყეთის, სიმშვიდის, იმედიაწიხის ზრუნვის უღვევი წყარო. რამ განაპარობა ამ სახის ასეთი მუდმივობა თქვენს შემოქმედებაში?

ნ. დ. — აი, ხომ ხედავთ, აღმზრდელი ქალის ხსენებისას, რამდენი კეთილმოზილური გრძნობა ჩამოთვალეთ. სწორედ ამით იხსნება მათი ასეთი მუდმივობა ჩემს შემოქმედებაში, და კიდევ ერთი. ეს მოვლენა ჩემი ავტობიოგრაფიული შტრიხია.

ფუნქცია, რომელსაც მე ამ გარემოებას ვანიჭებ, უზარმაზარია. მე ადრე ბავშვობიდან მოკლებული ვიყავი თქვენს შიერ შემოთ ჩამოთ ცდილად გრძნობებს და ერთგვარ დაუყოყნებლად ღლოღლასა და შიშიშილ განვიცდიდი მათ მიმართ. საბედნიეროდ, ქვეყნად აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომელთაც გაახატეს ჩემში ეს დაგვალული სიცოცხლის ზე, მისცეს მაყურნებელი წყალი, მასაზრდოებელი მატერი და ნოყიერი ნიადაგი. სწორედ ამიტომ ვიპოვე ჩემს თავს მოვალედ ამ ხალხის წინაშე და ვცდილობ სიკეთით გადაეხებადო ეს განუზომელი და აუწერელი ვალი. და თუ რაღაც მაინც მოკავრებებ ამას, თავს უბედნიერეს ადამიანად ჩივთვლი.

შინდა ამასთან დაეკვირებით ერთი საინტერესო ამბავი მოგახსენოთ: ერთხელ, კერძო საუბარში, გამოჩნდილმა რუსმა პოეტმა სტროკოვა მოთხრა — მე მუდამ მიყვირდა, როგორ ახერხებდნენ ისეთი რელიგიური ფანატიზმით სავსე ღელსების წერას, როგორც არის — „კახოვია“, „გრუნდა“ და „შელოდ“ ადამიანები, რომელთაც ღმერთი არ სწამდათ. და ბოლოს შევხდი, რომ ეს ლექსები ამ უღმერთო ხალხის მიერ სარწმუნოებისადმი ვახლებული ში-

შინლით დაწერილი ლექსები იყო. ^{ქვეყნის} წილების განმავლობაში დაგროვდა ^{მე} ხალხის და ბოლოს ახალი რწმენის, ახალი რელიგიის გიგანტურ ერთგულებად და სიყვარულად გადასილდვარა.

ალბათ, ამ მომენტსაც უნდა გავწიოს ანგარიში.

ბ. ი. — ბატონო ნოდარ, თქვენი შემოქმედების შესახებ საუბაროდ ვრცელი კრიტიკული ლიტერატურაა შექმნილი, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ლიტერატურასთან? და საერთოდ, კრიტიკასთან? რას ვაძლევთ თქვენ კრიტიკა, თუ რაღაც სამართლიანი და ჭეშმარიტი? ნაწარმოები ხომ უკვე დაწერილია?

ყველაზე იდეალურ შემთხვევაში, კრიტიკამ შეიძლება რაიმე ამაღლები მომავლისათვის დაბალოს, აწმუხთვის კი იგი უკვე ალბათ დეგანიერებულია. ასე რომ კრიტიკული წერილი უფრო შეითხველისათვის იწერება, ნაწარმოების უკეთ განახებად და შესაფასებლად, ვიდრე ავტორისათვის, არა?

და კიდევ, უოფილა შემთხვევა, რომ კრიტიკოსს ისეთი რამ მოეხაზოს თქვენს ნაწარმოებში, რაზეც არ გიფიქრათ? გულწრფელად რომ გათხროთ, მე სავსებით ბუნებრივად და კანონზომიერად მიმართა ასეთი აღმოჩენები, რაღაც მხატვრული ნაწარმოებები, არცთუ იწვიათ, ისეთ დეა სისტემაზ წარმოადგენს, რომლის ნაირკითხვაობა ერთი სტრუქტურის ფარგლებში სავსებით დასაშვებია. თუმცადა, ამ ნაირკითხვაობას ზოგჯერ ეჭროზებად შეეკვირბო ხოლმე.

ნ. დ. — ის, რაც ჩემს შემოქმედებაზე დაწერილია, მოცულობით გაცილებით ამაზე მეტია, რაც მე დამიწერია, ამიტომ არ შეიძლება კრიტიკას ჩემზე კეთილშეკრული გაუღწეა არ მოეხდინა.

კრიტიკული შენიშვნებით მე მხოლოდ ახალი ნაწარმოების შექმნისას ვებღმძვანებლობ. უკვე შექმნილ ნაწარმოებებს კრიტიკული შენიშვნების მიხედვით არახლოდეს არ ვასწორებ, თუ შენიშვნები რთოგრაფიულ შეცდომებზე არ მოუთითებენ. ცხადია, კრიტიკული წერილები უფრო შეითხველისათვის იწერება. ეს რომ არ იყოს, კრიტიკოსს უოკელთვის აქვს საშუალება შენიშვნები წერილის გამოკვეთების გარეშე გაუზაროს მწერალს. სამართლიანობა მოითხოვოს, აქვე ითქვას, რომ არც მწერლები წერენ თავიანთ ნაწარმოებებს კრიტიკოსებისათვის.

ისევე, როგორც სხვებისთვის, კრიტიკას ჩემთვისაც დაუბრალდება სწორად ისეთი რამ, რაზედაც არახლოდეს არ მიფიქრია, მაგრამ ეს გარტობება, თქვენი არ იყოს, მეც კანონზომიერად და ბუნებრივად მიმართა. ნაწარმოების ღირსება სწორედ იმაშია, რომ ყველამ თავისებურად წაიციოხოს და შიგ თავისი სულის



წესტყვისი და შეშქარელი რამ აღმოჩინოს. მართალია, ნაირკითხვაობას ხშირად კურჩიოზე-ხამდეც მივეყვართ ხოლმე, მაგრამ ეს უკვე მწერლის პრაქტიკა არ არის. მაგალითად, დედონა-რდო და ვანისის მონა ღიზაზე და მის ღიმილზე ათასი მოსაზრება და მიმოთვა აარსებობს. მე კი იგი ქრისტეს მომლოდინე ფეხშიმე მაღონა, დეიშობელი მკონია და ვიდრე ცოცხალი ვარ, ამ აზრს, რა კურჩიოზეადაც არ უნდა მოგეჩვე-ნით იგი, ვერაინ შემიძლიას დედონარდოს გარდა.

ბ. ი. — მრავალფეროვანი, შეტად მნიშვნე-ლოვანი, ხაინტყრესო და მაღალმხატვრული ჩვენი დღევანდელი პროზა, მაგრამ იგი მაინც ვერ ასახავს სრულად ერის სულიერ ცხოვ-რებას. ბევრი რამ ხათქმელია ჯერ კიდევ ილის თავის დროსა და თავის მოქმელს.

თქვენ, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მდივანი, რა აზრისა ხართ ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ხო-ლო როგორც მწერალი, რას ფიქრობთ, რომ არსებული ხარვეზა რამდენადმე მაინც შეა-ესოთ?

ნ. დ. — ჩვენ, თანამედროვენი, ვერასდროს ვერ შევაფასებთ ჩვენი ეპოქის ნაწარმოებუ-ბის აბსოლუტურ ღირებულებას და ვერ მივა-ნიჭებთ მას ერის სულიერი ცხოვრების ამა-ზედ ფუნქციას. ეს შთაშინავლობის ხაქმეა. ჩვენი მოვალეობაა ვიყოთ მათთვის ობიექ-ტური შატაინე და ხულის ხაზადო პრეპაბეს და დანარჩენ რეგალიებს, რომლებსაც ესლა ჩვენ თავად ვერაინებთ ერთმანეთს, შთაშინა-ვლობა განსაზღვრავს, დარაინებს და ყველა საგანს თავის ადგილს მიუჩენს.

ესეც რომ არ იყოს, მე არ შეგულებო- ტერატურა, რაც არ უნდა მაღალნიჭიერი იყოს. იგი, ერის, თუნდაც ერთი ეპოქის, სუ-ლიერი ცხოვრების სრული სურათი ასახოს. ეს ხელოვნების, რომელიმე ერთი დარგის ძალ-ღონეს აღემატება. ამისათვის ხაქირთა მთე-ლია ერის ინტელექტუალური ენერგია, თუ შეიძლება ასე ითქვას, კლექტორი მისწრა-დება და თანამშრომლობა, მეცნობება იქნე-ბა ის, მცხეთის, ვანისა და ნოქალქევს ხა-მარხებში ნაპოვნი გმომწვარი ქოიწები, ჭვარი, ხახულის კარელი, „ვეფხისტყაოსანი“, „შეშა-ნიის წამება“, ლილო, მრავალგაშიერი, ნი-კარწმინდა თუ ატომური რეაქტორი, ყველ-ფერი ერთად აღებული.

ამ ხაკითხთან დაკავშირებით, როგორც მწერალთა კავშირის მდივანი, მე იმ აზრისა გახლავართ, რომ ჩვენი დროის მწერლობა ვე-რასოდეს ვერ ამოწურავს ხათქმელს. ერთი კია, რაც ჩემმა თაობამ სთქვა, შთაშინავლო-ბამ იგი უნდა მიიღოს როგორც გულწრფელი მემკვიდრეობა და შეგვიდოს, რამეთუ, რაც ვთქვით, ისე ვთქვით, როგორც შეგვეძლო, ხე-ლოვნება და რეფუნება არ დაგვიკლია ხათქ-შელისათვის, არც რამე მარცხენა ხელოთ გვი-კეთებია.

როგორც მწერალი, ხავსე ვარ მოლოდი-ნითა და იმედით, რომ აუცილებლად მოვა უკეთესი მოქმელი, შევა ერის სულიერ ტაძარ-ში, მივა მის ყველაზე დიდ ხალოცავთან და წმინდა და მაღალ ხანთელს დაანთებს.

ეს გახლავთ სწორედ ერის სულიერი ცხო-ვრების მარადისობის კანონი.



მწერალი და მამულიშვილი

ქართულ მწერლობას ამ რამდენიმე წლის წინათ გამოაყლდა უაღრესად ნაყოფიერი და დიდად ნიჭიერი შემოქმედი ლევან გოთუა.

ლევან გოთუა დღეს სამოცდაათი წლისა იქნებოდა, წარმოსადეგი და სახიერი ვაჟკაცი იშვიათი ჯანმრთელობითაც გამოირჩეოდა და დაუჯერებელსა ჰგავს, რომ იგი დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

ლევან გოთუას, როგორც შესანამნავი ნოველების, რომანებისა და დრამების ავტორს, სიცოცხლეშივე ჰქონდა დაფასება და საერთო აღიარება.

მისი მშვენიერი ნოველები „კრწანისის სევდა“ და „უგზო ქარაიანი“, ახალი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნება. გოთუას დრამატურგია წლების განმავლობაში ამშვენებდა ჩვენი თეატრების რეპერტუარს. მისი „მეფე ერეკლე“ მარჯანიშვილის თეატრის საეტაპო სპექტაკლი იყო და ჩვენ მოხიბლულნი ვიყავით სცენის დიდოსტატების — ვერიკო ანჯაფარიძის, სერგო ზაქარიაძისა და ვასო გომიაშვილის ნიჭის გასაოცარი გაბრწყინებისა, როცა ისინი ლევან გოთუას მიერ გაცოცხლებული გმირების როლებს ანსახიერებდნენ მართლაც დიდი გატაცებითა და შთაგონებით.

ლევან გოთუა საქართველოს გმირულ

წარსულზე შეყვარებული მწერალი იყო და მან არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი შეჰმატა ქართულ ისტორიულ რომანისტიკასა და დრამატურგიას.

საქართველოს ბედუკუდმართი წარსულის ეპოპეიდ გააზრებული გოთუას „გმირთა, ვარამი“ იმ თავითვე სახალხო საკითხავ წიგნად იქცა და დღემდე იშვიათი პოპულარობით სარგებლობს.

ლევან გოთუამ ოთხ ათეულ წელზე მეტი მიუძღვნა მშობლიური მწერლობის შთაგონებულ სამსახურს. იგი ხელხევანი შემოქმედი იყო და ბოლომდე გაჰყვა ქართული სიტყვის მიმართ რაღაც განსაკუთრებული კდემამოსილება და ერთგულება.

მისი ნაწარმოების გმირები კეთილშობილი რაინდები და გულწრფელი პატრიოტები არიან, რომლებიც დაუფიქრებლად სწირავენ თავს სამშობლოს დიდებისა და თავისუფლების, საქართველოს სახელის კიდევ უფრო გაბრწყინებას.

თავადაც ასე კეთილშობილი ვაჟკაცი იყო ლევანი. იგი სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ რაინდად გვესახებოდა ყველას, მეგობრობასა და ამხანაგობაში მაღალი ზნეობის მქადაგებელი იყო და სამართლიანობისათვის ბრძოლაში უკან დახვევა არ იცოდა.

იგი ცხოვრებაში რომანტიკოსი იყო

და ეს რომანტიკული ზეაწეულობა მის შემოქმედებასაც ყველაზე მეტად ახასიათებდა.

ლევანი ერთთავად სულ ფუსფუსებდა, რაღაცას იგონებდა, ეძებდა, გეგმავდა, აკეთებდა. მან არ იცოდა დიდისა და მცირეს გარჩევა სამშობლოს სამსახურში. პატარა ეროვნულ საქმესაც ისეთივე მონდომებით აკეთებდა, როგორც დიდსა და მნიშვნელოვანს.

იგი გატაცებული ალპინისტიც იყო და სიძველეთა თავგამოდებული დამკვიდრეც, ქართველთა მოდგმის გამრავლებასაც ისე ზრუნავდა, როგორც სწავლა-განათლების დონის ამაღლებასაც.

ლევან ვითუას პირად მომხიზლაობას ბავშვური გულწრფელობისა და მიაშიტობის შუქი ბოლომდე შემორჩა და მისი ოპტიმიზმი მუდამ ჭანსალი და მიმზიდველი იყო.

სწორედ ამ თანდაყოლილმა ოპტიმიზმმა, სამშობლოს მომავლის რწმენამ დააძლევინა მწერალს ის სირთულენი რომლებიც მის წინაშე არაერთხელ მდგარა და რომელთაც, ალბათ, სხვა უფრო სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანი ადვილად ვერ გაუმკლავდებოდა.

ლევან ვითუა არა მარტო წარსულის აჩრდილებთან ცხოვრობდა, იგი ახალსაბჭოთა საქართველოს გულწრფელი მშენებელიც იყო და თავისი მოღვაწეობის უპირველეს გამართლებად ჩვენი დღევანდელი სამშობლოს წარმატებებში თავისი წვლილის შეტანა მიიჩნდა.

იგი ადამიანების ბედზე ღრმად დაფიქრებული მწერალი იყო, განსაცდელის წინაშე წარბის შეხრა არ იცოდა და ყველაზე მძიმე წუთებშიაც მის სახეს მისთვის ესოდენ დამახასიათებელი იმედიანი ღიმილი არ შორდებოდა.

გარეგნულად ახოვანი და ძლიერი ლევანი მწერლობაშიც დაუღალავი, ამოუწურავი ენერჯის პატრონი გახლდათ.

მან ბევრი დაწერა და რომ დაცლოდა, კიდევ ბევრს დაწერდა, რადგანაც სიკვდილის დღემდე შემოქმედების ხალისითა და შთაგონებით სუნთქავდა.

ამიტომ იყო მისი დაკარგვა ასე დასანანი ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი მწერლობის დღევანდელი და ხვალინდელი დღე, სამშობლოს პატიოსანი სამსახური და მაღალი ზნეობა. ამიტომ იგონებს ჩვენი ხალხი მას სიყვარულითა და პატივისცემით.



პირობები ციციშვილი

მადლობისილი მწერალი

ეროვნულ ლიტერატურას ერთი დიდი მადლი მოსდევს: ის, ვინც თავისი ხალხის მწერლობაში საბატო ადგილს დაიმკვიდრებს, თვით ამ ხალხის ხსოვნაშიც დაუვიწყარი რჩება. საკუთარი ადგილი ერის მხატვრულ ლიტერატურაში, ნიშნავს ხელთუქმნელ ძეგლს თვით ამ ერის ისტორიაშიც.

სწორედ ასეთი ძეგლი დაიდა მშობლიურ ამ ხალხის გულში გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა, მადლობისილია მოქალაქემ, სასიქადლო მამულიშვილმა და უანგარო საზოგადო მოღვაწემ — ლევან გოთუამ.

ლევან გოთუა დიდი სიღრმისა და შთაბეჭდაობის პროზაიკოსი იყო. მას თანამხრად ემარჯებოდა როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ თემატიკაზე წერა.

მან დაგვიტოვა ჩვენი დღევანდლობისადმი მიძღვნილი რამდენიმე მაღალმხატვრული თხზულება, გამორჩეული მაღალა ნიჭით, გემოვნებით, ოსტატობით. ამის ნიმუშად ისეთი ჩინებული ნაწარმოებების დასახელებაც კმარა, როგორცაა „ნისლი ნახატარის ტყეში“ და „ღვივი ღომისა“...

თუ არა დიდი მწერლური შემართება, თუ არა მძლავრი შემოქმედებითი პოტენცია და ხალხის ნიჭიერება, შეუძლებელი იქნებოდა შედარებით ხანმოკლე დროში ის განსაცდურებელი პროდუქტიულობა, რომელიც ლევან გოთუამ გამოამუშავა. „გმირთა ვარაზის“ ოთხი წიგნი და არანაკლებ ფართოდ ჩაფიქრებული „მითრიდატე“ არაჩვეულებრივი დაძაბვისა და განსაცვიფრებელი შრომის შედეგად შეიქმნა.

ლევან გოთუა არ იყო მხოლოდ მხატვრული ილუსტრატორი ცნობილი ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენებისა, ეს ფართოდ განათლებული, ისტორიაში (განსაკუთრებით კი,

თავისი ქვეყნის ისტორიაში) ღრმად ჩაზედული ადამიანი, საოცრად მაძიებელი ბუნების კაცი იყო უველაზე ძლიერ მას ახლის ძიება იტაცებდა, და აქვე დავძენთ, რომ მისი აღმანიტური, თუ სამოგზაურო ვაცაცებანაც სწორედ ამ მაძიებელი ბუნების ერთ კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდნენ.

აღმოჩენებისკენ დაუტყობლად მსწრაფი გახლდათ ლევან გოთუა. აღბათ, მისმა ამ განუწყრელმა თვისებამ უბიძგა ისტორიული უანრისაყენ. იგი ერთდროულად მხატვარიც იყო და ისტორიკოსიც: თვით იძიებდა, იყვლევდა მასალას — ეპოქებსა და სახელმწიფოებს, ხალხებსა და ადამიანებს — და მხოლოდ ამის შემდეგ იწუებდა ამბავთა მხატვრულ ხორცმეხსმას.

დიდი ემოციური დამუხტულობა, გულწრფელი შენაგანი თრთოლეა, მასალის ღირსიული განცდა და მჩქეფარე ექსპრესიულობა — მისი პროზის განუწყრელი თვისებაა. სწორედ ასეთია „უანწვისის ანგელოზა“ და „არწანისის ზედა“, „უგზო ქარავანი“ და „ზარზმის ზარბა“.

ლევან გოთუას უოველი თხზულება ავტორიანეუ გულის გამოხატულებაა, მზურვალე და კეოილი გულისა, ამ გულის ფუტყვით აქვს სული ჩადგმული ლევანის უოველ მხატვრულ კმნილებას. ლევან გოთუას პატრიოტული, პუმანისტური, ინტერნაციონალიტური თხზულებები, უმარველეს უოველისა, მათი ავტორის ზახათისა და თავიებუტრებებს გამოხატავენ. მის შემოქმედებაში ეპიკური და ლირიული უწვევებლად უაყვირდება ერთმანებს.

დიდი ვენბანობა, ფართო ინტერტებები, საზოგადოებრივი აქტიობა აქ შერწყმულია მდიდარ წარმოსახვასა და მხატვრულობას-

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

თან. იგი თავისი გზით მოხიარულე კაცო
 ეო ლიტერატურაში და სტალიც კი თავისე-
 ბური შეიმუშავა. დღე, წუ განდება ეს სტილი
 ქართული პროზის მაგისტრალურ გზად, დღემ
 მუადებს მას თავისი უარისმყოფელებიც, მა-
 გრამ იმას ხომ ვერაფერ წაართმევს ავტორს,
 რომ ცოცხალად დამბული თხრობის ეს ტი-
 პი — თავისებური, ორიგინალური ცდია სტი-
 ლური მრავალფეროვნების დასამკვიდრებლად.
 ნორმებიდან გადახვევისა და ტრადიციის დარ-
 დევის უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვინც
 ნორმებისა და ტრადიციაც ბოლომდე ხარისხოვ-
 ნად ათვისდა და ახლა სხვა გზას დავდა. მა-
 გრამ დაადგა ვაზრებულად, რწმენით, საქ-
 მის ცოდნით. ლევანი არ იყო ისეთი კაცი,
 რომ ზოგიერთი ახალბედა, დარბი ნიჭის მხა-
 ტარებით თავიდანვე მხოლოდ საკუთარს გა-
 ულოდდა და წინაშეობდებოდაც ვაკვალუმი
 გზის ასავალ-დასავალიც კი არა სცოდნოდა.

მას არ შეეძლო გულცივად მოქიდებოდა
 საქმეს, უველას კარგად გვახსოვს როგორი
 პასუხისმგებლობით ასრულებდა თბილისის სა-
 მლაქო საბჭოს დეპუტატის მოვალეობას.

ლევან გოთუამ დონეცკად შეაშველა მხარე
 ქართულ თეატრსაც და თეატრალური რე-
 პერტუარის გამდიდრების საქმეშიც აქტიური
 როლი ითამაშა. მისი მშვენიერი პიესები: —
 „მეფე ერკლე“, „დავით აღმაშენებელი“, „უბ-
 ლევილინი“, „თეთის პატარძალი“ ქართული
 ორიგინალური დრამატურგიის მეტად თვალ-
 საჩინო ნიმუშებია, და მათი წყალობით ლე-
 ვანმა ეროვნული დრამატურგიის ისტორიაშიც
 დაიშკადრა. ადგილი ლევან გოთუას დრამად
 ნაფიქრებული, უადრესად ეროვნული დრამა-
 ტურგიული ნაწარმოებები არა ერთი ჩინე-
 ბული აქტიორული წარმატების ხაფუჭველა
 გახდა და მშვენიერი სპექტაკლები წარმოშვა.
 ასინა მტკიცედ დამკვიდრდნენ არა მარტო დრა-

მატურგიის, არამედ ჩვენი თეატრის ისტორი-
 აშიაც.

ლევან გოთუა თავის ხალხსა და ქვეყანაში
 ფანატურად შეეყარებოდა კაცი განდდათ.
 მისთვის არ არსებობდა საზღვარი სამშობ-
 ლოს დღევანდელსა და გუშინდელ დღეებს
 შორის. ქვეყნის წარსული ლევანისათვის დღე-
 ვანდებლობის უწყვეტი გავრქელება იყო და მის
 თვალში თანამედროვეობად აღიქმებოდა. დიან,
 საოცრად ცოცხალი, ორგანული, უშუალო კა-
 შიი მქონდა ისტორიულ წარსულთან და
 სწორედ ამიტომაც შესწლო მასთან ასე ახ-
 ლოს მისვლა, ასე დრმად განცდა, ასე შთამ-
 ბეჭდავად და რელისტურად მისი ასაშვა.

თვით ის ვარემოებაც, რომ საკუთარი ხა-
 მისაზღოც და თავისი საზოგადო განსახვენი-
 ბელიც მან სწორედ ძველთა-ძველი არმაზის
 სანახებში შეირჩია, ისტორიისთან მის უწყვეტ
 კავშირზე დაღადავს.

ეს მიდამოები ხომ ისტორიული ქართლის
 ის ხისხლით შორწყული ადგილებია, ხადაც
 ჩვენი დიდებული წინაპრები ბერძენთა თუ
 რომაელთა, არაბთა თუ მონგოლთა, თურ-
 ქთა რუ ირანელთა ურდოებს ელენებოდნენ
 ეს არის ჩვენი უჭველესი სატახტოების შე-
 მოგარენი და ლევან გოთუას სურდა მარტო
 წარმოსახვაში კი არა, მხოლოდ ფიქრით კი
 არა, თავის უკველდური ცხოვრებითაც გა-
 ნუყრელი უფილიყო მათთან.

ეს იყო კაცი, რომელმაც მთელი თავისი
 ცხოვრება, შრომითა და რუდუნებით ესო-
 დენ აღსავსე, ქართულ მწერლობის საქმეს
 შეაღია, კაცი, რომელიც მშობლიური ქვეყ-
 ნის დიდი წარსულის ნათელყოფაში დაიფერ-
 უდა.

ქართველი ხალხი და საბჭოთა საქართველო
 არასოდეს არ დავიწყებენ გამოჩენილ მწე-
 რალსა და დიდად ნაჭათარ, დიდად ნაამა-
 გარ მოღვაწეს, ლევან გოთუას.





ფალაური კაგლის პირველი ქართული თარგმანი

გამომცემლობა „მეცნიერებაში“ გამოსცა პრაქ. თეო ჩხეიძის ახალი ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს საშუალო სპარსული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლის ორიგინალის ენაიდან ქართულად თარგმნის პირველ ცდას. ამ წიგნის გამოსვლა ქართული ირანისტიკის მორიგი დიდი გამარჯვებაა. „არდაშირ პაპაიანის ისტორია“, ამ როგორც მას შემოკლებით უწოდებენ „ქარ-ნამაკი“ ფალაური ლიტერატურის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია და მისი ქართულ ენაზე გამოსვლა ისეთი მისასალმებელი მოვლენაა, რომელიც არ შეიძლება სპეციალურად არ აღინიშნოს, მით უმეტეს, წიგნის გამოცემა განხორციელებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, თანამედროვე ირანისტიკის უახლესი მიღწევების გამოყენებით. თეო ჩხეიძემ, რომელმაც ფალაური ენა თავის ძირითად სპეციალობად გაიხადა და ფრიალ წაუფიქრებულ მუშაობას იწვევა ირანისტიკის ამ ურთულეს დარგში, თავის თარგმანს წარუშლდარა ვრცელი გამოცდვლა (გვ. 3-40), რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული ძველის შექმნის ეპოქა, მოცემულია ნაწარმოების, როგორც ნარატიული ისტორიული წყაროს და მორთ მოცულობის, რომანის ენის უძველესი ნიმუშის დახასიათება, მოტანილია უძველესი არსებული ცნობა ნაწარმოების შექმნის დროის, ადგილისა და ავტორის ვინაობის შესახებ, აღნიშნულია ნაწარმოების სტილური თავისებურებანი და სხვა. ავტორი ვინაილავს დიდძალ სპეციალურ ლიტერატურას აღმოსავლურსა და ევროპულ ენებზე, იყენებს არაბული და სპარსული წყაროების მონაცემებს, განსაკუთრებით სუყარადღობა ძეგლში ნახმარი სოციალ-პოლიტიკური და რელიგიური ტერმინების ავტორისეული ინტერპრეტაცია. დაწვრილებით არის განხილული თვითველი ტერმინის ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ფუნქცია და ღირებულება ადრეულ და გვიან ხანაში; მოცემულია მათი ეტიმოლოგია, შედარებულია სხვა საშუალო სპარსული ძეგლების ხთანადო მოცემებთან და ეტიმოლოგიულ მასალასთან.

* „არდაშირ პაპაიანის მის საქმეთა წიგნი“ ფალაურიდან თარგმნა, გამოცემულია და ლექსიკონი დაურთო თეო ჩხეიძემ, მეცნიერება, 1975 წ. თბილისი, რედაქტ. ჯ. ვიუნაშვილი.

„ქარ-ნამაკის“ მნიშვნელობა ქართული ენის, ისტორიის, მეცნიერებისა და საერთოდ კულტურის ისტორიისათვის, შეიძლება ითქვას, განუწმენელია და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ ძეგლში საქართველო ერთგვლად არ არის ნახსენები, მაგრამ მართკ უბრალო ჩამოთვლაც კი ამ ტერმინებისა, რომლებიც, თითქმის უძველესი, ცნობილია ქართული და სომხური წყაროებით (თუ თვით ფალაური სიტყვები, არა მათი კალკები და ქართულ-სომხური შესატყვისები), ნათელს გახდის ამ ძეგლის მნიშვნელობას ჩვენთვის. ეს ტერმინებია მაგ. კატაქ ხვატაჰ—„მამასახლისი“ (ქეთხლად); შარუშპან — „მარაპანი“; ბრბუშპატ — „ციხის თავი“; სპაპატ — „სასახელი“; შარუშპატ — „მამის სახელი“; შარუშპან — „დიდებულება“; შარუშპატან — „სეფეულება“; „ზურანი“ — (სომხ. სეფე); შარუშპან — „პატნი“ „თავისუფალი“, კეთილშობილი“; შინაშარ — „მეგობარი“; სტორპან და სპარსულად—„მეცნიერებულება“; ახოსალარი — „მოლაზარი“. დიპირან ი შარუშპან — „მეცნიერებულება“; შარუშპან — „ნაცვალი, წარმომადგენელი“ შარ (სომხ. ცეცხალი ქართლისის). შარუშპან, და სხვა მრავალი გამოთქმა სომხულ ხმარებთან — „ციხის ქამა“ (შარ. ხეხურ. ფიც-ვერცხლის ქამა); ახოსალარი ინტერესს იწვევს რელიგიური ხასიათის ტერმინები შარ — „მოგვი“ შარუშპან — „მომადგენელი“, შარუშპან — „მომადგენელი“, „მომადგენელი“, „მომადგენელი“ — შარუშპან, შარუშპან — „შარუშპან“ — „შარუშპან“ და სხვა სხვადასხვა სახელით მოხსენიებულია შარუშპან — „მომადგენელი“ (კათალიკოსი), შარუშპან — „დასტური“, აგრეთვე გვხვდება და შარუშპან აღნიშნული ტერმინები შარუშპან ი შარუშპან — ძვ. ქართ. „ქვეყნის მოქმედი“, შარუშპან — „მეურნე, მუშაი“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კარგი იქნებოდა ავტორს უფრო ფართოდ მოეხიდა ძველი ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიდან შესაბამისი მასალა, რაც მან ალბათ მომავალი ცალკე გამოკვლევისათვის გადასდო; ადგილის ნიშნირაც ალბათ გარკვეულ რაოდენობაში დასაშვებია ამ საქმეში. განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით სასაზღვრო საქართველოში ბატონობის ხანის ძეგლები „მუშაის“

წამება“ და „ექსტატი მცხეთელის მარტვილი-
ბა“.

გამოკვლევას მოსდევს ძველის ლექსიკონი,
რომელსაც ასე გვირგვინ უქირავს და რომელშიც
განმარტებული და ეტიმოლოგიურიებული
ტექსტში ნახვარი თითქმის ყველა სიტყვა, რაც
შესანიშნავ მასალას წარმოადგენს მომავალი ფა-
ლურ-ქართული ლექსიკონისათვის, რომლის სა-
ჭიროება ესოდენ დიდია ქართველოლოგიის
უკველი დარგისათვის — ისტორია იქნება ეს,
ძველი ქართული ლიტერატურა, თუ ენათმეც-
ნერება.

ლექსიკონში, ნიბერჯის ცნობილი ლექსიკო-
ნის ვარდა, გამოყენებულია მას შემდეგ და მა-
ნამდე არსებული ყველა მნიშვნელოვანი ლექ-
სიკონი თუ გამოკვლევა საშუალო სპარსული
ლექსიკონის საქითხებზე (იუნერო, ბეილი, აბუ-
ვი, ბართოლომე, შპარუნა, ჭინბენსენი, იუს-
ტი, მარკვარტი, მიუბშანი, ტიდეუსი და მრავ-
ალი სხვა). ერთი სიტყვით ზენს წინაშეა „ქა-
რამაჯის“ ისეთი სრულფასოვანი გამოცემა, შე-
საფერისი ირანისტის თანამედროვე დონისა,
შეყნიერების უახლესი მიღწევების გამოყენე-
ბით, რომლის მსგავსი არა ვაქვს არც რუსუ-
ლად, არც ევროპულ ენებზე და არც სპარსუ-
ლად. ეს ფაქტი არ შეიძლება თუა ჩნდებოდეს
დადარებითად არ ჩათვალოს და საგანგებოდ
არ აღინიშნოს.

რა თქმა უნდა, ისე როგორც უკველ გამოკ-
ვლვაში, რა ვინა მთლიან დონეზე არ იტოს იგი
შესარტული, შეიძლება აღმოჩნდეს „საკამა-
თი“ საკითხები და უძველესი შენიშვნებისა და
ამხანაურების სპეციალისტების მხრივ, ისე რო-
გორც თვით თარგმანი ასეთი მნიშვნელოვანი
ძეგლისა და ასე რთულად გასაგები ტექსტისა,
დამწერლობის თავისებურებისა და ენის სიმრე-
დის მეორებით. ჩვეუც ვაქვს მთარგმნელისა
და გამოკვლევის ავტორისადმი რამოდენიმე
მცირე შენიშვნა, რომელთა მიზანია დააზუს-
ტოს თარგმანის ზოგი ადგილი და ზოგიერთი
სიტყვის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, კამათის
წესით, და ავტორს შეუძლია არ გაიზიაროს
ჩვენი შეხედულება და დაიცვას თავისი თარ-
გმანი, ან ამა თუ იმ ტერმინის ინტერპრეტაცია,
თუ ჩვენი აზრი მცდარია და სიმართლეს არ შე-
ესაბამება.

ჩვენი შენიშვნები შემდეგია:

1. ჩვენი ფაქტით, სიტყვა, რომელიც საფუ-
ძვლად უდევს ინდექსს ფალური ტექსტის შე-
სასწავლად მთლად შენაფერისი არ არის, რად-
გან მასში არ არის გამოყოფილი ინდოგრამები
და ლათინური ანბანის მიხედვით განლაგებულ
ფალური სიტყვებში მათი მოძებნა ძალიან
ძველია. ფაქტობრივ იყო ავტორს აქ იხე ნიბერ-
ჯის სიტყვა გამოყენებინა და ინდექსი არა-
მეუღლი ანბანის მიხედვით გაეწყო, ან უკველ
შემოსხვევაში ტექსტისათვის დაერთო სრული

ლათინური ტრანსკრიბიცია, რომელსაც
ქერდა ინდექსზე მეტ ადგილს, და
სათანადო სიტყვის მოძებნაც უფრო გაადვილ-
დებოდა. ამას ვამბობ ფალური ენის შემსწავ-
ლად სტუდენტთა და დანატრებსებულ პირთა
ინტერესებიდან გამოსვლით, რამდენადაც სათა-
ნადო სახელმძღვანელოს უქონლობის გამო, ასე
გამოცემული ტექსტი ქრისტოპოთის მოვადლო-
ბასაც შესარულებს.

2. ძველის სათური უნდა ითარგმნოს არა
სიტყვაბიტყვით „არდაშირ პაპაის ძის საქმეთა
წიგნი“, არამედ უბრალოდ „ამბავი (ცხოვრება,
საქმენი) არდაშირ პაპაიანის“. რაც ქართულისა-
თვის უფრო ბუნებრივია და დამახასიათებელია
ძველი ქართული ძეგლებისათვის, შდრ: „ქართ-
ლის ცხოვრება“, „სპარსთა ცხოვრება“, „მამათა
ცხოვრება“ და მისთანანი, ვარდა ამისა, გამოთ-
ქმა „პაპაიანი“ სრულიად შესაფერისია ქართუ-
ლისათვისა და არ არის სავალდებულო მისი
თარგმანი პაპაის ძედ.

3. ზოგიერთ მთარგმნელი საშუალო სპარსული
ზმნების ქართულად გადმოცემას ან მიმარ-
თავს შესაბამის ქართულ დრო კილოთა ფორ-
მებს. მაგალითად, აწუშოთი გადმოსცემს ნამ-
უროს ამა თუ იმ ფორმას, რაც ერთგვარად სი-
ზუსტეს აკლბის თარგმანს და სტრუქტურადაც
უფრო გაუმართავს ხდის მას. ასეთია პირველ
თავში (I აპჰაცი) გამოთქმა ნიბიშტ ესტატ, რო-
მელიც ნამყო წინარე-წარსულის ე. წ. პლუტუ-
ამერტიტის ფორმას წარმოადგენს და უპა-
თესია თარგმნის, როგორც ექვრა (თურმე
ექვრა) და არა სწერია. „არდაშირ პაპაის ძის
საქმეთა წიგნი ასე სწერია — რომ...“ ასევე
ქ 7-ის სათანადო ადგილი „ანდარ დუშვატობი
ი ალაქსანდრ ნიკან ო ვირცე ნიან აკონშიბი
ესტატ უ აპკ კრტან შეუანან რაფტ“ ჩაობებ-
და ასე გვეთარგმნა: „...ალქსანდრის ავტორობის
დროს ლტოლვილი მისი მამაპა იპალბოდა
და ქურთ მწვემებთან ერთად დადიოდა (მოშ-
თაბარობდა) ან დამალულია და უჯლია“ და
არა „მისი წინარეები ვაქცენდ, დაიბადნენ და
ქურთ მწვემებთან წაიღიდენ“, როგორც ნ. ჩხე-
იძის თარგმანშია.

4. რთული პერიოდი I, § 18-ის ჩვენი ფაქ-
ტით უფრო ზუსტად უნდა ითარგმნოს, სახელ-
დობრ: „ის, ვინც მავ სიზმარში ნახე თვითონ
ან შეილაგანა იმ კაცსა ვინმე, დადიშპობას
ქვეყნისა მთაღწევს, რადგან მზე და თვითი მო-
რთული სილო — ძლიერება და გამარჯვების
შეძლებია, ცუცხლი ფარნაბლია — სქულის
ცოდნა მოვტა მოაგრებისა, ცუცხლი გუშნას-
პისა — მეომრები და სპასპეტები, ხოლო ცუც-
ხლი ბურუნენ მიმარსა — მეურნეები და მიწა-
თმოკრედეები, და უკველივე ეს, მეუობა ამ კაცს
ან შეილაგანს ამ კაცსა ვისმე შეხვდება“.

5. იდომოტიური გამოთქმა ტან პატ აფონ
ქუნემ (ტანი მართლია გქონდეს) უნდა ითარგ-

მოს არა სიტუაციტყვიო — „გახუქდი“, არამედ შენაფერისი ქართული გამოთქმით „ცოცხლუ“ ან „კარად იყავ“ „დარდი ზუ გაქს“, რად სახეებით შეენახაშენ კონტექსტს.

6. საშუალო სპარსული სიტუა ფრანგ მრავალმნიშვნელოვანია. გარკვეულ კონტექსტებში იგი ნიშნავს, სწავლა, წერისა, განათლება, მოძღვრება, ხელოვნება, ასპარეზობა, მეცნიერება, მწიგნობრობა, ლექსიკონი სიტუათა ახრან-განგანება და სხვა. ამ თვითულ კონკრეტულ მნიშვნელობას კონტექსტი გამოავლენს მხოლოდ, ამის გამო ქართულად იგი სრულიად სხვადასხვა სიტყვით უნდა გადმოიცეს კონტექსტის მიხედვით, რასაც თ. ჩხეიძე უყოველთვის ანაგირის არ უწყის თავის თარგმანში. მაგ. ქმ-ში ფრანკი მწიგნობრობისა და ცხენოსნობისა თარგმნილია „მეცნიერებად“, იგი როგორც ქმ-ში ჰადრაკი და ნარდის თამაში, იქნებ აქოზებად, პირველ შემთხვევაში ცხენოსნობის მიხედვით ასპარეზობა ვეცხანობა და მეორეში ხელოვნება და არა მეცნიერება.

7. პირველი თავის ქმ გვეუბნება „არადაშირი დეწი და კანქარს ერთი ისარი ამ გვარად სტუარტყა, რომ ისარი ფრთამდე მუცელში შევიდა და მეორე მხარეს გამოვიდა და კანქარი იქვე (ადგილზე) მოკვდა“, თ. ჩხეიძე კი თარგმნის „ფერადიდან მუცელში გაუარა“. ამ ლაპარაკია არა კანქარის ფერადზე, არამედ ფრთაზე ისრის ბოლოს. წინდებულთა თაყ — ამ ნიშნავს „მდე“, რომ უთვლიყო „მაჩ ფარ პატ ასკომბ“, მაშინ იქნებოდა „ფერადიდან მუცელში შევიდა“.

8. ხანდახან მთარგმნელი, პირაქით, ზედმეტ

ნიშნავს იქნეს ქმ) არტაურ გოჭტ ურმან კარტ მაჩ — „ეს მე ვავაეთი“, ფრანგულად გოჭტ ნა ჩე — მან კარტ მაჩ „არა, ეს მე ვავაეთი“, ამ ვავაეთის ნაცულად აქოზებდა გვეთქვა „მე ვესროლუ“ (ან უყოველ შემთხვევაში, ეს ნასროლი ჩემია).

9. ქმ-ში არდავანი ეუბნება არდაშარს „ჩიორ ქუ როჩ უ შამ მარ ნაზდიკა ო. სტორან პატ ჩოვგან უ ნახირი უ ფრანგანგანთან და შავი, რად ნიშნავს იცოდედ დღე და ღამე ცხენებს არ მოშორდუ და ჩოვანის სათამაშოდ, ხანადიროდ და საასპარეზო მოედანზე არ იარო, თ. ჩხეიძე კი თარგმნის „იცოდე, დღისით თუ ღამით ცხენებს. არ გატარო ...და სხვ.“

ახეთი მცირე უზუსტობანი პირველი თავის გარდა სხვა თავებშიც შეიძლება შეგვხვდებ, ჩვენ ამაზე საუბარს აღარ ვავაგრძელებთ, ისინი უველა ადვილი გამოსასწორებელია. გვინდა კიდევ ერთი შევნიშნოთ — ჩვენის ფაქრალი საშუალო სპარსული ქარმის თარგმანი ჭიად ქართულად მაინც და მაინც კარგად არ ტღერს, თუ გაითვალისწინებთ ჭიის როლსა და ქვეყანას ამ ტექსტში, აქოზებდა იგი ურჩხულად გვეთარგმნა.

საბოლოოდ შეიძლება გამოთქვას სურვილი, რომ ასე გამოცემული ძველი აღმოსავლური ძეგლები ბევრა გვენახოს ქართულ ენაზე და თვით თერ ჩხეიძესაც არა ერთი და ორი მხავის საშუალო არანული ძეგლი ეთარგმნოს და გამოცეც, ესოდენ საჭირო და აუცილებელი ჩვენი ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის შესწავლისათვის.

შვიტა ანდრონიკაშვილი

წიგნი გამოჩანილ მუსიკოსზე

ქართველ მუსიკოსთაგან ერთ-ერთი თაროს ახალი წიგნი შეემატა — გამოცემილია „ხელოვნებაში“ გამოსცა მუსიკათმცოდნე შიხა იაშვილის მონოგრაფია „არჩილ კერესელიძე“.

ჩვენ განებივრებულები არა ვართ მსგავსი ნაშრომებით, მით უფრო სასიხარულოა, რომ ამგვარი წიგნი დღეს ქართველი მკითხველის ხელთაა.

არჩილ კერესელიძე ოცდაათიან წლებში გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე. ეს აუო ბოზოქანი წლები. ახალი ცხოვრება, საბოლოოდ დამკვიდრებული და ფსევდობავრებული, თავის ხელოვნებას მოითხოვდა, ხელოვნებას, რომელიც ისევე ამაღლებული და დიდი იქნებოდა, როგორც თვითონ ის დრო, ეპოქა, რომელსაც ასახებდა და მართლაც, 30-იან წლებში ხელოვნება აღორძინებას განიცდიდა, ჩქეფდა იგი, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ასევე ზვენიცი — საქართველოში.

წიგნი ორიგინალურადია აგებული. იგი თავი-

დანვე ქრონოლოგიური პრინციპით როდი მიხვევა კომპოზიტორის ცხოვრებას, პირაქით, თბრობა იწყება გამოჩენილი შემოქმედის ნიშის დეაქეცებიდან, მისი ტრანსტის გამოვლინების ერთი ეველაზე ბრწყინვალე ფურცლიდან: „1946 წლის 8 ნოემბერი. აფიშები კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის თემა „აშვიანუკის“ პრემიერის შესახებ აუწყებენ საზოგადოებას, როგორც ყოველი ახალი ქართული ოპერის პირველი წარმოდგენა, ეს საღამოც ცხოველ ინტერესს იწვევს... ელიან ფარდის ახდას. სცენაზე მუთლთა მღელვარება დარბაზსაც გადასდებია, როგორც იქნება ახალგაზრდა აქტორის პირველი საზებო ნაწარმოების სცენური ზედიე ამ ეთხვაზე პასუხს ალბათ წარმოდგენის მსვლელობა გასცემს. თეატრის შემოქმედებითა კოლექტივმა გერ კიდევ სპექტაკლის მომზადების პროცესში. ირწუნა კომპოზიტორის ნიშის ზემოქმედების ძალი, მგერამ, როგორ აღიქვამს ნაწარმოებს მაღალმომთხოვნი თბილისელი მსმენ-

ლი. უკანასკნელი წლების მანძილზე ხომ არა-
ერთხელ გაცხადებია იმედი... მკითხველმა
ესის, რომ „ბაში-აქში“ გამარჯვა და ავტო-
რეჟისორი კარგად დიდი ხანია. არ ჩამოიღოს ქარ-
თული საოპერო სცენიდან. მაშინ კი, 1946
წელს, როცა ჩვენი ხალხი ის-ის იყო იშუშებ-
და ომით მიყენებულ ქრილობებს, ადვილი წარ-
მოსადგენია თუ რა ამაღლებელი იქნებოდა
ამ მშვენიერი ოპერის პრემიერა, ადვილი წარ-
მოსადგენია ის პლევარაბაც. რომელსაც გა-
ნიცდიდა 34 წლის ახალგაზრდა არჩილ კერესე-
ლიძე.

არჩილ კერესელიძე მრავალმხრივი კომპოზი-
ტორი იყო. ოპერის გარდა, იგი მოღვაწეობდა
ოპერეტის დანაში, წერდა მუსიკას დრამატული
სპექტაკლებისათვის, კინოფილმებისათვის, ესტ-
რადისათვის. არჩილ კერესელიძეს დაუწერია
მუსიკა კინოფილმებისათვის: „ქეთო და კობე“,
„ბედნიერი შეხვედრა“, „მადანას ლურჯა“,
„ჩვენი ეზო“, „სხვისი შეილება“, „ფიფია“,
„დიდოსტატის მარჯენა“ და სხვ. არჩილ კერე-
სელიძემ სხვადასხვა დროს დაწერა მუსიკა
სპექტაკლებისათვის: „სოლომონ ისაკან მეგლა-
ნაშვილი“, „დავით აღმაშენებელი“, „მეფე
ერეკლე“, „მისი ვარსკვლავი“, „ხარტაანთ ფე-
რა“. რომელ დანაშიაც არ უნდა ემუშავა კომ-
პოზიტორს, იგი ყოველთვის ქართული ეროვნე-
ლი კულტურის წილიდან ამოვიდა. ამაზე
მართებულად და საქმის ცოდნით წერს მ. იაშვი-
ლი: — „კომპოზიტორის შემოქმედებაში ქეშ-
მარტად შემოქმედებითი გარდატეხა პირო-
ბრიერული მუსიკალური ხელოვნების მრავალ-
საფეხროვნა ტრადიციებმა. ეს უკანასკნელი
ელანდება მუსიკალური შეტყველების ყოველ
ელემენტსა და, რაც გაიცლებათ მნიშვნელოვან-
ია, მისი მუსიკალური აზროვნების საერთო
მიმართულებაში. ამ გარემოებაზე ყურადღების
გამახვილება მით უფრო აუცილებელია, რომ
იგი აშკარად მივაჩინებდეს არჩ. კერესელიძის,
როგორც რეალისტური მრწამსის ხელოვანის
უარყოფით დამოკიდებულებაზე „თანამედროვე
მუსიკას“ გაკლენაში ბრძიდ მოქცევის ამ
მანიერით ტენდენციისადმი, რამაც თავი იჩინა
60-იანი წლების საბჭოთა მუსიკაში. კომპოზი-
ტორისათვის უცხო იყო გამოსახვის საშუალებ-
ათა თვითმზნად გადაქცევისა და მოდერ
ფორმალისტურ მიმდინარეობათა ესთეტიკურ
პრინციპებზე ორიენტირების ის ეგვი, რომელ-
მაც გამოისახვის ეროვნული ფორმის უგაღელ-
მელყოფისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობ-
ის ნივთიერების საფრთხე წარმოიჭვა აღნიშ-

ნული პერიოდის მუსიკალურ შემოქმედებაში
გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება
ხანით წარმოებული ცალმხრივი ექსპერიმენტუ-
რისაგან განსხვავებით, არჩ. კერესელიძე მტკი-
ყად იცავდა „ახლის“ მეჭვიდრეობითობის
გზით წარმოდგომის პრინციპს“.

არჩ. კერესელიძის შემოქმედების გზის დასა-
წყისში დგას ისეთი დიდი ფიგურა ქართული
კულტურისა, როგორც ზაქარია ფალიაშვილი.
იგი კერესელიძეების ოჯახის შვილობილი იყო და
კერ კიდევ ურბა არჩილს წილად ზედა ბედნიერ-
ება ახლო ურთიერთობაში ყოფილიყო გენი-
ალურ ქართველ კომპოზიტორთან. ზაქარია ფა-
ლიაშვილმა მისი პირველი შეფასება ახალგა-
ზრდა კომპოზიტორის ადრეულ ნამუშევრებს
და როგორც სრვ სახალხო არტისტი ილიკა
სუხიშვილი ამბობს, „ზაქარია ფალიაშვილს ისე
უფავარდა არჩილი, რომ ბევრჯერ პირადად უთქ-
ვამს: „ჩემი ყველაზე ნიჭიერი და საყვარელი
მოწაფეაო“.

არჩ. კერესელიძემ მუსიკალური განათლება
მიიღო თბილისის კონსერვატორიაში, სადაც
კერ საფორტეპიანო განყოფილებაზე, ხოლო
შემდეგ საკომპოზიციო ფაკულტეტზე მეცადი-
ნობდა. 1935 წლიდან არჩილ კერესელიძე მოს-
კოვის კონსერვატორიაში განაგრძობს სწავლას
ისეთი გამოჩენილი კომპოზიტორის და პედა-
გოგის კლასში, როგორც ნიკოლოზ მიასკოვსკი
იყო. მასკოვსკის სკოლის პრინციპებს დიდი გავ-
ლენა მოუხდენია არჩ. კერესელიძეზე და იგი
მკაცრი შემოქმედებითი პრინციპებისთვის დაუ-
მორჩილებია. 30-იან წლებში მოსკოვის კონ-
სერვატორია, რომ იტყვიან, ტრანტებით დღუ-
და და გადმოდიოდა. ამ დროს სწავლობდნენ
შემდგომში გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორე-
ბი და მუსიკოს-შემსრულებლები: არამ ხაჩატუ-
რიანი, დიმიტრი კაბალევსკი, ტიხონ ხრენიკო-
ვი, ვანო მერაბელი, ემილ გილელსი, სვიატოსლავ
რიტხერი, იაკობ ფლიერაი, დ. ოსტრაბა
და სხვ. ასე, რომ როგორც მოსწრეებულად შე-
ნიშნავს მონოგრაფიის ავტორი „ასეთი“ მაღალ-
ლი ძაბვის“ გარემოში, ცხადია, მხოლოდ ნიჭით
ფოსს ვერ ვავიდოდა ადამიანი. საჭირო იყო
შრომისუნარიანობის მაქსიმალური წყნება“.

მონოგრაფიის ავტორი დიდი სიყვარულით,
ქეშმარილად პოეტისონილიზმით, ყოველმხრივ
აშუქებს არჩ. კერესელიძის დეაწლის ქართული
საბჭოთა მუსიკის წინაშე და თავისა ლატერა-
ტურული მონაცემების შეძლებისდაგვარად ზა-
ტყვს ქეშმარილად მომბობლავი და მაღალნი-
ჭიერი შემოქმედის პორტრეტს.



№ 60 333.

ИНДЕКС
76128

„МНАТБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ